შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

## როგორ მოვემზადოთ პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის

# კრებული დაწყებითი საფეხურის პედაგოგთათვის

კრებული წარმოადგენს „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ საკუთრებას და დაცულია საქართველოს კანონით – „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“. „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ ნებართვის გარეშე დაუშვებელია ტექსტში რაიმე ცვლილების შეტანა, მისი რეპროდუქცია, თარგმნა და სხვა საშუალებებით (როგორც ბეჭდვითი, ასევე ელექტრონული ფორმით) გავრცელება, აგრეთვე იკრძალება კრებულის გამოყენება კომერციული მიზნებისათვის.

# ს ა რ ჩ ე ვ ი


| | |
|---|---|
| **შესავალი** ..... | 3 |
| **დაწყებითი საფეხურის პედაგოგთა სერტიფიცირება** ..... | 4 |
| **I – IV კლასების სამი ძირითადი საგნის მასწავლებლის სასერტიფიკაციო ტესტი.** | 5 |
| ტესტის სტრუქტურა ..... | 6 |
| **ტესტურ დავალებათა განმარტება** ..... | 8 |
| **პროფესიული ცოდნა და მეთოდიკა** ..... | 8 |
| ქართული ენა და ლიტერატურა ..... | 9 |
| კითხვისა და წერის სწავლება ..... | 22 |
| ბუნებისმეტყველება ..... | 27 |
| მათემატიკა ..... | 30 |
| **აკადემიური უნარები** ..... | 37 |
| წაკითხული ტექსტის გააზრება ..... | 37 |
| ანალიტიკური წერა ..... | 42 |
| **I – VI კლასების მასწავლებელთა საგნობრივი სასერტიფიკაციო ტესტი** | 49 |
| **I – VI კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის სასერტიფიკაციო ტესტი** ..... | 50 |
| **I – VI კლასების ბუნებისმეტყველების მასწავლებლის სასერტიფიკაციო ტესტი** ..... | 58 |
| **I – VI კლასების მათემატიკის მასწავლებლის სასერტიფიკაციო ტესტი** ..... | 63 |
| **რეკომენდებული ლიტერატურა** ..... | 66 |
| **დანართი** ..... | 67 |
| საგამოცდო პროგრამები ..... | 67 |
| 2013 წელს სასერტიფიკაციო გამოცდაზე გამოყენებული ტესტები ..... | 86 |
| ტესტი დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთათვის (I – IV) ..... | 86 |
| შეფასების სქემა ..... | 114 |
| ქართული ენა და ლიტერატურა (I – VI) ..... | 125 |
| შეფასების სქემა ..... | 147 |
| ბუნებისმეტყველება (I – VI) ..... | 156 |
| შეფასების სქემა ..... | 176 |
| მათემატიკა (I – VI) ..... | 184 |
| შეფასების სქემა ..... | 209 |

## ძვირფასო პედაგოგებო,

2005 წლიდან პედაგოგის პროფესია რეგულირებად დარგად არის გამოცხადებული სახელმწიფოს მიერ. ამ დარგის სპეციალისტმა, კანონის თანახმად, უნდა ჩააბაროს სასერტიფიკაციო გამოცდა და მოიპოვოს მოწმობა, რომელიც პროფესიით მუშაობის უფლებას მისცემს. მასწავლებლის პროფესიისადმი სახელმწიფოს ამგვარი მიდგომა ხაზს უსვამს მის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ქვეყნისათვის.

2011 წელს პირველად ჩატარდა სასერტიფიკაციო გამოცდა დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთათვის, რომლებიც I – IV კლასებში სამ ძირითად საგანს – ქართულ ენასა და ლიტერატურას, ბუნებისმეტყველებასა და მათემატიკას – ასწავლიან. გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა ამ გამოცდასთან ერთად 2012 წელს დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებს საგნობრივი გამოცდებიც შესთავაზა. ეს გამოცდები იმ პედაგოგებისთვისაა, რომლებიც I – VI კლასებში მხოლოდ ერთ საგანს (ქართულ ენასა და ლიტერატურას, ბუნებისმეტყველებას ან მათემატიკას) ასწავლიან.

ჩვენი აზრით, დაწყებით საფეხურზე სწავლება ყველაზე საპასუხისმგებლო და რთული საქმეა. დაწყებითი კლასები არის საფუძველი ადამიანის სასწავლო საქმიანობისა არა მხოლოდ სკოლაში, არამედ უმაღლეს სასწავლებელშიც. შეიძლება ითქვას, სწორედ აქ იძენს ადამიანი იმ ძირითად ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, რომლებსაც მუდმივად იყენებს ცხოვრებაში, მომავალ პროფესიულ საქმიანობაში. სოციალიზაციის ერთ-ერთ პირველ ეტაპსაც ბავშვი ამ პერიოდში გადის. შესაბამისად, მასწავლებელს, რომელმაც უნდა გააცნოს მოსწავლეს თანატოლები, შეაგუოს სასკოლო ცხოვრებას, ხელი შეუწყოს იმ უნარების განვითარებას, რომლებიც საფუძვლად დაედება ბავშვის მომავალ სასწავლო საქმიანობას, ძალზე სერიოზული მოვალეობა აკისრია. ამ საპატიო მოვალეობის შესასრულებლად საჭირო პედაგოგიური უნარები, ცოდნა და კომპეტენცია განსაზღვრულია დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით. სტანდარტი არის ის დოკუმენტი, რომელსაც ვეყრდნობით სასერტიფიკაციო ტესტის შედგენისას.

სასერტიფიკაციო გამოცდის მიზანია, გამოავლინოს მასწავლებლის პროფესიონალიზმი, დაადასტუროს, რომ მასწავლებლის ცოდნა და მოსწავლისთვის ცოდნის გადაცემის უნარი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. თქვენი გამოცდილება დაგეხმარებათ, წარმატებით გაართვათ თავი ამ გამოცდას, მით უფრო, რომ ყოველდღიურ პროფესიულ საქმიანობაში ამაზე უფრო რთული და მოულოდნელი „გამოცდების“ ჩაბარება გიხდებათ.

დაწყებითი საფეხურის პედაგოგთა სასერტიფიკაციო ტესტის მომზადება გამოცდების ეროვნული ცენტრის ზოგადი უნარების ჯგუფს დაევალა. ჯგუფი აქტიურად თანამშრომლობს პედაგოგებთან, ითვალისწინებს მათს მოსაზრებებს, რათა სათანადო პირობები შეუქმნას საკუთარი პროფესიონალიზმის გამოსავლენად.

წინამდებარე კრებულში წარმოდგენილია დეტალური ინფორმაცია დაწყებითი საფეხურის პედაგოგთა სასერტიფიკაციო ტესტების, მათი დანიშნულებისა და სტრუქტურის შესახებ. აქ განხილულია ტესტურ დავალებათა ნიმუშები, მოცემულია რეკომენდაციები ამა თუ იმ ტიპის დავალებათა შესასრულებლად. ვფიქრობთ, ყოველივე ეს დაგეხმარებათ გამოცდის წარმატებით ჩაბარებაში.

გისურვებთ წარმატებას!

## დაწყებითი საფეხურის პედაგოგთა სერტიფიცირება

საქართველოში სრული ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური, ზოგადი განათლების შესახებ კანონის თანახმად, I-VI კლასებს მოიცავს. თუმცა დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის სერტიფიკატის ტიპების განსაზღვრა პრობლემური აღმოჩნდა. დღეისათვის დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთა უმრავლესობა I-IV კლასებში ძირითად საგნებს ასწავლის, ხოლო V და VI კლასებში ქართულს, მათემატიკას, საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებებს საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებლები ასწავლიან. გარდა ამისა, ზოგიერთ სკოლაში დაწყებით საფეხურზე ე. წ. საგნობრივი სწავლებაა: I-VI კლასებს თითოეულ საგანს სხვადასხვა პედაგოგი ასწავლის. ამ რეალობის გათვალისწინებით მომზადდა ზოგადი განათლების შესახებ კანონში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების პაკეტი, რომელშიც გარდამავალი პერიოდისთვის (2014 წლამდე) გათვალისწინებულია დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის რამდენიმე ტიპის სერტიფიკატი:

- I-IV კლასების მასწავლებელი, რომელიც ამ კლასებში ასწავლის ძირითად საგნებს (ქართულ ენასა და ლიტერატურას, მათემატიკას, ბუნებისმეტყველებას);
- I-VI კლასების მასწავლებელი, რომელიც ასწავლის ერთ კონკრეტულ საგანს (ქართული ენა და ლიტერატურა, ბუნებისმეტყველება, მათემატიკა, საზოგადოებრივი მეცნიერებები, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, შრომითი სწავლება, მუსიკა, ფიზიკური აღზრდა).

შესაბამისად, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა მოამზადა დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, რომელიც ითვალისწინებს კანონში შესატან ცვლილებებს.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა, აღნიშნულ სტანდარტზე დაყრდნობით, 2012 წლისთვის მოამზადა კლასების სამი ძირითადი საგნის მასწავლებლისა და I-VI კლასების კონკრეტული საგნის (ქართულ ენისა და ლიტერატურის, ბუნებისმეტყველების და მათემატიკის) მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდები. ამ გამოცდებიდან ერთ-ერთის და, ასევე, პროფესიული უნარების გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, პედაგოგი მოიპოვებს დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის სერტიფიკატს.

# I – IV კლასების სამი ძირითადი საგნის მასწავლებლის სასერტიფიკაციო ტესტი

დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთა სასერტიფიკაციო ტესტის მიზანია, გამოავლინოს მასწავლებლის პროფესიონალიზმი, დაადასტუროს, რომ მასწავლებლის ცოდნა და მოსწავლისთვის ცოდნის გადაცემის უნარი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ტესტი ამოწმებს პროფესიულ (საგნობრივ) ცოდნას ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ბუნებისმეტყველებასა და მათემატიკაში. საგნობრივი ცოდნის თვალსაზრისით, საგამოცდო პროგრამა არ სცდება მასწავლებლის სტანდარტის ჩარჩოებს.

ტესტი ასევე ადგენს, რამდენად კარგად იცნობს და იყენებს მასწავლებელი ამა თუ იმ საგნის სწავლების მეთოდებს, კითხვისა და წერის სწავლების სტრატეგიებს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ბავშვის ასაკობრივი თავისებურებების ცოდნას.

მასწავლებლის აკადემიური უნარების შემოწმების მიზნით, ტესტში გამოყოფილია ორი ბლოკი – წაკითხული ტექსტის გააზრება და ანალიტიკური წერა.

დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთა სასერტიფიკაციო ტესტს ქმნის გამოცდების ეროვნული ცენტრის ზოგადი უნარების ჯგუფი, რომელშიც მუშაობენ პედაგოგიური გამოცდილების მქონე ფილოლოგები, მათემატიკოსები, ფსიქოლოგები. ტესტის შექმნაში მონაწილეობენ აგრეთვე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ჯგუფის ექსპერტები.

გამოცდების ეროვნული ცენტრი აქტიურად თანამშრომლობს მოწვეულ ექსპერტებთან – პრაქტიკოს მასწავლებლებთან, სახელმძღვანელოების ავტორებთან, ფსიქოლოგებთან, რომლებიც მუშაობენ დაწყებითი განათლების საკითხებზე. ტესტის შექმნისა და დახვეწის პროცესისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ექსპერტთა მოსაზრებები მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის, საგამოცდო პროგრამის, ტესტის სტრუქტურის შესახებ.

ტესტზე მუშაობა მიმდინარეობს ეტაპობრივად: თავდაპირველად იქმნება ტესტის ცალკეული დავალებები. დავალებები წინასწარ მრავალმხრივ მოწმდება. საცდელი ტესტირების მეშვეობით დგინდება მათი სირთულის ხარისხი და განისაზღვრება ის სტატისტიკური მახასიათებლები, რომლებიც გვიჩვენებს, თუ რამდენად კარგად ხერხდება ამა თუ იმ დავალებით მასწავლებელთა ცოდნისა და უნარების ობიექტური შეფასება. ტესტის საბოლოო ვარიანტისთვის დავალებები შეირჩევა სტატისტიკური შემოწმებისა და ექსპერტული შეფასების საფუძველზე. ტესტი მოიცავს შინაარსობრივად და სირთულის თვალსაზრისით განსხვავებული დავალებების მთელ სპექტრს.

# ტესტის სტრუქტურა

დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთა სასერტიფიკაციო ტესტი შედგება ორი ნაწილისგან:

- პროფესიული ცოდნა და მეთოდიკა (ქართული ენა და ლიტერატურა, კითხვისა და წერის სწავლება, ბუნებისმეტყველება, მათემატიკა);
- აკადემიური უნარები (წაკითხული ტექსტის გააზრება და ანალიტიკური წერა).

ტესტის მაქსიმალური ქულა არის 100.

ტესტში წარმოდგენილია სხვადასხვა ფორმატის დავალებები:

- დავალებები არჩევითი პასუხით;
- დავალებები ღია დაბოლოებით;
- შესაბამისობის დადგენის დავალებები;
- თხზულება.

არჩევითპასუხებიან დავალებებში პირობასა და შეკითხვასთან ერთად სავარაუდო პასუხებიც არის მოცემული. დავალების შესრულება გულისხმობს ოთხი სავარაუდო პასუხიდან ერთი სწორი პასუხის არჩევას. თითოეული არჩევითპასუხიანი დავალება 1 ქულით ფასდება.

დავალებები ღია დაბოლოებით აპლიკანტისგან (მასწავლებლის სერტიფიკატის მოპოვების მსურველისგან) მოითხოვს დასმულ შეკითხვაზე პასუხის ჩამოყალიბებას, საკუთარი მსჯელობის გამყარებას სათანადო არგუმენტებით. თითოეული ღიაბოლოიანი დავალება ფასდება სპეციალური სქემის მეშვეობით. შესაბამისად, დავალებები განსხვავდება მაქსიმალური ქულების მიხედვით. შესასრულებელი ნაბიჯების გათვალისწინებით, დავალება შეიძლება შეფასდეს 1, 2 ან მეტი ქულით.

***გაითვალისწინეთ:***

*ღიაბოლოიანი დავალების შემთხვევაში ქულას იმსახურებს აპლიკანტის მხოლოდ ის პასუხი, რომელიც უშუალოდ უკავშირდება დავალების პირობას, შეიცავს დასმული ამოცანის კონკრეტული გადაწყვეტის მცდელობას.*

შესაბამისობის დავალებებში წარმოდგენილია მონაცემთა ორი სვეტი. ერთ სვეტში მოცემულია ე. წ. პირობა (მოვლენები, ფრაზები და ა. შ.), მეორეში კი – სავარაუდო პასუხები (ცნებები, ტერმინები და ა. შ.). დავალების შესასრულებლად საჭიროა, ერთ სვეტში მოცემული ინფორმაცია შევუსაბამოთ (მივუსადაგოთ) მეორე სვეტში მოცემულ ინფორმაციას. შესაბამისობის თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

ანალიტიკური წერის ნაწილში აპლიკანტმა უნდა დაწეროს თხზულება, რომელშიც გამოხატავს თავის პოზიციას, მოსაზრებებს შეთავაზებული საკითხის შესახებ. მან კონკრეტული არგუმენტებით უნდა დაასაბუთოს თავისი სათქმელი. თხზულება ხუთი კრიტერიუმით ფასდება და მისი მაქსიმალური ქულაა 13 (კრიტერიუმები იხილეთ გვ. 42).

კრებულის მომდევნო ნაწილებში განხილულია თითოეული ტიპის ტესტურ დავალებათა ნიმუშები და შეფასების კრიტერიუმები.

**პროფესიული ცოდნა და მეთოდიკა**

ტესტის ამ ნაწილის მაქსიმალური ქულაა 80. ის ოთხ ბლოკს მოიცავს – ქართული ენა და ლიტერატურა, ბუნებისმეტყველება, მათემატიკა, კითხვისა და წერის სწავლება.

თითოეულ საგნობრივ ბლოკში მოცემულია საგამოცდო პროგრამა, დავალებები, რომლებიც ამოწმებს როგორც შესაბამის საგნობრივ, ისე ამ საგნის სწავლების მეთოდიკის ცოდნას.

კითხვისა და წერის სწავლების ნაწილში წარმოდგენილია დავალებები, რომლებიც ამოწმებს კითხვის სწავლების თანამედროვე სტრატეგიების ცოდნასა და მათი პრაქტიკულად გამოყენების უნარს, კერძოდ, რამდენად შეუძლია პედაგოგს შეარჩიოს ადეკვატური მეთოდი:

- დაწყებით საფეხურზე მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით წერა-კითხვის უნარის გასავითარებლად;
- კონკრეტული მოსწავლის პრობლემისა თუ ინდივიდუალური თავისებურების გათვალისწინებით კითხვისა და წერის უნარის გასავითარებლად;
- შესასწავლი ტექსტის სპეციფიკის გათვალისწინებით წაკითხულის უკეთ გასააზრებლად.

**აკადემიური უნარები**

ტესტის ეს ნაწილი 20 ქულით ფასდება. ის ორ ბლოკს მოიცავს: წაკითხული ტექსტის გააზრებასა და ანალიტიკურ წერას. წაკითხული ტექსტის გააზრების ბლოკის მეშვეობით მოწმდება უცნობი ტექსტის ადეკვატურად გაგებისა და გააზრების – ტექსტიდან ინფორმაციის მოპოვების, ინტერპრეტირების, გაანალიზებისა და შეფასების უნარი.

ანალიტიკური წერის მეშვეობით მოწმდება ამა თუ იმ საკითხზე საკუთარი თვალსაზრისის ცხადად და ნათლად ჩამოყალიბების, არგუმენტების მოხმობით მისი დასაბუთების, აგრეთვე სხვადასხვა მოსაზრების კრიტიკული ანალიზის უნარი.

ტესტის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 60%-ია. შესაბამისად, გამოცდის წარმატებით ჩასაბარებლად აპლიკანტმა უნდა დააგროვოს ქულათა საერთო რაოდენობის 60%-ზე მეტი – 100-ქულიანი ტესტის შემთხვევაში 61 ქულა.

თუმცა, 61 ქულის მოპოვება შესაძლებელია მხოლოდ ერთი ნაწილის – პროფესიული ცოდნისა და მეთოდიკის – დავალებათა შესრულებით. იმისათვის, რომ აპლიკანტმა აკადემიური უნარების ნაწილის დავალებებიც შეასრულოს და ამ კომპონენტშიც დაადასტუროს თავისი კომპეტენცია, **დადგენილია საგანგებო ზღვარი აკადემიური უნარების ნაწილისთვის – ქულათა საერთო რაოდენობის 40%.** შესაბამისად, ამ ნაწილში ზღვრის გადასალახად აპლიკანტმა უნდა დააგროვოს ქულათა საერთო რაოდენობის 40%-ზე მეტი, სულ მცირე, 9 ქულა.

# ტესტურ დავალებათა განმარტება

კრებულის წინამდებარე ნაწილში გთავაზობთ 2011 წლის სასერტიფიკაციო გამოცდაზე გამოყენებული ტესტის ზოგიერთი დავალების განმარტებას. დანართში შეგიძლიათ იხილოთ 2013 წლის საგამოცდო ტესტი (გვ. 86).

დავალებათა ინსტრუქციებზე ყურადღების გამახვილება, მათი შესრულების პრინციპისა თუ ხერხის გაცნობა, ასევე, პედაგოგთა ნამუშევრების შეფასებათა განხილვა დაგეხმარებათ გამოცდისათვის მომზადების პროცესსა და, საბოლოოდ, გამოცდის წარმატებით ჩაბარებაში.

## პროფესიული ცოდნა და მეთოდიკა

ტესტის ამ ნაწილით მოწმდება საგნობრივი ცოდნა ქართულ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკასა და ბუნებისმეტყველებაში. თუმცა, დიდი ყურადღება ექცევა სწავლების მეთოდიკის შემოწმებასაც. მოსწავლეთათვის მასალის სწორად შერჩევა და მიწოდება, მათი მიღწევების სწორად შეფასება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაწყებით საფეხურზე, რადგან აქ იქმნება ბავშვის სასწავლო ქცევის საფუძველი, ამ ეტაპზე იძენს ის ძირითად ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, რომლებიც განმსაზღვრელია მისი მომავალი ინტელექტუალური საქმიანობისთვის. ამიტომ პროფესიული ცოდნისა და მეთოდიკის ნაწილი ტესტის ძირითად ნაწილს წარმოადგენს.

პროფესიული ცოდნისა და მეთოდიკის ნაწილში თითოეული საგნის წილი განისაზღვრება სასწავლო გეგმის შესაბამისი საათობრივი ბადის საფუძველზე.

# ქართული ენა და ლიტერატურა

## დავალებათა ნიმუშები და განმარტებები

1. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ წინადადებაშია დაშვებული გრამატიკული შეცდომა?
(ა) წყლიდან დელფინი ამოხტა.
(ბ) ნინოს თვალებიდან ცრემლები გადმოსცვივდა.
(გ) ფოთლებიდან გულყვითელა ჩიტმა გამოიხედა.
(დ) აბრეშუმის ძაფიდან ლამაზ ქსოვილს ამზადებენ.

*დაწყებითი კლასების მოსწავლეები წინადადებებისა თუ მცირე ტექსტების შედგენისას ხშირად უშვებენ სხვადასხვა სახის შეცდომას. მასწავლებელს ყოველდღიურად უხდება მათი აღმოჩენა და გასწორება. მოცემული დავალების მიზანია, შეამოწმოს, შეუძლია თუ არა მასწავლებელს გრამატიკული, კერძოდ, მორფოლოგიური შეცდომის აღმოჩენა წინადადებაში.*

*წინადადებები, რომლებიც დავალებაშია მოცემული, მოქმედებითი და ნათესაობითი ბრუნვისთვის საერთო -გან თანდებულის სწორად გამოყენებას მოითხოვს. ძველად მოქმედებითის თანდებულად -გან ფორმა გამოიყენებოდა, მაგრამ დროთა განმავლობაში მან ფონეტიკური ცვლილებები განიცადა (სახლ-ით-გან/სახლ-ად-გან/სახლ-ი-დან – როგორც ნათესაობითი, ისე მოქმედებითი ბრუნვის ნიშნის თანხმოვანი ს და თ დაიკარგა) და დღესდღეობით გვაქვს თანდებულის ფორმა -დან. თუ წინადადების წევრი გვპასუხობს კითხვაზე საიდან (წყლიდან) ან რა დროიდან (საღამოდან), ე. ი. ის მოქმედებით ბრუნვაში დგას და მასთან -დან თანდებულს ვიყენებთ, ხოლო თუ გვპასუხობს კითხვაზე ვისგან (მეგობრისგან) ან რისგან (ძაფისგან), მაშინ სახელი ნათესაობით ბრუნვაში დგას და მასთან -გან თანდებულის გამოყენებაა საჭირო. -გან თანდებულიანი ნათესაობითი აღნიშნავს მოქმედების შემსრულებელს (მეგობრ-ის-გან მიღებული საჩუქარი), მასალას (ძაფ-ის-გან დამზადებული ქსოვილი), მიზეზს (შიშ-ის-გან გაფითრებული). შესაბამისად, შეცდომა დაშვებულია პასუხის (დ) ვარიანტში.*

2. მოცემულია წინადადებები:

I – „ხომ არ გგონია, **წეროს** ჭკუით აჯობებ“? – გააფრთხილეს მელია ციყვებმა.

II – მელიამ **წეროს** საცოდავ სახეს შეხედა, გაიცინა და ჰკითხა, წვნიანი როგორ მოგეწონაო.

*ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია მართებული?*
სიტყვა „წერო“:
(ა) ორივე წინადადებაში წარმოდგენილია მიცემითი ბრუნვის ფორმით.
(ბ) ორივე წინადადებაში წარმოდგენილია ნათესაობითი ბრუნვის ფორმით.
(გ) I წინადადებაში წარმოდგენილია ნათესაობითი, ხოლო II წინადადებაში – მიცემითი ბრუნვის ფორმით.
(დ) I წინადადებაში წარმოდგენილია მიცემითი, ხოლო II წინადადებაში – ნათესაობითი ბრუნვის ფორმით.

*დავალების შესასრულებლად უნდა გავარკვიოთ, მოცემულ წინადადებებში ხმოვანფუძიანი არსებითი სახელი „წერო“ მიცემით ბრუნვაში დგას თუ ნათესაობითში. ორივე ბრუნვაში „წერო“ მსგავსი ფორმით გვხვდება – „წეროს“, რადგან წერო უკვეცელი ხმოვანფუძიანი სახელია, ნათესაობით ბრუნვაში მასთან ბრუნვის ნიშანი -ის კარგავს ხმოვანს და -ს ფორმით არის წარმოდგენილი. შესაბამისად, მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვის ფორმები ემთხვევა ერთმანეთს. სახელის ბრუნვის ფორმის ამოსაცნობად, მისი ჩანაცვლება შეიძლება შესაბამის კონტექსტს მორგებული თანხმოვანფუძიანი სახელით. მაგ., წეროს ჭკუით აჯობებ - ბიჭ-ს ჭკუით აჯობებ (მიცემითი ბრუნვა); წეროს საცოდავ სახეს - ბიჭ-ის საცოდავ სახეს (ნათესაობითი ბრუნვა). შესაბამისად, სწორი პასუხია (დ).*

**3.** ქვემოთ მოცემულია ორი სვეტი. მარცხენა სვეტში წარმოდგენილია გამოთქმები, მარჯვენაში კი მითითებულია მათი შესაძლო წარმომავლობა. დაადგინეთ შესაბამისობა გამოთქმებსა და მათს წარმომავლობას შორის. ნიმუშის მიხედვით შეავსეთ ცარიელი გრაფები (შესაძლებელია პასუხის გამეორება).

1. აქილევსის ქუსლი
2. პრომეთეს ცეცხლი
3. მარათონული რბენა
4. ქარის წისქვილებთან ბრძოლა
5. გათიშე და იბატონე
6. იგი წავა და სხვა მოვა

ა) ლიტერატურული
ბ) მითოლოგიური
გ) ისტორიული

*მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის ერთ-ერთი მოთხოვნაა, დაწყებითი საფეხურის მასწავლებელი იცნობდეს მითებს, ზღაპრებს, თქმულებებს და ა.შ. ამ დავალებით სწორედ ისტორიული, მითოლოგიური თუ ლიტერატურული სიუჟეტებისა და მათ საფუძველზე შექმნილი გამოთქმების ცოდნა მოწმდება. ტესტურ დავალებებში შეგხვდებათ გამოთქმები მხოლოდ საყოველთაოდ ცნობილი მითიდან, ბიბლიური სიუჟეტიდან თუ ლიტერატურული ნაწარმოებიდან.*

სწორი პასუხი:

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
|---|---|---|---|---|---|
| ბ | ბ | გ | ა | გ | ა |

**4.** ქვემოთ მოცემულია მოსწავლის ნაწერი, რომელშიც დაშვებულია რამდენიმე გრამატიკული შეცდომა. ამოიწერეთ შეცდომით დაწერილი სიტყვები, მიუთითეთ სწორი ფორმა და პასუხი დაასაბუთეთ. თითოეული შეცდომის გასწორება და შესაბამისი დასაბუთება ფასდება 2 ქულით. მოსწავლის მიერ სწორად დაწერილი თითოეული სიტყვის მცდარი ფორმით შეცვლის შემთხვევაში დაგაკლდებათ 1 ქულა.


სახელმძღვანელოში ხშირად გვხვდება არეზე განმარტებული სიტყვები. წიგნს, რომელშიც თავმოყრილია ანბანის მიხედვით დალაგებული უამრავი სიტყვები, დექსიონი ჰქვია. დექსიონს, სადაც მოცემულია სიტყვათა სწორი დაწერილობა, ორთოგრაფიული ეწოდება. დექსიონში ერთი და იგივე ასოზე დაწყებული სიტყვები ერთად არის დაჯგუფებული, რადგან ჩვენთვის საინტერესო სიტყვის მნიშვნელობა ადვილად მოვნახოთ.

*მოსწავლის ნაწერში შეცდომების აღმოჩენა და მათი გასწორება, ასევე, მოსწავლისთვის იმის ახსნა, თუ რატომ არის მის მიერ გამოყენებული ფორმები მცდარი, მასწავლებლის ყოველდღიური საქმიანობის ნაწილია. დაწყებით საფეხურზე გრამატიკის სწავლებაც, ძირითადად, სწორედ ასეთი ფორმით ხორციელდება. ვფიქრობთ, მოცემული დავალება ძალზე მნიშვნელოვანია მასწავლებლის შესაბამისი კომპეტენციის შესამოწმებლად. ამიტომ მას ტესტის ქულათა შედარებით დიდი წილი – 8 ქულა – ეთმობა:*

- *თითოეული შეცდომის გასწორება და შესაბამისი დასაბუთება ფასდება 2 ქულით.*
- *მხოლოდ შეცდომის გასწორება, სათანადო დასაბუთების გარეშე, ფასდება 1 ქულით.*
- *თუ მოსწავლის მიერ სწორად დაწერილ სიტყვას მცდარი ფორმით შეცვლით, დაგაკლდებათ 1 ქულა.*

მოსწავლის ნაწერში შემდეგი შეცდომებია დაშვებული:

**1. უამრავი სიტყვები** – სწორია: ***უამრავი სიტყვა.***

*რიცხვით სახელს, ასევე სიმრავლის აღმნიშვნელ სიტყვას (ბევრი, მრავალი, უამრავი...) არსებითი სახელი ყოველთვის მხოლობით რიცხვში შეეწყობა.*

**2. ერთი და იგივე (ასოზე დაწყებული...)** – სწორია: ***ერთსა და იმავე (ასოზე დაწყებული...).***

*„ერთი და იგივე“ ამ შესიტყვებაში არის მსაზღვრელი, რომელიც საზღვრულს ეთანხმება ბრუნვაში. სახელი „ასო“ (საზღვრული) მიცემითი ბრუნვის თანდებულიანი ფორმით არის წარმოდგენილი. შესაბამისად, მას მსაზღვრელი მიცემით ბრუნვაში უნდა შეეწყოს.* ***ერთი და იგივე*** *მხოლოდ სახელობითი ბრუნვის ფორმაა, მიცემით ბრუნვაში იქნება* ***ერთსა და იმავეს.***

**3. რადგან** – სწორია: ***რათა.***

*რთული ქვეწყობილი წინადადების მეორე ნაწილი მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებაა და, შესაბამისად, უნდა გამოვიყენოთ კავშირი „რათა“.*

**4. ადვილათ** – სწორია: ***ადვილად.***

*ზედსართავი სახელი „ადვილი“ მოცემულია ვითარებითი ბრუნვის ფორმით, შესაბამისად, ვითარებითი ბრუნვისგან ნაწარმოები ზმნიზედის ბოლოს უნდა გამოვიყენოთ -დ და არა –თ, რადგან ვითარებითი ბრუნვის ნიშანია -ად.*

გთავაზობთ მასწავლებელთა ნამუშევრებს, რომლებიც სხვადასხვა ქულით შეფასდა. შეგახსენებთ, რომ:

„უამრავი სიტყვები – ორდა იყოს, „უამრავი სიტყვა“, რადგან „უამრავი“ თვითონ არის მრავლობითობის გამომხატველი სიტყვა. მსგავს სიტყვებს ჰქვ. სახ. ზმ. ხასიათს ფორმით შეიწყობა. • ერთი ჯ ივვე ასოზე – სწორი ფორმაა „ერთსა ჯ იმავე ასოზე“, რადგან მოცემითში დასმულ მსაზღვრელს მსაზღვრელიც მოცემითი ბრუნვის ფორმით შეუწყობა. • ადვილათ – სწორი ფორმაა „ადვილად“. რადგან ეს სიტყვა მოცემულია ვითარებითი ბრუნვის ფორმით, ამ ბრუნვის ნიშანი კი არის –ად და არა ათ.

*კომენტარი*

*წარმოდგენილ პასუხში აღმოჩენილი, გასწორებული და დასაბუთებულია 3 შეცდომა. შესაბამისად, ის 6 ქულით შეფასდა.*

წიგნს – წიგნსს მოცემაში ორი ს იყრის ოკეს
სიტყვები – სიტყვა ჩადგენ კრებითი სუფლის წინ ჩასმული მხოლობაში უნდა იყოს
ერთი და ერთივე – ერთსა და იმავე. მოცემულში ასე უნდა იყოს
ჩადგენ – ჩათა. ჩათა ბრუნვის გამოხატვას და ეს ბრუნვა
ადვილათ – ადვილად. ვითარებითი ბრუნვის ნიშანი უნდა დ.

*კომენტარი*

*ამ ნამუშევარში აღმოჩენილი და გასწორებულია ოთხივე შეცდომა, თუმცა მხოლოდ სამია დასაბუთებული სწორად – „უამრავი“ არის არა კრებითი სახელი, არამედ სიმრავლის აღმნიშვნელი სიტყვა. ამ ფაქტობრივი შეცდომის გამო აღნიშნული განმარტება აპლიკანტს „არ ეთვლება“ და ნაცვლად 2 ქულისა, 1 ქულას იმსახურებს. ასევე, არასწორად არის ამოწერილი მოსწავლის მიერ სწორად დაწერილი სიტყვა და შეცვლილია მცდარი ფორმით (წიგნს - წიგნსს), რის გამოც აპლიკანტის მიერ მიღებულ ქულათა ჯამს – 7 – დააკლდა 1 ქულა. შესაბამისად, წარმოდგენილი პასუხი 6 ქულით შეფასდა.*

შეცდომაა: წიგნს – წიგნში. სახელმძღვანელოში–სახელმძღვანელოებში. დაწერილობა– განმარტება. იგივე – იმავე.
ადვილათ– ადვილად. დაწესებილობა –დამწესებლობა.
ერთად ერთის – ერთიდაა

*კომენტარი*

*წარმოდგენილ პასუხში აღმოჩენილი და გასწორებულია მხოლოდ 1 შეცდომა (ადვილათ – ადვილად). მეორე შეცდომის გასწორება (იგივე – იმავე) არასრული ფორმითაა წარმოდგენილი და, შესაბამისად, არ ფასდება ქულით. დანარჩენი 5 სიტყვა, რომლებიც აპლიკანტმა გამოყო და სხვა ფორმებით ჩაანაცვლა, მოსწავლის ნაშრომში სწორად არის დაწერილი. შესაბამისად, გაბათილდა ერთი სწორად აღმოჩენილი და გასწორებული შეცდომით დამსახურებული ქულაც და პასუხი 0 ქულით შეფასდა.*

*ნაწყვეტი არჩილ სულაკაურის მოთხრობიდან „ბიჭი და ძაღლი“*

ქუჩაში მარტო მიდიოდა პატარა, შავგვრემანი ბიჭი. მაყვლისფერი დიდი თვალები ჰქონდა, წყლიანი და ნაღვლიანი ოდნავ. მურა ნაგაზმა ძუნძულით ჩაუარა, თან შიშით მოხედა ბიჭს. ბიჭმა შეატყო, ძაღლი უცხოდ გრძნობდა ქალაქში თავს. თვალი გააყოლა...

რამდენიმე ფინია ნაგაზს ყეფით მოსდევდა. ბიჭს გაუკვირდა: „ამხელა ნაგაზს ეს ჯუჯა ძაღლები როგორ მოერივნენ?“ მაინც დაავლო ქვას ხელი და ფინიებს შეუტია. ფინიები მაშინვე შეცვივდნენ ეზოში წკმუტუნ-წკმუტუნით, მერე ჭიშკრიდან გამოყვეს თავები და საკუთარ ეზოში ყოფნით შეგულიანებულებმა ყეფა დაიწყეს.

ნაგაზი ქუჩის გადაღმა, ფილაქანზე იჯდა, დაბნეული და შეშინებული იხედებოდა აქეთ-იქით.

– რას გამირბი, – უთხრა ბიჭმა, – მე არ გერჩი. პირიქით, მეცოდები. ამხელა ხარ და ფინიებმა დაგჩაგრეს.

ნაგაზი თვალებში მისჩერებოდა ბიჭს და არ ინძრეოდა. ბიჭმა ორიოდე ნაბიჯი გადადგა ძაღლისკენ. ძაღლმა უკან დაიხია...

– გშია? – ჩანთა გახსნა და პურის ნატეხი ამოიღო, – თუ გინდა, გაჭმევ, ნახევარი – შენ, ნახევარი – მე.

ძაღლმა პური თვალის დახამხამებაში შთანთქა... სანამ რიყეზე ჩავიდოდა, ბიჭმა ერთხელაც მიხედა ნაგაზს. ძაღლი უკანა თათებზე იჯდა და მთელი გულისყური ბიჭისკენ ჰქონდა მიპყრობილი. ბიჭმა უცებ ბადიანი კაცი დაინახა. კაცი ფრთხილად ეპარებოდა ძაღლს. რამდენიმე ნაბიჯი და ნაგაზი, ალბათ, ბადეში გაეხვეოდა.

ბიჭმა შეჰყვირა. ძაღლი არ განძრეულა. ბიჭი გრძნობდა, წამითაც რომ დაეგვიანებინა, ნაგაზს დაიჭერდნენ. მაშინვე პურის ნატეხი დაუგდო წინ, ათიოდე ნაბიჯზე. ძაღლი წამოხტა, როგორც ჩანს, ფათერაკი იგრძნო. ბიჭი და ძაღლი სირბილით დაეშვნენ რიყეზე.

– საძაგელი კაცია, – უთხრა ბიჭმა ძაღლს, მაგას უნდა ერიდო. ბადე თუ დაგაფარა, გათავდა, ვეღარ გაექცევი.

ბიჭმა და ძაღლმა რიყე გაირბინეს და მტკვრის ნაპირზე გავიდნენ.

მტკვრის გაღმა ერთიმეორეზე მიყოლებული, ჯაჭვით დაბმული წისქვილები ძველი გემებივით იდგა. ბიჭს სადღაც წიგნში დახატული ენახა ნავსადგური და გაღმა მხარე მუდამ იმ სურათს აგონებდა. ქვაზე ჩამოჯდებოდა და, სანამ ბანაობას დაიწყებდა, დიდხანს გასცქეროდა წისქვილებს, შეჰყურებდა მტკვარზე გადმომდგარ აივნიან სახლებს.

1. ამ ნაწყვეტის მიხედვით იმსჯელეთ მოთხრობის პერსონაჟის ხასიათის თავისებურებებზე. თქვენი მსჯელობის გასამყარებლად მოკლედ მიუთითეთ კონკრეტული ფრაზები ტექსტიდან.

---

*მოსწავლეთათვის საბავშვო ლიტერატურული ნაწარმოების გაცნობა, წაკითხვა სკოლის პირველივე საფეხურზე ძალზე მნიშვნელოვანია კითხვის უნარის გასავითარებლად, კითხვის მიმართ ინტერესის გასაღვივებლად, კარგ მკითხველად ჩამოსაყალიბებლად. სასკოლო სახელმძღვანელოებში ხშირად გვხვდება ნაწყვეტები ლიტერატურული ნაწარმოებებიდან. იმისათვის, რათა მოსწავლეები ამა თუ იმ ტექსტით დავაინტერესოთ, საჭიროა მათი ასაკობრივი თუ პიროვნული თავისებურებების გათვალისწინებით დავეხმაროთ ტექსტის გააზრებაში.*

*მოცემული ნაწყვეტის გასააზრებლად არსებითია მთავარი პერსონაჟის ხასიათის ამოცნობა. დავალების მიზანი სწორედ იმის შემოწმებაა, შეუძლია თუ არა აპლიკანტს პერსონაჟის ხასიათის მნიშვნელოვანი თავისებურებების, არსებითი მახასიათებლების გამოყოფა და მათი გამიჯვნა უმნიშვნელო დეტალებისგან.*

ტექსტის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ პერსონაჟის ხასიათის შემდეგ მნიშვნელოვან თავისებურებებზე:

- **ბიჭი მარტოსულია, სევდიანი** – ,,ქუჩაში მარტო მიდიოდა‘‘, ,,თვალები ჰქონდა წყლიანი, ნაღვლიანი‘‘, ,,ქვაზე ჩამოჯდებოდა და დიდხანს გასცქეროდა წისქვილებს, მტკვარზე გადმომდგარ აივნიან სახლებს‘‘.

- **თანაგრძნობის უნარის მქონე, ჰუმანური, ცხოველთა დამცველი** – ,,შეატყო, ძაღლი უცხოდ გრძნობდა თავს‘‘, ,,მე არ გერჩი, პირიქით, მეცოდები‘‘, ,,პურის ნატეხი ამოიღო, – თუ გინდა, გაჭმევ, ნახევარი – შენ, ნახევარი – მე‘‘, ,,მაშინვე პურის ნატეხი გადაუგდო‘‘, ისე ელაპარაკება ძაღლს, როგორც მეგობარს; თავად დაუცველი – იცავს ნაგაზს.

- **ემოციური, ფაქიზი ბუნების მქონე, მგრძნობიარე, მეოცნებე, რომანტიკული** – ,,ქუჩაში მარტო მიდიოდა‘‘, ,,წყლიანი, ნაღვლიანი თვალები‘‘, ,,სადღაც წიგნში დახატული ენახა ნავსადგური‘‘, ,,გაღმა მხარე მუდამ იმ სურათს აგონებდა‘‘ – ნახატი ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს მასზე, ბუნებაში ყოფნა უყვარს, შეუძლია დიდხანს უყუროს მდინარეს, წისქვილებს, აივნიან სახლებს; ბიჭს თავისი სამყარო აქვს – მდინარე, რიყე, ძველი გემებივით მდგარი ჯაჭვით დაბმული წისქვილები... ქალაქში დაძაბულია, საფრთხის მოლოდინშია, ბუნებაში, რიყეზე უფრო დაცულად გრძნობს თავს – შეუძლია, სანამ ბანაობას დაიწყებს, გარემოს დააკვირდეს, წიგნში ნანახი გაიხსენოს და დიდხანს უცქიროს მტკვრის ნაპირებს.

ტექსტიდან შეიძლება ამოვიკითხოთ პერსონაჟის სხვა თვისებების შესახებაც, თუმცა ტექსტი არ იძლევა საკმარის მასალას მათზე მსჯელობისთვის. მოცემულ ნაწყვეტში დასმული პრობლემის – მარტოობის, გაუცხოების, თანაგრძნობის – გათვალისწინებით, ისინი ნაკლებად მნიშვნელოვანია:

- **მამაცი, უშიშარი** – ,,ფინიებს შეუტია'', ,,ნაბიჯი გადადგა ძაღლისკენ'', ,,ბიჭმა შეჰყვირა'' – ბადიანი კაცის არ შეეშინდა, მისგან დაიცვა ძაღლი. ბიჭი და ძაღლი გაექცნენ ბადიან კაცს.

- **ფრთხილი** – ,,ბიჭმა ორიოდე ნაბიჯი გადადგა ძაღლისკენ'', ,,ერთხელაც მიხედა ნაგაზს'', ,,გრძნობდა, წამითაც რომ დაეგვიანებინა, ნაგაზს დაიჭერდნენ'', ,,საძაგელი კაცია, მაგას უნდა ერიდო''.

- **საზრიანი, მიხვედრილი** – ,,მაშინვე პურის ნატეხი დაუგდო წინ'', მიხვდა, ძაღლი უნდა დაეცვა ბადიანი კაცისგან.

- **დაკვირვებული, ყურადღებიანი** – ,,შეატყო, ძაღლი უცხოდ გრძნობდა თავს'', ,,ერთხელაც მიხედა ნაგაზს'', ,,ბიჭი გრძნობდა, წამითაც რომ დაეგვიანებინა, ნაგაზს დაიჭერდნენ'', ,,მაგას უნდა ერიდო'', ,,სადღაც წიგნში დახატული ენახა ნავსადგური'', ,,მუდამ იმ სურათს აგონებდა'', ,,დიდხანს გასცქეროდა წისქვილებს, შეჰყურებდა მტკვარზე გადმომდგარ სახლებს''.

სრულიად არაარსებითია პერსონაჟის დასახასიათებლად, მაგალითად, ის, რომ ,,ბიჭს აქვს შავი თვალები''. ასევე, ქულის მოსაპოვებლად არ არის საკმარისი მხოლოდ იმის მითითება, რომ მას ,,უყვარს ძაღლები'' და ა.შ.

დავალება ამგვარი სქემით შეფასდა:

*<u>2 ქულა</u> – აპლიკანტი მსჯელობს პერსონაჟის ხასიათის თავისებურებებზე, გამოყოფს სხვადასხვა ასპექტს, მსჯელობის გასამყარებლად უთითებს შესაბამის ფრაზებს ტექსტიდან.*

*<u>1 ქულა</u> – აღნიშნულია პერსონაჟის ხასიათის მნიშვნელოვანი თავისებურებანი, თუმცა აპლიკანტი არ მსჯელობს მათ შესახებ და არ უთითებს ფრაზებს ტექსტიდან.*

*<u>0 ქულა</u> – პერსონაჟის ხასიათის თავისებურებები, რომლებსაც მიუთითებს აპლიკანტი, არაარსებითია, ან პასუხი არ არის მოცემული.*

***გაითვალისწინეთ:***

***ქართული ენისა და ლიტერატურის ნაწილში, ღია დავალებათა გასწორებისას, ყურადღება ექცევა იმასაც, თუ რამდენად არის ნაშრომში დაცული ქართული სალიტერატურო ენის ნორმები.***

გთავაზობთ სასერტიფიკაციო გამოცდაზე პედაგოგთა მიერ შესრულებული დავალების ნიმუშებს:

ნაწყვეტიდან ჩანს, რომ ბიჭი სევდიანი და მიტოვებული – „თვალები აჭონდა წყლები და ნესტიანი". იგი ოცნებობდა გრძნობდა თავს ტალაქში და ამ გასეირნების ადგილას ფანტაზიებისგან შეშინებული ნაგავის თავგირძნობა. დაეხმარა ძალიან, დაესვა ფეხი და დაელაპარაკა რომელიც შეხვდა – „ვინა? " – თუ ბინდი, გაჯავრებ, ნახევარი-ფენ, ნახევარი-ბუ." ბოლო აბზაციდან შეიძლება ამოვიკითხოთ ბიჭის მოსენებე, მეგობრობის ბუნებაზე – „ლიდუნან გაცვლეროდა წინკვილს, შეაუფრენდა მფავარზე გაღმომდგარ ოვნიან სახლს".

*კომენტარი*

*წარმოდგენილ პასუხში აპლიკანტი მსჯელობს პერსონაჟის ხასიათის თავისებურებებზე, გამოყოფს სხვადასხვა ასპექტს, მსჯელობის გასამყარებლად უთითებს შესაბამის ფრაზებს ტექსტიდან. შესაბამისად, პასუხი შეფასდა 2 ქულით*

ამ მოთხრობის პერსონაჟი არის ცხოველების მოყვარული და დაბალი, არის კეთილი, მეხრეული ხასიათის, გაჭირვებულს გვერდში მიდგომი, მან იცის მეგობრობის ფასი, მას შეეცოდა უპატრონო ძაღლი და ის სიკვდილს გადაარჩინა.

*კომენტარი*

*აპლიკანტი გამოყოფს პერსონაჟის ხასიათის თავისებურებებს, მაგრამ არ მსჯელობს მათ შესახებ, არ მიუთითებს ფრაზებს ტექსტიდან, ამიტომ წარმოდგენილი ნაშრომი 1 ქულით შეფასდა.*

ამ ნაწარმოებში ლაპარაკია ბიჭზე ჩიტებზე ყოველის ცხოვრებაში. გარსაყურადღებოა ძალიან. ჩიტებიც შეშინებული გარბოდა და მან ვინიერმა ეშინოდა, ბიჭებიც მაგაზე ნაცვლადი იყვნენ. ეს ამ ნაცვლის ვინიერმა შეაშინა. ამ დროს ბიჭმა ლაიკვა. შეიტყო, დაანყო. ნაჩის ნაცვლად ისინი გაყო. და ეფერადა.

**კომენტარი**

*წარმოდგენილ პასუხში უმეტესწილად გადმოცემულია შინაარსობრივი დეტალები, არ ჩანს მსჯელობა. საუბარია პერსონაჟის ხასიათის არაარსებით თავისებურებებზე, დარღვეულია ქართული სალიტერატურო ენის ნორმები და დაშვებულია პუნქტუაციური შეცდომები. შესაბამისად, პასუხი 0 ქულით შეფასდა.*

2. წარმოიდგინეთ, რომ თქვენს ერთ-ერთ მოსწავლეს კარგად აქვს განვითარებული ხატოვანი წარმოსახვის უნარი, უადვილდება გამოსახულებების, ვიზუალური მასალის ინტერპრეტირება. აღწერეთ დავალება, რომელსაც შეურჩევდით მას ამ ნაწყვეტის გასააზრებლად საშინაო ან საკლასო სამუშაოსთვის.

---

*მასწავლებელმა უნდა შეარჩიოს სწავლების ისეთი მეთოდები, რომლებიც შეესატყვისება მოსწავლეთა ასაკობრივ თუ ინდივიდუალურ თავისებურებებს. მან უნდა შესთავაზოს მოსწავლეებს მრავალფეროვანი აქტივობები თითოეული მათგანის თავისებურებების (ხასიათი, სწავლის ტემპი, სტილი, ინტელექტუალური უნარები, ინტერესები) გათვალისწინებით. ამ გზით მასწავლებელი მოსწავლეთა შესაძლებლობების რეალიზაციის საუკეთესო პირობებს შექმნის.*

*მოცემულ დავალებაში საუბარია მოსწავლეზე, რომელიც ახალ ინფორმაციას (ამ შემთხვევაში, მოთხრობის ნაწყვეტს) უკეთ გაიაზრებს, თუკი ამ ინფორმაციას ვიზუალურ, ხატოვან მასალას დაუკავშირებს. იმისათვის, რათა მან ტექსტი უკეთ გაიაზროს, შეიძლება მისი წარმოსახვის უნარი „დავიხმაროთ“, ვთხოვოთ,* ***დახატოს ილუსტრაციები*** *ამ ნაწყვეტის მიხედვით,* ***წარმოიდგინოს და აღწეროს*** *ის ადგილი, სადაც განმარტოებისას თავს კარგად გრძნობს,* ***შეაგროვოს ფოტომასალა*** *ძველი თბილისისა და მტკვრის სანაპიროს ხედებით და* ***გაგვიზიაროს თავისი შთაბეჭდილებები,*** *განცდები მათთან დაკავშირებით,* ***გაიხსენოს ან ნახოს ფილმი*** *(ან სხვა ნაწარმოები) ბავშვებისა და ცხოველების მეგობრობაზე,* ***რათა შეადაროს ამ ნაწყვეტს ან მოგვითხროს*** *მათ შესახებ.*

დავალება შემდეგი სქემით შეფასდა:

***2 ქულა*** – *აპლიკანტი დეტალურად აღწერს მოსწავლისთვის ადეკვატურ დავალებას. თუ აპლიკანტი მიმართავს მოსწავლეს, აძლევს მას დავალებას, უნდა გამოიყენოს IV კლასის მოსწავლისთვის შესაფერისი ლექსიკა;*

***1 ქულა*** – *აპლიკანტი მიუთითებს მოსწავლისთვის ადეკვატურ დავალებას, თუმცა არ აღწერს მას;*

***0 ქულა*** – *მითითებულია დავალება, რომელიც მოსწავლისთვის არ არის ადეკვატური; პასუხი არ არის მოცემული.*

გთავაზობთ სასერტიფიკაციო გამოცდაზე პედაგოგთა მიერ შესრულებული დავალების ნიმუშებს:

> დავუყოფდი მოსწავლის სიტყვებად: „ბაბანებული ძღვნ“, „გულიდგეთ ძალ ფიფინ“, „ბალოსი ვარ“ და ამ. ვინაიდან მოსწავლე ლექსიკაში ეჭიბალები, ან, შეძლებისაგვარად შეეცადა ბალახიანი და კოპიტარი.

*კომენტარი:*

*წარმოდგენილ პასუხში აპლიკანტი დეტალურად აღწერს დავალებას, რომელიც ხატოვანი წარმოსახვის უნარის მქონე მოსწავლეს დაეხმარება ამ ნაწყვეტის უკეთ გააზრებაში. შესაბამისად, ნაწერი შეფასდა 2 ქულით.*

> ვინოვდი დაცხადა ფუსტრალია იმ ენიზოლისა, ჩოშელუ ყველაზე ბერად მიენინა.

**კომენტარი**

*ეს პასუხი 1 ქულით შეფასდა, რადგან აპლიკანტი მიუთითებს ადეკვატურ დავალებას, თუმცა არ აღწერს მას.*

> მოსწავლის ბივცემდი წერილობით დავალებას დაესრულებინა მითითება თავისი ინტერპრეტაციით.

**კომენტარი**

*მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილი დავალება საინტერესოა და შეიძლება ზოგიერთ მოსწავლეს დაეხმაროს ტექსტის გააზრებაში, ეს პასუხი 0 ქულით არის შეფასებული, რადგან აპლიკანტი დავალების შერჩევისას არ ითვალისწინებს მოსწავლის* ***ინდივიდუალურ თავისებურებას****, არ აკეთებს აქცენტს* ***ვიზუალიზაციაზე****, წარმოსახვის უნარზე.*

*ვაჟა-ფშაველას ლექსი „მოლოდინი“*

მცირე რამ ნისლის ნაწყვეტი
მთას ეკრა ბუმბულივითა,
ჰშვენოდა ფიქრებში გართვა
მინდორზედ სუმბულივითა.
– რას უცდი, ნისლო პატარავ,
დაკერებულო მთაზედა?
– რასა? ვერ თუ ჰგრძნობ, ძმობილო,
მტერი ჩამიდგა გზაზედა!
როგორ ვერ ჰხედავ გვალვისგან
დამწვარ-დაბუგულს მიწასა?
სწორედ ამიტომ დავფიქრდი
და ვეხვეწები ზეცასა:
გამზარდოს, მომცეს ძალ-ღონე,
ვეწამლო ქვეყნის კვნესასა;
<u>**გამზარდოს, ღრუბლად მაქციოს,**</u>
<u>**მძიმედ დამტვირთოს წვიმითა,**</u>
<u>**რომ მოვრწყო გული ქვეყნისა**</u>
<u>**დაუშრომელის მილითა;**</u>
ავაჭიკჭიკო ბულბული
საღამოთი და დილითა.
და წარვსდგე ჩემს მეუფესთან
ხელთ ანთებულის ცვილითა.

1. მოძებნეთ ლექსში შედარების ორი ნიმუში და ამოწერეთ. _____
2. რომელი მხატვრული ხერხის სწავლებისას გამოიყენებდით ფრაზებს:
   1. *„ნისლო პატარავ, დაკერებულო მთაზედა“*
   2. *„სწორედ ამიტომ დავფიქრდი და ვეხვეწები ზეცასა“*

*დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის ქართული ენისა და ლიტერატურის ნაწილში (მხატვრული ტექსტის გაგება და თვითგამოხატვა) მოცემულია ლიტერატურათმცოდნეობითი ტერმინების ჩამონათვალი. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი უნდა იცნობდეს ამ ტერმინებს, რათა დაეხმაროს მოსწავლეებს ტროპული მეტყველების ნიმუშებისა და, ზოგადად, მხატვრული ტექსტის გააზრებაში, მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების გამოყენებაში.*

*ზემოთ მოყვანილი ორი დავალება სწორედ ამ კომპეტენციის შემოწმებას ისახავს მიზნად. ვაჟა-ფშაველას პოეზია გაჯერებულია ტროპული მეტყველების ფორმებით და, შესაბამისად, მდიდარ მასალას იძლევა მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების სასწავლებლად. ლექსის პირველივე სტროფში ავტორი ნისლს ბუმბულსა და სუმბულს ადარებს (მთას ეკრა* ***ბუმბულივითა,*** *ჰშვენოდა ფიქრებში გართვა მინდორზედ* ***სუმბულივითა).***

*თუ აპლიკანტი ორივე ნიმუშს სწორად მიუთითებდა, პირველ დავალებაში 1 ქულას მოიპოვებდა.*

*მეორე დავალებაში მოყვანილი ფრაზები შეიძლება გამოვიყენოთ შემდეგი მხატვრული ხერხების სწავლებისას:*

- *„ნისლო პატარავ, დაკერებულო მთაზედა“ – **ეპითეტი, მეტაფორა.***

*ეპითეტი მსაზღვრელი სიტყვაა, რომელიც გამოკვეთს საგნის თვისებას, ანიჭებს მას მხატვრულ გამომსახველობას (მთაზე დაკერებული, პატარა ნისლი). მეტაფორა ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს გადატანას, ერთი საგნის თვისების მეორეზე გავრცელებას. „მთაზე დაკერებული ნისლი“ მეტაფორული გამოთქმაა.*

- *„სწორედ ამიტომ დავფიქრდი და ვეხვეწები ზეცასა“ – **გაპიროვნება.***

*ავტორი ნისლს სულიერის თვისებებს მიაწერს.*

*თითოეული სწორად მითითებული მხატვრული ხერხისათვის აპლიკანტი 1 ქულას მოიპოვებდა (დავალების მაქსიმალური ქულა იყო 2).*

**3.** დაეხმარეთ IV კლასის მოსწავლეებს ლექსში ხაზგასმული სტრიქონების გააზრებაში.

---

*IV კლასის მოსწავლეს ლექსში ხაზგასმული სტრიქონების გასააზრებლად შეიძლება რამდენიმე სახის დახმარება შევთავაზოთ – განვუმარტოთ მისთვის გაუგებარი ზოგიერთი გამოთქმის მნიშვნელობა, ავუხსნათ ბუნებრივი კანონზომიერება, რომლის შესახებაც საუბარია ამ სტროფში, დავანახოთ სტროფის (და მთლიანად ლექსის) ძირითადი აზრი და ვესაუბროთ მის მხატვრულ მხარეზე, ვაჟა-ფშაველას პოეზიისთვის დამახასიათებელი მხატვრული სტილის თავისებურებებზე.*

დავალების შეფასების სქემა ამგვარია:

*<u>2 ქულა</u> – აპლიკანტი გადმოსცემს ხაზგასმული სტრიქონების შინაარსს, საუბრობს ლექსის/სტროფის მხატვრულ მხარეზე; წარმოგვიდგენს ლექსში დასმული საკითხის ახსნას (აზრი IV კლასის მოსწავლეებისთვის გასაგებად არის ჩამოყალიბებული).*

*<u>1 ქულა</u> – აპლიკანტი განმარტავს ხაზგასმული სტრიქონების შინაარსს (აზრი IV კლასის მოსწავლეებისთვის გასაგებად არის ჩამოყალიბებული).*

*<u>0 ქულა</u> – განმარტების გარეშე მოცემულია ხაზგასმული სტრიქონების „თხრობითი“ ვერსია, პერიფრაზი, ან პასუხი არ არის მოცემული.*

*გთავაზობთ პედაგოგთა მიერ შესრულებული დავალების ნიმუშებს:*



*კომენტარი*

*წარმოდგენილ პასუხში აპლიკანტი გვთავაზობს ლექსში დასმული საკითხის მისეულ ინტერპრეტაციას, ითვალისწინებს მოსწავლეთა ენობრივ კომპეტენციას და ცდილობს გაამახვილოს ყურადღება ლექსის მხატვრულ მხარეზე. მიუხედავად პასუხში არსებული უმნიშვნელო ენობრივი ხარვეზებისა, აღნიშნული ნამუშევარი შეფასდა 2 ქულით.*



*კომენტარი*

*ეს პასუხი 0 ქულით შეფასდა, რადგან მოცემულია დავალებაში წარმოდგენილი სტრიქონების პერიფრაზი. არ არის განმარტებული მოსწავლეებისთვის გაუგებარ ფრაზათა და სიტყვათა შინაარსი, მაგ., ,,დაუშრომელის მილითა".*



*კომენტარი*

*წარმოდგენილი პასუხი 0 ქულით შეფასდა, რადგან აქ საუბარია მხოლოდ ბუნებრივ მოვლენაზე და არაფერია ნათქვამი სტრიქონების და მთლიანად ვაჟა-ფშაველას ლექსის ძირითად აზრზე. ცხადია, ასეთი ახსნა მოსწავლეს ლექსის გააზრებაში, არსის წვდომაში ვერ დაეხმარება.*

# კითხვის და წერის სწავლება

სკოლაში შესვლისთანავე ბავშვის წინაშე დგება უმნიშვნელოვანესი ამოცანა – წერა-კითხვის შესწავლა. პირველი სასკოლო გამოცდილება (თუ როგორ შეაფასებენ მშობლები და პედაგოგები ბავშვის წინსვლას კითხვის, წერისა თუ ანგარიშის შესწავლისას, წაახალისებენ თუ არა მას) ბავშვის არა მარტო შემეცნებითი, არამედ სოციალურ-ემოციური განვითარების მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს. თუ ეს გამოცდილება დადებითია, მაშინ ბავშვი საკუთარ შესაძლებლობებში რწმუნდება და მეტ წარმატებასაც აღწევს.

წერა-კითხვის შესწავლაში წარმატებას მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მასწავლებლის მიერ სწორად შერჩეული სწავლების სტრატეგია. კითხვის სწავლების თანამედროვე სტრატეგიები, ძირითადად, ორი თეორიის კონტექსტში განიხილება:

- **ფონოლოგიურ თეორიას** ეყრდნობა კითხვის სწავლების ფონოლოგიური (აღმავალი) მეთოდი, რომლის მიხედვითაც, ბავშვმა ჯერ უნდა შეძლოს ასოს და ბგერის ერთმანეთთან დაკავშირება, ხოლო შემდეგ ნაცნობი ფონემებისგან სიტყვის აწყობა.
- **მთლიანობითი თეორიის** მიხედვით კი, ბავშვი ჯერ მთლიანი სიტყვების ცნობას სწავლობს. უცნობი სიტყვების ბგერები დაისწავლება კონტექსტში სიტყვის მნიშვნელობის მიხვედრით ან შესაბამის ნახატთან ერთად სიტყვის აღქმის დროს. ამ თეორიას ეყრდნობა კითხვის სწავლების მთლიანობითი (დაღმავალი) მეთოდი.
- ერთგვარი კომპრომისული ვარიანტია კითხვის სწავლების **დაბალანსებული მეთოდი**, რომელიც ითვალისწინებს როგორც ფონოლოგიური, ასევე მთლიანობითი თეორიის პრინციპების გამოყენებას.

დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის სტანდარტის თანახმად, პედაგოგმა უნდა იცოდეს ზემოთ განხილული თეორიების ფარგლებში არსებული მიდგომები და, შესაბამისად, შეძლოს პრაქტიკაში მათი გამოყენება. ის ზედმიწევნით კარგად უნდა იცნობდეს ასევე დაწყებით საფეხურზე სწავლების სპეციფიკას, კითხვის სწავლის პერიოდებს (წინასაანბანო, საანბანო და ანბანისშემდგომი). მან სწორად უნდა შეარჩიოს თითოეული პერიოდის შესაბამისი აქტივობები.

წაკითხული ტექსტის გააზრების უნარის გასავითარებლად პედაგოგმა უნდა შეძლოს, სწორად შეარჩიოს შეკითხვები და აქტივობები მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების, ასევე, შესასწავლი ტექსტის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ტესტში წარმოდგენილი დავალებები სწორედ ზემოაღნიშნული კომპეტენციების შემოწმებას ისახავს მიზნად.

## დავალებათა ნიმუშები და განმარტებები

1. ნინი I კლასშია და უჭირს ამბის გაბმულად გადმოცემა, საჭირო სიტყვების პოვნა თხრობისას. მისი **ზეპირმეტყველების უნარის** განვითარება მასწავლებელმა გადაწყვიტა სიუჟეტური სურათების გამოყენებით.

ქვემოთ მოცემულია შესაბამისი აქტივობები:

I. მასწავლებელი სთხოვს ნინის, იპოვოს სურათზე მის მიერ დასახელებული ობიექტები: „მაჩვენე გოგონას ჩანთა.“

II. მასწავლებელი აღწერს სურათს და თან თითით მიანიშნებს: „შეხედე, აქ გოგონა სკოლაში მიდის.“

III. მასწავლებელი ეკითხება ნინის: „რას აკეთებს გოგონა კლასში?“

IV. მასწავლებელი სთხოვს ნინის: „მაჩვენე სურათზე ბიჭი, რომელიც წერს.“

*პასუხის რომელ ვარიანტშია დალაგებული აქტივობები მარტივიდან რთულისკენ?*

(ა) IV, II, I, III

(ბ) II, I, IV, III

(გ) II, III, I, IV

(დ) I, III, II, IV

*მოცემული დავალება ამოწმებს, რამდენად შეუძლია მასწავლებელს განსაზღვროს მოსწავლისთვის კონკრეტული უნარის გასავითარებლად შერჩეული დავალებებისა თუ შეკითხვების სირთულის ხარისხი.*

*დავალების პირობაში მოცემული აქტივობებიდან, ცხადია, ყველაზე მარტივია II, რომელშიც თავად მასწავლებელი აღწერს სურათს და მოსწავლეს მოეთხოვება დააკვირდეს მას. I და IV აქტივობაში მოსწავლეს მასწავლებლის მიერ მითითებული ობიექტების პოვნა ევალება, პირველ შემთხვევაში ეს ობიექტი საგანია, ხოლო მეორეში – ბიჭი, რომელიც გარკვეულ მოქმედებას ასრულებს, შესაბამისად, ეს ამოცანა უფრო რთულია. შედარებით რთულად შესასრულებელია III აქტივობა, რომელშიც მოსწავლეს მოეთხოვება არა მარტო სამიზნე ობიექტის პოვნა, არამედ მოქმედების დასახელება. მითითებული პრინციპის მიხედვით (მარტივიდან რთულისკენ) აქტივობები დალაგებულია (გ) პასუხში. ამრიგად, სწორი პასუხია (გ).*

2. კითხვის უნარის გაუმჯობესების მიზნით, II კლასში მასწავლებელი ასეთ სტრატეგიას იყენებს: მოსწავლეებს აძლევს ერთი და იმავე სირთულის ტექსტს და ინიშნავს დროს. გამარჯვებულია ის მოსწავლე, რომელიც ყველაზე სწრაფად წაიკითხავს ტექსტს. რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამგვარი აქტივობის **სისტემატურ გამოყენებას**?

---

*მოცემული დავალება ამოწმებს მასწავლებლის უნარს, კრიტიკულად შეაფასოს კონკრეტული აქტივობის სისტემატურად გამოყენების თანმდევი შედეგები. კერძოდ, პასუხიდან უნდა ჩანდეს, რომ აპლიკანტს გააზრებული აქვს შემდეგი:*

- *დავალებაში აღწერილი აქტივობის დროს მოსწავლეები ორიენტირებულნი არიან სწრაფად კითხვაზე, რის გამოც ხშირად სწორად ვერ კითხულობენ სიტყვებს, ვერ გაიაზრებენ წაკითხულს.*
- *მოსწავლეებისთვის ერთი და იმავე სირთულის ტექსტის მიწოდება არ უწყობს ხელს მათი კითხვის უნარის განვითარებას, იწვევს ინტერესის დაკარგვას.*
- *ასეთი აქტივობის, შეჯიბრის, დროს „მარცხდებიან" (ზარალდებიან) ბუნებრივად დაბალი ტემპის მქონე მოსწავლეები, რომლებიც ნელა კითხულობენ, თუმცა არ უჭირთ წაკითხულის გააზრება. ამის შედეგად მოსწავლე კარგავს ინტერესს, მოტივაციას, ჩნდება თვითშეფასების პრობლემები.*

*დავალება ფასდება 2 ქულით:*

*<u>2 ქულა</u> – აპლიკანტი მიუთითებს და ასაბუთებს დავალებაში აღწერილი აქტივობის სისტემატურად გამოყენების ერთზე მეტ უარყოფით შედეგს;*

*<u>1 ქულა</u> – აპლიკანტი მიუთითებს და ასაბუთებს დავალებაში აღწერილი აქტივობის სისტემატურად გამოყენების შედეგებიდან მხოლოდ ერთ-ერთს;*

*<u>0 ქულა</u> – აპლიკანტი მიუთითებს დავალებაში აღწერილი აქტივობის სისტემატურად გამოყენების შედეგებიდან მხოლოდ ერთ-ერთს, მაგრამ არ ასაბუთებს საკუთარ მოსაზრებას;*

*აპლიკანტი გვთავაზობს პასუხს, რომელიც არ შეეხება აღნიშნული აქტივობის სისტემატურად გამოყენების შედეგებს;*

*პასუხი არ არის მოცემული.*

გთავაზობთ სასერტიფიკაციო გამოცდაზე პედაგოგთა მიერ შესრულებული დავალების ნიმუშებს:



*კომენტარი*

*წარმოდგენილი პასუხი 2 ქულით შეფასდა, რადგან აპლიკანტი საუბრობს როგორც ბუნებრივად დაბალი ტემპის მქონე მოსწავლეების პრობლემაზე, ასევე ტექსტის გააზრების სირთულეზე.*



*კომენტარი*

*ეს პასუხი 1 ქულით შეფასდა, რადგან აპლიკანტი მიუთითებს და ასაბუთებს დავალებაში აღწერილი აქტივობის მხოლოდ ერთ უარყოფით შედეგს.*

| |
|---|
| სისტემატური გამოყენების დროს შეიძლება მოსწავლე რომელიც ძალიან კარგი კითხვა ბევრი ფანტაზიის ვარჯიშის საშუალებით. |

*კომენტარი*

*ეს პასუხი 0 ქულით შეფასდა, რადგან აპლიკანტი არ მიუთითებს დავალებაში აღწერილი აქტივობის სისტემატურად გამოყენების უარყოფით შედეგებს. მას არ აქვს გაცნობიერებული, რომ კითხვის დროს მხოლოდ სისწრაფეზე ორიენტირება ხელს შეუშლის მოსწავლეებს წაკითხული ტექსტის გააზრებაში, ზოგიერთი მოსწავლის მიერ კითხვის ტემპის გაზრდის შემთხვევაშიც ვერ ვისაუბრებთ მათი კითხვის უნარის გაუმჯობესებაზე.*

**3.** ტესტში წარმოდგენილია ნაწყვეტი ტექსტიდან.

„ღამურისყურა მელა აფრიკაში ბინადრობს. იგი მწერებით იკვებება, ხოლო შესამჩნევად დიდი ყურები მას მწერის ადგილმდებარეობის განსაზღვრაში ეხმარება. ღამურისყურა მელა კალიების გუნდს მიჰყვება და იჭერს მათ მაშინ, როდესაც ისინი მცენარეულ საფარს ანადგურებენ. ეს მელიები ყურებს კომუნიკაციისთვისაც იყენებენ – ყურები შიგნით თეთრია, ხოლო გარედან – შავი, ამიტომ სიბნელეშიც კარგად ჩანს და ეხმარება მელიებს იმაში, რომ ნადირობისას არ დაშორდნენ ერთმანეთს“.

**1.** მოსწავლეთა მიერ წაკითხული ტექსტის უკეთ გასააზრებლად მასწავლებელი მათ სხვადასხვა ტიპის შეკითხვებს უსვამს:

1. ტექსტში ცხადად მოცემული ინფორმაციის შესახებ;
2. „დაფარული“ აზრის შესახებ;
3. ტექსტის გასააზრებლად მნიშვნელოვანი ისეთი ინფორმაციის შესახებ, რომელიც უშუალოდ ტექსტში არ არის მოცემული, მაგრამ მკითხველისთვის ცნობილია გამოცდილებიდან და საჭიროებს გახსენებას.

დაუსვით III კლასის მოსწავლეებს სამივე ტიპის შეკითხვა მოცემულ ნაწყვეტთან დაკავშირებით.

1. _____
2. _____
3. _____

*იმისთვის, რომ მოსწავლემ წაკითხული ტექსტი გაიგოს, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია, მან ტექსტიდან ფაქტობრივი ინფორმაციის მოპოვება შეძლოს. წაკითხულის გააზრების ეს საფეხური მოსწავლისთვის „დაფარული“ აზრის ამოკითხვის ანუ ტექსტიდან გამომდინარე დასკვნის გამოტანის წინაპირობაა. არანაკლებ მნიშვნელოვანია წაკითხულის დაკავშირება საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებასთან, ამ პროცესის გარეშე შეუძლებელია ახალი ინფორმაციის გააზრება. წარმოდგენილი დავალება ამოწმებს მასწავლებლის უნარს, ერთმანეთისგან განასხვაოს ზემოთ განხილული პროცესები და კონკრეტულ ტექსტზე დაყრდნობით დასვას შესაბამისი შეკითხვები.*

*დავალება ფასდება 3 ქულით:*

*<u>1 ქულა</u> – დასმულია შეკითხვა ტექსტში ცხადად მოცემული ინფორმაციის შესახებ;*

*<u>1 ქულა</u> – დასმულია შეკითხვა „დაფარული“ აზრის შესახებ;*

*<u>1 ქულა</u> – დასმულია შეკითხვა ტექსტის გასააზრებლად მნიშვნელოვანი ისეთი ინფორმაციის შესახებ, რომელიც უშუალოდ ტექსტში არ არის მოცემული, მაგრამ მკითხველისთვის გამოცდილებიდანაა ცნობილი და საჭიროებს გახსენებას.*

გთავაზობთ სამივე სახის შეკითხვის რამდენიმე მაგალითს, ასევე, სასერტიფიკაციო გამოცდაზე მასწავლებელთა მიერ შესრულებულ დავალებათა ნიმუშებს.

*1. სად ბინადრობს ღამურისყურა მელა? რით იკვებება? რაში ეხმარება მას ყურები?*
*2. რა სარგებლობა მოაქვს ადამიანებისთვის ღამურისყურა მელას?*
*3. რა ზიანი მოაქვთ კალიებს? გაიხსენეთ, როგორია ღამურა, როგორი ყურები აქვს მას. გაიხსენეთ, როგორია მელა. როგორ დაცქვეტს ყურებს ცხოველი, მაგალითად, ძაღლი, როდესაც ცდილობს, სუსტი ხმა გაიგონოს.*




*კომენტარი*

*ეს პასუხი 3 ქულით შეფასდა, რადგან წარმოდგენილია სამივე ტიპის შეკითხვის ადეკვატური მაგალითები.*




*კომენტარი*

*ეს პასუხი 2 ქულით შეფასდა, რადგან მეორე შეკითხვის პასუხი ტექსტშია მოცემული და არ მოითხოვს დასკვნის გამოტანას, ფარული აზრის წვდომას.*




*კომენტარი*

*წარმოდგენილი პასუხი არ შეესაბამება მოცემულ დავალებას, არ ჩანს, შეუძლია თუ არა აპლიკანტს, დასვას ტექსტის გააზრების სხვადასხვა საფეხურის შესატყვისი შეკითხვები. ამიტომ ეს პასუხი 0 ქულით შეფასდა.*

# ბუნებისმეტყველება

## დავალებათა ნიმუშები და განმარტებები

**1.** აუხსენით მოსწავლეებს, რა მნიშვნელობა აქვს ქარს მცენარეებისთვის.

---

*მოცემული დავალების წარმატებით შესასრულებლად მოსწავლეებს უნდა ავუხსნათ, რატომ არის ქარი მნიშვნელოვანი მცენარეებისთვის.*

*მხოლოდ იმის მითითება, რომ ქარი ხელს უწყობს მცენარეთა გამრავლებას, არ არის საკმარისი მოსწავლეებისთვის ქარის მნიშვნელობის გასააზრებლად. აუცილებელია აპლიკანტმა შეახსენოს (გააცნოს) მათ მცენარეთა გამრავლება-გავრცელების ორი ძირითადი სახე – თესლით გამრავლება და დამტვერვა – და მიუთითოს, რომ ქარს მცენარეთა თესლი და მტვერი გადააქვს. ამგვარად შესრულებული დავალება 1 ქულით ფასდება.*

გთავაზობთ სასერტიფიკაციო გამოცდაზე პედაგოგთა მიერ შესრულებული დავალების ნიმუშებს:

ქარს ბუნებისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ქარის საშუალებით ხდება დამტვერვა, ოქროს გადაგდება. გამრავლების ბუნებრივ გზად ყოფილ ხელ.

*კომენტარი*

*ეს პასუხი 1 ქულით შეფასდა, რადგან აპლიკანტი საუბრობს ქარის მნიშვნელობის, ფუნქციის ორივე ასპექტზე.*

ქარმა ბუნების ფაქტორი ლაუნოლის: ფოდები, ფოთლები, ნაყოფი გადალეხოს ლაუნოლის ფესვთა სისტემა.

*კომენტარი*

*ეს პასუხი 0 ქულით შეფასდა, რადგან აპლიკანტი არ მიუთითებს მცენარეებისთვის ქარის არსებით მნიშვნელობაზე – მცენარეთა გამრავლების ხელშეწყობაზე.*

**2.** რა მიზნით ქმნიან ადამიანები დაცულ ტერიტორიებს – ეროვნულ პარკებს, ნაკრძალებს, აღკვეთილებს და სხვ.?

_____

*თანამედროვე ადამიანი ძალზე სერიოზული ეკოლოგიური პრობლემების წინაშე დგას. ამ პირობებში აუცილებელია, ბავშვებს, მოსწავლეებს ხშირად ვესაუბროთ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების შესახებ, ვასწავლოთ მათ ბუნებაზე ზრუნვა, მისი დაცვა. სასერტიფიკაციო ტესტის ბუნებისმეტყველების ნაწილის რამდენიმე დავალება სწორედ ბიომრავალფეროვნების დაცვისა და გარემოს დაბინძურების საკითხებს შეეხება.*

*მოსწავლეებისთვის დაცული ტერიტორიების ფუნქციის, ასევე, ისეთი ტერმინების გაცნობა, როგორებიცაა ბიომრავალფეროვნება, გადაშენების საფრთხე, წითელი წიგნი, ძალზე მნიშვნელოვანია, რათა ხელი შევუწყოთ მათ ეკოლოგიური ცნობიერების ჩამოყალიბებაში.*

*დავალება ფასდებოდა 1 ქულით.*

***<u>1 ქულა</u>*** *– დაცული ტერიტორიები იქმნება ბიომრავალფეროვნების შესანარჩუნებლად, ცოცხალი ორგანიზმების იმ სახეობათა გადასარჩენად, რომლებსაც გადაშენების საფრთხე ემუქრებათ ან რომლებიც წითელ წიგნშია შეტანილი.*

**3.** ადამიანის საქმიანობის შედეგად მუდმივად ხდება საცხოვრებელი გარემოს დაბინძურება, მაგალითად, ზღვებსა და ოკეანეებში ძალიან ხშირია ნავთობის ჩაღვრა, რაც წყლის ბინადარი ორგანიზმების დაღუპვის მიზეზი ხდება.

აუხსენით მოსწავლეებს, რატომ იწვევს ნავთობით წყლის დაბინძურება ცოცხალი ორგანიზმების დაღუპვას?

_____

*ქვემოთ მოყვანილია რამდენიმე ასპექტი, რომლებიც უნდა ასახულიყო აპლიკანტის პასუხში:*

*1. ნავთობი წყალზე მსუბუქია და ამიტომ, დაღვრის შემთხვევაში, წყლის ზედაპირზე მოექცევა. ზღვის ცხოველებისათვის იქმნება ჟანგბადის დეფიციტი (წყლის ცხოველებს უჭირთ სუნთქვა).*

*2. ზოგჯერ წყალს ჩაღვრილი ნავთობი ნაპირზე გამოაქვს, რაც საფრთხეს უქმნის ნაპირზე მცხოვრებ ორგანიზმებს, მაგ., ფრინველებს ბუმბულისა და ფრთების ნავთობით დაფარვის გამო აღარ შეუძლიათ ფრენა.*

*3. ნავთობის მოხვედრა საჭმლის მომნელებელ ან სასუნთქ სისტემაში შეიძლება დამღუპველი აღმოჩნდეს როგორც წყლის ბინადარი, ასევე ნაპირზე მცხოვრები ორგანიზმებისთვის.*

*დავალება 2 ქულით შეფასდა.*

*<u>2 ქულა</u> – აპლიკანტი მიუთითებს ორ ან მეტ ფაქტორს, რომლებიც ნავთობით წყლის დაბინძურებისას ცოცხალი ორგანიზმების დაღუპვის მიზეზი ხდება და განმარტავს თითოეულის მოქმედების მექანიზმს.*

*<u>1 ქულა</u> – აპლიკანტი მიუთითებს ერთ ფაქტორს, რომელიც ნავთობით წყლის დაბინძურებისას ცოცხალი ორგანიზმების დაღუპვის მიზეზი ხდება და განმარტავს მისი მოქმედების მექანიზმს.*

*<u>0 ქულა</u> – მოცემულია მხოლოდ დავალების პერიფრაზი; მოცემულია არასწორი პასუხი; პასუხი არ არის მოცემული.*

*გთავაზობთ პედაგოგთა მიერ შესრულებული დავალების ნიმუშებს:*

ნავთობი ზეთოვანი სითხეა და წყალში ის იხსნება, ამიტომ ზემოდან ეკვის წყლის თხელ ფენად. ამის შედეგად, ველის ალმოჩენს ჟანგბადი წყალში და ცოცხალი ორგანიზმები უჭ�-ეთად იღუპებიან. ასევე ნავთობს წასმული ცხოველის, ფრინველის უჭის გადაადგილება, ფრენა და ხდება მდასტიბლის მსხვეისაკი ან ჯვდება.

*კომენტარი*

*ეს პასუხი 2 ქულით შეფასდა, რადგან მითითებული და განმარტებულია ნავთობით წყლის დაბინძურებისას ცოცხალი ორგანიზმების დაღუპვის განმაპირობებელი ორი ფაქტორი.*

ნავთობი ასის წყალზე მსუბუქი ნივთიერება, რომელიც წყალში ჩალვის ზემოხვევაში გადაეკვრება ზემოდან და ალა ხდება წყალში ჟანგბადის მინოდება, ის გამოლ იღუპებიან წყლ ცხოველები

*კომენტარი*

*წარმოდგენილი პასუხი 1 ქულით შეფასდა, რადგან მოცემულია მხოლოდ ერთი ფაქტორი და ახსნილია მისი მოქმედების მექანიზმი.*

# მათემატიკა

ტესტის მათემატიკური ნაწილის საშუალებით მოწმდება, თუ რამდენად შეესაბამება აპლიკანტის ცოდნა და უნარები მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს მათემატიკაში.

## დავალებათა ნიმუშები და განმარტებები

1. თუ $a$ და $b$ ორნიშნა ნატურალური რიცხვებია, მაშინ $a-2b$ გამოსახულების უდიდესი მნიშვნელობაა:

(ა) 77
(ბ) 78
(გ) 79
(დ) 80

*მოცემული ამოცანის ამოსახსნელად შეიძლება ასე ვიმსჯელოთ: $a-2b$ გამოსახულების მნიშვნელობა მით უფრო მეტი იქნება, რაც უფრო მეტი იქნება საკლების (ანუ $a$-ს) მნიშვნელობა და რაც უფრო ნაკლები იქნება მაკლების (ანუ $2b$-ს) მნიშვნელობა. რაკი $a$ და $b$ ორნიშნა ნატურალური რიცხვებია, ამიტომ $a$-ს უდიდესი შესაძლო მნიშვნელობაა 99, ხოლო $2b$-ს უმცირესი შესაძლო მნიშვნელობაა $2\cdot 10=20$. შესაბამისად, $a-2b$ გამოსახულების უდიდესი მნიშვნელობა ტოლია $99-20=79$-ის. სწორი პასუხია (გ).*

2. ისრებიანი საათის მიხედვით 10 საათია. რამდენი გრადუსის ტოლია საათებისა და წუთების მაჩვენებელი ისრებით შედგენილი მახვილი კუთხის სიდიდე?

(ა) 30°
(ბ) 45°
(გ) 60°
(დ) 75°




*ადვილი შესამჩნევია, რომ ზუსტად 10 საათზე საათის ისრების მიერ შედგენილი მახვილი კუთხე ტოლია სრული კუთხის $\frac{2}{12}=\frac{1}{6}$ ნაწილისა. ამიტომ ამ კუთხის სიდიდე ტოლია სრული კუთხის სიდიდის 1/6 ნაწილისა, ანუ $\frac{360°}{6}=60°$-ისა.*

**3.** ცნობილია, რომ 6-7 წლის ბავშვებს უჭირთ ისეთი ობიექტების დაჯგუფება, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდება ორი ან მეტი ნიშნით.

მასწავლებელი სთხოვს ამ ასაკის მოსწავლეებს, მოცემული ოთხი ფიგურიდან ამოირჩიონ ერთი ზედმეტი (ანუ სხვებისგან განსხვავებული) ფიგურა.

*ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ფიგურების რომელი ოთხეულია ამ დავალებისთვის ყველაზე შესაფერისი?*




*მოცემული დავალების მიზანია, გაარკვიოს, შეუძლია თუ არა მასწავლებელს, შეარჩიოს მოსწავლისთვის ადეკვატური დავალება ასაკობრივი თავისებურების გათვალისწინებით. დავალების პირობაში მოცემულია 6-7 წლის ასაკის ბავშვის აზროვნებისთვის დამახასიათებელი თავისებურება – ორი ან მეტი ნიშნის მიხედვით ობიექტების კლასიფიკაციის სირთულე. იმისთვის, რომ მოსწავლემ შეძლოს ოთხი ფიგურიდან ერთი განსხვავებულის გამოყოფა, უმჯობესია განმასხვავებელი ნიშანი იყოს ერთი. ცხადია, ასეთია (ა) პასუხში წარმოდგენილი დავალება, რომელშიც მოცემული ობიექტები (კვადრატები და სამკუთხედი) მხოლოდ ერთი ნიშნით – ფორმით განსხვავდება ერთმანეთისგან. (ბ) პასუხში მოცემულ ფიგურათა განმასხვავებელი ორი ნიშანი გვხვდება: ფორმა და ზომა, (გ) პასუხში – ფორმა, ზომა, ფერი და, ასევე, კვადრატში ჩახაზული წრე, (დ) პასუხში კი – ფორმა, ზომა და ფერი. ამრიგად, სწორი პასუხია (ა).*

**4.** სკოლისათვის ფრენბურთისა და კალათბურთის ბურთები შეიძინეს, სულ 19 ცალი. ბურთებში 88 ლარი გადაიხადეს. ფრენბურთის ბურთი 4 ლარი ღირდა, ხოლო კალათბურთისა – 7 ლარი. შეძენილი ბურთებიდან რამდენი იყო კალათბურთის? ამოცანის ამოხსნა ჩაწერეთ.

_____

*ამ ამოცანის ამოხსნა შესაძლებელია სხვადასხვა გზით. მაგალითად, განტოლების შედგენით:*

*კალათბურთის ბურთების რაოდენობა:* $x$,

*ფრენბურთისა:* $19 - x$,

*განტოლება:* $7x + 4(19 - x) = 88$.

*აქედან:* $x = 4$.

*შესაძლებელია ამგვარად მსჯელობაც:*

*ცხრამეტივე ბურთი რომ კალათბურთის ყოფილიყო, მაშინ მათი ღირებულება იქნებოდა* $19 \cdot 7 = 133$ *ლარი, ანუ 88 ლარზე* $133 - 88 = 45$ *ლარით მეტი. 1 კალათბურთის ბურთის 1 ფრენბურთის ბურთით შეცვლის შემთხვევაში მათი საერთო ღირებულება 7–4=3 ლარით მცირდება. 45:3=15, ამიტომ საერთო ღირებულება 45 ლარით შემცირდება, თუ 15 ცალ კალათბურთის ბურთს ჩავანაცვლებთ ამდენივე ფრენბურთის ბურთით. მაშასადამე, უყიდიათ 19 –15 = 4 კალათბურთის ბურთი.*

*ამოცანის ამოხსნა შესაძლებელია ყველა შესაძლო ვარიანტის განხილვითაც: თუ შეიძენდნენ კალათბურთის 1 და ფრენბურთის 18 ბურთს, გადაიხდიდნენ 7+72=79 ლარს; თუ შეიძენდნენ კალათბურთის 2 და ფრენბურთის 17 ბურთს, გადაიხდიდნენ 14+68=82 ლარს და ა.შ. თუ შეიძენდნენ კალათბურთის 4 და ფრენბურთის 15 ბურთს, გადაიხდიდნენ 28+60=88 ლარს.*

*დავალება შეფასდა 3 ქულით:*

***3 ქულა*** – *მითითებულია ამოცანის სწორი პასუხი, ნაჩვენებია ამოხსნის ხერხი.*

***2 ქულა*** – *სწორად არის ნაჩვენები ამოცანის ამოხსნის ხერხი, თუმცა არ არის მოცემული საბოლოო სწორი პასუხი.*

***1 ქულა*** – *სწორად არის მითითებული ამოცანის ამოხსნის ერთ-ერთი ეტაპი; მოცემულია სწორი პასუხი, პასუხის სისწორე დასაბუთებულია შემოწმებით;*

***0 ქულა*** – *მოცემულია მხოლოდ სწორი პასუხი, თუმცა მისი სისწორე შემოწმებითაც კი არ არის დასაბუთებული; პასუხი არ არის მოცემული.*

განვიხილოთ აპლიკანტების მიერ შემოთავაზებული ამოხსნის ორი ვარიანტი:

ფრენბურთის ღირდა – 4 ლ.
კალათბურთის – 7 ლ.
} 19 ცალი = 88 ლარის.

ამოხსნა

ფრენბურთის იყიდეს 15 ც. 15 · 4 = 60 88 - 60 = 28 ხოლო
19 - 15 = 4
კალათბურთის იყიდეს 4 ც, ისედან 7 · 4 = 28) 28 : 7 = 4

პასუხი: კალათბურთის 4 ცალი ბურთი; ფრენბურთის 15 ცალი.

*კომენტარი*

*მიუხედავად იმისა, რომ აპლიკანტის მიერ ამოცანის პასუხი სწორადაა მითითებული, ეს ნაშრომი შეფასდა მხოლოდ 1 ქულით, რადგან აპლიკანტმა არ წარმოადგინა ამოხსნის გზა და დაკმაყოფილდა მხოლოდ პასუხის შემოწმებით.*

ვთქვათ კალათბურთის ბურთი იყო $x$ ლარიანი, ფრენბურთი იქნება $(19-x)$ ლარიანები. ამოცანის პირობიდან გამომდინარე შეიძლება დაწერილი, ესაა $4x+7(19-x)=88$

$$4x+133-7x=88$$
$$3x=45$$
$$x=45:3$$
$$x=15$$

პასუხი: შეძენილი ბურთებიდან კალათბურთის ბურთების ოდენობა ყოფილა 15 ცალი.

*კომენტარი*

*ეს ნაშრომი შეფასდა 2 ქულით. აპლიკანტმა სწორად მოძებნა ამოცანის ამოხსნის გზა, თუმცა მიიღო არასწორი პასუხი, რადგან მას ერთმანეთში აერია კალათბურთისა და ფრენბურთის ბურთების ფასი.*

**5.** მოსწავლეებმა შემდეგი სამუშაო შეასრულეს:

1) იანგარიშეთ, რისი ტოლია:

I. 151 + 14 + 49 + 386  II. 25 · 9 · 40 · 3  III. 14035 : 7.

2) ჩაიფიქრეს რაღაც რიცხვი. თუ ამ რიცხვს მივუმატებთ 84-ს, შემდეგ კი გამოვაკლებთ 64-ს, მივიღებთ 300-ს. რა რიცხვი ჩაუფიქრებიათ?

3) 5 მ შალის ნაჭერში გადაიხადეს 80 ლარი, ხოლო 6 მ აბრეშუმის ნაჭერში – 102 ლარი. რომელი ქსოვილის 1 მეტრია უფრო იაფი და რამდენით?

ერთ-ერთი მოსწავლის ნამუშევარი ასეთი იყო:




ამოწერეთ მოსწავლის მიერ დაშვებული შეცდომები და გვერდით მიუწერეთ შესწორებული ვარიანტი.

მიღწევის რომელ დონეს მიაკუთვნებთ ამ მოსწავლეს **<u>მისი ნამუშევრის</u>** მიხედვით?

ჩაწერეთ არგუმენტირებული პასუხი, გაითვალისწინეთ, რომ მოსწავლეთა მიღწევის დონეებია: **<u>მაღალი, საშუალოზე მაღალი, საშუალო, დაბალი.</u>**

---

*მოსწავლის ნამუშევარში სულ 4 შეცდომაა:*

*1) I. შეცდომა არ არის დაშვებული;*

*II.* $1000 \cdot 27 = 2700$ *(უნდა იყოს:* $1000 \cdot 27 = 27000$*);*

*III.* $14000 : 7 = 200$ *(უნდა იყოს:* $14000 : 7 = 2000$*);*

*2)* $300 - 20 = 320$ *(უნდა იყოს:* $300 - 20 = 280$*);*

*3)* $102 : 6 = 14$ *(უნდა იყოს:* $102 : 6 = 17$*).*

*მოსწავლის ნამუშევრიდან ჩანს, რომ ის ანგარიშისას გააზრებულად იყენებს მოქმედებათა თვისებებს. მე-2 ამოცანის ამოხსნის გზასაც სწორად მიაგნო, თუმცა გამოკლებისას შეცდომას უშვებს. მოსწავლეს ბოლო, მე-3 ამოცანის ამოხსნის გზაც სწორად აქვს შერჩეული, თუმცა ერთ შეცდომას (გაყოფისას) აქაც ვხვდებით. მართალია, მოსწავლემ სულ 4 შეცდომა დაუშვა, მაგრამ ეს შეცდომები უფრო მის დაუდევრობაზე მეტყველებს, ვიდრე შესაბამისი მასალის არცოდნაზე. ამიტომ, ამ ნამუშევრის მიხედვით, მოსწავლის მიღწევის დონედ უნდა მივიჩნიოთ* ***საშუალოზე მაღალი****.*

დავალება შემდეგი სქემის მიხედვით შეფასდა:

***4 ქულა*** – *აღმოჩენილი და შესწორებულია მოსწავლის ოთხივე შეცდომა, ადეკვატურადაა შეფასებული მისი მიღწევის დონე, წარმოდგენილია შესაბამისი არგუმენტაცია.*

***3 ქულა*** – *აღმოჩენილი და შესწორებულია მოსწავლის ოთხივე შეცდომა, ადეკვატურად არის შეფასებული მისი მიღწევის დონე, თუმცა არ არის წარმოდგენილი შესაბამისი არგუმენტაცია;*
*აღმოჩენილი და შესწორებულია მხოლოდ სამი შეცდომა, ადეკვატურადაა შეფასებული მოსწავლის მიღწევის დონე, წარმოდგენილია შესაბამისი არგუმენტაცია.*

***2 ქულა*** – *აღმოჩენილი და შესწორებულია მოსწავლის ოთხივე შეცდომა, თუმცა არ არის შეფასებული მისი მიღწევის დონე;*
*აღმოჩენილი და შესწორებულია მხოლოდ სამი შეცდომა, ადეკვატურადაა შეფასებული მოსწავლის მიღწევის დონე, თუმცა არ არის წარმოდგენილი შესაბამისი არგუმენტაცია.*

***1 ქულა*** – *აღმოჩენილი და შესწორებულია მოსწავლის სამი შეცდომა, თუმცა არ არის შეფასებული მისი მიღწევის დონე;*
*აღმოჩენილი და შესწორებულია მოსწავლის ორი შეცდომა, ადეკვატურადაა შეფასებული მისი მიღწევის დონე, წარმოდგენილია შესაბამისი არგუმენტაცია.*

***0 ქულა*** – *აღმოჩენილი და შესწორებულია მოსწავლის ორი შეცდომა, თუმცა არაადეკვატურად არის შეფასებული მოსწავლის მიღწევის დონე;*
*აღმოჩენილი და შესწორებულია ორზე ნაკლები შეცდომა;*
*პასუხი არ არის მოცემული.*

განვიხილოთ აპლიკანტების მიერ შემოთავაზებული ამოხსნის რამდენიმე ვარიანტი.



*კოძეხტარი*

*აპლიკანტმა სწორად მოძებნა ოთხივე სავარჯიშო, რომელთა შესრულებისას მოსწავლეს შეცდომა ჰქონდა დაშვებული, მაგრამ არ მიუთითა, რა შეეშალა მას კონკრეტულად და არ შეასწორა მოსწავლის მიერ დაშვებული შეცდომები. მან ვერ შენიშნა მოსწავლის ნამუშევრის მნიშვნელოვანი დადებითი მხარეები (მაგალითად, მოქმედებათა თვისებების გააზრებული გამოყენება გამოთვლებისას), ზედმეტი ყურადღება მიაქცია მექანიკურ შეცდომებს და, შესაბამისად, არაადეკვატურად შეაფასა მოსწავლის მიღწევის დონე. ამიტომ აპლიკანტის ნამუშევარი შეფასდა მხოლოდ 1 ქულით.*



*კომენტარი*

*აპლიკანტს ზუსტად აქვს მითითებული, თუ რა კონკრეტული შეცდომები დაუშვა მოსწავლემ და ყველა შეცდომა აქვს შესწორებული. აპლიკანტმა მოსწავლის ნამუშევარში შენიშნა ყველა დადებითი ასპექტი და ადეკვატურად შეაფასა მოსწავლის მიღწევის დონე. ამიტომ აპლიკანტის ნაშრომი შეფასდა მაქსიმალური 4 ქულით.*

# აკადემიური უნარები

## წაკითხული ტექსტის გააზრება

ტესტის ეს ბლოკი ამოწმებს წაკითხული ტექსტიდან ინფორმაციის მოპოვების, ინტერპრეტირების, გაანალიზებისა და შეფასების უნარს.

ტექსტს ახლავს 7 შეკითხვა. თითოეული შეკითხვა ფასდება 1 ქულით.

ყოველ შეკითხვას ერთვის 4 სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. თითოეული შეკითხვის/დავალების მეშვეობით მოწმდება წაკითხული ტექსტის გასააზრებლად აუცილებელი რომელიმე უნარი.

აპლიკანტმა უნდა შეძლოს:

- ტექსტის თემისა და ძირითადი იდეის გამოკვეთა;
- მიღებულ ინფორმაციაში ძირითადის (არსებითისა) და მეორეხარისხოვანის გარჩევა;
- ტექსტის სხვადასხვა ნაწილს (წინადადებებსა და აბზაცებს) შორის მიმართების დადგენა;
- მთელი ტექსტიდან ან მისი ცალკეული ნაწილებიდან დასკვნის გამოტანა;
- ცალკეული აბზაცის ფუნქციის განსაზღვრა;
- ცალკეული სიტყვისა თუ გამოთქმის მნიშვნელობის ახსნა ან მათი მნიშვნელობის ამოცნობა კონტექსტის მიხედვით;
- ტექსტის საკვანძო სიტყვებისა და ფრაზების მოძიება;
- ტექსტში მოცემული პოლემიკური მონაკვეთის გააზრება-შეფასება;
- ვარაუდისა და ფაქტის ერთმანეთისაგან გარჩევა;
- ტექსტში წარმოდგენილ მოვლენათა შორის არსებული კავშირების დადგენა;
- ცალკეული ფრაგმენტების პერიფრაზირება;
- ქვეტექსტის ამოცნობა;
- ტექსტში წარმოდგენილსა და სხვა (ჰიპოთეზურ) სიტუაციებს შორის მიმართების დადგენა;
- ტექსტიდან მოპოვებული ინფორმაციის გამოყენება ახალი პრობლემის გადასაწყვეტად.

ტექსტები თემატურად მრავალფეროვანია და მეცნიერებისა და კულტურის სხვადასხვა სფეროს უკავშირდება. თუმცა, დავალებათა შესრულება, ანუ შეკითხვებზე პასუხის გაცემა, *არ მოითხოვს ამა თუ იმ სფეროსთან დაკავშირებულ სპეციალურ ცოდნას.* ტექსტები შეიძლება იყოს თხრობითი, პოლემიკური თუ განმარტებითი ხასიათისა. ისინი ნაირგვარია სტილის მიხედვითაც.

მოცემული ბლოკის დავალებებს ახლავს ამგვარი ინსტრუქცია:

*ყურადღებით წაიკითხეთ და გაიაზრეთ ტექსტი. თითოეული შეკითხვის სავარაუდო პასუხებიდან აირჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც მართებულია მოცემული ტექსტის მიხედვით.*

**გაითვალისწინეთ:**

**ტექსტის შემდეგ მოცემული თითოეული შეკითხვა ტესტის დამოუკიდებელი დავალებაა. ამიტომ ყოველ შეკითხვაზე პასუხის გაცემისას იხელმძღვანელეთ ტექსტით და არა წინა შეკითხვაზე გაცემული პასუხით, რათა თავიდან აიცილოთ არასწორ პასუხთა ჯაჭვი.**

## დავალებათა ნიმუშები და განმარტებები

*კრებულში განვიხილავთ ტექსტთან დაკავშირებულ რამდენიმე შეკითხვას.*

თამაშობს ყველა. თამაშობენ ბავშვები, უფროსები. თამაშობენ ცხოველები. თამაშობდნენ პირველყოფილი ადამიანები. თამაშს თითქოს პრაქტიკული მიზანი არ უნდა ჰქონდეს, მაგრამ თუ კარგად დავაკვირდებით, ცხოველთა თამაშში ისეთ მოძრაობებს, ისეთ მოქმედებებს შევნიშნავთ, რომლებიც აუცილებელია მათთვის ყოველდღიურ ცხოვრებაში. ისინი გაითამაშებენ სცენებს მომავალი ცხოვრებიდან: მტაცებლები კვალის მიგნებას, თავდასხმას სწავლობენ, არამტაცებელნი – ფხიზლად ყოფნას, დროულად გაქცევას. ცხოველები ისეთ სიტუაციებს „ამუშავებენ", რომლებსაც შეიძლება შემდგომ შეეჯახონ. საიდან იციან მათ ეს? რაღაც კარნახობს მათ, ცხოვრებასთან შესახვედრად ამზადებს.

პალეოლითის ხანაში მონადირეები ძალზე რთულ სარიტუალო ცეკვა-თამაშებს, „პანტომიმას" ასრულებდნენ. ბიზონებსა და ირმებზე ნადირობის წინ რამდენიმე დღის განმავლობაში მონადირეები მაგიურ „ბიზონთა ცეკვას" განასახიერებდნენ. ერთნი ბიზონის ტყავსა და ნიღბებში გამოწყობილნი, მეორენი კი იარაღით ხელში ასრულებდნენ მომავალი ნადირობის ცეკვას: განასახიერებდნენ იმ მღელვარებას, დაძაბულობას, ნადირობას რომ ახლავს თან, ასახავდნენ ცხოველთა მონადირების, მათი დახოცვის, ნადირობისას თვისტომთა დაღუპვისა და დატირების სცენებს – მომავალი ნადირობის „რეპეტიციას" გადიოდნენ. მათ კიდევ ერთხელ უნდა განეცადათ უკვე განცდილი, ან წინასწარ განეცადათ სამომავლოდ განსაცდელი.

ადამიანს თამაშის მოთხოვნილება ყოველთვის ჰქონდა. ეს კარგად ჩანს საქორწინო თუ რელიგიურ რიტუალებში. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა სახალხო წეს-ჩვეულებათა შესწავლა, მაგალითად, საქართველოში – ბერიკაობა, ყეენობა. ევროპაში ყველიერის დასასრულს ყოველ ქალაქში, სოფელში კარნავალი იმართებოდა. რამდენიმე დღის განმავლობაში დღესასწაულობდნენ. დიდი და პატარა – ყველა მონაწილეობდა. ლამაზ, უჩვეულო კოსტიუმებში გამოწყობილი მონაწილენი მხიარულობდნენ. ქალები მამაკაცურად გადაცმულნი, მამაკაცები კი კაბებში გამოწყობილნი სეირნობდნენ. ეს კარნავალის პრინციპია: ყოველივე აკრძალული ნებადართულია ნიღაბქვეშ, ყველაფერი თეატრალიზებულია.

წარსულში ეწყობოდა ე. წ. „სულელთა დღესასწაულები", მასხარებისა და სულელების სახალხო ზეიმები. ამ დღესასწაულებზე ნებისმიერ ადამიანს შეეძლო ძლიერთა ამა ქვეყნისათა – მეფის, ხელისუფალთა – დაცინვა, გაკილვა. საგანგებოდ ირჩევდნენ სულელთა მეფეებს (საქართველოში – ყეენს). ბრბო დასცინოდა, მდინარეში აგდებდა „ხელისუფალს". ასეთ თამაშებში ვლინდებოდა დამოკიდებულება ხელისუფალთა მიმართ. ეს დღესასწაულები საზოგადოებისათვის იყო მეორე, ხელისუფლების ოფიციალური აკრძალვებისგან თავისუფალი ცხოვრება. თამაშის (კარნავალის) მონაწილეს ესმოდა, რომ ყოველივე შეფარდებითია და პირობითი.

1. რა მნიშვნელობა აქვს თამაშს ცხოველებისთვის?

(ა) თამაში ასწავლის მათ კვალის მიგნებასა და ფხიზლად ყოფნას
(ბ) თამაში ამზადებს მათ პრობლემური სიტუაციებისთვის, რომლებიც, სავარაუდოდ, მომავალში შეხვდებათ
(გ) თამაში კარნახობს მათ, როგორ უნდა მოიქცნენ სხვადასხვა სიტუაციაში
(დ) თამაში ავლენს ცხოველთა ისეთ მოძრაობებს, რომლებიც მომავალში უნდა დაამუშაონ

*მოცემულ შეკითხვაზე პასუხის გაცემა I აბზაცის საფუძველზეა შესაძლებელი. წინადადებები: „ცხოველთა თამაშში ისეთ მოძრაობებს ... შევნიშნავთ, რომლებიც აუცილებელია მათთვის ყოველდღიურ ცხოვრებაში. ისინი გაითამაშებენ სცენებს მომავალი ცხოვრებიდან“ და „ცხოველები ისეთ სიტუაციებს „ამუშავებენ“, რომლებსაც შეიძლება შემდგომ შეეჯახონ“ თამაშის მნიშვნელობაზე მიგვითითებს. აქ წარმოდგენილი მოსაზრება მოკლედ არის გადმოცემული პასუხის (ბ) ვარიანტში.*

2. ქვემოთ წარმოდგენილია ორ-ორი წინადადება (I წინადადება – I აბზაციდან, II წინადადება კი – II აბზაციდან). რომელ პასუხშია დაწყვილებული ანალოგიური (მსგავსი) ფუნქციის მქონე წინადადებები?

(ა) თამაშობს ყველა – ერთნი ბიზონის ტყავსა და ნიღბებში გამოწყობილნი, მეორენი კი იარაღით ხელში ასრულებდნენ მომავალი ნადირობის ცეკვას
(ბ) თამაშობდნენ პირველყოფილი ადამიანები – განასახიერებდნენ იმ მღელვარებას, დაძაბულობას, ნადირობას რომ ახლავს თან
(გ) ცხოველები ისეთ სიტუაციებს „ამუშავებენ“, რომლებსაც შეიძლება შემდგომ შეეჯახონ – მათ კიდევ ერთხელ უნდა განეცადათ უკვე განცდილი, ან წინასწარ განეცადათ სამომავლოდ განსაცდელი
(დ) რაღაც კარნახობს მათ, ცხოვრებასთან შესახვედრად ამზადებს – ბიზონებსა და ირმებზე ნადირობის წინ რამდენიმე დღის განმავლობაში მონადირეები მაგიურ „ბიზონთა ცეკვას“ განასახიერებდნენ

განვიხილოთ პასუხის თითოეული ვარიანტი.

*(ა) პასუხის პირველი წინადადება ძალზე ზოგადია და თამაშის არსებით ასპექტზე მიგვითითებს, მეორე წინადადება კი აღწერს (დეტალებზე, ჩაცმულობაზე, იარაღზე ყურადღების გამახვილებით) კონკრეტულ თამაშს, კერძოდ, პალეოლითის ხანაში მონადირეთა ცეკვას.*

*(ბ) პასუხში მოყვანილ პირველ წინადადებას განმარტავს, აკონკრეტებს მეორე – პირველყოფილი ადამიანები თამაშობდნენ და ამ დროს განასახიერებდნენ მღელვარებას, რომელიც ნადირობას ახლავს თან. პირველი წინადადება ასახელებს ფაქტს, მეორე კი აკონკრეტებს, აღწერს მას. შესაბამისად, ამ ორ წინადადებას სხვადასხვა ფუნქცია აქვს.*

*(გ) პასუხში მოყვანილი ორივე წინადადება თამაშის დანიშნულების შესახებ მეტყველებს, თუმცა, ერთ შემთხვევაში საუბარია ცხოველების თამაშზე, მეორეში კი – ადამიანებისაზე. მიუხედავად ამისა, როგორც პირველი, ისე მეორე წინადადება ერთგვარი შეჯამებაა, დასკვნაა, რომელიც შესაბამისი აბზაციდან გამომდინარეობს. მათ ტექსტში ანალოგიური ფუნქცია აქვთ. ამრიგად, სწორი პასუხია (გ).*

*(დ) პასუხის პირველი წინადადება შეეხება ცხოველების, მეორე კი – პირველყოფილი ადამიანების თამაშს. ამასთან, პირველ წინადადებაში თამაშის დანიშნულებაა მითითებული, მეორეში კი ასახულია კონკრეტული ფაქტი. ამრიგად, წინადადებები განსხვავდება ფუნქციის მიხედვით.*

**3.** ქვემოთ მოცემულია დამატებითი ინფორმაცია:

რომაული სატურნალიები – სატურნუსის, მიწათმოქმედებისა და მევენახეობის მფარველი ღვთაების პატივსაცემად ძველ რომში აწყობდნენ ზეიმს, რომელიც რამდენიმე დღე გრძელდებოდა. ცენტრალური ფიგურა იყო ხარი – დოვლათიანობისა და ძლიერების სიმბოლო. რომის ქუჩებში დაატარებდნენ ყვავილებით, გირლანდებით შემკულ ხარს, აწყობდნენ დოღს, ნიღბების აღლუმს, თეატრალურ წარმოდგენებს. ამ დღეებში იმპერატორი თუ მონა – ყველა ისვენებდა, თავდებით უშვებდნენ პატიმრებს, არ სჯიდნენ მოწაფეებს, ათავისუფლებდნენ მონებს, მეტიც, მათ თავიანთი პატრონები ემსახურებოდნენ. სოციალური ხასიათის შეზღუდვებისგან გასათავისუფლებლად დღესასწაულის მონაწილენი სახეს მალავდნენ ნიღაბქვეშ.

*ქვემოთ მოყვანილია სატურნალიების მახასიათებლები. მათგან რომელს* ***<u>არ უკავშირებს</u>*** *ავტორი ტექსტის III და IV აბზაცებში აღწერილ დღესასწაულებს?*

(ა) პირობითობა – სიმბოლურობა – შენიღბვა
(ბ) ნაყოფიერების ღვთაების თაყვანისცემა
(გ) სოციალური თანასწორობის ილუზია
(დ) აკრძალვების მოხსნა

*ამ დავალებაში მოცემულია ინფორმაცია დღესასწაულის კიდევ ერთი ტრადიციული სახეობის შესახებ, რომელსაც ვერ ვხვდებით ტექსტში. ზოგადად, დამატებითი ინფორმაციის შემცველი შეკითხვების მიზანია, შეამოწმოს, შეუძლია თუ არა აპლიკანტს ტექსტიდან ამოკითხული ინფორმაცია დაუკავშიროს სხვა ცოდნას, სხვა ფაქტებს ან თუნდაც საკუთარ გამოცდილებას.*

*იმისათვის, რომ შეკითხვას ვუპასუხოთ, ინფორმაცია სატურნალიების შესახებ ტექსტში მოყვანილ ფაქტებთან – სხვა დღესასწაულების აღწერასთან – უნდა შევაჯეროთ.*

*პირობითობის, სიმბოლურობისა და შენიღბვის შესახებ (პასუხის ა ვარიანტი) საუბარია როგორც III, ასევე IV აბზაცებში კარნავალისა და სულელთა დღესასწაულების აღწერისას. სწორედ სულელთა დღესასწაულებს, ყეენობას უკავშირდება სოციალური თანასწორობის ილუზიაც (პასუხის გ ვარიანტი) – „ამ დღესასწაულებზე ნებისმიერ ადამიანს შეეძლო ძლიერთა ამა ქვეყნისათა – მეფის, ხელისუფალთა – დაცინვა, გაკილვა“. აკრძალვების მოხსნაც (პასუხის დ ვარიანტი) კარნავალებისა და სულელთა დღესასწაულების არსებითი მახასიათებელია – „ყოველივე აკრძალული ნებადართულია ნიღაბქვეშ“ ან „ეს დღესასწაულები საზოგადოებისათვის იყო მეორე, ხელისუფლების ოფიციალური აკრძალვებისგან თავისუფალი ცხოვრება.“*

*სავარაუდო პასუხებში მოცემულ მახასიათებელთაგან მხოლოდ ერთი – ნაყოფიერების ღვთაების თაყვანისცემა – არ გვხვდება ტექსტში აღწერილ არც ერთ დღესასწაულთან თუ თეატრალიზებულ წარმოდგენასთან დაკავშირებით. სინამდვილეში, კარნავალები,*

*სულელთა დღესასწაულები იმართებოდა გაზაფხულზე, როცა ბუნება იღვიძებს, იწყება თესვა და ა.შ. ეს დღესასწაულები ნაყოფიერების ღვთაების თაყვანისცემის ნიშანი იყო. თუმცა, ტექსტში ამ ასპექტზე არაფერია ნათქვამი. შესაბამისად, სწორი პასუხია (B).*

**ზოგადი რეკომენდაციები წაკითხული ტექსტის გასააზრებლად:**

- ყურადღებით წაიკითხეთ ტექსტი. შეეცადეთ, გაიაზროთ მისი ძირითადი იდეა;
- შეკითხვებზე პასუხის გაცემა დაიწყეთ მხოლოდ მას შემდეგ, რაც მთელ ტექსტს წაიკითხავთ;
- სანამ პასუხს გასცემდეთ შეკითხვას, ყურადღებით წაიკითხეთ ტექსტის ის ნაწილი, რომელსაც უშუალოდ ეხება ეს შეკითხვა;
- ყურადღებით განიხილეთ ოთხივე სავარაუდო პასუხი. ნუ შემოხაზავთ პირველსავე ვარიანტს, რომელიც სწორად მოგეჩვენებათ, სანამ დანარჩენ ვარიანტებსაც არ განიხილავთ;
- პასუხის ესა თუ ის ვარიანტი შეიძლება სწორი იყოს ლოგიკის თვალსაზრისით, მაგრამ მცდარი – მოცემული ტექსტის მიხედვით. ამიტომ, სანამ პასუხს აირჩევდეთ, ერთხელ კიდევ წაიკითხეთ (შეამოწმეთ) ტექსტის შესაბამისი მონაკვეთი და აირჩიეთ ის პასუხი, რომელიც მართებულია კონტექსტის მიხედვით;
- მოიძიეთ ტექსტში თითოეული პასუხის მართებულობისა თუ უმართებულობის დამადასტურებელი არგუმენტები;
- პასუხი მაშინაც შეიძლება ჩაითვალოს მცდარად, როდესაც ის მხოლოდ ნაწილობრივაა მართებული (ნაწილობრივ პასუხობს შეკითხვას), ამიტომ ყველა სავარაუდო პასუხი გულდასმით განიხილეთ.

# ანალიტიკური წერა

სასერტიფიკაციო ტესტის ამ ნაწილში მოცემულია ერთი დავალება. დავალების შესრულება გულისხმობს გარკვეულ საკითხთან დაკავშირებით აზრის წერილობით გამოთქმას, მსჯელობას, საკუთარი პოზიციის გამყარებას არგუმენტებითა და მაგალითებით.

ანალიტიკური წერის ნაწილი ძალზე მნიშვნელოვანია იმის დასადგენად, თუ რამდენად წარმატებით შეძლებს პედაგოგი, ასწავლოს დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს ლექსიკურად და სტილისტურად გამართული ტექსტის შექმნა, წერისას ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დაცვა, აზრის მწყობრად გადმოცემა, ტექსტის მონაკვეთების ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირება, არგუმენტირებული მსჯელობა. წერის კულტურის განვითარებას სწორედ დაწყებით საფეხურზე უნდა ჩაეყაროს საფუძველი.

დავალების მაქსიმალური ქულაა 13.

ნაწერი ფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:

**1. შინაარსის რელევანტურობა**

*ნაშრომი შეესაბამება მოცემულ საკითხს, პასუხობს დასმულ ამოცანებს.*

***2 ქულა*** – *ნაშრომი პასუხობს თემას, არ ეხება არარელევანტურ საკითხებს.*

***1 ქულა*** – *თემას პასუხობს ნაშრომის მხოლოდ გარკვეული მონაკვეთი; მოცემულია არარელევანტური ინფორმაცია.*

***0 ქულა*** – *ნაშრომი არ პასუხობს თემას, შეეხება სრულიად განსხვავებულ საკითხს, წარმოადგენს დავალების პერიფრაზს.*

***გაითვალისწინეთ:***

***თუ ნაშრომი პირველი კრიტერიუმის მიხედვით შეფასდება 0 ქულით, ის აღარ გასწორდება სხვა კრიტერიუმების მიხედვით.***

**2. დასაბუთება**

*აპლიკანტის პოზიცია წარმოდგენილია შესაბამისი დასაბუთებით, მსჯელობა გამყარებულია დამაჯერებელი, ადეკვატური არგუმენტებითა და მაგალითებით.*

***3 ქულა*** – *მოყვანილია დამაჯერებელი, მრავალფეროვანი, ორიგინალური არგუმენტები, მაგალითები, განხილულია კონტრარგუმენტები.*

***2 ქულა*** – *არგუმენტით/მაგალითით გამყარებულია მხოლოდ ზოგიერთი მოსაზრება, ან არგუმენტები მოყვანილია ყველა მოსაზრებისთვის, თუმცა ზედაპირული და ერთფეროვანი. აპლიკანტი თანმიმდევრულად მსჯელობს საკითხის შესახებ.*

***1 ქულა*** – *არის დასაბუთების მცდელობა, თუმცა არგუმენტები არადამაჯერებელია.*

***0 ქულა*** – *მოსაზრებები არ არის გამყარებული მაგალითებითა და არგუმენტებით, არ არის წარმოდგენილი ლოგიკური მსჯელობა.*

**3.** თხრობის ორგანიზება

*ნაშრომი სტრუქტურულად გამართულია, აზრები მწყობრად, თანმიმდევრულად არის გადმოცემული, თხზულების ნაწილები ერთმანეთთან ლოგიკურადაა დაკავშირებული.*

***2 ქულა*** – *ტექსტი სტრუქტურულად გამართულია – ნაწერში წარმოდგენილია საკითხის დასმა, მსჯელობა, დასკვნა;*
*აზრები მწყობრად არის გადმოცემული, მონაკვეთები ლოგიკურად უკავშირდება ერთმანეთს.*

***1 ქულა*** – *წარმოდგენილია ტექსტის მხოლოდ ზოგიერთი სტრუქტურული ნაწილი; ერთმანეთს ლოგიკურად უკავშირდება ტექსტის მხოლოდ ზოგიერთი მონაკვეთი.*

***0 ქულა*** – *მოსაზრებები, ტექსტის ნაწილები ერთმანეთთან ლოგიკურად არ არის დაკავშირებული;*
*ნაწერში არ არის წარმოდგენილი სტრუქტურული ნაწილები – საკითხის დასმა, მსჯელობა, დასკვნა.*

**4.** სტილი, ლექსიკა

*აზრები ცხადად, ნათლადაა გამოთქმული, ნაწერი ლექსიკურად მდიდარი და სტილისტურად გამართულია, ლექსიკა შეესაბამება დასმულ საკითხს.*

***3 ქულა*** – *არ არის დაშვებული (ან არის უმნიშვნელო) სტილისტური შეცდომა, ტექსტი ლექსიკურად მდიდარია, აზრი მკაფიოდ და გამართულად არის გადმოცემული, გამოყენებულია საკითხის შესაფერისი ლექსიკა და სტილი.*

***2 ქულა*** – *დაშვებულია უმნიშვნელო სტილისტური შეცდომები, ტექსტი ლექსიკურად გამართული და მდიდარია, აზრი მკაფიოდ არის გამოხატული, თუმცა გამოყენებული ლექსიკა და სტილი არ/ნაკლებად შეეფერება საკითხს.*

***1 ქულა*** – *ნაწერი ლექსიკურად მდიდარი არ არის, დაშვებულია უხეში სტილისტური შეცდომები, თუმცა აზრი გასაგებად არის გადმოცემული.*

***0 ქულა*** – *ნაწერი ლექსიკურად მწირია, დაშვებულია ბევრი სტილისტური შეცდომა, რაც ხელს უშლის აზრის გაგებას.*

**5. სინტაქსი, მორფოლოგია, პუნქტუაცია**

*ნაშრომი სინტაქსურად გამართულია, ნაწერი შესრულებულია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დაცვით.*

***<u>3 ქულა</u>*** – *არ არის დაშვებული (ან არის უმნიშვნელო) სინტაქსური, ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური და პუნქტუაციური შეცდომები, დაცულია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები.*

***<u>2 ქულა</u>*** – *დაშვებულია სინტაქსური, ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური და პუნქტუაციური შეცდომები, თუმცა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები ძირითადად დაცულია.*

***<u>1 ქულა</u>*** – *დაშვებულია სინტაქსური, ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური, პუნქტუაციური შეცდომები, უხეშად არის დარღვეული თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, თუმცა აზრი გასაგებად არის გადმოცემული.*

***<u>0 ქულა</u>*** – *დაშვებულია უხეში სინტაქსური, ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური, პუნქტუაციური შეცდომები, რაც ხელს უშლის აზრის გაგებას.*

იმისათვის, რომ ნაშრომი ყველა კრიტერიუმის მიხედვით გასწორდეს, ის უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

- უნდა შეეხებოდეს დავალებაში მოცემულ საკითხს;
- არ უნდა წარმოადგენდეს დავალების პირობის პერიფრაზს;
- არ უნდა შეიცავდეს ინფორმაციას, რომლის საშუალებით შესაძლებელია აპლიკანტის პიროვნების იდენტიფიცირება – სახელსა და გვარს (რეალურსა თუ გამოგონილს), მეტსახელს, ხელმოწერას და ა.შ.
- შესრულებული უნდა იყოს ისეთი ხელწერით, რომლის წაკითხვა შესაძლებელია.

თუ ნაშრომი არ აკმაყოფილებს ამ პირობათაგან რომელიმეს, ის შეფასდება 0 ქულით.

***<u>გაითვალისწინეთ:</u>***

***ნაშრომი უნდა შეიცავდეს, სულ მცირე, 100 სიტყვას. სხვა შემთხვევაში ის გასწორდება მხოლოდ I და II კრიტერიუმების მიხედვით.***

## დავალებათა ნიმუშები და განმარტებები

ქვემოთ მოყვანილია ნაწყვეტი ანტუან დე სენტ-ეგზიუპერის ზღაპრიდან „პატარა უფლისწული“:

„ექვსი წლის ვიყავი, როდესაც ერთ დღეს წიგნში „ნამდვილი ამბები“, რომელიც ულრანი ტყის ცხოვრებას აღწერდა, განსაცვიფრებელ სურათს გადავაწყდი: მახრჩობელა გველი რაღაც ცხოველს ყლაპავდა. აი ამ ნახატის ასლი:

წიგნში ეწერა: „მახრჩობელა გველები მსხვერპლს დაუღეჭავად ყლაპავენ. შემდეგ ვეღარ ინძრევიან, ექვსი თვე სძინავთ და ნადავლს ინელებენ.“

მაშინ ბევრს ვფიქრობდი ჯუნგლების თავგადასავლებზე და იმდენი ვეცადე, რომ ფერადი ფანქრებით ჩემი პირველი ნახატი დავხატე. აი ისიც, ნახატი ნომერი 1:

ჩემს შედევრს დიდებს წამდაუწუმ თვალწინ ვუტრიალებდი და ვეკითხებოდი, ეშინოდათ თუ არა.

„ქუდმა როგორ უნდა შეგვაშინოს?“ – უკვირდათ დიდებს.

ჩემს სურათზე ქუდი კი არა, მახრჩობელა გველი ეხატა, რომელიც სპილოს ინელებდა. მაშინ გველი შიგნიდან დავხატე, **რათა დიდები ახლა მაინც მიმხვდარიყვნენ. მათ ხომ ყველაფერი ხელისგულზე უნდა დაუდო.** აი, ჩემი ნახატი ნომერი 2:

**შიგნიდან თუ გარედან მახრჩობელა გველების ხატვას, გიჯობს, გეოგრაფიას, ისტორიას, არითმეტიკასა და გრამატიკას მიხედოო, მირჩიეს დიდებმა.** აი, ასე დავასრულე ექვსი წლის ასაკში მხატვრის ბრწყინვალე კარიერა. ნომერი 1 და ნომერი 2 ნახატების მარცხით გაწბილებულს იმედი გადამეწურა. **დიდები საკუთარი ჭკუით ვერასოდეს ვერაფერს ხვდებიან, ბავშვები კი ამდენი ახსნა-განმარტებით იღლებიან.**

ნაწყვეტში წამოჭრილია უფროსებსა და ბავშვებს შორის ურთიერთგაგების, უფროსების მიერ ბავშვების სურვილების, განცდების, მოლოდინების არასწორად შეფასების პრობლემა.

- იმსჯელეთ ამ პრობლემის, მისი გამომწვევი მიზეზებისა თუ შედეგების შესახებ;
- მსჯელობისას მოიყვანეთ არგუმენტები და მაგალითები;
- თქვენ მიერ დაწერილი თხზულება უნდა შეიცავდეს, სულ მცირე, 80 სიტყვას*.

*გთავაზობთ პედაგოგთა მიერ შესრულებული დავალების ნიმუშებს:*



*კომენტარი*

*წარმოდგენილი ნაშრომი არ პასუხობს დავალებას, აპლიკანტი საუბრობს არა უფროსებისა და ბავშვების ურთიერთგაგების პრობლემაზე, არამედ ბავშვისთვის ინფორმაციის მიწოდების გზებზე. ნაშრომში (I წინადადება) დაშვებულია უხეში ფაქტობრივი შეცდომაც. შესაბამისად, ის 0 ქულით შეფასდა.*

[illegible]

*კომენტარი*

*წარმოდგენილი ნაშრომი პასუხობს თემას, არ არის მოცემული შეუსაბამო, არარელევანტური ინფორმაცია (შინაარსის რელევანტურობა – 2 ქულა). უფროსებსა და ბავშვებს შორის ურთიერთგაგების პრობლემაზე მსჯელობისას აპლიკანტი ცდილობს დაასაბუთოს საკუთარი მოსაზრებები, თუმცა არგუმენტები ნაკლებად დამაჯერებელია. მსჯელობისას აპლიკანტი არ აზოგადებს პრობლემას და მხოლოდ დავალების ტექსტის ინტერპრეტაციით შემოიფარგლება (დასაბუთება – 1 ქულა). ნაწერი სტრუქტურულად გამართულია, მონაკვეთები ლოგიკურად უკავშირდება ერთმანეთს, წარმოდგენილია საკითხის დასმა, მსჯელობის მცდელობა და დასკვნა (თხრობის ორგანიზება – 2 ქულა). ნაწერი ლექსიკურად მდიდარი არ არის, დაშვებულია უხეში სტილისტური შეცდომები („თავიანთი ასაკის შესაფერისი საკუთარი მიზნები“, „ცხოვრების სამყარო“, „ნდობის გამართლების სწორი ფორმები“, „ერთმანეთთან ურთიერთგაგება“), თუმცა აზრი გასაგებად არის გადმოცემული (სტილი, ლექსიკა – 1 ქულა). ნაწერში დაშვებულია სინტაქსური, ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური, პუნქტუაციური შეცდომები, დარღვეულია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები (სინტაქსი, მორფოლოგია, პუნქტუაცია – 1 ქულა). შესაბამისად, ნაწერი შეფასებულია 7 ქულით.*



კომენტარი

*წარმოდგენილი ნაშრომი პასუხობს დავალებას, არ არის მოცემული შეუსაბამო, არარელევანტური ინფორმაცია. აპლიკანტი საუბრობს უფროსებისა და ბავშვების ურთიერთგაგების პრობლემაზე (შინაარსის რელევანტურობა – 2 ქულა), თავისი მსჯელობის გასამყარებლად მოჰყავს დამაჯერებელი, ორიგინალური არგუმენტები, ასევე მაგალითები როგორც ტექსტიდან, ისე, ზოგადად, ლიტერატურიდან (დასაბუთება – 3 ქულა). ტექსტი სტრუქტურულად გამართულია, აზრები მწყობრად არის გადმოცემული და მონაკვეთები ლოგიკურად უკავშირდება ერთმანეთს (თხრობის ორგანიზება – 2 ქულა). ნაწერი ლექსიკურად მდიდარი და სტილისტურად გამართულია, თუმცა, დაშვებულია რამდენიმე უმნიშვნელო სტილისტური შეცდომა, მაგ., ,,მთლიანად ანგრევს ... მის ფსიქო-ემოციურ კლიმატს'' (სტილი, ლექსიკა – 2 ქულა). აპლიკანტი ავლენს თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების ცოდნას, არ არის დაშვებული უხეში სინტაქსური, ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური და პუნქტუაციური შეცდომები (სინტაქსი, მორფოლოგია, პუნქტუაცია – 3 ქულა). შესაბამისად, ნაწერი შეფასებულია 12 ქულით.*

# I – VI კლასების მასწავლებელთა საგნობრივი სასერტიფიკაციო ტესტის სტრუქტურა

I – VI კლასების პედაგოგთათვის საგნობრივი გამოცდები 2012 წელს პირველად ჩატარდა. გამოცდის ჩაბარება შეუძლიათ ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების მასწავლებლებს.

თითოეული საგნის სასერტიფიკაციო ტესტი ორი ნაწილისგან შედგება – პროფესიული ცოდნა და მეთოდიკა (60 ქულა) და აკადემიური უნარები (20 ქულა). შესაბამისად, თითოეული საგნობრივი ტესტის მაქსიმალური ქულაა 80.

საგნობრივი სასერტიფიკაციო ტესტების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 60%-ია. შესაბამისად, გამოცდის წარმატებით ჩასაბარებლად აპლიკანტმა უნდა დააგროვოს ქულათა საერთო რაოდენობის 60%-ზე მეტი – 80 ქულიანი ტესტის შემთხვევაში 49 ქულა.

თუმცა, 49 ქულის მოპოვება შესაძლებელია მხოლოდ ერთი ნაწილის – პროფესიული ცოდნისა და მეთოდიკის – დავალებათა შესრულებით. იმისათვის, რომ აპლიკანტმა აკადემიური უნარების ნაწილის დავალებებიც შეასრულოს და ამ კომპონენტშიც დაადასტუროს თავისი კომპეტენცია, **დადგენილია საგანგებო ზღვარი აკადემიური უნარების ნაწილისთვის – ქულათა საერთო რაოდენობის 40%.** შესაბამისად, ამ ნაწილში ზღვრის გადასალახად აპლიკანტმა უნდა დააგროვოს ქულათა საერთო რაოდენობის 40%-ზე მეტი, სულ მცირე, 9 ქულა.

პროფესიული ცოდნის და მეთოდიკის ნაწილის მნიშვნელოვანი ბლოკია კითხვისა და წერის სწავლება, რომელსაც ამ ნაწილის ქულათა მეოთხედი დაეთმო. კითხვისა და წერის სწავლების თანამედროვე მიდგომების ცოდნა, გაცნობიერება იმისა, თუ რა უნარები უდევს საფუძვლად კითხვის ათვისების პროცესს, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლისთვის, არამედ დაწყებითი საფეხურის ნებისმიერი სხვა საგნის პედაგოგისთვისაც. მაგალითად, არცთუ იშვიათად მოსწავლის მიერ მათემატიკური ამოცანის ამოხსნისას შეცდომის დაშვების მიზეზი არის დავალების პირობის წაკითხვისა და გაგების პრობლემა და არა ხარვეზები მათემატიკის ცოდნაში. ასეთ შემთხვევაში მასწავლებელს უნდა შეეძლოს მისთვის შესაბამისი დახმარების სტრატეგიის შეთავაზება. წერისა და კითხვის ათვისების პრობლემის მქონე ბავშვები ხშირად აწყდებიან სირთულეებს სხვადასხვა წერითი დავალების შესრულების დროსაც. მაგალითად, თუ ბავშვს სიტყვის ბგერითი ანალიზი და სინთეზი უჭირს, მას გაუჭირდება დავალების პირობის კარნახით ჩაწერაც. მიუხედავად იმისა, თუ რომელ საგანს ასწავლის, პედაგოგი ვალდებულია, მოსწავლეს სათანადო დახმარება შესთავაზოს. კითხვისა და წერის ათვისების სირთულეების დაძლევა მხოლოდ სხვადასხვა საგნის პედაგოგთა თანამშრომლობით არის შესაძლებელი.

კითხვისა და წერის სწავლების ბლოკი, ასევე, წაკითხული ტექსტის გააზრებისა და ანალიტიკური წერის ბლოკები I – IV კლასის პედაგოგთა სასერტიფიკაციო ტესტის ბლოკების მსგავსია. თუმცა, I – VI კლასების მასწავლებლის საგნობრივი სასერტიფიკაციო ტესტის პროფესიული ცოდნისა და მეთოდიკის ნაწილში მხოლოდ ერთი საგნის (ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების) ტესტური დავალებებია წარმოდგენილი. დავალებები სხვადასხვაგვარია როგორც ფორმატის, ისე სირთულის თვალსაზრისით. თითოეული საგნის საგამოცდო პროგრამა მოცემულია დანართში.

# ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის სასერტიფიკაციო ტესტი

## დავალებათა ნიმუშები და განმარტებები

1. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი <u>**არ წამოადგენს**</u> ფონეტიკურ მოვლენას?
(ა) კუმშვა
(ბ) კვეცა
(გ) ბრუნება
(დ) ასიმილაცია

*დაწყებითი საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ პედაგოგმა უნდა იცოდეს ენის ზოგადი ფონეტიკური მახასიათებლებისა და კონკრეტული ფონეტიკური მოვლენების შინაარსი.*

*მოცემული დავალების მიზანია, შეამოწმოს, აქვს თუ არა მასწავლებელს ცოდნა ფონეტიკური მოვლენების შესახებ. ფონეტიკა ენის სამეტყველო ბგერათა სისტემას შეისწავლის. კუმშვა, იგივე რედუქცია, ფუძეთანხმოვნიანი სახელების ფუძის ბოლო მარცვლიდან ნათესაობით, მოქმედებით და ვითარებით ბრუნვებში ხმოვნის „შეკუმშვას", ამოვარდნას ჰქვია. იკუმშება სამი ხმოვანი – ა, ე, ო. კუმშვა, ისევე როგორც კვეცა (ხმოვანფუძიან სიტყვებში, ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებში ფუძის ბოლოკიდურა ხმოვნის ჩამოშორება – ა, ე;) და ასიმილაცია (მის წინ ან შემდეგ მდგომი ბგერისაგან ბგერის მიმსგავსება) ბგერის ცვალებადობასთან, დაკარგვასთან, ჩამოშორებასთან, წინა თუ უკანა ბგერათა გავლენით ბგერების შეცვლასთან არის დაკავშირებული და, შესაბამისად, ფონეტიკურ მოვლენებად ითვლება. ბრუნება არსებითი სახელების ძირითადი ფორმაცვალებაა, რაც არ უკავშირდება ბგერას და, ზოგადად, ფონეტიკურ მახასიათებლებს.*

*შესაბამისად, სწორი პასუხია (გ).*

2. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ შეცდომას დაუშვებს მოსწავლე ზმნის კონტაქტის მაწარმოებელთა არცოდნის გამო?
(ა) აჯილდოვებს
(ბ) ანსხვავებს
(გ) მახატვიებს
(დ) ვაბავ

*მოსწავლეთა ნაწერებში ხშირია შეცდომები, რომელთა აღმოჩენა და გასწორება თითოეული მასწავლებლის სამუშაო პროცესის ერთ-ერთი უმთავრესი შემადგენელი ნაწილია. შესაბამისად, აუცილებელია, ქართული ენის მასწავლებელმა იცოდეს ყველა იმ გრამატიკული კატეგორიის შინაარსი, რომელიც დაწყებითი საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტშია მოცემული.*

*დავალების მიზანია, შეამოწმოს, იცის თუ არა პედაგოგმა ზმნის ერთ-ერთი კატეგორია – კონტაქტი, მისი მაწარმოებელი აფიქსები და მასთან დაკავშირებული მართლწერის წესები. კონტაქტი მხოლოდ გარდამავალ ზმნას აქვს და ცვლის ზმნის ძირითად ლექსიკურ მნიშვნელობას. ზმნაში კონტაქტის მაწარმოებელია* ***-ინ*** *(მარტივი) და* ***-ევინ*** *(რთული). განირჩევა უშუალო (როდესაც სუბიექტი საკუთარი ნებით მოქმედებს – ვალაგებ) და შუალობითი (როდესაც სუბიექტი სხვისი კარნახით მოქმედებს – მათქმ-ევინ-ა) კონტაქტი. მაწარმოებლები* ***-ინ*** *და* ***-ევინ*** *მხოლოდ შუალობითი კონტაქტის ფორმას აქვს. შესაბამისად, სწორი პასუხია (გ).*

*განვსაზღვროთ დავალებაში მოცემულ დანარჩენ შეცდომათა ტიპები:*

*(ა) აჯილდოვებს – სწორი ფორმაა აჯილდოებს. თუ სიტყვის ფუძე ბოლოვდება ო ან უ ხმოვანზე, მისგან ნაწარმოებ ზმნასა თუ ნაზმნარ სახელებში ვ თანხმოვნის ჩართვა დაუშვებელია. ვ თანხმოვანი შეიძლება ჩაერთოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზმნა უპასუხებს კითხვაზე: რა ქნა? მაგალითად, დააჯილდოვა.*

*(ბ) ანსხვავებს – სწორი ფორმაა ასხვავებს. ქართულ ენაში ზმნისწინს გან- დროთა განმავლობაში ჩამოშორდა ბოლოკიდური თანხმოვანი ნ. არის რიგი სიტყვებისა, რომლებშიც ეს ზმნისწინი კვლავინდებურად ძველი ფორმით არის წარმოდგენილი – განსახიერება, განთავისუფლება და ა. შ. აღნიშნული შეცდომა გამოწვეულია ზმნისწინის გამოყენების წესის არცოდნით – ნ არის ძველი ზმნისწინის ნაწილი. ზმნისწინის ამგვარი გათიშვა კი დაუშვებელია. ზმნისწინი ან მთლიანი სახით უნდა გამოვიყენოთ (განასხვავებს), ან უნდა ჩამოვაშოროთ ზმნას (ასხვავებს).*

*(დ) ვაბავ – სწორი ფორმაა ვაბამ. ქართულში ზმნის ფუძე თემის ნიშნებს პირველი სერიის ყველა მწკრივში დაირთავს.* ***-ავ*** *თემისნიშნიან ზმნათა ჯგუფი საკმაოდ დიდია.* ***-ამ*** *თემის ნიშანს კი ზმნათა მცირერიცხოვანი ჯგუფი დაირთავს. აღსანიშნავია, რომ -ავ თემისნიშნიან ზმნათა გავლენით -ამ თემისნიშნიან ზმნებში გაჩნდა არასწორი ფორმები: ვაბავ, ვარტყავ, ვასხავ და ა. შ. სწორ ფორმათა გარკვევა ზმნის საწყისისა და მიმღეობის საშუალებით შეიძლება, რომელშიც* ***-ამ*** *თემის ნიშნის ნაშთი გამოჩნდება. დაბმა, დასხმა... საწყისსა და მიმღეობაში* ***მ*** *ბგერის არსებობა სათანადო პირიან ფორმაში* ***-ამ*** *დაბოლოების მიმანიშნებელია.*

**3.** ქვემოთ მოყვანილ წინადადებებში გამუქებულია არსებითი სახელები. ჩაწერეთ ისინი ცხრილში და მიუთითეთ სათანადო კატეგორიები (ბრუნვა, თანდებული და ა. შ.). თუ სახელს არ დაერთვის ბრუნვის ნიშანი, თანდებული ან ნაწილაკი, შესაბამის გრაფებში ჩაწერეთ 0.

– ხეთების წარწერა ძალიან ჰგავს ასურეთის მეფეთა **წარწერებს.**
– ასეთი ამბები **მეგობრებისგანაც** მსმენია.

| სახელი | ფუძე | ბრუნვა | მრავლობითის მაწარმოებელი აფიქსი | ბრუნვის ნიშანი | თანდე-ბული | ნაწი-ლაკი |
|---|---|---|---|---|---|---|
| **წარწერებს** | **წარწერ** | **მიცემითი** | **ებ** | **ს** | **0** | **0** |
| **მეგობრებისგა-ნაც** | **მეგობარ** | **ნათესაობითი** | **ებ** | **ის** | **გან** | **ც** |

*მოცემული დავალების მიზანია, შეამოწმოს დაწყებითი საფეხურის ქართული ენის მასწავლებლის პროფესიული ცოდნა მორფოლოგიაში. პედაგოგს ევალება, ამოიცნოს არსებითი სახელის ფუძე, ბრუნვა, ბრუნვის ნიშნები, რიცხვი და მისი მაწარმოებლები, თანდებული, ნაწილაკი და შეავსოს ცხრილში მოცემული შესაბამისი ცარიელი ველები. ცხრილის თითოეული სტრიქონის სწორად შევსება 1 ქულით ფასდება.*

**4.** ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება?

(ა) თუ კაცსა ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს წუთისოფელი
(ბ) ყველანი ერიდებოდნენ ავთანდილთან ზამთრობით სტუმრობას, რადგან ის უბუხრო და შუშაჩაუსმელ ოთახში გათევინებდა ღამეს
(გ) საამაყოა ისეთი ერთგული მეგობარი, როგორიც მე მყავს
(დ) შინ ადრე დაბრუნდა, რათა ახალი წელი ცოლ-შვილთან ერთად გაეტარებინა

*მოცემული დავალების მიზანია, შეამოწმოს დაწყებითი საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის პროფესიული ცოდნა სინტაქსში. პედაგოგს ევალება რთულ ქვეწყობილ წინადადებათა შორის ამოიცნოს მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება.*

***მიზეზის გარემოებითი*** *დამოკიდებული წინადადება უკვე მომხდარი ფაქტით განსაზღვრულ მოქმედებას გულისხმობს („ყველანი ერიდებოდნენ ... სტუმრობას, რადგან ის უბუხრო და შუშაჩაუსმელ ოთახში გათევინებდა ღამეს). მთავარ წინადადებაში გადმოცემული მოვლენის მიზეზი მითითებულია დამოკიდებულ წინადადებაში. რთულ წინადადებაში მთავარ და მიზეზის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებას შორის იმიტომ – რადგანაც (რომ) მისამართი სიტყვა და წევრ-კავშირია გამოყენებული. შესაბამისად, სწორი პასუხია (ბ).*

*განვიხილოთ პასუხის დანარჩენი ვარიანტები.*

*პასუხის (ა) ვარიანტში პირობითი დამოკიდებული წინადადებაა მოცემული. ის წარმოგვიდგენს პირობას, რომელიც აუცილებელია იმისათვის, რომ მთავარ წინადადებაში*

*აღწერილი ვითარება განხორციელდეს. მაგ., თუკი ხშირად დაურეკავ, არ დაავიწყდება. პირობით დამოკიდებულ წინადადებაში ხშირად გამოიყენება კავშირები: თუ, თუკი, თუ რომ, რომ და ა.შ.*

*პასუხის (გ) ვარიანტში განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებაა მოცემული. დამოკიდებული წინადადება მთავარ წევრებსა თუ უბრალო დამატებას ისევე მიემართება, როგორც ჩვეულებრივი განსაზღვრება. შესაბამისად, ამ ტიპის დამოკიდებულ წინადადებათა წევრ-კავშირებია:* ***რომელიც, სადაურიც, როგორიც, რამდენიც*** *და სხვა. აღსანიშნავია, რომ დაცული უნდა იყოს შესაბამისობა მისამართ სიტყვასა და კავშირს შორის:* ***ის – რომელიც, ისეთი – როგორიც*** *(და არა* ***ის*** *სახლი,* ***სადაც*** *მე ვცხოვრობ).*

*(დ) ვარიანტი მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების ნიმუშია. ხშირად აღრევა სწორედ მიზნისა და მიზეზის გარემოებათა წევრ-კავშირების გამოყენების დროს ხდება. კერძოდ, ერთმანეთს შეცდომით ენაცვლება როგორც* ***იმიტომ – იმისთვის****, ისე* ***რადგან – რათა*** *კავშირები.* ***მიზნის გარემოებითი*** *დამოკიდებული წინადადება მომავალში მოსახდენი ამბით განსაზღვრულ მოქმედებას გულისხმობს (ილია დიდხანს ითვლიდა, რათა ყველა ბავშვს მოესწრო დამალვა.) მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება მიუთითებს მთავარ წინადადებაში გადმოცემული მოქმედების მიზანზე. რთულ წინადადებაში მთავარ და მიზნით დამოკიდებულ წინადადებას შორის, როგორც წესი,* ***იმისთვის – რათა, იმისთვის – რომ*** *მისამართი სიტყვა და წევრ-კავშირია წარმოდგენილი.*

**5.** ,,ლიტერატურაში პერსონაჟის ხატვის, პერსონაჟის შინაგანი ბუნების გამომჟღავნების ერთ-ერთი ხერხია მისი ჩაყენება ექსტრემალურ სიტუაციაში. ექსტრემალურ სიტუაციაში ვლინდება ადამიანის ნამდვილი არსი, სულის სიმაღლე თუ სიმდაბლე. უკიდურესი განსაცდელის გამოვლა და ფიზიკური გადარჩენა მას ან სულიერად ანადგურებს, ან სულიერად ამაღლებს.''

I. თქვენი სიტყვებით განუმარტეთ ამ ციტატის შინაარსი V კლასის მოსწავლეებს.

---

II. მოიყვანეთ საბავშვო ლიტერატურიდან ერთი მაგალითი, რომელიც ადასტურებს ამ ციტატაში წარმოდგენილ თვალსაზრისს (მიუთითეთ ნაწარმოების სათაური და ავტორი).

---

*დაწყებითი საფეხურის მასწავლებელს ხშირად უწევს სამეცნიერო ხასიათის ტექსტის წაკითხვა, გააზრება და მისი გადაცემა (გაცნობა) მოსწავლეებისთვის.*

*მოცემული დავალებით მოწმდება, თუ რამდენად შეუძლია მასწავლებელს ამგვარი ტექსტის გაგება, გააზრება და ადაპტირება კონკრეტული კლასის მოსწავლეებისთვის მათი ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. ეს პედაგოგისთვის მნიშვნელოვანი უნარია. დავალების მაქსიმალური ქულა არის 4.*

*შეფასების სქემა – I ნაწილი:*

*<u>2 ქულა</u> – ციტატის შინაარსი სწორად არის გაგებული და სრულადაა გადმოცემული; გამოყენებულია V კლასის მოსწავლეთათვის გასაგები ლექსიკა და სინტაქსური კონსტრუქციები;*

*<u>1 ქულა</u> – ციტატის შინაარსი სწორად არის გაგებული, თუმცა გადმოცემულია არასრულად; გამოყენებულია V კლასის მოსწავლეთათვის გასაგები ლექსიკა და სინტაქსური კონსტრუქციები;*

*<u>0 ქულა</u> – ციტატის შინაარსი არასწორად არის გაგებული ან/და სწორად არის გაგებული, მაგრამ გადმოცემისას გამოყენებულია V კლასის მოსწავლეთათვის ძნელად გასაგები ლექსიკა და რთული სინტაქსური კონსტრუქციები.*

*გთავაზობთ საცდელ ტესტირებაზე პედაგოგთა მიერ შესრულებული დავალების ნიმუშებს.*



*კომენტარი*

*ციტატის შინაარსი V კლასის მოსწავლეებისთვის გასაგები ენით, სრულად არის გადმოცემული. შესაბამისად, პასუხი 2 ქულით შეფასდა.*



*კომენტარი*

*წარმოდგენილ პასუხში გვხვდება V კლასის მოსწავლეთათვის უცნობი (რთულად გასაგები) ტერმინები – ექსტრემალური, რეალური – რომლებიც არ არის განმარტებული, მოცემულია მხოლოდ ციტატის პერიფრაზი (განმარტების გარეშე). ამიტომ ის 0 ქულით შეფასდა.*

*შეფასების სქემა – II ნაწილი*

*<u>2 ქულა</u> – ციტატაში წარმოდგენილი თვალსაზრისი ილუსტრირებულია საბავშვო ლიტერატურული ნაწარმოებიდან სწორად შერჩეული კონკრეტული მაგალითით, მითითებულია ნაწარმოების ავტორი და სათაური;*

*<u>1 ქულა</u> – ციტატაში წარმოდგენილი თვალსაზრისი ილუსტრირებულია საბავშვო ლიტერატურული ნაწარმოებიდან სწორად შერჩეული კონკრეტული მაგალითით, თუმცა მითითებული არ არის ნაწარმოების ავტორი და სათაური;*

*<u>0 ქულა</u> – ციტატაში წარმოდგენილი თვალსაზრისის საილუსტრაციო მაგალითი არასწორადაა შერჩეული ან/და მაგალითი შერჩეულია არასაბავშვო ლიტერატურიდან; პასუხი არ არის მოცემული.*

*ციტატის საილუსტრაციოდ აპლიკანტებმა ამგვარი მაგალითები შემოგვთავაზეს (ორივე ნიმუში შეფასდა 2 ქულით):*





**6.** ნაწყვეტი ასტრიდ ლინდგრენის მოთხრობიდან ,,მაწანწალა რასმუსი''

რასმუსი ცაცხვის კენწეროზე თავის საყვარელ ტოტზე იჯდა და გულში ფიქრობდა, ზოგიერთი რამ ამ ქვეყანაზე სულაც არ უნდა გაჩენილიყოო. პირველ რიგში კი კარტოფილი! მოხარშული კარტოფილი, განსაკუთრებით, კვირა დღეს სადილზე თავისი საწებლით მორთმეული, რა თქმა უნდა, ასატანია; მაგრამ მინდორში ბუჩქ-ბუჩქად ამოსული, მიწის შემოყრა რომ სჭირდება, ჯობია, სულაც არ არსებობდეს. ფრეკენ ხიოკის გარეშეც მშვენივრად იცხოვრებდა ადამიანი. წეღან ხომ სწორედ იმან გამოაცხადა: ,,ჩვენ ხვალ მთელი დღე კარტოფილს მიწა უნდა შემოვუყაროთო''. კი თქვა, მაგრამ არ გეგონოთ, ფრეკენ ხიოკი თავად აპირებდეს მოხმარებას. იმუშავებენ მხოლოდ რასმუსი, გუნარი და თავშესაფრის სხვა ბავშვები. ბიჭებმა ზაფხულის პაპანაქებაში წელი უნდა მოიწყვიტონ. აბა, რა ხასიათზე უნდა დადგე, როცა ამ დროს ხედავ, როგორ მიიჩქარიან სოფლელი ბიჭები მდინარეზე საბანაოდ.

გუნარს შეშის ფარდულიდან თავი გამოეყო და რასმუსს აფრთხილებდა, ფრეკენ ხიოკი მოდისო. წამის შემდეგ, როცა ფრეკენ ხიოკი შეშის ფარდულთან მივიდა, რასმუსი ცაცხვის მწვანე ტოტებში უკვე აღარ ჩანდა. ფრეკენ ხიოკს არ მოსწონდა, ბიჭები რომ ჩიტებივით შემოსკუპდებოდნენ ხოლმე ხეებზე და უსაქმოდ დროს კარგავდნენ.

– არ იცი, სად არის რასმუსი? – ჰკითხა გუნარს ფრეკენ ხიოკმა.

რასმუსი შიშისგან უფრო მაგრად ჩაებღაუჭა ტოტს. ასე ტოტზე ჩამოკონწიალებული დიდხანს ვერ გაძლებდა. საკმარისი იყო, ხელები ოდნავ მოედუნებინა და ფრეკენ ხიოკის ცხვირწინ მოადენდა ზღართანს. თანაც რასმუსს თავშესაფრის ცისფერზოლიანი ხალათი ეცვა, რომელიც შორიდანვე თვალში ეცემოდა კაცს. ჩიტების საქმე კი სხვაგვარადაა. ხეებზე მათ თითქმის ვერ შეამჩნევთ. ბუნებამ ისინი დაცვითი შეფერილობით დააჯილდოვა, – აუხსნა მათ მასწავლებელმა. თავშესაფრის ბავშვების მიმართ ბუნება ესოდენ მწყალობელი არ გამოდგა. ამიტომ რასმუსს ისღა დარჩენოდა, გულით ენატრა: ღმერთო, ფრეკენ ხიოკი მალე წავიდეს აქედან, სანამ არ ჩამოვვარდნილვარო.

რასმუსს სწორედ ახლა გაახსენდა, სულ ცოტა ხნის წინათ ფრეკენ ხიოკი რომ ლანძღავდა, ისე ეშმაკივით მოთხუპნულხარ, ყველას თვალში ხვდებიო. თუ ფრეკენ ხიოკი ისევ ჭკუის სწავლებას დაუწყებს, უსათუოდ ეტყვის: ,,მე ახლა ვცდილობ, დაცვითი შეფერილობა შევიძინო''.

**1.** გამოყავით ზოგადი პრობლემა, რომელიც ამ ნაწყვეტშია წარმოდგენილი და იმსჯელეთ მის გამომწვევ მიზეზებზე.

---

*როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოსწავლეთათვის საბავშვო ლიტერატურული ნაწარმოების გაცნობა, წაკითხვა ძალზე მნიშვნელოვანია კითხვის უნარის გასავითარებლად, კითხვის მიმართ ინტერესის გასაღვივებლად, კარგ მკითხველად ჩამოსაყალიბებლად. გარდა ამისა, მასწავლებელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს ნაწარმოებში წარმოდგენილ პრობლემებზე და ამით დაეხმაროს მოსწავლეებს თანაგრძნობის უნარის, ჰუმანურობის, ადამიანის უფლებების პატივისცემის და, ზოგადად, ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბებაში.*

*შეფასების სქემა*

*<u>2 ქულა</u> – დასახელებულია პრობლემა (მზრუნველობას მოკლებული ბავშვები, ბავშვთა სახლების მდგომარეობა, აღმზრდელების სისასტიკე და არასამართლიანობა, ძალადობა ბავშვებზე, ბავშვთა უფლებების დაცვა თუ დაუცველობა...), აპლიკანტი მსჯელობს მის შესახებ. მსჯელობის გასამყარებლად უთითებს შესაბამის ფრაზებს ტექსტიდან;*

*<u>1 ქულა</u> – დასახელებულია პრობლემა (მზრუნველობას მოკლებული ბავშვები, ბავშვთა სახლების მდგომარეობა, აღმზრდელების სისასტიკე და არასამართლიანობა, ძალადობა ბავშვებზე, ბავშვთა უფლებების დაცვა თუ დაუცველობა...), თუმცა აპლიკანტი არ მსჯელობს მის შესახებ;*

*<u>0 ქულა</u> – პასუხი არ არის მოცემული; დასახელებულია არაარსებითი ან არაადეკვატური „პრობლემა“ (მაგ: სახიფათოა ბავშვების ხეზე ასვლა, ბავშვი ზარმაცი არ უნდა იყოს ...).*

2013 წლის საგამოცდო ტესტი I–VI კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებისთვის იხილეთ დანართში (გვ. 125).

# ბუნებისმეტყველების მასწავლებლის სასერტიფიკაციო ტესტი

გთავაზობთ I – VI კლასების ბუნებისმეტყველების მასწავლებელთა სასერტიფიკაციო ტესტის დავალებათა ნიმუშებს. ზოგიერთ მათგანს ახლავს სათანადო კომენტარი.

1. ჩამოთვლილთაგან რომელ ორგანიზმს ახასიათებს გარეგანი განაყოფიერება?
(ა) თევზებს
(ბ) ქვეწარმავლებს
(გ) ფრინველებს
(დ) ძუძუმწოვრებს
<u>**სწორი პასუხი:**</u> (ა).

2.1. ყლაპვის დროს სუნთქვა:
(ა) შეკავდება
(ბ) არ იცვლება
(გ) გააქტიურდება
(დ) შენელდება
<u>**სწორი პასუხი:**</u> (ა).

2.2. ახსენით ამ მოვლენის მიზეზი.

_____

*მოცემული დავალება ორი ნაწილისგან შედგება. პირველ ნაწილში აპლიკანტმა უნდა აირჩიოს სწორი პასუხი.*

*მეორე ნაწილის შესრულება გულისხმობს ამ პროცესის მექანიზმის მითითებას. ნერწყვის ან ლუკმის გადაყლაპვისას ხრტილოვანი, ელასტიური ხორხსარქველი ხორხს ხურავს და ნერწყვსა და საკვების ნაწილაკებს სასუნთქ გზებში მოხვედრის საშუალებას არ აძლევს.*

*აპლიკანტი ამ დავალებაში ქულას ორივე ნაწილის წარმატებით შესრულების შედეგად მოიპოვებს.*

3. რატომ არ შრება წყალი ზღვებსა და ოკეანეებში? როგორ აუხსნით ამ მოვლენას IV კლასის მოსწავლეებს?

_____

*ეს დავალება ამოწმებს როგორც საგნობრივ ცოდნას, ასევე მოსწავლეთათვის ცოდნის გადაცემის უნარს. თითოეული კომპონენტი 1 ქულით ფასდება.*

*1. დედამიწაზე არსებული წყლის რაოდენობა არ იცვლება მისი წრებრუნვის გამო. წყლის წრებრუნვა შემდეგი ძირითადი რგოლებისგან შემდგარი პროცესია: წყლის აორთქლება, ატმოსფეროში წყლის გადასვლა აირადიდან თხევად მდგომარეობაში (კონდენსაცია), შემდეგ დედამიწაზე ნალექის სახით დაბრუნება. ამ დროს წყალი კვლავ ოკეანეებში, ზღვებში, მდინარეებსა და ტბებში ხვდება.*

*2. ამ ნაწილის შესრულება გულისხმობს დავალებაში წარმოდგენილი მოვლენის ახსნას მოსწავლისთვის გასაგები ენით, სხვადასხვა ტერმინის (წრებრუნვა, აირი, თხევადი მდგომარეობა და ა.შ.) განმარტებას, პროცესის ილუსტრირებას შესაბამისი მაგალითებით – მარტივი ცდა, საყოფაცხოვრებო თუ ბუნებრივ მოვლენებზე მითითება (მაგალითად, აორთქლების საილუსტრაციოდ ლამბაქიდან წყლის აორთქლება, სარეცხის გაშრობა, ზაფხულში ნაკადულის დაშრობა და ა.შ.).*

**4**. როგორ აუხსნით VI კლასის მოსწავლეებს გლობალური დათბობის მიზეზებს?

---

*დღეისათვის დამტკიცებულია, რომ დედამიწაზე გლობალური დათბობის პროცესი მიმდინარეობს. მისი მთავარი მიზეზი ჰაერში ნახშირორჟანგის ($CO_2$) რაოდენობის მომატებაა. ცოცხალ ორგანიზმთა სუნთქვისა და საწვავის წვის შედეგად ატმოსფეროში დაგროვებული* **$CO_2$,** *მეთანი, წყლის ორთქლი ისეთივე როლს ასრულებს, როგორსაც სათბურში მინა: ეს ნივთიერებები დაუბრკოლებლად ატარებენ სინათლის სხივებს, რომელთაც დედამიწა შთანთქავს, მაგრამ არ ატარებენ დედამიწიდან წამოსულ სითბურ გამოსხივებას. ამ მოვლენას „სათბურის ეფექტი“ უწოდეს. „სათბურის ეფექტის“ გამო დედამიწის საშუალო წლიურმა ტემპერატურამ 0,3-0,6$^0$C-ით მოიმატა. მოსალოდნელია მისი შემდგომი მატებაც, რაც კლიმატის ცვლილების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია.*

**5.** რა განაპირობებს გეოგრაფიულად დაშორებულ ადგილებში ერთი და იმავე ბიომების არსებობას? ჩამოთვალეთ დედამიწაზე არსებული მთავარი ბიომები.

---

*გეოგრაფიულად დაშორებულ ადგილებში ერთი და იმავე ბიომების არსებობას მსგავსი კლიმატი განაპირობებს (1 ქულა).*

*ქვემოთ სქემის სახით წარმოდგენილია ძირითადი ბიომები:*




*დედამიწაზე არსებული ბიომების სწორად დასახელებისას აპლიკანტი 1 ქულას მოიპოვებს.*

**6.** ფოტოსურათების მიხედვით ამოიცანით მზის სისტემის პლანეტები:

ა

ბ



გ

დ

(ა) _____
(ბ) _____
(გ) _____
(დ) _____

დავალების შესრულების პრინციპები:

- *ვაკვირდებით პლანეტების ზედაპირს. ორი პლანეტის (გ, დ) ზედაპირი აბსოლუტურად გლუვია, ხოლო ორ (ა, ბ) პლანეტაზე შეინიშნება მეტეორიტული კრატერების კვალი. შესაბამისად, (ა) და (ბ) პლანეტები მყარი პლანეტებია, ხოლო დანარჩენი – გაზოვანი.*
- *ამის შემდეგ უნდა განვსაზღვროთ, მზის სისტემაში არსებული 4 მყარი პლანეტიდან (დედამიწა, მერკური, ვენერა და მარსი) რომელია გამოსახული (ა) სურათზე და რომელი (ბ)-ზე. დედამიწა იმთავითვე გამოირიცხება, რადგან მასზე მკაფიოდ იქნებოდა გამოსახული კონტინენტები და ოკეანეები. როგორც ვიცით, დარჩენილი სამი მყარი პლანეტიდან ვენერას საკმაოდ კარგად ჩამოყალიბებული ატმოსფერო აქვს, რის გამოც მისი რელიეფის გარჩევა კოსმოსიდან საკმაოდ ჭირს, ე. ი. ვენერაც გამოირიცხა. ასევე ცნობილია, რომ მარსზე დიდი რაოდენობის რკინის შემცველობაა და ამის გამო იგი კოსმოსიდან წითლად მოჩანს. მაშასადამე, (ბ) სურათზე გამოსახულია მარსი, ხოლო (ა)-ზე – მერკური.*
- *იუპიტერს გაზოვან გიგანტებს შორის გამოარჩევს ე.წ. „გიგანტური წითელი ლაქა“. გარდა ამისა, ფოტოზე ნაჩვენებია მისი 4 თანამგზავრი ე.წ. „გალილეოს მთვარეები“, რაც კიდევ ერთი მინიშნებაა იმაზე, რომ (დ) სურათზე იუპიტერია გამოსახული.*
- *ურანს გაზოვან გიგანტებს შორის გამოარჩევს მისი წარმოსახვითი ღერძის უცნაური დახრილობა. იგი თითქოს „წამოწოლილია“ და ისე მოძრაობს ორბიტაზე მზის გარშემო. ამაზე მიგვანიშნებს (გ) სურათზე გამოსახული პლანეტის რგოლების მდებარეობა. მაშასადამე, (გ) სურათზე გამოსახულია პლანეტა ურანი.*

***ამრიგად, სწორი პასუხია:***
*(ა) მერკური*
*(ბ) მარსი*
*(გ) ურანი*
*(დ) იუპიტერი*
*დავალება 1 ქულით ფასდება.*

7. საქართველოს კონტურულ რუკაზე ზოგიერთი გეოგრაფიული ობიექტის სახელწოდება არასწორადაა დატანილი. იპოვეთ დაშვებული შეცდომები და გაასწორეთ.


რ უ ს ე თ ი
სოხუმი
ფოთი
ბათუმი
ქუთაისი
ტყიბულის წყალსც.
ფარავნის ტბა
ცხინვალი
ბორჯომი
ახალციხე
ახალქალაქი
ბოლნისი
ბაკურიანი
ბაკურიანის ქედი
ბაკურიანის ქედი
ბაკურიანი
ბაკურიანი
ბაკურიან

# მათემატიკის მასწავლებლის სასერტიფიკაციო ტესტი

გთავაზობთ I – VI კლასების მათემატიკის მასწავლებელთა სასერტიფიკაციო ტესტის დავალებათა რამდენიმე ნიმუშს. ზოგიერთ მათგანს ახლავს სათანადო კომენტარი.

1. რიცხვებიდან $\frac{7}{5}$, $\frac{1}{2}$, $\frac{5}{3}$, $\frac{32}{15}$, $\frac{9}{5}$ რამდენია $\frac{7}{4}$-ზე მეტი?

(ა) 1
(ბ) 2
(გ) 3
(დ) 4

<u>**სწორი პასუხი:**</u> (ბ).

2. დემოკრატიულ პარტიას არჩევნებზე ხმა მისცა ამომრჩეველ მამაკაცთა საერთო რაოდენობის 40%-მა და ამომრჩეველ ქალთა საერთო რაოდენობის 45%-მა. სულ ამ პარტიას ხმა მისცა ამომრჩეველ მამაკაცთა და ქალთა საერთო რაოდენობის $n$%-მა. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომლის ტოლი შეიძლება იყოს $n$?

(ა) 36
(ბ) 40
(გ) 44
(დ) 50

<u>**სწორი პასუხი:**</u> (გ).

3. გასათიბი იყო მართკუთხედის ფორმის მინდორი. მას შემდეგ, რაც მთიბავმა 2 საათის განმავლობაში იმუშავა, გასათიბი დარჩა მინდვრის ნაწილი, რომელსაც ასევე მართკუთხედის ფორმა ჰქონდა და რომლის სიგრძე 3-ჯერ ნაკლები იყო მინდვრის სიგრძეზე, ხოლო სიგანე – 2-ჯერ ნაკლები მინდვრის სიგანეზე. რამდენი წუთია საჭირო მინდვრის დარჩენილი ნაწილის გასათიბად, თუ მთიბავი იმავე ტემპით გააგრძელებს მუშაობას?

(ა) 20 წთ
(ბ) 24 წთ
(გ) 30 წთ
(დ) 36 წთ

<u>**სწორი პასუხი:**</u> (ბ).

4. რას უდრის ტოლფერდა სამკუთხედის ფუძის სიგრძის შეფარდება ამ სამკუთხედის პერიმეტრთან, თუ ფერდის სიგრძე 4-ჯერ მეტია ფუძის სიგრძეზე?

(ა) $\frac{1}{9}$
(ბ) $\frac{1}{6}$
(გ) $\frac{1}{5}$
(დ) $\frac{1}{4}$

<u>**სწორი პასუხი:**</u> (ა).

**5.** ქალაქის ყველა სკოლაში ასწავლიან გერმანულ ან ინგლისურ ენას. იმ სკოლათა რაოდენობა, რომლებშიც გერმანულ ენას ასწავლიან, ქალაქის სკოლათა საერთო რაოდენობის $\frac{5}{9}$ ნაწილია, ხოლო იმ სკოლათა რაოდენობა, რომლებშიც ინგლისურ ენას ასწავლიან – $\frac{2}{3}$ ნაწილი. ქალაქის 12 სკოლაში ასწავლიან გერმანულ ენასაც და ინგლისურ ენასაც. სულ რამდენი სკოლაა ამ ქალაქში?

(ა) 36

(ბ) 45

(გ) 54

(დ) 63

<u>**სწორი პასუხი:**</u> (გ).

*ტესტში გამოყენებული იქნება აგრეთვე მონაცემთა საკმარისობის ტიპის დავალებები, რომლებშიც, ჩვეულებრივ, მოცემულია ორი პირობა და დასმულია შეკითხვა. დავალების შესასრულებლად უნდა დაადგინოთ, საკმარისია თუ არა პირობებში მოცემული ინფორმაცია ამ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად. მონაცემთა საკმარისობის დავალებებში სწორი პასუხი ხუთი სავარაუდო პასუხიდან უნდა აირჩიოთ.*

**1.** ერთმანეთისგან განსხვავებული სამი ნატურალური რიცხვის – $a$, $b$, და $c$ – ჯამი 15-ის ტოლია.

მოცემულია შემდეგი ორი პირობა:

I. ამ რიცხვებიდან უმცირესი 4-ის ტოლია.

II. ამ რიცხვებიდან უდიდესი 6-ის ტოლია.

იმის გასარკვევად, თუ რისი ტოლია ეს რიცხვები:

(ა) I პირობა საკმარისია, II კი – არა

(ბ) II პირობა საკმარისია, I კი – არა

(გ) I და II პირობა ერთად საკმარისია, ცალ-ცალკე კი – არც ერთი არაა საკმარისი

(დ) საკმარისია ცალ-ცალკე როგორც I, ასევე II პირობა

(ე) მოცემული პირობები არაა საკმარისი

<u>**სწორი პასუხი:**</u> (დ).

***კომენტარი***

*ჯერ გავარკვიოთ, საკმარისია თუ არა I პირობა შეკითხვაზე პასუხის გასაცემად. ვთქვათ, $a$, $b$, და $c$ ნატურალური რიცხვებიდან უმცირესი 4-ის ტოლია. მაშინ დანარჩენი ორი რიცხვიდან თითოეული 4-ზე მეტი უნდა იყოს. რაკი სამივე რიცხვის ჯამი 15-ის ტოლია, ამიტომ მეორე და მესამე რიცხვების ჯამი იქნება $15 - 4 = 11$. 4-ზე მეტი ნატურალური რიცხვებიდან კი მხოლოდ 5-ის და 6-ის ჯამია 11-ის ტოლი. ამიტომ $a$, $b$, და $c$ რიცხვები ყოფილა 4, 5 და 6. მაშასადამე, იმის გასარკვევად, თუ რისი ტოლია $a$, $b$, და $c$ რიცხვები, I პირობა საკმარისია.*

*ახლა გავარკვიოთ, შეკითხვაზე პასუხის გასაცემად საკმარისია თუ არა II პირობა. ვთქვათ, a, b, და c ნატურალური რიცხვებიდან უდიდესი 6-ის ტოლია. მაშინ დანარჩენი ორი რიცხვიდან თითოეული 6-ზე ნაკლები უნდა იყოს. რაკი სამივე რიცხვის ჯამი 15-ის ტოლია, ამიტომ მეორე და მესამე რიცხვების ჯამი იქნება 15 – 6 = 9. 6-ზე ნაკლები ნატურალური რიცხვებიდან კი მხოლოდ 4-ის და 5-ის ჯამია 9-ის ტოლი. ამიტომ a, b, და c რიცხვები ყოფილა 4, 5 და 6. მაშასადამე, იმის გასარკვევად, თუ რისი ტოლია a, b, და c რიცხვები, II პირობაც საკმარისია.*

*ამრიგად, იმის გასარკვევად, თუ რისი ტოლია a, b, და c რიცხვები, საკმარისია ცალ-ცალკე როგორც I, ასევე II პირობა. შესაბამისად, სწორი პასუხია (დ).*

*ტესტში გამოყენებული იქნება აგრეთვე დავალებები ღია დაბოლოებით, რომელთა შესრულებისას აპლიკანტს მოეთხოვება დასმულ შეკითხვაზე არგუმენტირებული პასუხის გაცემა. გთავაზობთ ამგვარი დავალების ნიმუშსა და მისი შეფასების სქემას.*

7. რომელი ციფრით ბოლოვდება $9^{2011}+7^{2011}$ გამოსახულების მნიშვნელობის ციფრული ჩანაწერი?

---

*კომენტარი*

*ამ ამოცანის ამოსახსნელად გავარკვიოთ, თუ რომელი ციფრით შეიძლება დაბოლოვდეს 7-ის და 9-ის ხარისხების მნიშვნელობათა ციფრული ჩანაწერები.*

$9^1$ *ბოლოვდება 9-იანით,* $9^2$ *– 1-იანით,* $9^3$ *– ისევ 9-იანით,* $9^4$ *– ისევ 1-იანით და ასე შემდეგ. ესე იგი, 9-ის ხარისხების ჩანაწერების ბოლო ციფრების მიმდევრობაა: 9, 1, 9, 1, 9, 1, .... როგორც ვხედავთ, 9-ის კენტი ხარისხები ბოლოვდება 9-იანით, ხოლო ლუწი ხარისხები – 1-იანით. შესაბამისად,* $9^{2011}$ *დაბოლოვდება 9-იანით.*

*ასევე მივიღებთ, რომ 7-ის ხარისხების ჩანაწერების ბოლო ციფრების მიმდევრობაა: 7, 9, 3, 1, 7, 9, 3, 1, 7, 9, 3, 1, .... როგორც ვხედავთ,* $7^1$, $7^5$, $7^9$, *... ბოლოვდება 7-იანით,* $7^2$, $7^6$, $7^{10}$, *... – 9-იანით,* $7^3$, $7^7$, $7^{11}$, *... – 3-იანით, ხოლო* $7^4$, $7^8$, $7^{12}$, *... – 1-იანით. ესე იგი, თუ 7-ის ხარისხის მაჩვენებლის 4-ზე გაყოფისას მიღებული ნაშთი 1-ის ტოლია, მაშინ მისი ჩანაწერი ბოლოვდება 7-იანით; თუ ნაშთი 2-ის ტოლია – 9-იანით, თუ ნაშთი 3-ის ტოლია – 3-იანით, ხოლო თუ ხარისხის მაჩვენებელი უნაშთოდ იყოფა 4-ზე, მაშინ – 1-იანით. 2011-ის 4-ზე გაყოფისას მიღებული ნაშთი 3-ის ტოლია. ამიტომ* $7^{2011}$ *დაბოლოვდება 3-იანით.*

*რაკი* $9^{2011}$ *ბოლოვდება 9-იანით, ხოლო* $7^{2011}$ *– 3-იანით, ამიტომ* $9^{2011}+7^{2011}$ *ჯამის მნიშვნელობის ციფრული ჩანაწერი დაბოლოვდება 2-იანით.*

*შეფასების სქემა*

*3 ქულა – აპლიკანტმა დაწერა სწორი პასუხი და დაასაბუთა;*

*2 ქულა – აპლიკანტმა დაასაბუთა, რომ* $7^{2011}$ *ბოლოვდება 3-იანით;*

*1 ქულა – აპლიკანტმა დაასაბუთა, რომ* $9^{2011}$ *ბოლოვდება 9-იანით; დაწერა, რომ* $7^{2011}$ *ბოლოვდება 3-იანით, მაგრამ არ დაასაბუთა;*

*0 ქულა – აპლიკანტმა არ მიუთითა პასუხი.*

**2013 წლის საგამოცდო ტესტი I–VI კლასების მათემატიკის მასწავლებლებისთვის იხილეთ დანართში (გვ. 184).**

# რეკომენდებული ლიტერატურა:


გამოცდების ეროვნული ცენტრის გამოცემები, 2010-2012:

- პროფესიული უნარები;
- ეფექტიანი სწავლება: თეორია და პრაქტიკა;
- როგორ ვასწავლოთ კითხვა (ქრესტომათია დაწყებითი კლასების პედაგოგებისათვის) წიგნიერება. PIRLS - 2006 საქართველოში;
- მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლისა და სწავლების საერთაშორისო კვლევა (TIMSS 2007) – მათემატიკა;
- მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლისა და სწავლების საერთაშორისო კვლევა (TIMSS 2007) – საბუნებისმეტყველო საგნები;
- ვსწავლობთ ტექსტის გააზრებას (2 კრებული);
- როგორ ვიცით მათემატიკა;
- ხუთტომეული ,,მასწავლებლის ბიბლიოთეკა'' (ქართული ენა და ლიტერატურა).

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის გამოცემა:

- დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მეთოდური გზამკვლევი.

## დანართი

# დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთა საგამოცდო პროგრამა

## ქართული ენა და ლიტერატურა (I – IV)

დაწყებითი საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის სასერტიფიკაციო ტესტით მოწმდება მასწავლებლის შემდეგი **პროფესიული უნარ-ჩვევები:**

- სხვადასხვა ტიპის, სტილისა და ჟანრის მხატვრული და არამხატვრული ტექსტების გაანალიზების უნარი შინაარსობრივი, იდეური, ფუნქციური თვალსაზრისით;
- ტექსტის ანალიზის უნარი სტრუქტურისა და ენობრივ-გამომხატველობითი საშუალებების გათვალისწინებით;
- წერის პროცესში მიზნისა და აუდიტორიის შესაბამისი სტრატეგიების შერჩევისა და გამოყენების უნარი: დაგეგმვა, კომპოზიციის აგება, საკუთარი ნაწერის გადასინჯვა, რედაქტირება (ტექსტის ჩასწორება ენობრივ-სტილური თვალსაზრისით) და კორექტირება (სასვენი ნიშნების სწორად დასმა და ორთოგრაფიული შეცდომების ჩასწორება);
- სხვადასხვა ტიპის წერილობითი ტექსტის შექმნის უნარი მიზნისა და აუდიტორიის შესაბამისი მახასიათებლებისა და ენობრივი ნორმების დაცვით (წერილი, ბარათი, ინსტრუქცია, ინტერვიუ, ადმინისტრაციული ტექსტები, დარგობრივი ტექსტები და სხვა);
- მოსწავლის შემეცნებითი, სოციალურ-კომუნიკაციური და ფიზიკური უნარების განმავითარებელი მეთოდების გამოყენების უნარი;
- კითხვისა და წერის სწავლების მეთოდების (ფონეტიკური, მთლიანი ენის და დაბალანსებული) გამოყენების უნარი;
- კითხვისა და წერის სწავლების სტრატეგიების გამოყენების უნარი.

### საგამოცდო საკითხთა ჩამონათვალი

ა) ქართული ენა

**ზოგადი ცნობები ენის შესახებ**

- ენის რაობა და ფუნქციები. ქართული ენის ბუნება. ქართული ენის ადგილი მსოფლიო ენათა შორის. ქართველური ენები. ქართული ენის დიალექტები. ქართული ენის როლი ქართველური ტომების ეროვნული და სახელმწიფოებრივი ჩამოყალიბების პროცესში.
- ქართული დამწერლობის წარმოშობა. ქართული დამწერლობის სახეები. ქართული დამწერლობის უძველესი ნიმუშები.
- ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ძირითადი ეტაპები. თანამედროვე სალიტერატურო ქართული, როგორც საქართველოს სახელმწიფო ენა.

**ფონეტიკა**

- თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ბგერითი შედგენილობა. ბგერა და ფონემა. ქართული ანბანი. ბგერათა დახასიათება წარმოთქმის ადგილისა და რაგვარობის მიხედვით. თანხმოვანთა და ხმოვანთა სისტემები.
- დამარცვლის საფუძველი და გადატანის წესები. ღია და დახურული მარცვალი.
- ძირითადი ფონეტიკური მოვლენები.

**მორფოლოგია**

- სიტყვა. ფორმაცვალებადი და ფორმაუცვლელი სიტყვები. გრამატიკული კატეგორიის რაობა. სიტყვის მორფოლოგიური აგებულება: ძირი, ფუძე, მორფემა, აფიქსები.
- მეტყველების ნაწილები. მათი კლასიფიკაციის საფუძველი.
- არსებითი სახელი. არსებით სახელთა დაჯგუფება შინაარსის მიხედვით. რიცხვი. ბრუნება. ბრუნვები და მათი ნიშნები. ბოლოთანხმოვნიან და ბოლოხმოვნიან სახელთა ბრუნება.

საკუთარ სახელთა ბრუნება. თანდებულიანი ბრუნვები. ნაწილაკიანი ბრუნვები. არსებითი სახელის ბრუნებასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები.

- ზედსართავი სახელი. თანხმოვანფუძიანი და ხმოვანფუძიანი ზედსართავი სახელის ბრუნება. ზედსართავი სახელის ბრუნებასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები.
- რიცხვითი სახელი. რიცხვითი სახელის სახეები. რიცხვითი სახელის ბრუნება. რიცხვით სახელთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები.
- ნაცვალსახელი. ნაცვალსახელთა ჯგუფები. ნაცვალსახელთა ბრუნება. ნაცვალსახელთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები.
- ზმნა. ზმნის კატეგორიები. პირისა და რიცხვის ასახვა ზმნაში. სუბიექტური და ობიექტური პირის ნიშნები. ზმნისწინი. დრო. კილო. ასპექტი. გარდამავლობა. გვარი. ქცევა. კონტაქტი. სერიები და მწკრივები. ზმნის ძირი, ფუძე, თემა. თემის ნიშნები. უღლება. ზმნის ფორმაწარმოებასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები.
- სახელზმნა. საწყისი და მიმღეობა. მათი წარმოება.
- ზმნიზედა. ზმნიზედათა დაჯგუფება.
- თანდებული. ცალკე მდგომი და სახელთან შერწყმული თანდებულები.
- კავშირი. კავშირის სახეები.
- ნაწილაკი. ნაწილაკთა ჯგუფები.
- შორისდებული. შორისდებულთა ჯგუფები.

**სინტაქსი**

- სინტაქსის საგანი. წინადადება. სიტყვათა სინტაქსური შეკავშირება. შესიტყვება. წინადადების წევრთა დაწყვილება.
- წინადადების ტიპები მოდალობის მიხედვით: თხრობითი, კითხვითი, ძახილისა, ბრძანებითი და კითხვით-ძახილისა. მათი გამოხატვის საშუალებანი: ინტონაცია, სიტყვათა წყობა, დამხმარე სიტყვები და ნაწილაკები.
- წინადადების ტიპები აგებულების მიხედვით: მარტივი, შერწყმული და რთული.
- წინადადების წევრები. წინადადების მთავარი (ქვემდებარე, შემასმენელი, პირდაპირი და ირიბი დამატებები) და მეორეხარისხოვანი (უბრალო დამატება, განსაზღვრება და გარემოებები) წევრები.
- სიტყვათა წყობა წინადადებაში. სიტყვათა წყობის მნიშვნელობა სტილისტიკისთვის.
- განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები. სასვენი ნიშნების ხმარება განკერძოებულ სიტყვებთან და გამოთქმებთან.
- სასვენი ნიშნების ხმარება რთულ თანწყობილსა და ქვეწყობილ წინადადებებში.
- პირდაპირი და ირიბი ნათქვამი. სხვათა სიტყვის ნაწილაკები. სასვენი ნიშნები. სხვათა სიტყვის მართლწერა.

**ლექსიკოლოგია**

- ლექსიკოლოგიის საგანი. ლექსიკური ერთეული.
- სიტყვა მნიშვნელობის თვალსაზრისით. სიტყვის გამოყენება ძირითადი და გადატანითი მნიშვნელობით. სიტყვის მნიშვნელობის ცვლა ისტორიულად. სიტყვის ეტიმოლოგია. სიტყვის პოლისემიურობა. პოლისემია და ომონიმია. სინონიმია, ანტონიმია.
- ფრაზეოლოგიზმები და იდიომები.
- დიალექტიზმები, პროფესიული ლექსიკა, ჟარგონი, ბარბარიზმები, ნეოლოგიზმები, არქაიზმები.
- სიტყვაწარმოება, როგორც ლექსიკოლოგიის საგანი. ძირეული და წარმოქმნილი სახელები. წარმოქმნილ სახელთა ჯგუფები მაწარმოებელი აფიქსებისა და შინაარსის მიხედვით.
- კომპოზიტები. კომპოზიტების მართლწერა.

**სტილისტიკა**

- სტილისტიკის საგანი. სტილის რაობა.
- ფუნქციური სტილისტიკა. მწიგნობრული და სასაუბრო სტილი. პუბლიცისტური და მხატვრული სტილი. სამეცნიერო და ოფიციალურ-საქმიანი სტილი. ორატორული სტილი.
- ლექსიკური სტილისტიკა. სიტყვათა შერჩევა მნიშვნელობის მიხედვით. თავაზიანობის გამომხატველი სიტყვები. სტილისტური ხარვეზები.

**ბ) ლიტერატურა**

**ლიტერატურისმცოდნეობითი ტერმინები:**

- ტროპი, მეტაფორა, ჰიპერბოლა, განმეორება, გაპიროვნება, ეპითეტი, შედარება, სიმბოლო, მხატვრული ენა, მხატვრული სახე, პეიზაჟი, პორტრეტი, პერსონაჟი, გროტესკი, ირონია, იუმორი, სატირა, ხატოვანი თქმა, ინტონაცია, ალეგორია, ალიტერაცია, პერიფრაზი;
- ჟანრი, პოეზია, პროზა, რომანი, ლირიკა, ლექსი, ელეგია, ბალადა, ეპოსი, ჰიმნი, პოემა, ზღაპარი, თქმულება, იგავ-არაკი, ლეგენდა, მითი, მოთხრობა, ნოველა, ანდაზა, აფორიზმი, პიესა, ესეი, ბიოგრაფია, მემუარები, დრამა, კომედია, ტრაგედია;
- სიუჟეტი, კომპოზიცია, პროლოგი, ეპილოგი, ეპიგრაფი, დიალოგი, მონოლოგი, სტროფი, ტაეპი, ფაბულა, ციტატა, შაირი, რითმა, რიტმი.

**რეკომენდებულ ავტორთა ჩამონათვალი*:**

შოთა რუსთაველი, სულხან-საბა ორბელიანი, დავით გურამიშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, იაკობ გოგებაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, სიმონ ჩიქოვანი, იოსებ გრიშაშვილი, გიორგი შატბერაშვილი, ლადო ასათიანი, გურამ რჩეულიშვილი, ირაკლი აბაშიძე, მურმან ლებანიძე, ნოდარ დუმბაძე, რევაზ ინანიშვილი, არჩილ სულაკაური, გოდერძი ჩოხელი, ანა კალანდაძე, მუხრან მაჭავარიანი, ოთარ ჭილაძე, ოტია იოსელიანი.

ჰანს კრისტიან ანდერსენი, ძმები გრიმები, შარლ პერო, ასტრიდ ლინდგრენი, რედიარდ კიპლინგი, ალან ალექსანდრ მილნი, კარელ ჩაპეკი, ოსკარ უაილდი, ერნსტ თეოდორ ჰოფმანი, მარკ ტვენი, ჟიულ ვერნი, ჯანი როდარი, ალექსანდრ პუშკინი, კორნეი ჩუკოვსკი, ალექსეი ტოლსტოი.

## მათემატიკა (I – IV)

დაწყებითი საფეხურის მათემატიკის მასწავლებლის სასერტიფიკაციო ტესტით მოწმდება მასწავლებლის შემდეგი **პროფესიული უნარ-ჩვევები:**

- მოსწავლის შემეცნებითი, სოციალურ-კომუნიკაციური და ფიზიკური უნარების განმავითარებელი მეთოდების გამოყენების უნარი;
- კითხვისა და წერის სწავლების მეთოდების გამოყენების უნარი;
- კითხვისა და წერის სწავლების სტრატეგიების გამოყენების უნარი.
- მოსწავლეების მიერ მათემატიკური ტერმინოლოგიის, აღნიშვნებისა და სიმბოლოების გამოყენების, ინფორმაციის წარმოდგენის ხერხების გამოყენების, ინფორმაციის ურთიერთდაკავშირების, მასზე მსჯელობის, მონაცემთა შერჩევის, მოპოვებისა და ინტერპრეტირების ხელშეწყობის უნარი.
- აქტივობის ისე შერჩევის უნარი, რომ მოსწავლემ შეძლოს ცნებებისა და მიმართებების ათვისება მანიპულირების საშუალებით (ფიგურების და ობიექტების ზომების, აგრეთვე მათ შორის მანძილების გასაზომად გზების, მეთოდების პოვნა და გამოყენება, ამოცანის შინაარსის აღქმა, ამოცანის მონაცემებისა და საძიებელი სიდიდეების გააზრება, კეთებით სწავლა, ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენება, პრობლემის გადაჭრა, კანონზომიერების აღმოჩენა, დადგენა);

* ჩამონათვალში წარმოდგენილნი არიან ის ქართველი თუ უცხოელი ავტორები, რომელთა შემოქმედებაშიც გვხვდება საბავშვო ლიტერატურული ნაწარმოებები

- მათემატიკის მიმართ მოსწავლის მიდრეკილების, ნიჭის გამოვლენის და მათი განვითარების ხელშეწყობის მიზნით სათანადო სტრატეგიის დაგეგმვისა და განხორციელების უნარი;
- სახალისო და მრავალფეროვანი აქტივობების გამოყენების უნარი, რომლებიც გამოიწვევენ ინტერესს და დადებითად განაწყობენ მოსწავლეებს მათემატიკისადმი, როგორც საჭირო და მნიშვნელოვანი საგნისადმი;
- სასწავლო მიზნის მისაღწევად, მათემატიკის სპეციფიკური ტერმინებისა და დაგეგმილი აქტივობების ინსტრუქციის მკაფიოდ, გასაგები ენით ჩამოყალიბებისა და მოსწავლეთათვის მათი ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით მიწოდების უნარი;
- მათემატიკის საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, დავალებებისა და აქტივობების შეფასების სათანადო კრიტერიუმების შემუშავების, მათი წონის განსაზღვრისა და დონეების გამოყოფის უნარი;
- მოსწავლეთა მრავალმხრივი, მათემატიკური აზროვნების, საგნის სპეციფიკური უნარ-ჩვევების განვითარების უზრუნველსაყოფად შეფასების გამოყენების უნარი.

## საგამოცდო საკითხთა ჩამონათვალი

### მიმართულება: რიცხვები და მოქმედებები

**ნატურალური რიცხვები, მარტივი და შედგენილი რიცხვები, გამყოფი და ჯერადი**

რიცხვის რაობა (რიცხვი, როგორც რაოდენობის აღმნიშვნელი).
რიცხვის ჩაწერა ციფრებით, სიტყვებით, რიცხვის ჩაწერის რომაული სისტემა.
არითმეტიკული მოქმედებები ნატურალურ რიცხვებზე. ნაშთიანი გაყოფა.
ნატურალური რიცხვის დაშლა მარტივ მამრავლებად. დაშლის ერთადერთობა (არითმეტიკის ძირითადი თეორემა).
რამდენიმე ნატურალური რიცხვის უდიდესი საერთო გამყოფისა და უმცირესი საერთო ჯერადის პოვნა.
გაყოფადობის ნიშნები და მათი კავშირი ათობით პოზიციურ სისტემასთან.

**მთელი და რაციონალური რიცხვები**

დადებითი და უარყოფითი რიცხვები, რაციონალური რიცხვების წარმოდგენა წილადებისა და ათწილადების სახით, რიცხვის ჩაწერის ათობითი პოზიციური სისტემა.
რაციონალური რიცხვების შედარება, რიცხვითი უტოლობები და მათი თვისებები.
არითმეტიკული მოქმედებები რაციონალურ რიცხვებზე, არითმეტიკულ მოქმედებათა თვისებები.
რიცხვითი გამოსახულებები, მოქმედებათა თანმიმდევრობა რიცხვით გამოსახულებებში.

**რიცხვთა ღერძი, რიცხვითი შუალედები**

წერტილის კოორდინატი რიცხვთა ღერძზე, რაციონალური რიცხვის შესაბამისი წერტილის გამოსახვა რიცხვთა ღერძზე.

**პროპორცია**

პროპორციულობა, პროპორციის თვისებები, პროპორციის უცნობი წევრის პოვნა, რიცხვის დაყოფა მოცემული შეფარდებით, პირდაპირპროპორციული და უკუპროპორციული დამოკიდებულება სიდიდეებს შორის.

**რიცხვის ნაწილი, პროცენტი**

რიცხვის ნაწილის პოვნა, რიცხვის პოვნა მისი პროცენტით/ნაწილით, რიცხვის ნაწილის ჩაწერა პროცენტის სახით.

**ხარისხი**
რიცხვის ხარისხი ნატურალური მაჩვენებლით.

**სიდიდის ერთეულები**
სიგრძის, მასის, დროის, სიჩქარის ერთეულები. ერთი და იმავე სიდიდის ერთეულებს შორის კავშირი.

## მიმართულება: კანონზომიერება და ალგებრა

**სიმრავლე, სიმრავლეებს შორის მიმართებები, მოქმედებები სასრულ სიმრავლეებზე**
სიმრავლე, ქვესიმრავლე, ცარიელი სიმრავლე.
ოპერაციები სიმრავლეებზე: სიმრავლეთა გაერთიანება, თანაკვეთა.

**ალგებრული გამოსახულება**
მოქმედებები გამოსახულებებზე, გამოსახულების გარდაქმნა, ალგებრული გამოსახულების მნიშვნელობის გამოთვლა ასოების მითითებული მნიშვნელობისათვის.

**განტოლება**
განტოლება და მისი ამონახსნი, ტოლფასი განტოლებები, წრფივი განტოლების ამოხსნა.
ამოცანების ამოხსნა განტოლების გამოყენებით.

## მიმართულება: გეომეტრია და სივრცის აღქმა

**ძირითადი გეომეტრიული ობიექტები და ცნებები**
წერტილი, წრფე, სხივი, მონაკვეთი, ტეხილი.
მონაკვეთის სიგრძე, ტეხილის სიგრძე, მანძილი ორ წერტილს შორის, მანძილის თვისება.
კუთხე, კუთხის გრადუსული ზომა, მართი, მახვილი, ბლაგვი და გაშლილი კუთხეები.

**წრფეების ურთიერთგანლაგება სიბრტყეზე**
წრფეთა თანაკვეთა, პარალელობა, მართობულობა.

**მრავალკუთხედი**
მრავალკუთხედის გვერდი, წვერო, კუთხე, დიაგონალი, პერიმეტრი.

**გეომეტრიული გარდაქმნები სიბრტყეზე**
ფიგურათა ტოლობა. ღერძული და ცენტრული სიმეტრიები.

**სამკუთხედი**
სამკუთხედის გვერდი, კუთხე, წვერო, მედიანა, ბისექტრისა, სიმაღლე.
მართკუთხა, მახვილკუთხა, ბლაგვკუთხა, ტოლფერდა, ტოლგვერდა სამკუთხედები და მათი თვისებები.
სამკუთხედის კუთხეების ჯამი.
სამკუთხედის უტოლობა.

**პარალელოგრამი**
პარალელოგრამის გვერდების, კუთხეებისა და დიაგონალების თვისებები.
რომბი, მართკუთხედი, კვადრატი და მათი თვისებები.

**ტრაპეცია**
ტრაპეციის ფუძე, ფერდი, სიმაღლე.

**ბრტყელი ფიგურის ფართობი**
ტოლი ფიგურების ფართობების ტოლობა, ბრტყელი ფიგურის ფართობის კავშირი მისი შემადგენელი ნაწილების ფართობებთან;
კვადრატის, მართკუთხედის, სამკუთხედის ფართობის გამოთვლა.

**წრეწირი და წრე**
წრეწირის და წრის ცენტრი, რადიუსი, დიამეტრი, ქორდა, რკალი, სექტორი.

**მართკუთხა კოორდინატთა სისტემა სიბრტყეზე**
წერტილის კოორდინატები, რიცხვთა წყვილის შესაბამისი წერტილის გამოსახვა საკოორდინატო სიბრტყეზე.

**სივრცითი სხეულები და მათი შლილები**
მრავალწახნაგა. მრავალწახნაგას წვერო, წიბო, წახნაგი. კავშირი მრავალწახნაგას შემადგენელი ნაწილების რაოდენობებს შორის.
კუბის, მართკუთხა პარალელეპიპედის, მართი პრიზმის, პირამიდის, ცილინდრის და კონუსის შლილები.

**სივრცითი სხეულის მოცულობა და ზედაპირის ფართობი.**
სხეულის მოცულობა, კავშირი სხეულის მოცულობასა და მისი შემადგენელი სხეულების მოცულობათა შორის.
კუბის და პარალელეპიპედის გვერდითი და სრული ზედაპირის ფართობისა და მოცულობის გამოთვლა.
**ზომის ერთეულები.**
სიგრძის, ფართობის, მოცულობის ერთეულები და კავშირები მათ შორის.

**მონაცემთა ანალიზი, ალბათობა და სტატისტიკა**
მონაცემთა წარმოდგენის ხერხები: სია, ცხრილი, პიქტოგრამა, დიაგრამა (წერტილოვანი, ხაზოვანი, სვეტოვანი, წრიული).
მონაცემთა საშუალო.

## ბუნებისმეტყველება (I – IV)
დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების მასწავლებლის სასერტიფიკაციო ტესტით მოწმდება მასწავლებლის შემდეგი **პროფესიული უნარ-ჩვევები:**

- მოვლენის აღწერისა და ზოგადი დახასიათების უნარი;
- მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების წარმოჩენის უნარი;
- კვლევის საგნის განსაზღვრისა და მისი შესწავლის ეტაპების გამოყოფის უნარი;
- ობიექტის ან მოვლენის შესასწავლად სხვადასხვა წყაროდან/საშუალებით მონაცემების მოპოვების უნარი;
- სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით მონაცემთა კლასიფიკიაციისა და გრაფიკების, დიაგრამების, ცხრილების და ა.შ. სახით წარმოდგენის უნარი;
- სტრუქტურების და პროცესების მოდელირების უნარი;
- პრაქტიკულ სამუშაოებთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორების განსაზღვრისა და მათი პრევენციის უნარი;
- ზოგად ისტორიულ ჭრილში საბუნებისმეტყველო მეცნიერებების განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპების განხილვის უნარი;

- მეცნიერული აღმოჩენების შედეგების გამოყენების დადებითი და უარყოფითი გავლენის შეფასების უნარი;
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სხვა სასწავლო დისციპლინებთან დაკავშირების უნარი;
- მეცნიერული ტერმინოლოგიის ადეკვატური გამოყენების უნარი;
- ძირიდათი ფიზიკური სიდიდეების და განზომილებების გამოყენების უნარი;
- სათანადო მათემატიკური ოპერაციების გამოყენების უნარი.
- სასწავლო მიზნის მისაღწევად, საბუნებისმეტყველო საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, დაგეგმილი აქტივობების ინსტრუქციისა და უსაფრთხოების წესების მკაფიოდ და გასაგები ენით ჩამოყალიბების უნარი;
- პრაქტიკული სამუშაოების (სადემონსტრაციო ცდა, ექსპერიმენტი, რუკაზე მუშაობა, საველე სამუშაოები და სხვ.) მიმდინარეობის ეტაპების გამოყოფის უნარი;
- მოსწავლეთა მიერ გარემოზე დაკვირვების, ბუნებრივი მოვლენებისა და პროცესების აღწერის, მარტივი მოდელების შექმნისა და დემონსტრირების, საზომი ხელსაწყოების გამოყენების, მონაცემთა აღრიცხვის, ორგანიზებისა და ინტერპრეტაციის ხელშეწყობის უნარი;
- აქტივობების ისე შერჩევის უნარი, რომ მოსწავლემ შეძლოს ცნებებისა და მიმართებების ათვისება მანიპულირების საშუალებით (კეთებით სწავლა, ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენება, პრობლემის გადაჭრა, კანონზომიერებების დადგენა);
- საბუნებისმეტყველო მეცნიერების სპეციფიკიდან გამომდინარე, დავალებებისა და აქტივობების შეფასების სათანადო კრიტერიუმების შემუშავების, მათი წონის განსაზღვრისა და დონეების გამოყოფის უნარი;
- მოსწავლეებში საბუნებისმეტყველო მეცნიერების სპეციფიკური უნარ-ჩვევების განვითარებისათვის შეფასების ადეკვატურად გამოყენების უნარი.
- მოსწავლის შემეცნებითი, სოციალურ-კომუნიკაციური და ფიზიკური უნარების განმავითარებელი მეთოდების გამოყენების უნარი;
- კითხვისა და წერის სწავლების მეთოდების გამოყენების უნარი;
- კითხვისა და წერის სწავლების სტრატეგიების გამოყენების უნარი.

**საგამოცდო საკითხთა ჩამონათვალი**

**სიცოცხლის დამახასიათებელი ნიშნები**

ცოცხალი ორგანიზმების კვება, სუნთქვა, ზრდა, მოძრაობა, გამრავლება. სასიცოცხლო პროცესების ზოგადი დახასიათება.

**მცენარეთა სამყარო**

მცენარეთა მრავალფეროვნება (წიწვოვანი და ყვავილოვანი მცენარეები). მცენარის ზრდის ორგანოები: ფესვი, ღერო, ფოთოლი; გამრავლების ორგანოები: ყვავილი, ნაყოფი, თესლი; მცენარის გავრცელება თესლით. ბოტანიკური ბაღი.

**ცხოველთა სამყარო**

უხერხემლო ცხოველები (მწერები). ხერხემლიანი ცხოველები (თევზები, ამფიბიები, ქვეწარმავლები, ფრინველები, ძუძუმწოვრები), მათი აგებულება და შეგუება გარემოსთან. შინაური და გარეული ცხოველები. ზოოპარკი.

**ადამიანი**

აგებულება (სხეულის ნაწილები), ჯანსაღი ცხოვრების წესი (კვება, დასვენება, სპორტი), ჯანმრთელობისთვის საზიანო ფაქტორები და მათგან დაცვის წესები, შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნები. პირადი ჰიგიენა. უსაფრთხოება, უსაფრთხო ქცევის წესები. ბაქტერიული და ვირუსული დაავადებები.

**გარემო და მისი დაცვა**
მცენარეების მნიშვნელობა. ცხოველები (მცენარისმჭამელები, მტაცებლები, ანუ ხორცისმჭამელები და ნაირმჭამელები). გარემოს დაბინძურება, გარემოს დაცვა. წითელი წიგნი. დაცული ტერიტორიები.

**მნიშვნელოვანი გეოგრაფიული ობიექტები და მათი ნაწილები**
დედამიწის ფორმა და სიდიდე, ხმელეთი და წყალი (კონტინენტები და ოკეანეები). რელიეფის მნიშვნელოვანი ფორმები (მთა, მთათა სისტემა, ქედი, ზეგანი, ბორცვი, ვაკე, დაბლობი, ქვაბული და სხვ.). ჰიდროსფეროს შემადგენელი ნაწილები (ოკეანე, ზღვა, ტბა, მდინარე და სხვ.) და მათი გამოყენება. გეოგრაფიული ობიექტების მახასიათებლები (ფორმა, სიმაღლე, სიღრმე, ჩქარი, მდორე, ციცაბო, დამრეცი და სხვ.), ნიადაგი და მისი თვისებები (ფერი, გამტარიანობა). დასახლებული პუნქტები (ქალაქი, დედაქალაქი, დაბა, სოფელი). მსოფლიოსა და საქართველოს მნიშვნელოვან გეოგრაფიულ ობიექტთა ნომენკლატურა.

**ბუნებრივი რესურსები**
ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, კლასიფიკაცია. საქართველოს ძირითადი წიაღისეულის გეოგრაფია (ქვანახშირი, ნავთობი, მანგანუმი).

**ბუნებრივი მოვლენები, გარემოს ცვლილება**
ეროზია და გამოფიტვა; სტიქიური მოვლენები (ვულკანი, მიწისძვრა, წყალდიდობა, მეწყერი, ღვარცოფი, ზვავი და სხვ.); ბუნებრივი და ანთროპოგენული (ხელოვნური) გარემო.

**სივრცეში ორიენტაცია**
გლობუსი, ადგილის გეგმა, რუკა (სასწავლო რუკები, ატლასი), რუკის ლეგენდა (გამოყენებული სიმბოლოები, პირობითი ნიშნები). ჰორიზონტის მხარეები, ადგილის გაგნება, კომპასი, მასშტაბი. ძველი ხალხების (ბერძნების, ინდოელებისა და ფინიკიელების) წარმოდგენები დედამიწის შესახებ. გეოგრაფიულ აღმოჩენათა მნიშვნელობა და შედეგები (დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქა XV-XVII სს.).

**პერიოდული მოვლენები და ამინდი**
დედამიწის ბრუნვა ღერძისა და მზის გარშემო და მისი შედეგები (დღე-ღამის ცვლა, წელიწადის დროები). ამინდის კომპონენტები (ჰაერის ტემპერატურა, ნალექები, ქარი, მოღრუბლულობა) და პროგნოზი (ტრადიციული ხალხური მეთოდები), მეტეოროლოგიური ხელსაწყოების (თერმომეტრი, ფლუგერი) გამოყენების პრინციპი.

**კოსმოსური სხეულები და ასტრონომიული მოვლენები**
მზის სისტემის პლანეტები და მათი თანამგზავრები, ვარსკვლავები, კომეტები, ასტეროიდები, მეტეორები, მეტეორიტები, გალაქტიკა (ირმის ნახტომი). კოსმოსის შესწავლის ისტორია და ტექნიკის განვითარება.

**ძირითადი ფიზიკური სიდიდეები**
დრო, სიგრძე, ფართობი, მოცულობა, მასა, სიმკვრივე, ტემპერატურა. მათი განზომილებები, გაზომვა და გამოყენება. კავშირი ერთეულებს შორის. სიმკვრივის გამოსათვლელი ფორმულა.

**ენერგია**
სითბოს და სინათლის ბუნებრივი და ხელოვნური წყაროები. ერთი სახის ენერგიის მეორეში გადასვლა. ენერგიის მუდმივობის კანონი.

**ნივთიერება, აგრეგატული მდგომარეობები, სითბური მოვლენები**
ნივთიერებათა ფიზიკური თვისებები (ფერი, სუნი, გემო). ნივთიერების აგრეგატული მდგომარეობები, ერთი აგრეგატული მდგომარეობიდან მეორეში გადასვლა: გამყარება-დნობა; აორთქლება-კონდენსაცია.

**მასალები და მათი თვისებები**
მასალა და ნედლეული. ბუნებრივი და ხელოვნური მასალები. ფართოდ გამოყენებული მასალების თვისებები (ფერი, თბოგამტარობა, დრეკადობა, გამჭვირვალობა და სხვ.), მათი გამოყენება. თბოგამტარები და თბოიზოლატორები.

**სხეულთა მოძრაობა და ურთიერთქმედება**
სხეულის მოძრაობაზე მოქმედი ფაქტორები (ფორმა, ზომა, სიმძიმე, ზედაპირი და ა. შ.); მოძრაობის სახეები (წრფივი, მრუდწირული, რხევითი, ბრუნვითი). ტრაექტორია. გავლილი მანძილი და გადაადგილება. წრფივი თანაბარი მოძრაობის სიჩქარე და მისი გამოთვლა, სიჩქარის ერთეულები. გავლილი მანძილის ფორმულა.
მსოფლიო მიზიდულობის მოვლენა. სხეულთა ურთიერთქმედება და ძალა. ერთი წრფის გასწვრივ მიმართული ძალების შეკრება. სიმძიმის ცენტრი, წონასწორობა და მისი სახეები. მარტივი მექანიზმების (ბერკეტი, პინებიანი სასწორი) მოქმედების პრინციპები.

**მექანიკური რხევები და ტალღები**
ბგერა, ბგერის წყაროები, ბგერის წარმოქმნა, გავრცელება და აღქმა; ბგერის გავრცელების სიჩქარე სხვადასხვა გარემოში. ბგერითი სიგნალების გადაცემა და მიღება ორგანიზმებში; სმენის ორგანოები. ექოს წარმოქმნა. ბგერის ხმამაღლობა – ამპლიტუდა, სიმაღლე – სიხშირე.

**მაგნიტი**
მაგნიტი, მაგნიტური პოლუსები, მაგნიტების ურთიერთქმედება და გამოყენება.

# ქართული ენისა და ლიტერატურის საგამოცდო პროგრამა (I – VI)

დაწყებითი საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის სასერტიფიკაციო ტესტით მოწმდება მასწავლებლის შემდეგი **პროფესიული უნარ-ჩვევები:**

- სხვადასხვა ტიპის, სტილისა და ჟანრის მხატვრული და არამხატვრული ტექსტების გაანალიზების უნარი შინაარსობრივი, იდეური, ფუნქციური თვალსაზრისით;
- ტექსტის ანალიზის უნარი სტრუქტურისა და ენობრივ-გამომხატველობითი საშუალებების გათვალისწინებით;
- წერის პროცესში მიზნისა და აუდიტორიის შესაბამისი სტრატეგიების შერჩევისა და გამოყენების უნარი: დაგეგმვა, კომპოზიციის აგება, საკუთარი ნაწერის გადასინჯვა, რედაქტირება (ტექსტის ჩასწორება ენობრივ-სტილური თვალსაზრისით) და კორექტირება (სასვენი ნიშნების სწორად დასმა და ორთოგრაფიული შეცდომების ჩასწორება);
- სხვადასხვა ტიპის წერილობითი ტექსტის შექმნის უნარი მიზნისა და აუდიტორიის შესაბამისი მახასიათებლებისა და ენობრივი ნორმების დაცვით (წერილი, ბარათი, ინსტრუქცია, ინტერვიუ, ადმინისტრაციული ტექსტები, დარგობრივი ტექსტები და სხვა);
- მოსწავლის შემეცნებითი, სოციალურ-კომუნიკაციური და ფიზიკური უნარების განმავითარებელი მეთოდების გამოყენების უნარი;
- კითხვისა და წერის სწავლების მეთოდების (ფონეტიკური, მთლიანი ენის და დაბალანსებული) გამოყენების უნარი;
- კითხვისა და წერის სწავლების სტრატეგიების გამოყენების უნარი.

## საგამოცდო საკითხთა ჩამონათვალი

### ა) ქართული ენა

**ზოგადი ცნობები ენისა და დამწერლობის შესახებ**

- ენის რაობა და ფუნქციები. ქართული ენის ბუნება. ქართული ენის ადგილი მსოფლიო ენათა შორის. ქართველური ენები. ქართული ენის დიალექტები. ქართული ენის როლი ქართველური ტომების ეროვნული და სახელმწიფოებრივი ჩამოყალიბების პროცესში.
- ქართული დამწერლობის წარმოშობა. ქართული დამწერლობის სახეები და განვითარების საფეხურები. ქართული დამწერლობის უძველესი ნიმუშები.
- ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ძირითადი ეტაპები. თანამედროვე სალიტერატურო ქართული, როგორც საქართველოს სახელმწიფო ენა.

**ფონეტიკა**

- თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ბგერითი შედგენილობა. ბგერა და ფონემა. ქართული ანბანი. ბგერათა დახასიათება წარმოთქმის ადგილისა და რაგვარობის მიხედვით. თანხმოვანთა და ხმოვანთა სისტემები.
- დამარცვლის საფუძველი და გადატანის წესები. ღია და დახურული მარცვალი.
- ძირითადი ფონეტიკური მოვლენები: ასიმილაცია, დისიმილაცია, მეტათეზისი, ბგერის დაკარგვა.

**მორფოლოგია**

- სიტყვა. ფორმაცვალებადი და ფორმაუცვლელი სიტყვები. გრამატიკული კატეგორიის რაობა. სიტყვის მორფოლოგიური აგებულება: ძირი, ფუძე, მორფემა, აფიქსები.
- მეტყველების ნაწილები. მათი კლასიფიკაციის საფუძველი.
- არსებითი სახელი. არსებით სახელთა დაჯგუფება შინაარსის მიხედვით. რიცხვი. ბრუნება. ბრუნვები და მათი ნიშნები. ბოლოთანხმოვნიან და ბოლოხმოვნიან სახელთა ბრუნება.

საკუთარ სახელთა ბრუნება. თანდებულიანი ბრუნვები. ნაწილაკიანი ბრუნვები. არსებითი სახელის ბრუნებასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები.

- ზედსართავი სახელი. თანხმოვანფუძიანი და ხმოვანფუძიანი ზედსართავი სახელის ბრუნება. ზედსართავი სახელის ბრუნებასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები.
- რიცხვითი სახელი. რიცხვითი სახელის სახეები. რიცხვითი სახელის ბრუნება. რიცხვით სახელთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები.
- ნაცვალსახელი. ნაცვალსახელთა ჯგუფები. ნაცვალსახელთა ბრუნება. ნაცვალსახელთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები.
- ზმნა. ზმნის კატეგორიები. პირისა და რიცხვის ასახვა ზმნაში. სუბიექტური და ობიექტური პირის ნიშნები. ზმნისწინი. დრო. კილო. ასპექტი. გარდამავლობა. გვარი. ქცევა. კონტაქტი. სერიები და მწკრივები. ზმნის ძირი, ფუძე, თემა. თემის ნიშნები. უღლება. ზმნის ფორმაწარმოებასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები.
- სახელზმნა. საწყისი და მიმღეობა. მათი წარმოება.
- ზმნიზედა. ზმნიზედათა დაჯგუფება.
- თანდებული. ცალკე მდგომი და სახელთან შერწყმული თანდებულები.
- კავშირი. კავშირის სახეები.
- ნაწილაკი. ნაწილაკთა ჯგუფები.
- შორისდებული. შორისდებულთა ჯგუფები.

**სინტაქსი**

- სინტაქსის საგანი. წინადადება. სიტყვათა სინტაქსური შეკავშირება. შესიტყვება. წინადადების წევრთა დაწყვილება.
- წინადადების ტიპები მოდალობის მიხედვით: თხრობითი, კითხვითი, ძახილისა, ბრძანებითი და კითხვით-ძახილისა. მათი გამოხატვის საშუალებანი: ინტონაცია, სიტყვათა წყობა, დამხმარე სიტყვები და ნაწილაკები.
- წინადადების ტიპები აგებულების მიხედვით: მარტივი, შერწყმული და რთული.
- წინადადების წევრები. წინადადების მთავარი (ქვემდებარე, შემასმენელი, პირდაპირი და ირიბი დამატებები) და მეორეხარისხოვანი (უბრალო დამატება, განსაზღვრება და გარემოებები) წევრები.
- სიტყვათა წყობა წინადადებაში. სიტყვათა წყობის მნიშვნელობა სტილისტიკისთვის.
- განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები. სასვენი ნიშნების ხმარება განკერძოებულ სიტყვებთან და გამოთქმებთან.
- სასვენი ნიშნების ხმარება რთულ თანწყობილსა და ქვეწყობილ წინადადებებში.
- პირდაპირი და ირიბი ნათქვამი. სხვათა სიტყვის ნაწილაკები. სასვენი ნიშნები. სხვათა სიტყვის მართლწერა.

**ლექსიკოლოგია**

- ლექსიკოლოგიის საგანი. ლექსიკური ერთეული.
- სიტყვა მნიშვნელობის თვალსაზრისით. სიტყვის გამოყენება ძირითადი და გადატანითი მნიშვნელობით. სიტყვის მნიშვნელობის ცვლა ისტორიულად. სიტყვის ეტიმოლოგია. სიტყვის პოლისემიურობა. პოლისემია და ომონიმია. სინონიმია, ანტონიმია.
- ფრაზეოლოგიზმები და იდიომები.
- დიალექტიზმები, პროფესიული ლექსიკა, ჟარგონი, ბარბარიზმები, ნეოლოგიზმები, არქაიზმები.
- სიტყვაწარმოება, როგორც ლექსიკოლოგიის საგანი. ძირეული და წარმოქმნილი სახელები. წარმოქმნილ სახელთა ჯგუფები მაწარმოებელი აფიქსებისა და შინაარსის მიხედვით.
- კომპოზიტები. კომპოზიტების მართლწერა.

**სტილისტიკა**

- სტილისტიკის საგანი. სტილის რაობა.
- ფუნქციური სტილისტიკა. მწიგნობრული და სასაუბრო სტილი. პუბლიცისტური და მხატვრული სტილი. სამეცნიერო და ოფიციალურ-საქმიანი სტილი. ორატორული სტილი.
- ლექსიკური სტილისტიკა. სიტყვათა შერჩევა მნიშვნელობის მიხედვით. თავაზიანობის გამომხატველი სიტყვები. სტილისტური ხარვეზები.

**ლიტერატურა**

**ლიტერატურისმცოდნეობითი ტერმინები:**

- ტროპი, მეტაფორა, ჰიპერბოლა, განმეორება, გაპიროვნება, ეპითეტი, შედარება, სიმბოლო, მხატვრული ენა, მხატვრული სახე, პეიზაჟი, პორტრეტი, პერსონაჟი, გროტესკი, ირონია, იუმორი, სატირა, ხატოვანი თქმა, ინტონაცია, ალეგორია, ალიტერაცია, პერიფრაზი;
- ჟანრი, პოეზია, პროზა, რომანი, ლირიკა, ლექსი, ელეგია, ბალადა, ეპოსი, ჰიმნი, პოემა, ზღაპარი, თქმულება, იგავ-არაკი, ლეგენდა, მითი, მოთხრობა, ნოველა, ანდაზა, აფორიზმი, პიესა, ესეი, ბიოგრაფია, მემუარები, დრამა, კომედია, ტრაგედია;
- სიუჟეტი, კომპოზიცია, პროლოგი, ეპილოგი, ეპიგრაფი, დიალოგი, მონოლოგი, სტროფი, ტაეპი, ფაბულა, ციტატა, შაირი, რითმა, რიტმი.

**რეკომენდებულ ავტორთა ჩამონათვალი*:**

შოთა რუსთაველი, სულხან-საბა ორბელიანი, დავით გურამიშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, იაკობ გოგებაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, სიმონ ჩიქოვანი, იოსებ გრიშაშვილი, გიორგი შატბერაშვილი, ლადო ასათიანი, გურამ რჩეულიშვილი, ირაკლი აბაშიძე, მურმან ლებანიძე, ნოდარ დუმბაძე, რევაზ ინანიშვილი, არჩილ სულაკაური, გოდერძი ჩოხელი, ანა კალანდაძე, მუხრან მაჭავარიანი, ოთარ ჭილაძე, ოტია იოსელიანი.

ჰანს კრისტიან ანდერსენი, ძმები გრიმები, შარლ პერო, ასტრიდ ლინდგრენი, რედიარდ კიპლინგი, ალან ალექსანდრ მილნი, კარელ ჩაპეკი, ოსკარ უაილდი, ერნსტ თეოდორ ჰოფმანი, მარკ ტვენი, ჟიულ ვერნი, ჯანი როდარი, ალექსანდრ პუშკინი, კორნეი ჩუკოვსკი, ალექსეი ტოლსტოი.

## მათემატიკის საგამოცდო პროგრამა (I – VI)

დაწყებითი საფეხურის მათემატიკის მასწავლებლის სასერტიფიკაციო ტესტით მოწმდება მასწავლებლის შემდეგი **პროფესიული უნარ-ჩვევები:**

- მოსწავლის შემეცნებითი, სოციალურ-კომუნიკაციური და ფიზიკური უნარების განმავითარებელი მეთოდების გამოყენების უნარი;
- კითხვისა და წერის სწავლების მეთოდების გამოყენების უნარი;
- კითხვისა და წერის სწავლების სტრატეგიების გამოყენების უნარი.
- მოსწავლეების მიერ მათემატიკური ტერმინოლოგიის, აღნიშვნებისა და სიმბოლოების გამოყენების, ინფორმაციის წარმოდგენის ხერხების გამოყენების, ინფორმაციის ურთიერთდაკავშირების, მასზე მსჯელობის, მონაცემთა შერჩევის, მოპოვებისა და ინტერპრეტირების ხელშეწყობის უნარი.

* ჩამონათვალში წარმოდგენილნი არიან ის ქართველი თუ უცხოელი ავტორები, რომელთა შემოქმედებაშიც გვხვდება საბავშვო ლიტერატურული ნაწარმოებები

- აქტივობის ისე შერჩევის უნარი, რომ მოსწავლემ შეძლოს ცნებებისა და მიმართებების ათვისება მანიპულირების საშუალებით (ფიგურების და ობიექტების ზომების, აგრეთვე მათ შორის მანძილების გასაზომად გზების, მეთოდების პოვნა და გამოყენება, ამოცანის შინაარსის აღქმა, ამოცანის მონაცემებისა და საძიებელი სიდიდეების გააზრება, კეთებით სწავლა, ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენება, პრობლემის გადაჭრა, კანონზომიერების აღმოჩენა, დადგენა);
- მათემატიკის მიმართ მოსწავლის მიდრეკილების, ნიჭის გამოვლენის და მათი განვითარების ხელშეწყობის მიზნით სათანადო სტრატეგიის დაგეგმვისა და განხორციელების უნარი;
- სახალისო და მრავალფეროვანი აქტივობების გამოყენების უნარი, რომლებიც გამოიწვევენ ინტერესს და დადებითად განაწყობენ მოსწავლეებს მათემატიკისადმი, როგორც საჭირო და მნიშვნელოვანი საგნისადმი;
- სასწავლო მიზნის მისაღწევად, მათემატიკის სპეციფიკური ტერმინებისა და დაგეგმილი აქტივობების ინსტრუქციის მკაფიოდ, გასაგები ენით ჩამოყალიბებისა და მოსწავლეთათვის მათი ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით მიწოდების უნარი;
- მათემატიკის საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, დავალებებისა და აქტივობების შეფასების სათანადო კრიტერიუმების შემუშავების, მათი წონის განსაზღვრისა და დონეების გამოყოფის უნარი;
- მოსწავლეთა მრავალმხრივი, მათემატიკური აზროვნების, საგნის სპეციფიკური უნარ-ჩვევების განვითარების უზრუნველსაყოფად შეფასების გამოყენების უნარი.

## საგამოცდო საკითხთა ჩამონათვალი

**მიმართულება: რიცხვები და მოქმედებები**

ნატურალური რიცხვები, მარტივი და შედგენილი რიცხვები, გამყოფი და ჯერადი

- რიცხვის რაობა (რიცხვი, როგორც რაოდენობის აღმნიშვნელი).
- რიცხვის ჩაწერა ციფრებით, სიტყვებით, რიცხვის ჩაწერის რომაული სისტემა.
- არითმეტიკული მოქმედებები ნატურალურ რიცხვებზე. ნაშთიანი გაყოფა.
- ნატურალური რიცხვის დაშლა მარტივ მამრავლებად. დაშლის ერთადერთობა (არითმეტიკის ძირითადი თეორემა).
- რამდენიმე ნატურალური რიცხვის უდიდესი საერთო გამყოფისა და უმცირესი საერთო ჯერადის პოვნა.
- გაყოფადობის ნიშნები და მათი კავშირი ათობით პოზიციურ სისტემასთან.

**მთელი და რაციონალური რიცხვები**

- დადებითი და უარყოფითი რიცხვები, რაციონალური რიცხვების წარმოდგენა წილადებისა და ათწილადების სახით, რიცხვის ჩაწერის ათობითი პოზიციური სისტემა.
- რაციონალური რიცხვების შედარება, რიცხვითი უტოლობები და მათი თვისებები.
- არითმეტიკული მოქმედებები რაციონალურ რიცხვებზე, არითმეტიკულ მოქმედებათა თვისებები.
- რიცხვითი გამოსახულებები, მოქმედებათა თანმიმდევრობა რიცხვით გამოსახულებებში.

**რიცხვთა ღერძი, რიცხვითი შუალედები**

- წერტილის კოორდინატი რიცხვთა ღერძზე, რაციონალური რიცხვის შესაბამისი წერტილის გამოსახვა რიცხვთა ღერძზე.

**რიცხვის მოდული**

- მოდულის ძირითადი თვისებები და მისი გეომეტრიული აზრი.

**პროპორცია**

- პროპორციულობა, პროპორციის თვისებები, პროპორციის უცნობი წევრის პოვნა, რიცხვის დაყოფა მოცემული შეფარდებით, პირდაპირპროპორციული და უკუპროპორციული დამოკიდებულება სიდიდეებს შორის.

**რიცხვის ნაწილი, პროცენტი**

- რიცხვის ნაწილის პოვნა, რიცხვის პოვნა მისი პროცენტით/ნაწილით, რიცხვის ნაწილის ჩაწერა პროცენტის სახით.

**ხარისხი**

- რიცხვის ხარისხი ნატურალური მაჩვენებლით, ნამრავლის, ფარდობისა და ხარისხის ახარისხება. ტოლფუძიანი ხარისხების ნამრავლი და შეფარდება.

**ზომის ერთეულები**

- სიგრძის, მასის, დროის, სიჩქარის ერთეულები. ერთი და იმავე სიდიდის ერთეულებს შორის კავშირი.

**მიმართულება: კანონზომიერება და ალგებრა**

**სიმრავლე, სიმრავლეებს შორის მიმართებები, მოქმედებები სასრულ სიმრავლეებზე**

- სიმრავლე, ქვესიმრავლე, ცარიელი სიმრავლე.
- ოპერაციები სიმრავლეებზე: სიმრავლეთა გაერთიანება, თანაკვეთა, სხვაობა.

**ალგებრული გამოსახულება**

- მოქმედებები გამოსახულებებზე, გამოსახულების გარდაქმნა, ალგებრული გამოსახულების მნიშვნელობის გამოთვლა ასოების მითითებული მნიშვნელობისათვის.

**განტოლება, უტოლობა**

- განტოლება და მისი ამონახსნი, უტოლობა და მისი ამონახსნი, ტოლფასი განტოლებები, წრფივი განტოლებისა და წრფივი უტოლობის ამოხსნა.
- ტოლფასი განტოლებები; ამოცანების ამოხსნა განტოლებისა და უტოლობის გამოყენებით.

**მიმართულება: გეომეტრია და სივრცის აღქმა**

**ძირითადი გეომეტრიული ობიექტები და ცნებები**

- წერტილი, წრფე, სხივი, მონაკვეთი, ტეხილი.
- მონაკვეთის სიგრძე, ტეხილის სიგრძე, მანძილი ორ წერტილს შორის, მანძილის თვისება.
- კუთხე, კუთხის გრადუსული ზომა, მართი, მახვილი, ბლაგვი და გაშლილი კუთხეები.

**წრფეების ურთიერთგანლაგება სიბრტყეზე**

- წრფეთა თანაკვეთა, პარალელობა, მართობულობა.

**მრავალკუთხედი, ამოზნექილი მრავალკუთხედი**

- მრავალკუთხედის გვერდი, წვერო, კუთხე, დიაგონალი, პერიმეტრი.
- ამოზნექილი ფიგურის განსაზღვრება. ამოზნექილი მრავალკუთხედის კუთხეების ჯამი.

**გეომეტრიული გარდაქმნები სიბრტყეზე**

- ფიგურათა ტოლობა, მოძრაობა, ღერძული და ცენტრული სიმეტრიები, მობრუნება, პარალელური გადატანა.

**სამკუთხედი**

- სამკუთხედის გვერდი, კუთხე, წვერო, მედიანა, ბისექტრისა, სიმაღლე და მათი თვისებები.
- მართკუთხა, მახვილკუთხა, ბლაგვკუთხა, ტოლფერდა, ტოლგვერდა სამკუთხედები და მათი თვისებები.
- სამკუთხედის კუთხეების ჯამი, საკუთხედის გარე კუთხის თვისება.
- სამკუთხედის შუახაზის თვისებები.
- სამკუთხედის ტოლობის ნიშნები.
- სამკუთხედის უტოლობა.
- პითაგორას თეორემა.

**პარალელოგრამი**

- პარალელოგრამის გვერდების, კუთხეებისა და დიაგონალების თვისებები.
- პარალელოგრამობის ნიშნები.
- რომბი, მართკუთხედი, კვადრატი და მათი თვისებები.

**ტრაპეცია**

- ტრაპეციის ფუძე, ფერდი, სიმაღლე, ტოლფერდა ტრაპეციის თვისებები.

**ბრტყელი ფიგურის ფართობი**

- ტოლი ფიგურების ფართობების ტოლობა, ბრტყელი ფიგურის ფართობის კავშირი მისი შემადგენელი ნაწილების ფართობებთან.
- კვადრატის, მართკუთხედის, სამკუთხედის, პარალელოგრამის, რომბის და ტრაპეციის ფართობის გამოთვლა.

**წრეწირი და წრე**

- წრეწირის და წრის ცენტრი, რადიუსი, დიამეტრი, ქორდა, რკალი, სექტორი, სეგმენტი, მხები.

**მართკუთხა კოორდინატთა სისტემა სიბრტყეზე**

- წერტილის კოორდინატები, რიცხვთა წყვილის შესაბამისი წერტილის გამოსახვა საკოორდინატო სიბრტყეზე.

**სივრცითი სხეულები და მათი შლილები**

- მრავალწახნაგა. მრავალწახნაგას წვერო, წიბო, წახნაგი. კავშირი მრავალწახნაგას შემადგენელი ნაწილების რაოდენობებს შორის.
- კუბის, მართკუთხა პარალელეპიპედის, მართი პრიზმის, პირამიდის, ცილინდრის და კონუსის შლილები.

**სივრცითი სხეულის მოცულობა და ზედაპირის ფართობი**

- სხეულის მოცულობა, კავშირი სხეულის მოცულობასა და მისი შემადგენელი სხეულების მოცულობათა შორის.
- კუბის და პარალელეპიპედის გვერდითი და სრული ზედაპირის ფართობისა და მოცულობის გამოთვლა.

**ზომის ერთეულები**

- სიგრძის, ფართობის, მოცულობის ერთეულები და კავშირები მათ შორის.

**მონაცემთა ანალიზი, ალბათობა და სტატისტიკა**

- მონაცემთა წარმოდგენის ხერხები: სია, ცხრილი, პიქტოგრამა, დიაგრამა (წერტილოვანი, ხაზოვანი, სვეტოვანი, წრიული).
- მონაცემთა საშუალო მედიანა, მოდა, სიხშირე.

## ბუნებისმეტყველების საგამოცდო პროგრამა (I – VI)

დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების მასწავლებლის სასერტიფიკაციო ტესტით მოწმდება მასწავლებლის შემდეგი **პროფესიული უნარ-ჩვევები:**

- მოვლენის აღწერისა და ზოგადი დახასიათების უნარი;
- მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების წარმოჩენის უნარი;
- კვლევის საგნის განსაზღვრისა და მისი შესწავლის ეტაპების გამოყოფის უნარი;
- ობიექტის ან მოვლენის შესასწავლად სხვადასხვა წყაროდან/საშუალებით მონაცემების მოპოვების უნარი;
- სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით მონაცემთა კლასიფიკიაციისა და გრაფიკების, დიაგრამების, ცხრილების და ა.შ. სახით წარმოდგენის უნარი;
- სტრუქტურების და პროცესების მოდელირების უნარი;
- პრაქტიკულ სამუშაოებთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორების განსაზღვრისა და მათი პრევენციის უნარი;
- ზოგად ისტორიულ ჭრილში საბუნებისმეტყველო მეცნიერებების განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპების განხილვის უნარი;
- მეცნიერული აღმოჩენების შედეგების გამოყენების დადებითი და უარყოფითი გავლენის შეფასების უნარი;
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სხვა სასწავლო დისციპლინებთან დაკავშირების უნარი;
- მეცნიერული ტერმინოლოგიის ადეკვატური გამოყენების უნარი;
- ძირიდათი ფიზიკური სიდიდეების და განზომილებების გამოყენების უნარი;
- სათანადო მათემატიკური ოპერაციების გამოყენების უნარი.
- სასწავლო მიზნის მისაღწევად, საბუნებისმეტყველო საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, დაგეგმილი აქტივობების ინსტრუქციისა და უსაფრთხოების წესების მკაფიოდ და გასაგები ენით ჩამოყალიბების უნარი;
- პრაქტიკული სამუშაოების (სადემონსტრაციო ცდა, ექსპერიმენტი, რუკაზე მუშაობა, საველე სამუშაოები და სხვ.) მიმდინარეობის ეტაპების გამოყოფის უნარი;
- მოსწავლეთა მიერ გარემოზე დაკვირვების, ბუნებრივი მოვლენებისა და პროცესების აღწერის, მარტივი მოდელების შექმნისა და დემონსტრირების, საზომი ხელსაწყოების გამოყენების, მონაცემთა აღრიცხვის, ორგანიზებისა და ინტერპრეტაციის ხელშეწყობის უნარი;
- აქტივობების ისე შერჩევის უნარი, რომ მოსწავლემ შეძლოს ცნებებისა და მიმართებების ათვისება მანიპულირების საშუალებით (კეთებით სწავლა, ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენება, პრობლემის გადაჭრა, კანონზომიერებების დადგენა);
- საბუნებისმეტყველო მეცნიერების სპეციფიკიდან გამომდინარე, დავალებებისა და აქტივობების შეფასების სათანადო კრიტერიუმების შემუშავების, მათი წონის განსაზღვრისა და დონეების გამოყოფის უნარი;
- მოსწავლეებში საბუნებისმეტყველო მეცნიერების სპეციფიკური უნარ-ჩვევების განვითარებისათვის შეფასების ადეკვატურად გამოყენების უნარი.
- მოსწავლის შემეცნებითი, სოციალურ-კომუნიკაციური და ფიზიკური უნარების განმავითარებელი მეთოდების გამოყენების უნარი;
- კითხვისა და წერის სწავლების მეთოდების გამოყენების უნარი;
- კითხვისა და წერის სწავლების სტრატეგიების გამოყენების უნარი.

## საგამოცდო საკითხთა ჩამონათვალი

### სიცოცხლის დამახასიათებელი ნიშნები
ცოცხალი ორგანიზმების კვება, სუნთქვა, ზრდა, მოძრაობა, გამრავლება. სასიცოცხლო პროცესების ზოგადი დახასიათება.

### ორგანიზმთა კლასიფიკაციის ზოგადი პრინციპები და მსხვილი ტაქსონომიური ერთეულები
სამეფო, ტიპი, კლასი; მათი დამახასიათებელი ნიშნები და ტიპობრივი წარმომადგენლები.

### მიკროორგნიზმები
მიკროორგანიზმების მრავალფეროვნება, მათი საარსებო გარემო და ცხოველქმედების შედეგები. მიკროორგანიზმების გამოყენება საკვები პროდუქტების წარმოებაში. დაავადების გამომწვევი მიკროორგანიზმები.

### მცენარეთა სამყარო
მცენარეთა მრავალფეროვნება (წიწვოვანი და ყვავილოვანი მცენარეები). მცენარის ზრდის ორგანოები: ფესვი, ღერო, ფოთოლი; გამრავლების ორგანოები: ყვავილი, ნაყოფი, თესლი; მცენარის გავრცელება თესლით. ფოტოსინთეზის არსი და მნიშვნელობა.

### ცხოველთა სამყარო
უხერხემლო ცხოველები (მწერები). ხერხემლიანი ცხოველები (თევზები, ამფიბიები, ქვეწარმავლები, ფრინველები, ძუძუმწოვრები), მათი აგებულება და შეგუება გარემოსთან. ხერხემლიან ცხოველთა კლასების შედარებითი დახასიათება და გამრავლების თავისებურებები. შინაური და გარეული ცხოველები.

### ადამიანი
აგებულება. ორგანოებისა და ორგანოთა სისტემების დახასიათება და ფუქციები.
ჯანსაღი ცხოვრების წესი (კვება, დასვენება, სპორტი), ჯანმრთელობისთვის საზიანო ფაქტორები და მათგან დაცვის წესები, შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნები.
პირადი ჰიგიენა. უსაფრთხოება, უსაფრთხო ქცევის წესები.
ბაქტერიული და ვირუსული დაავადებები.

### ეკოლოგია
ეკოსისტემა და მისი კომპონენტები – ბიოტური, აბიოტური და ანთროპოგენური ფაქტორები.
საქართველოს ტიპობრივი ეკოსისტემები. საქართველოში გავრცელებული სახეობები.
ორგანიზმების ურთიერთკავშირი ეკოსისტემაში: პროდუცენტები, კონსუმენტები, რედუცენტები.
კვებითი ჯაჭვები.

### გარემო და მისი დაცვა
მცენარეების მნიშვნელობა. ცხოველები (მცენარისმჭამელები, მტაცებლები, ანუ ხორცისმჭამელები და ნაირმჭამელები). გარემოს დაბინძურება, გარემოს დაცვა. წითელი წიგნი. დაცული ტერიტორიები.

### მნიშვნელოვანი გეოგრაფიული ობიექტები და მათი ნაწილები
დედამიწის ფორმა და სიდიდე, ხმელეთი და წყალი (კონტინენტები და ოკეანეები).
რელიეფის მნიშვნელოვანი ფორმები (მთა, მთათა სისტემა, ქედი, ზეგანი, ბორცვი, ვაკე, დაბლობი, ქვაბული და სხვ.). ჰიდროსფერო და ჰიდრორესურსების გამოყენება (ოკეანე, ზღვა, ტბა, მდინარე, წყარო, წყალსაცავი, მიწისქვეშა წყალი, ჭა) და დაცვა. გეოგრაფიული ობიექტების მახასიათებლები

(ფორმა, სიმაღლე, სიღრმე, სიჩქარე, ციცაბო, დამრეცი) და მათი შედარება. ნიადაგი და მისი თვისებები (ფერი, გამტარიანობა, ნაყოფიერება). დასახლებული პუნქტები (ქალაქი, დაბა, სოფელი, დედაქალაქი, ადმინისტრაციული ცენტრი). მსოფლიოსა და საქართველოს მნიშვნელოვანი გეოგრაფიული ობიექტების ნომენკლატურა.
დედამიწაზე გავრცელებული ბუნებრივი ზონები (ჰორიზონტალური და ვერტიკალური ზონები): ტყეები (ნოტიო, მუსონური, მეჩხერი, ფოთლოვანი, წიწვოვანი, შერეული, ტაიგა); ველები (სტეპი, პამპასი, პრერია, კამპოსი, სავანა); უდაბნოები (ტროპიკული, ზომიერი და პოლარული), ნახევრადუდაბნოები; ტუნდრა.

**ბუნებრივი რესურსები**
ბუნებრივი რესურსების კლასიფიკაცია და რაციონალური გამოყენება.
საქართველოს ძირითადი წიაღისეულის გეოგრაფია (ქვანახშირი, ნავთობი, მანგანუმი, ფარადი ლითონები, მინერალური წყლები).

**ბუნებრივი მოვლენები, გარემოს ცვლილება**
ეროზია და გამოფიტვა; სტიქიური მოვლენები (ვულკანი, მიწისძვრა, წყალდიდობა, მეწყერი, ღვარცოფი, ზვავი და სხვ.); ბუნებრივი და ანთროპოგენული (ხელოვნური) გარემო.

**სივრცეში ორიენტაცია**
გლობუსი, ადგილის გეგმა, რუკა (სასწავლო რუკები, ატლასი), რუკის ლეგენდა (გამოყენებული სიმბოლოები, პირობითი ნიშნები). ჰორიზონტის მხარეები, ადგილზე ორიენტირება, კომპასი, მასშტაბი. სააკორდინატო ბადე, ეკვატორი, პოლუსები, ტროპიკები, პოლარული წრეები, გეოგრაფიული ობიექტების ურთიერთგანლაგება; ძველი ხალხების არმოდგენები დედამიწის შესახებ. გეოგრაფიულ აღმოჩენათა მნიშვნელობა და შედეგები (დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქა XV-XVII სს.).

**პერიოდული მოვლენები და ამინდი**
დედამიწის ბრუნვა ღერძისა და მზის გარშემო და მისი შედეგები (დღე-ღამის ცვლა, წელიწადის დროები, რიტმულობა). ამინდის კომპონენტები (ჰაერის ტემპერატურა, ნალექები, ქარი, ჭექა-ქუხილი, ელვა, ატმოსფერული წნევა, ატმოსფერული ტენიანობა, მოღრუბლულობა) და პროგნოზი (ტრადიციული ხალხური მეთოდები), მეტეოროლოგიური ხელსაწყოების (თერმომეტრი, ფლუგერი, ბარომეტრი) გამოყენების პრინციპი.
ამინდსა და კლიმატზე მოქმედი ფაქტორები; ჩრდილოეთ და სამხრეთ ნახევარსფეროებში სეზონური ცვილს თავისებურებანი; სითბური სარტყლები.

**კოსმოსური სხეულები და ასტრონომიული მოვლენები**
მზის სისტემის პლანეტები და მათი თანამგზავრები, ვარსკვლავები, კომეტები, ასტეროიდები, მეტეორები, მეტეორიტები, გალაქტიკა (ირმის ნახტომი). დედამიწის, მთვარისა და პლანეტების მოძრაობა და მოძრაობის მოდელები; მზისა და მთვარიე დაბნელება; ძველი ხალხების წარმოდგენა კოსმოსის შესახებ; კოსმოსის
შესწავლის ისტორია და ტექნიკის განვითარება.

**ძირითადი ფიზიკური სიდიდეები**
დრო, სიგრძე, სიჩქარე, ფართობი, მოცულობა, მასა, სიმკვრივე, ტემპერატურა, ძალა. მათი განზომილებები, გაზომვა და გამოყენება. კავშირი ერთეულებს შორის. სიმკვრივის გამოსათვლელი ფორმულა.

**ენერგია**
ენერგიის სახეები – მექანიკური, სინათლის, სითბური, ელექტრული ენერგია; ენერგიის განახლებადი და არაგანახლებადი წყაროები, მათი გამოყენება.
სითბოს და სინათლის ბუნებრივი და ხელოვნური წყაროები. ერთი სახის ენერგიის მეორეში გადასვლა. ენერგიის მუდმივობის კანონი.

**ნივთიერება, აგრეგატული მდგომარეობები, სითბური მოვლენები**
ნივთიერებათა ფიზიკური თვისებები (ფერი, სუნი, გემო, აგრეგატული მდგომარეობა, სიმკვრივე).
ატომი და მოლეკულა, როგორც ნივთიერების შემადგენელი უმცირესი ნაწილაკები. დიფუზია და სითბური მოძრაობა.
ნივთიერების აგრეგატული მდგომარეობები, ერთი აგრეგატული მდგომარეობიდან მეორეში გადასვლა: გამყარება-დნობა; აორთქლება-კონდენსაცია და დუღილი.
მყარ, თხევად და აირად ნივთიერებათა სითბური გაფართოების მოვლენა, წყლის თავისებურებები.
ჰაერის შემაგდენლობა და თვისებები.
ნივთიერებათა ცვლილებები (აგრეგატული მდგომარეობის შეცვლა, წვა, ჰაერზე ჟანგვა) და მათი გამომწვევი მიზეზები.
ნივთიერება და ნარევები. ნარევის კომპონენტებად დაყოფის ელემენტარული მეთოდები.

**მასალები და მათი თვისებები**
მასალა და ნედლეული. ბუნებრივი და ხელოვნური მასალები. ფართოდ გამოყენებული მასალების თვისებები (ფერი, თბოგამტარობა, დრეკადობა, გამჭვირვალობა და სხვ.), მათი გამოყენება. თბოგამტარები და თბოიზოლატორები.

**სხეულთა მოძრაობა და ურთიერთქმედება**
სხეულის მოძრაობაზე მოქმედი ფაქტორები (ფორმა, ზომა, სიმძიმე, ზედაპირი და ა. შ.); მოძრაობის სახეები (წრფივი, მრუდწირული, რხევითი, ბრუნვითი). ტრაექტორია. გავლილი მანძილი და გადაადგილება. წრფივი თანაბარი მოძრაობის სიჩქარე და მისი გამოთვლა, სიჩქარის ერთეულები. გავლილი მანძილის ფორმულა.
მსოფლიო მიზიდულობის მოვლენა. სხეულთა ურთიერთქმედება და ძალა. ერთი წრფის გასწვრივ მიმართული ძალების შეკრება. სიმძიმის, ხახუნის, დრეკადობის ძალები, მათი გამოყენება.
სიმძიმის ცენტრი, წონასწორობა და მისი სახეები. მარტივი მექანიზმების (ბერკეტი, პინებიანი სასწორი) მოქმედების პრინციპები.

**მექანიკური რხევები და ტალღები**
ბგერა, ბგერის წყაროები, ბგერის წარმოქმნა, გავრცელება და აღქმა; ბგერის გავრცელების სიჩქარე სხვადასხვა გარემოში. ბგერითი სიგნალების გადაცემა და მიღება ორგანიზმებში; სმენის ორგანოები. ექოს წარმოქმნა. ბგერის ხმამაღლობა – ამპლიტუდა, სიმაღლე – სიხშირე. ულტრაბგერებისა და ინფრაბგერების გამოყენების მაგალითები ცოცხალ ორგანიზმებში.

**სინათლე**
სინათლის გავრცელების, არეკვლისა და გარდატეხის მოვლენები.

**ელექტრული დენი**
ელექტროგამტარები და იზოლატორები. დენის წყაროები, მუდმივი და ცვალებადი დენი. ძაბვა, დენის ძალა და წინაღობა. ომის კანონი წრედის უბნისათვის. მარტივი ელექტრული წრედები. პარალელური და მიმდევრობითი შეერთება. ელექტრული ენერგიის გადაცემის გზები.

**მაგნიტი**
მაგნიტი, მაგნიტური პოლუსები, მაგნიტების ურთიერთქმედება და გამოყენება.

# ტესტი დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთათვის

2013

## ინსტრუქცია

ტესტი ორი ნაწილისგან შედგება – **პროფესიული ცოდნა და მეთოდიკა** და **აკადემიური უნარები**. ის 71 დავალებას შეიცავს. ზოგიერთ დავალებას ახლავს სავარაუდო პასუხები, ზოგიერთის პასუხი კი თქვენ თავად უნდა დაწეროთ.

**პასუხები აუცილებლად გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე, რომელიც თან ახლავს ტესტს (შესაბამისი ინსტრუქცია იხილეთ შემდეგ გვერდზე). ტესტირების შედეგი დადგინდება მხოლოდ და მხოლოდ პასუხების ფურცლის საფუძველზე.**

ყურადღებით წაიკითხეთ თითოეული დავალების ინსტრუქცია, კარგად გაიაზრეთ, რა მოგეთხოვებათ დავალების შესრულებისას, და შემდეგ აირჩიეთ ან დაწერეთ პასუხი.

ზოგიერთი დავალება, ერთი შეხედვით, სპეციფიკურ თეორიულ ცოდნას მოითხოვს, თუმცა, რეალურად ამ დავალებათა შესრულება სავსებით შესაძლებელია პედაგოგიურ გამოცდილებაზე დაყრდნობით.

შავი სამუშაოსათვის შეგიძლიათ გამოიყენოთ ტესტის ფურცლებზე არსებული ცარიელი ადგილები.

**სამუშაოდ გეძლევათ 5 საათი.**

დროის ამოწურვის შესახებ გაცნობებთ მეთვალყურე.

გისურვებთ წარმატებას!

# სხვადასხვა ტიპის დავალებათა ინსტრუქციები

**ტესტში წარმოდგენილი დავალებები სხვადასხვაგვარია ფორმატის თვალსაზრისით. ტესტში შეგხვდებათ:**

- **დავალებები არჩევითი პასუხებით;**
- **დავალებები ღია დაბოლოებით;**
- **შესაბამისობის დადგენა;**
- **თხზულება (ესეი).**

**არჩევითპასუხებიან დავალებებში** პირობასა თუ შეკითხვასთან ერთად სავარაუდო პასუხებიც არის მოცემული. დავალების შესრულება გულისხმობს ოთხი სავარაუდო პასუხიდან ერთი სწორი პასუხის არჩევას.

***პასუხის მონიშვნისას:***

- ***პასუხების ფურცელზე მოძებნეთ დავალების შესაბამისი ნომერი;***
- ***ნომრის ქვეშ იპოვეთ უჯრა, რომელიც თქვენ მიერ არჩეულ პასუხს შეესაბამება;***
- ***დასვით X ნიშანი ამ უჯრაში.***

თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, **მთლიანად გააფერადეთ უჯრა,** რომელშიც დასვით X ნიშანი, ხოლო **შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი** (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში).

თითოეული არჩევითპასუხებიანი დავალება 1 ქულით ფასდება.

**დავალებები ღია დაბოლოებით** მოითხოვს დასმულ შეკითხვაზე პასუხის ჩამოყალიბებას, საკუთარი მსჯელობის გამყარებას სათანადო არგუმენტებით. თითოეული ღიაბოლოიანი დავალება ფასდება სპეციალური სქემის მიხედვით. შესასრულებელი ნაბიჯების გათვალისწინებით, დავალება შეიძლება შეფასდეს 1, 2 ან მეტი ქულით. ამგვარ დავალებებზე პასუხის გასაცემად პასუხების ფურცელზე გამოყოფილია საგანგებო ადგილები.

**შესაბამისობის დადგენის დავალებებში** წარმოდგენილია მონაცემთა ორი სვეტი. ერთ სვეტში მოცემულია ე. წ. პირობა (მოვლენები, ფრაზები და ა. შ.), მეორეში კი – სავარაუდო პასუხები (ცნებები, ტერმინები და ა. შ.). დავალების შესრულება გულისხმობს ერთ სვეტში მოცემული ინფორმაციის მისადაგებას მეორე სვეტში მოცემულ ინფორმაციასთან. შესაბამისობის თითოეული დავალებისთვის პასუხების ფურცელზე მოცემულია ცხრილი. თქვენ უნდა შეავსოთ ცხრილის ცარიელი გრაფები – **პირობის აღმნიშვნელი ასოს ქვეშ ჩაწეროთ მისი პასუხის შესაბამისი რიგითი ნომერი**.

შესაბამისობის დადგენის თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

**თხზულებაში** უნდა წარმოაჩინოთ თქვენი პოზიცია, მოსაზრებები შემოთავაზებული საკითხის შესახებ, კონკრეტული არგუმენტებით დაასაბუთოთ სათქმელი. თხზულების დასაწერად პასუხების ფურცელზე გამოყოფილია საგანგებო ადგილი.

თხზულების მაქსიმალური ქულაა 13.

# პროფესიული ცოდნა და მეთოდიკა

## ქართული ენა და ლიტერატურა

**1**. ჩამოთვლილთაგან რომელია კუმშვად-კვეცადი სახელი?
(ა) დროშა
(ბ) მოყვარე
(გ) ფარდა
(დ) მებაღე

**2.** მასწავლებელი კლასში მუშაობისას იყენებს სხვადასხვა ტიპის ლექსიკონს – უცხო სიტყვათა ლექსიკონს, სინონიმთა ლექსიკონს, ეტიმოლოგიურსა თუ დიალექტიზმების ლექსიკონს და ა. შ.
რა მიზნით იმუშავებდა მასწავლებელი მოსწავლეებთან **ორთოგრაფიულ** ლექსიკონზე?

(ა) ფონეტიკის სწავლების მიზნით
(ბ) პუნქტუაციის სწავლების მიზნით
(გ) მოსწავლეთა ლექსიკური მარაგის გამდიდრების მიზნით
(დ) მოსწავლეთა წერისა და მეტყველების კულტურის დახვეწის მიზნით

**3.** ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი **არ არის** კალკის მაგალითი?
(ა) რაში მდგომარეობს საქმის არსი?
(ბ) საქმე ისაა, რომ შეხვედრაზე არავინ მოვიდა.
(გ) დიტო შეყვარებულია თავის პროფესიაში.
(დ) პოლიციელმა განახორციელა გასროლა.

**4**. რას ნიშნავს სიტყვა ,,მცნება'' დავით გურამიშვილის გამონათქვამში: ,,ისმინე, სწავლის მძებნელო, მოჰყევ დავითის მცნებასა...''
(ა) ცნებას
(ბ) შემეცნებას
(გ) შეგონებას
(დ) მიმართვას

**5.** ქვემოთ მოცემულია მოსწავლის ნაწერი, რომელშიც დაშვებულია რამდენიმე გრამატიკული შეცდომა. ამოიწერეთ შეცდომით დაწერილი სიტყვები, მიუთითეთ სწორი ფორმა და პასუხი დაასაბუთეთ. თითოეული შეცდომის გასწორება და შესაბამისი დასაბუთება ფასდება 2 ქულით.
გაითვალისწინეთ, რომ მოსწავლის მიერ სწორად დაწერილი თითოეული სიტყვის მცდარი ფორმით შეცვლის შემთხვევაში დაგაკლდებათ 1 ქულა.




**6.** ბავშვებმა მასწავლებელს გაკვეთილზე სთხოვეს, მოემზადებინათ ლიტერატურული ტელეგადაცემის იმიტაცია. მასწავლებელი დათანხმდა.
*ჩამოთვლილთაგან რომელ არგუმენტს* ***<u>ვერ გამოვიყენებთ</u>*** *მასწავლებლის გადაწყვეტილების მხარდასაჭერად?*

(ა) ტელეგადაცემის იმიტირება მოსწავლეთა მეტყველების კულტურის დახვეწის ეფექტიანი საშუალებაა.
(ბ) ამ სახალისო საქმიანობისას მოსწავლეები უფრო სრულად გამოავლენენ თავიანთ შესაძლებლობებს.
(გ) მასწავლებელმა უნდა წაახალისოს მოსწავლეთა ყოველგვარი გონივრული ინიციატივა.
(დ) მოსწავლეთა დაინტერესების ერთადერთი სწორი მეთოდი არის თამაშით სწავლება.

**7.** მასწავლებელმა ბავშვებს ისე წაუკითხა ვაჟა-ფშაველას მოთხრობა „როგორ გაჩნდნენ ბუები ქვეყანაზე?“, რომ არ გააცნო მისი სათაური და სთხოვა, თვითონ დაესათაურებინათ იგი. მოსწავლეები თხზავდნენ და განმარტავდნენ სათაურის საკუთარ ვერსიებს. ამის შემდეგ მასწავლებელმა ბავშვებს გააცნო მოთხრობის ავტორისეული სათაური.

*ჩამოთვლილთაგან რისთვის* ***ვერ გამოიყენებდა*** *მასწავლებელი ამ დავალებას?*

(ა) იმისთვის, რომ წარმოეჩინა ნაწარმოების მხატვრული ღირსებები.
(ბ) იმისთვის, რომ ბავშვები მიმხვდარიყვნენ ტექსტის მთავარ სათქმელს.
(გ) იმისთვის, რომ ბავშვებისთვის გაეღვიძებინა ავტორთან თანაშემოქმედების სურვილი.
(დ) იმისთვის, რომ ეჩვენებინა კითხვითი წინადადებით ნაწარმოების დასათაურების შესაძლებლობა.

**8.** დაადგინეთ შესაბამისობა სიტყვებსა და მათს მახასიათებლებს შორის. ქვემოთ მოცემულ ცხრილში თითოეული მახასიათებლის აღმნიშვნელ ასოს მიუწერეთ შესაბამისი სიტყვის ნომერი. *(გაითვალისწინეთ, რომ ერთი პასუხი ზედმეტია)*

(ა) ჭროღა
(ბ) მახვილი
(გ) გაბზარული
(დ) გამჭოლი

1. სმენა
2. თვალები
3. მზერა
4. ხმა
5. ღიმილი

| ა | ბ | გ | დ |
|---|---|---|---|
| | | | |

**9.** დაადგინეთ შესაბამისობა ტერმინებსა და მათს განმარტებებს შორის. ქვემოთ მოცემულ ცხრილში განმარტების აღმნიშვნელ ასოს მიუწერეთ შესაბამისი ტერმინის ნომერი *(გაითვალისწინეთ, რომ ერთი ტერმინი ზედმეტია).*

(ა) კინო- ან ტელე-ნაწარმოების ლიტერატურული საფუძველი
(ბ) დრამატურგიული ნაწარმოები
(გ) ერთ შემთხვევაზე აგებული თხრობითი ნაწარმოები
(დ) სალექსო ფორმის ვრცელი ნაწარმოები

1. ნოველა
2. პოემა
3. სცენარი
4. ესკიზი
5. პიესა

| ა | ბ | გ | დ |
|---|---|---|---|
| | | | |

**10.** დაადგინეთ შესაბამისობა ნაწარმოებებსა და მათს ავტორებს შორის. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაწარმოების აღმნიშვნელ ასოს მიუწერეთ შესაბამისი ავტორის ნომერი *(გაითვალისწინეთ, რომ შესაძლებელია ავტორის გვარის გამეორება).*

(ა) ,,ტომ სოიერის თავგადასავალი''
(ბ) ,,საიდუმლო კუნძული''
(გ) ,,კაპიტან გრანტის შვილები''
(დ) ,,უთავო მხედარი''
(ე) ,,სამი მუშკეტერი''

1. მაინ რიდი
2. ჟიულ ვერნი
3. მარკ ტვენი
4. ალექსანდრე დიუმა

| ა | ბ | გ | დ | ე |
|---|---|---|---|---|
| | | | | |

**11.** აირჩიეთ ზმნის სწორი ფორმა:

- გაანალიზა
- გააანალიზა

*დაასაბუთეთ თქვენი არჩევანი. რატომ იყრის თავს ერთად რამდენიმე* **-ა** *ამ ზმნაში, ანუ განმარტეთ, რა ფუნქცია აქვს თითოეულ ა-ს.*

(მაქსიმალური ქულა 1)

**12.** დააკვირდით უცხო სიტყვებს:

- რე-ანიმაცია
- რე-აბილიტაცია
- რე-კონსტრუქცია
- რე-სტრუქტურიზაცია

*რა მნიშვნელობას სძენს ამ სიტყვებს პრეფიქსი* ***რე-****?*

(მაქსიმალური ქულა 1)

*წაიკითხეთ ხალხური ლექსი და შეასრულეთ მე-**13** და მე-**14** დავალებები.*

ა ის ღრუბელნი მიყვარან,
ბოროლაზედ რო დიანო,
ერთი მეორის შაყრასა
ხარობენ, მეელიანო,
შაიყრებიან ერთადა,
მანანას ჩამაყრიანო,
რაც უნდა ბევრი ეცადნენ,
ჩვენ ერთურთს ვერ გაგვყრიანო.

**13**. ამ ლექსში გვხვდება სალიტერატურო ენისთვის უცხო ფორმები. აუხსენით IV კლასის მოსწავლეებს ლექსის ენის ეს თავისებურება.

_____

_____

(მაქსიმალური ქულა 1)

**14**. დაეხმარეთ თქვენს მოსწავლეებს ლექსის ძირითადი სათქმელის გააზრებაში.

_____

_____

_____

(მაქსიმალური ქულა 2)

წაიკითხეთ გურამ რჩეულიშვილის ნაწარმოები „ტკივილი? – არა, რაღაც და გათავდა“, და შეასრულეთ *მე-**15*** და *მე-**16*** დავალებები:

პირველი თოვლი სულ თხელი იყო. იმ ღამეს არ გადაიღო. დილისთვის მთელი ველი დაფარა. ახლა უკვე ფეხი ეფლობოდა. მოშივდა ბაჭიას. ციოდა. თოვლი გაქექა და უკანა ფეხებზე ხტომით დაეშვა ჭალისაკენ. ქარი უბერავდა. ვერაფერი იპოვა.

შიოდა.

ძალიან, ძალიან მოუნდა ბალახი, თუნდაც სულ ცოტა; უფრო მოუნდა ან თივა, ან ყლორტი.

შიოდა.

რა გემრიელი იქნებოდა ბალახი.

ახლა შუა ველზე მიკუნტრუშობდა.

შიოდა.

უცებ იგრძნო რაღაც.

ტკივილი?- არა.

რაღაც და გათავდა.

ვანომ თავის შვილს დაუძახა და მოკლული ბაჭია აბგაში ჩაუდო.

– მამა, ფეხები მომეყინა, – თქვა ბიჭმა.

– ნუ გეშინია, ერთ საათში შინ ვიქნებით, – დაამშვიდა მამამ.

**15.** აუხსენით IV კლასის მოსწავლეებს ამ ნაწარმოების ჟანრის თავისებურებები

_____

_____

(მაქსიმალური ქულა 1)

**16.** იმსჯელეთ, რაზე <u>**არ ზრუნავს**</u> მამა შვილთან ურთიერთობისას და დაეხმარეთ IV კლასის მოსწავლეებს ამ ნაწარმოების ძირითადი აზრის გაგებაში. შესთავაზეთ მათ პარალელები სხვა ნაწარმოებებიდან.

_____

_____

_____

(მაქსიმალური ქულა 2)

**17.** წაიკითხეთ ნაწყვეტი ვაჟა-ფშაველას მოთხრობიდან „ხმელი წიფელი“

„ყველას და, მათ შორის, მეც მიყვარს მაღალი, მწვანით მორთული მთა, გაზაფხულის სუნი, ახლად ამომავალი ბალახი, ახლად დამდნარი ყინულისთვის რომ უჯობნია... მაგრამ ამჟამად ყველაფერი მავიწყდება და თვალწინ მიდგება მხოლოდ ერთი ხმელი წიფელი...“

ამოიწერეთ სიტყვები, რომლებიც მოწმობს, რომ ავტორს <u>**არ სურს,**</u> გამორჩეულ პიროვნებად წარმოჩნდეს:

_____

*(მაქსიმალური ქულა 1)*

## კითხვისა და წერის სწავლება

**18.** გაეცანით **I** კლასის მოსწავლეებისთვის განკუთვნილ დავალებებს:

**I. ჩასვი გამოტოვებული ასო:**

მ–ე

ქუ–ი

**II. ჩაწერე ცხოველის სახელი:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|

**III. წაიკითხე სიტყვები და შეაერთე ისრებით შესაბამის ნახატთან:**

| ბარი | ბალი |
|---|---|

მასწავლებლის მიზანია, ბავშვებმა ისწავლონ, რომ ასო-ბგერას სიტყვების განმასხვავებელი ფუნქცია აქვს. რომელი დავალება დაეხმარება მასწავლებელს ამ მიზნის მისაღწევად?

(ა) I და II
(ბ) II და III
(გ) მხოლოდ II
(დ) მხოლოდ III

**19.** კითხვის სირთულეების პრევენციისათვის მნიშვნელოვანია სკოლამდელ ასაკში ბავშვის იმ უნარების განვითარებაზე ზრუნვა, რომლებიც კითხვისათვის მზაობას განაპირობებს. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი უნარის განვითარებაა ადეკვატური და მიზანშეწონილი სკოლამდელ ასაკში?

(ა) ბგერების სწორად გამოთქმა, ასოების გამოწერა და სიტყვების უშეცდომოდ ჩაწერა
(ბ) ასო-ბგერითი მიმართებების დასწავლა და ასოებისგან სიტყვების აწყობა
(გ) სიტყვის ბგერითი შემადგენლობის გარჩევა და ლექსიკური მარაგის გამდიდრება
(დ) ასოებისგან სიტყვების და სიტყვებისგან მარტივი წინადადებების აწყობა

**20.** ქვემოთ მოცემულია აქტივობები, რომელთაც მასწავლებლები ხშირად იყენებენ ახალი ტექსტის შესწავლის დროს. რომელი აქტივობის შესრულება გაუჭირდებათ მოსწავლეებს დამოუკიდებლად ან დასჭირდებათ მასწავლებლის დახმარება?

(ა) მასწავლებელი უკითხავს მოსწავლეებს დაუსრულებელ ტექსტს და სთხოვს, გამოთქვან ვარაუდი, თუ როგორ შეიძლება დასრულდეს ტექსტში მოთხრობილი ამბავი.
(ბ) მოსწავლეები კითხულობენ ტექსტის სათაურს, ათვალიერებენ ილუსტრაციებს და გამოთქვამენ ვარაუდს ტექსტში მოთხრობილი ამბის შესახებ.
(გ) მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს, გამოყოფენ მათთვის უცნობ სიტყვებს და ამ სიტყვების გამოყენებით შეადგენენ წინადადებებს.
(დ) მასწავლებელი მიუთითებს თემას წაკითხული ტექსტიდან, მოსწავლეებმა უნდა იპოვონ ტესქტში ის ადგილი, სადაც ეს თემაა განხილული.

**21.** წერა-კითხვის სწავლებისას მასწავლებლები ხშირად იყენებენ „დღიურის წერის" მეთოდს – ბავშვები შესასწავლი თემის შესახებ საკუთარ იდეებსა და აზრებს წერენ დღიურებში, რომლებიც მასწავლებლის მიერ არ მოწმდება.

*ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია მოსწავლეთა შესახებ. რომელი მოსწავლისთვის იქნება აღნიშნული მეთოდი* ***<u>ყველაზე</u>*** *მოსახერხებელი საკუთარი შესაძლებლობების გამოსავლენად?*

(ა) გიორგისთვის – ის მგრძნობიარეა სხვათა განწყობებისა და განცდების მიმართ, შეუძლია სხვათა ქცევის მოტივების გამოცნობა.
(ბ) ანასთვის – ის ჩუმი და ჩაფიქრებული ბავშვია, კარგი ინტუიცია აქვს და საკმაოდ დამოუკიდებელია.
(გ) ანდროსთვის – მას უყვარს ლოგიკური მსჯელობა და ფიქრი, კარგად იგებს და აღიქვამს სქემებს.
(დ) მაიასთვის – ის ადვილად იგებს სიტყვის მნიშვნელობებს და მოსწონს სიტყვებით თამაში.

**22.** ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი გამოადგება მასწავლებელს **<u>ყველაზე ნაკლებად</u>** იმის დასადგენად, რომ მოსწავლემ გაიაზრა წაკითხული ტექსტი?

(ა) მოსწავლე საკუთარი სიტყვებით გადმოსცემს ტექსტის ძირითად აზრს.
(ბ) მოსწავლე განმარტავს ტექსტში მოცემულ ძირითად საკითხებს.
(გ) მოსწავლეს მოჰყავს ტექსტში დასმული პრობლემის შესაბამისი მაგალითები.
(დ) მოსწავლე ტექსტის შინაარსს გადმოსცემს ტექსტის ლექსიკის გამოყენებით.

**23.** მასწავლებელმა II კლასის მოსწავლეთა კითხვის უნარის გასაუმჯობესებლად ერთი სემესტრის განმავლობაში ახალი მეთოდის გამოყენება სცადა. სემესტრის ბოლოს ჩატარებული ტესტირების საფუძველზე დაასკვნა, რომ **ახალმა მეთოდმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მოსწავლეთა კითხვის უნარი.**

გაეცანით ქვემოთ მოცემულ პირობებს:

I. კითხვის უნარის შეფასება ახალი მეთოდით მუშაობის დაწყებამდე და მეთოდის გამოყენების შემდეგ.

II. პარალელურ II კლასში (სადაც ისევ ძველი მეთოდით მუშაობდა მასწავლებელი) კითხვის უნარის შეფასება სემესტრის დასაწყისში და სემესტრის ბოლოს და სამიზნე კლასის შედეგებთან შედარება.

III. მოსწავლეების მშობლების გაფრთხილება, რომ აღნიშნული სემესტრის განმავლობაში გაეკონტროლებინათ შვილების საშინაო დავალებები.

*ამ პირობათაგან რომლის განხორციელება იყო საჭირო, რომ მასწავლებელს აღნიშნული დასკვნის გამოტანის საფუძველი ჰქონოდა?*

(ა) მხოლოდ I
(ბ) მხოლოდ II
(გ) I და II
(დ) I და III

**24.** ტექსტზე მუშაობის ერთ-ერთი მეთოდი – ,,მოზაიკა'' – გულისხმობს მოსწავლეების განაწილებას ჯგუფებში. თითოეულ მონაწილეს მასწავლებელი სამუშაოდ აძლევს ტექსტის გარკვეულ მონაკვეთს, რომლის შინაარსის ,,ექსპერტიც'' ხდება მოსწავლე. შემდეგ სხვადასხვა ჯგუფის წევრები, რომლებიც შეისწავლიან ერთსა და იმავე ფრაგმენტს, ხვდებიან ერთმანეთს ,,ექსპერტთა ჯგუფებში'' საკუთარი ფრაგმენტის განსახილველად. ექსპერტულ ჯგუფებში მონაწილეები მსჯელობენ ამ ფრაგმენტის შინაარსის შესახებ. შემდეგ დაბრუნდებიან საწყის ჯგუფებში და გააცნობენ ,,კოლეგებს'' საკუთარი ფრაგმენტის შინაარსს.

*ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი უნარის განვითარებას უწყობს ეს მეთოდი ყველაზე* ***ნაკლებად*** *ხელს?*

(ა) თანატოლების აზრის მოსმენისა და გაზიარების
(ბ) ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ჩამოყალიბების
(გ) მთლიანი ტექსტის ინდივიდუალურად დამუშავების
(დ) ტექსტის გააზრებაში სხვებისთვის დახმარების გაწევის

**25.** ქვემოთ მოცემულია რეკომენდაციები კითხვის სწავლებასთან დაკავშირებით. რომელი რეკომენდაცია შეესაბამება კითხვის სწავლების დაბალანსებულ მიდგომას?

(ა) ძირითადი ყურადღება მიმართული უნდა იყოს კითხვაში პრობლემების მქონე ბავშვების მიერ სიტყვებში ბგერების გარჩევისა და დეკოდირების ჩვევის ათვისებაზე.
(ბ) გრაფემის ფონემად დეკოდირების ჩვევების შემუშავება ბავშვისთვის საინტერესო, შინაარსიან მასალაზე დაყრდნობით უნდა ხდებოდეს.
(გ) მთავარია სიტყვის მნიშვნელობის გაგება, რომლის საფუძველზეც მოხდება სიტყვისა და მასში შემავალი ბგერითი შეთანხმებების ცნობა.
(დ) დამწერლობის ანბანური სისტემის მქონე ენაში კითხვის ათვისება მიზანშეწონილია ასო-ბგერითი შესატყვისობის პირდაპირი სწავლებით.

**26.** მასწავლებლის მიზანია I კლასის მოსწავლეებს განუვითაროს ფონემების გაცნობიერების უნარი. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი დავალება გამოადგება მას ამ მიზნისთვის?

(ა) მასწავლებელი ასახელებს ბგერებს, მოსწავლეებმა უნდა მოძებნონ ამ ბგერების შესატყვისი ასოები პლაკატზე.
(ბ) მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, სიტყვაში ერთი ბგერა შეცვალონ ისე, რომ სხვა სიტყვა გამოვიდეს.
(გ) მასწავლებელი დაფაზე წერს სიტყვას და სთხოვს მოსწავლეებს, ააწყონ ეს სიტყვა მოძრავი ანბანის გამოყენებით.
(დ) მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მასთან ერთად ხმამაღლა და გარკვევით „გაახმოვანონ“ ანბანის ასოები.

**27.** ზოგიერთი მეცნიერის აზრით, პირველი წლის **ბოლოს კითხვის სწავლაში წარმატების წინასწარმეტყველება შესაძლებელია ბგერებისა და მარცვლების სიტყვაში გაერთიანების უნარის მიხედვით**. კითხვის სწავლების რომელი მიდგომის სასარგებლოდ მეტყველებს აღნიშნული ფაქტი?

(ა) აღმავალი მოდელის, რომლის მიხედვითაც ინფორმაციის გარდაქმნა მიმდინარეობს ქვემოდან ზემოთ, ნაწილიდან (ასო-ბგერიდან) მთელისკენ (სიტყვისკენ).
(ბ) აღმავალი მოდელის, რომლის მიხედვითაც კითხვის სწავლება კონტექსტზე დაყრდნობით სიტყვის გამოცნობის სტრატეგიით უნდა განხორციელდეს.
(გ) დაღმავალი მოდელის, რომლის მიხედვითაც სიტყვის და მასში შემავალი ბგერების ცნობა სიტყვის მნიშვნელობის საფუძველზე უნდა მოხდეს.
(დ) დაღმავალი მოდელის, რომლის მიხედვითაც კითხვის სწავლება ასოებსა და მათ ბგერით შესატყვისებს შორის კავშირის დამყარების ჩვევის გამომუშავებაა.

**28.** ანა წერისას ხშირად უშვებს შეცდომებს, აკლებს ან ამატებს ასოებს სიტყვაში. აღწერეთ აქტივობა, რომელიც დაეხმარება ანას ამ პრობლემის დაძლევაში და თან საშუალებას მისცემს, თავად აღმოაჩინოს და გაასწოროს საკუთარი შეცდომები.

(მაქსიმალური ქულა – 2)

*წაიკითხეთ IV კლასის მოსწავლეებისთვის განკუთვნილი ტექსტი, შეასრულეთ **29**-ე, **30**-ე და **31**-ე დავალებები.*

ადამიანს უძველესი დროიდან აინტერესებდა, როგორ ფრენენ ჩიტები. ბერძნული მითის მიხედვით, პირველად ჰაერში დედალოსი და იკაროსი აფრინდნენ. მათ ბუმბულისა და ცვილის ფრთები გაუკეთებიათ, მაგრამ მზესთან ახლოს მისულან და ორივე ძირს დანარცხებულა... გამომგონებლები ფრთებს ხან ველოსიპედს უმაგრებდნენ, ხან ურმებს, თუმცა, მიწას ვერავინ ასცდა. 1850 წელს მეცნიერმა ჯორჯ კეილიმ გამოიგონა მანქანა, რომლითაც ის გორაკიდან ეშვებოდა და შემდეგ ქარის საშუალებით ჰაერში ადიოდა. ჯორჯის მანქანა მხოლოდ ქარიან ამინდში დაფრინავდა. ფელიქს დიუ ტამპლმა ახალი მოდელი შექმნა – მას ძრავა დაუმატა. და აი, ის დაეშვა გორაკიდან, რათა სიჩქარე განევითარებინა და... კიდევაც აფრინდა! თუმცა, მალევე ჩამოვარდა – ძრავა ძალიან მძიმე იყო. ამერიკელი ძმები რაიტები იყვნენ პირველები, რომელთა მცდელობაც წარმატებული აღმოჩნდა. 1903 წელს მათ შექმნეს ძრავიანი თვითმფრინავი მბრუნავი თავებით, რომლებსაც პროპელერები უწოდეს. „პროპელერი ჰაერს შეისრუტავს და უკან გაიწოვს, თვითმფრინავი კი წინ წავა," – ფიქრობდნენ ისინი.

**29.** ზემოთ მოცემულ ტექსტთან დაკავშირებით დაუსვით მოსწავლეებს შეკითხვა, რომლის საშუალებით დაადგენთ, შეუძლიათ თუ არა მათ მოვლენათა შორის მიზეზშედეგობრივი მიმართებების დანახვა.

---

(მაქსიმალური ქულა – 1)

**30.** დაუსვით მოსწავლეებს შეკითხვა, რომლის საშუალებით დაადგენთ, შეუძლიათ თუ არა მათ ტექსტის სხვადასხვა ნაწილში მოცემული ინფორმაციის ერთმანეთთან დაკავშირება და მასზე დაყრდნობით დასკვნის გამოტანა.

---

(მაქსიმალური ქულა – 1)

**31.** დაუსვით მოსწავლეებს შეკითხვა, რომელიც ახალი ინფორმაციის საკუთარ ცოდნასთან ინტეგრაციის საშუალებას მისცემს და წაკითხულის გააზრებაში დაეხმარება.

---

(მაქსიმალური ქულა – 1)

**32.** ადამიანის ორგანიზმში ულტრაიისფერი სხივების ზემოქმედების შედეგად წარმოიქმნება ვიტამინი:
(ა) C
(ბ) A
(გ) K
(დ) D

**33.** რა არის მცენარეში ქლოროფილის ძირითადი ფუნქცია?
(ა) სინათლის ენერგიის შთანთქმა
(ბ) ნახშირორჟანგის დაშლა
(გ) მცენარის დაცვა მწერებისაგან
(დ) წყლის აორთქლება

**34.** ბიოტური ფაქტორების ზემოქმედების შედეგი არის:
(ა) ლპობა
(ბ) წყალდიდობა
(გ) ზამთრის ძილი
(დ) ფრინველების გადაფრენა

**35.** ვეგეტატიურ გამრავლებას <u>**არ მიეკუთვნება**</u>:
(ა) ფოთლით გამრავლება
(ბ) პწკალით გამრავლება
(გ) ბოლქვით გამრავლება
(დ) თესლით გამრავლება

**36.** ზღვის დონიდან ერთსა და იმავე სიმაღლეზე სად დნება თოვლი უფრო გვიან?
(ა) მდელოზე
(ბ) ტყეში
(გ) ჭალაში
(დ) პლაჟზე

**37.** რა დამტკიცდა ფერნანდო მაგელანის მოგზაურობით?
(ა) დედამიწის სიდიდე
(ბ) დედამიწის დახრილობა
(გ) დედამიწის მოძრაობა
(დ) დედამიწის სფეროსებურობა

**38.** რელიეფის რომელ ფორმას შეესაბამება განსაზღვრება: მოვაკებული, ბრტყელი ან სუსტტალღოვანი ზედაპირი, რომლის აბსოლუტური სიმაღლე 500 მ-ს აღემატება?
(ა) ზეგანს
(ბ) მაღლობს
(გ) მთიანეთს
(დ) დაბლობს

**39.** რუკაზე მოცემულია წარწერა: • 5068 მ. რას აღნიშნავს ის?
(ა) რუკის მასშტაბს
(ბ) შეფარდებით სიმაღლეს
(გ) აბსოლუტურ სიმაღლეს
(დ) მეზობელ მწვერვალებს შორის მანძილს

**40.** სურათზე მოცემულია ტოლი მასის მქონე სხვადასხვა მასალისგან დამზადებული სამი ბურთულა. რომელი ბურთულაა დამზადებული ყველაზე დიდი სიმკვრივის მქონე ნივთიერებისგან?




(ა) 1
(ბ) 2
(გ) 3
(დ) ყველა ბურთულა ერთი და იმავე სიმკვრივის მასალისგანაა დამზადებული

**41.** ჩამოთვლილთაგან რომელია ქიმიური მოვლენა?
(ა) ყინულის ლღობა
(ბ) წყლის აორთქლება
(გ) ლითონის გადადნობა
(დ) სანთლის წვა

**42.** დაადგინეთ შესაბამისობა პირველი სვეტისა და მეორე სვეტის ელემენტებს შორის. ქვემოთ მოცემულ ცხრილში პირველი სვეტის ელემენტების აღმნიშვნელ ასოებს მიუწერეთ მეორე სვეტის შესაბამისი ელემენტების ნომრები *(გაითვალისწინეთ, რომ პასუხი შეიძლება განმეორდეს).*

(ა) ფოლადის ბურთულა
(ბ) დიფუზია
(გ) მოცულობა
(დ) მანძილი

1. ფიზიკური სიდიდე
2. ფიზიკური სხეული
3. ფიზიკური მოვლენა

| ა | ბ | გ | დ |
|---|---|---|---|
| | | | |

**43.** ეკამ შემდეგი ცდა ჩაატარა: ორ ჭიქაში ჩაყარა ლობიოს რამდენიმე მარცვალი და დაასხა მათ წყალი ისე, რომ პირველ ჭიქაში მარცვლები მთლიანად დაიფარა წყლით, მეორეში კი – ნაწილობრივ. ორივე ჭიქა ერთნაირ პირობებში მოათავსა. რამდენიმე დღის შემდეგ დააკვირდა ცვლილებებს. აღმოჩნდა, რომ პირველ ჭიქაში თესლები დალპა, ხოლო მეორეში – აღმოცენდა.

*ცდის შესახებ მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მიუთითეთ ის კონკრეტული საკითხი, რომლის სწავლების დროსაც სთხოვდით მოსწავლეებს ამგვარი ცდის ჩატარებას. აუხსენით მოსწავლეებს ცდაში მიღებული შედეგის მიზეზი.*

(მაქსიმალური ქულა 2)

**44.** თქვენი მიზანია, IV კლასის მოსწავლეებს აუხსნათ, რა განაპირობებს წელიწადის დროების მონაცვლეობას. აღწერეთ აქტივობა, რომელსაც შესთავაზებდით მოსწავლეებს.

(მაქსიმალური ქულა 2)

**45.** $x$ და $y$ კენტი ნატურალური რიცხვებია. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია ლუწი?

(ა) $x+2y$
(ბ) $2x+3y$
(გ) $3x+4y$
(დ) $3x+5y$

**46.** ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი შედეგი დაგარწმუნებდათ, რომ მოსწავლეს შეუძლია რიგობითი რიცხვითი სახელის **გამოყენება**?

(ა) შეუძლია დაასახელოს მერამდენეა საგანთა მწკრივში მითითებული საგანი.
(ბ) შეუძლია ჩამოთვალოს რიგობითი რიცხვითი სახელები.
(გ) ითვლის „წინ/უკან" მასწავლებლის მიერ მითითებული რიცხვიდან.
(დ) ასახელებს მოცემული რიცხვის წინა და მომდევნო რიცხვებს.

**47.** ABC ტოლფერდა სამკუთხედის BC ფერდის სიგრძე 8 სმ-ით მეტია AC ფუძის სიგრძეზე. სამკუთხედის პერიმეტრი 25 სმ-ის ტოლია.
რის ტოლია ამ სამკუთხედის ფუძის სიგრძე?




(ა) 3 სმ
(ბ) 6 სმ
(გ) 9 სმ
(დ) 12 სმ

**48.** ელენემ, თეონამ და ირაკლიმ სულ 28 სოკო შეაგროვეს. ელენემ 4-ჯერ მეტი სოკო შეაგროვა, ვიდრე თეონამ, ხოლო ირაკლიმ – 12-ით ნაკლები, ვიდრე ელენემ და თეონამ ერთად. რამდენი სოკო შეუგროვებია ირაკლის?

(ა) 5
(ბ) 6
(გ) 7
(დ) 8

---

დიაგრამაზე წარმოდგენილია, რამდენ ათას ლიტრ მინერალურ წყალს ასხამდა წყლების ჩამომსხმელი კომპანია კვარტლების მიხედვით 2001-2004 წლებში.




დიაგრამის მიხედვით უპასუხეთ შემდეგ 2 შეკითხვას:

**49.** რომელ წელს მერყეობდა კომპანიის მიერ ჩამოსხმული მინერალური წყლების რაოდენობა კვარტლების მიხედვით 45-70 ათასი ლიტრის ფარგლებში?

(ა) 2001 წელს
(ბ) 2002 წელს
(გ) 2003 წელს
(დ) 2004 წელს

**50.** რამდენი ათასი ლიტრით მეტი მინერალური წყალი ჩამოასხა კომპანიამ 2002 წელს 2001 წელთან შედარებით?

(ა) 5
(ბ) 10
(გ) 15
(დ) 20

---

**51.** რიცხვთა ღერძის O სათავის სხვადასხვა მხარეს მდებარე A და B წერტილებს შორის მანძილი 8 ერთეულის ტოლია, $|OA| < |OB|$. A წერტილი უფრო მარცხნივ მდებარეობს, ვიდრე B წერტილი. $C(-4)$ წერტილი მდებარეობს:

(ა) O და B წერტილებს შორის
(ბ) O და A წერტილებს შორის
(გ) A წერტილის მარცხნივ
(დ) B წერტილის მარჯვნივ

**52.** პირველკლასელები შეკითხვაზე: *სურათზე ერთნაირი ფიგურები ხატია თუ განსხვავებული?* – ხშირად პასუხობენ, რომ სურათზე ორი განსხვავებული ფიგურა ხატია.



ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია ამ შეცდომის გამომწვევი მიზეზი?

I. ამ ასაკში ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული გეომეტრიული ფიგურების იგივეობრივად აღქმის უნარი მათი ზომისა და მდებარეობის მიუხედავად.

II. ბავშვი მიჯაჭვულია თვალსაჩინო მოცემულობას, ერთმანეთისგან მდებარეობით განსხვავებულ ერთნაირ გეომეტრიულ ფიგურებს ვერ აღიქვამს, როგორც იდენტურებს.

III. ბავშვებს ჯერ კიდევ არ აქვთ ჩამოყალიბებული სივრცითი მიმართებების გარჩევის უნარი: ვერ განარჩევენ „მარჯვნივ/მარცხნივ“, „ზემოთ/ქვემოთ“ მიმართებებს.

(ა) მხოლოდ I
(ბ) II და III
(გ) I და II
(დ) მხოლოდ III

**53.** 74 ლიტრი ღვინით რამდენიმე 11-ლიტრიანი და რამდენიმე 6-ლიტრიანი კასრი გაავსეს. რის ტოლია ღვინით გავსებული კასრების საერთო რაოდენობა?

(ა) 7
(ბ) 8
(გ) 9
(დ) 10

**54.** გზის გასამაგრებლად სამშენებლო ბლოკებით ააშენეს 1 მ სიგანისა და 3 მ სიმაღლის კედელი. სულ დასჭირდათ 96 ცალი სამშენებლო ბლოკი. რამდენი მეტრის ტოლია ამ კედლის სიგრძე, თუ ყოველი კუბური მეტრის ასაშენებლად საჭირო იყო 4 ცალი სამშენებლო ბლოკი?

(ა) 6
(ბ) 8
(გ) 10
(დ) 12

**55.** დათოს კლასში 15 მოსწავლე დათოზე დაბალია. როცა შეარჩიეს ამ კლასის 12 ყველაზე მაღალი მოსწავლე, მათ შორის დათოც მოხვდა. შერჩეულთაგან დათოზე დაბალი 2 მოსწავლე აღმოჩნდა. სულ რამდენი მოსწავლეა დათოს კლასში?

(ა) 24
(ბ) 25
(გ) 27
(დ) 29

**56.** მოცემულია თამაში (საგაკვეთილო აქტივობა): მასწავლებელს წინასწარ მომზადებული აქვს მუყაოსგან გამოჭრილი სხვადასხვა ზომის სამკუთხედი, ოთხკუთხედი და ხუთკუთხედი. ერთ-ერთი მოსწავლის ამოცანაა, თვალახვეულმა თანაკლასელთა მინიშნებების დახმარებით იპოვოს დამალული ფიგურა და შეხებით ამოიცნოს, თუ რა ფიგურაა ეს. თანაკლასელების მინიშნებები შემდეგი სახისაა: „გადადგი ორი ნაბიჯი წინ, ერთი ნაბიჯი მარჯვნივ, ხელი ზევით ასწიე...“ რომელი უნარების განვითარებას ისახავს მიზნად ეს თამაში?

I. *გეომეტრიული ფიგურების ცნობასა და დასახელებას მათი ზომის მიუხედავად*
II. *გეომეტრიული ფიგურების კლასიფიკაციას*
III. *მოქმედების დამოუკიდებლად დაგეგმვასა და განხორციელებას*
IV. *სივრცითი მიმართებების გარჩევას, სივრცეში ორიენტაციას*

(ა) I და IV
(ბ) I და III
(გ) II და III
(დ) II და IV

**57.** ვთქვათ, ახლა საღამოს 7-ის ნახევარია. რამდენი საათის წინ იყო გუშინდელი დღის დილის 10-ის ნახევარი?

(ა) 17
(ბ) 21
(გ) 27
(დ) 33

**58.** საერთო წვეროს მქონე ტოლგვერდა სამკუთხედების გვერდებით შედგენილი კუთხეებიდან ერთ-ერთის სიდიდეა 125° (იხ. ნახაზი).




რამდენი გრადუსია α კუთხის სიდიდე?

(ა) 95°
(ბ) 110°
(გ) 115°
(დ) 120°

**59.** A ქვეყანას საერთო საზღვარი აქვს მხოლოდ B და D ქვეყნებთან, B ქვეყანას – მხოლოდ A და C ქვეყნებთან, ხოლო C ქვეყანას – მხოლოდ B ქვეყანასთან.

რომელი ქვეყნის საზღვრები უნდა გადაკვეთოს მატარებელმა, რომ D ქვეყნიდან C ქვეყანაში მოხვდეს?

(ა) მხოლოდ B ქვეყნის
(ბ) მხოლოდ A ქვეყნის
(გ) ჯერ B ქვეყნის და შემდეგ A ქვეყნის
(დ) ჯერ A ქვეყნის და შემდეგ B ქვეყნის

**60.** მოცემულთაგან რომელი ნახაზი გამოდგება იმის საილუსტრაციოდ, რომ $\frac{4}{5} : \frac{1}{10} = 8$?


(ა)


(ბ)


(გ)


(დ)

**61.** თითოეული ანთებული ნათურა ყოველ საათში ერთი და იმავე ღირებულების ელექტროენერგიას ხარჯავს. 8 ნათურა 4 საათში 80 თეთრის ღირებულების ელექტროენერგიას ხარჯავს. რამდენი ლარის ტოლი იქნება 20 ნათურის მიერ 3 საათში დახარჯული ელექტროენერგიის ღირებულება?

(ა) 1,2
(ბ) 1,5
(გ) 1,8
(დ) 2

**62.** მართკუთხედი დაყოფილია 8 ტოლ კვადრატად. დაყოფის შედეგად მიღებული კვადრატის პერიმეტრის შეფარდება მოცემული მართკუთხედის პერიმეტრთან შეიძლება თუ არა იყოს $\frac{1}{4}$-ის ტოლი?

პასუხი დაასაბუთეთ.

(*მაქსიმალური ქულა – 3*)

**63.** მოსწავლეებმა შემდეგი დავალებები შეასრულეს:

**1)** გამოთვალეთ:

I. $60813 - 34852 - 9107 - 398$ II. $5304 \cdot 203$ III. $13743 : 27$.

**2)** ნახაზზე მოცემული ფიგურებიდან რომლებია მართკუთხედები?



1 2 3 4 5 6 7

**3)** სულ რამდენი სამნიშნა რიცხვი შეიძლება შევადგინოთ ციფრებისაგან 0, 2 და 5?

ერთ-ერთი მოსწავლის ნამუშევარი ასეთი იყო:




- მიუთითეთ მოსწავლის მიერ დაშვებული თითოეული შეცდომა და დაწერეთ შესწორებული ვარიანტი (მოსწავლისთვის გასაგებ ენაზე).
- მოსწავლის მიერ სწორად გადადგმული ნაბიჯებიდან რომლისთვის იმსახურებს მოსწავლე ყველაზე მეტად შექებას, დაშვებული შეცდომებიდან კი რომელია ყველაზე არსებითი?

  პასუხი დაასაბუთეთ.

(*მაქსიმალური ქულა* – 4)

# აკადემიური უნარები

## წაკითხული ტექსტის გააზრება

*ყურადღებით წაიკითხეთ და გაიაზრეთ ტექსტი. თითოეული შეკითხვის სავარაუდო პასუხებიდან აირჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც მართებულია მოცემული ტექსტის მიხედვით.*

ბაზისურ ემოციებთან ერთად (სიხარული, ბრაზი, შიში და ა. შ.), ადამიანებისთვის დამახასიათებელია მეორეული, უფრო რთული ემოციები, მაგალითად, სირცხვილი, სიამაყე და დანაშაულის გრძნობა. ასეთ ემოციებს **მე**-ს ცნობიერებასთან დაკავშირებული ემოციები ეწოდება, ვინაიდან თითოეული მათგანი გავლენას ახდენს მე-ს განცდის გამძაფრებაზე. თუ გვრცხვენია ან უხერხულად ვგრძობთ თავს, ვცდილობთ, მოვიქცეთ ისე, რომ სხვებისთვის ჩვენი შეცდომა ან წარუმატებლობა შესამჩნევი არ იყოს. დანაშაულის გრძნობა ვინმესთვის ზიანის მიყენების დროს ჩნდება. ასეთ სიტუაციაში ჩვენ მიერ ჩადენილი არასწორი საქციელის გამოსწორებასა და ურთიერთობის აღდგენას ვცდილობთ. სიამაყე კი, პირიქით, საკუთარი მიღწევებით კმაყოფილებას გულისხმობს, რომლის დროსაც სურვილი გვიჩნდება, სხვებს მოვუყვეთ, როგორ მივაღწიეთ დასახულ მიზანს და რა გეგმების განხორციელებას ვაპირებთ მომავალში.

საკუთარი ემოციების გაცნობიერებისა და გაგების უნარის განვითარება შემეცნებით განვითარებას უკავშირდება. 4-5 წლის ბავშვები სიამაყის ნაცვლად სიხარულს, ბედნიერებასა და აღფრთოვანებას, დანაშაულის გრძნობის ნაცვლად კი – დასჯის შიშს აღწერენ. სკოლის ასაკის ბავშვებს უკეთ შეუძლიათ ახსნან საკუთარი ემოციები. თუ 6-7 წლის ასაკში სიამაყის მიზეზად უფროსების მხრიდან შექებას ასახელებენ, 8 წლის ასაკიდან ბავშვები სიამაყესა და დანაშაულის გრძნობას უკვე საკუთარ წარმატებასა თუ წარუმატებლობას უკავშირებენ. სიამაყის, სირცხვილის ან დანაშაულის განცდის კომპლექსური გაგება სოციალური გამოცდილების საფუძველზე კოგნიტური განვითარების კვალდაკვალ ყალიბდება.

ბავშვებში, რომლებსაც მშობლები ხშირად მათ უარყოფით თვისებაზე ან არასწორ საქციელზე მიუთითებენ, მე-ს ცნობიერებასთან დაკავშირებული ემოციები უფრო მძაფრია – წარუმატებლობის შემთხვევაში გადამეტებული სირცხვილის, წარმატების შემთხვევაში კი გადამეტებული სიამაყის გრძნობა უჩნდებათ. იმ ბავშვებში, რომელთა მშობლები, პირიქით, ძირითად ყურადღებას ალტერნატიულ გონივრულ ქცევაზე ამახვილებენ, სირცხვილისა და სიამაყის გრძნობები ზომიერია. შესაბამისად, ისინი სიძნელეებს გაცილებით უკეთ უმკლავდებიან.

სირცხვილის ძლიერი გრძნობა ადაპტაციასთან დაკავშირებულ პრობლემას – გულჩათხრობილობასა და დეპრესიას, აგრეთვე, სირცხვილის გრძნობის მაპროვოცირებელი სიტუაციისა და ადამიანების მიმართ ბრაზსა და აგრესიას იწვევს. დანაშაულის გრძნობას უფრო კონკრეტული ხასიათი აქვს, რადგან კონკრეტულ ქმედებას თუ უმოქმედობას უკავშირდება და, შესაბამისად, ნაკლებად ახდენს უარყოფით გავლენას თვითშეფასებაზე. დანაშაულის გრძნობა, რომელიც გარკვეულ სიტუაციებში ჩნდება და რომელსაც სირცხვილის გრძნობა არ მოსდევს, პირიქით, ბავშვს საზიანო იმპულსების დაძლევაში ეხმარება და მის მიერ ჩადენილი ცუდი საქციელის გამოსწორებისა და უფრო გონივრული ქცევისაკენ უბიძგებს.

მე-ს ცნობიერებასთან დაკავშირებული ემოციების ჩამოყალიბებისთვის კულტურას დიდი მნიშვნელობა აქვს. დასავლეთის ინდივიდუალისტურ საზოგადოებებში ბავშვს ასწავლიან, იამაყოს პიროვნული მიღწევებით, მაგალითად, თუ ბურთი ყველაზე შორს გადააგდო, გაიმარჯვა თამაშში ან კარგი ნიშნები მიიღო. კოლექტივისტურ ქვეყნებში, როგორიცაა, მაგალითად, ჩინეთი ან იაპონია, მხოლოდ პიროვნულ წარმატებაზე ყურადღების გამახვილება უხერხულობის განცდას აჩენს. ჩინელ მშობლებს მიაჩნიათ, რომ ცუდი საქციელის ჩადენის შემთხვევაში ბავშვი სირცხვილს აუცილებელად უნდა გრძნობდეს. ისინი ბავშვებს უკვე სამი წლიდან ასწავლიან სირცხვილის გრძნობის გამოყენებით კარგისგან ცუდის გარჩევას, მაგრამ იმას არ ითვალისწინებენ, რომ შესაძლოა, გადაჭარბებულმა სირცხვილის გრძნობამ ბავშვის თვითშეფასებას ზიანი მიაყენოს.

**64.** რატომ უწოდებენ მეორეულ ანუ რთულ ემოციებს მე-ს ცნობიერებასთან დაკავშირებულ ემოციებს?

(ა) ეს ემოციები საკუთარი თავის მიმართ დამოკიდებულებაზე ახდენს გავლენას და, შესაბამისად, ქცევის ცვლილებას განაპირობებს
(ბ) ეს ემოციები უარყოფითად აისახება ადამიანის თვითშეფასებაზე, რაც გარშემომყოფთა მიმართ მისი ქცევის ცვლილებას განაპირობებს
(გ) ამ ემოციების გამოხატვის უნარი მომავალში ადამიანის წარმატებასა თუ წარუმატებლობას განაპირობებს
(დ) ეს ემოციები ადამიანს თვითანალიზის საშუალებას აძლევს და საკუთარი არასწორი ქცევის გამოსწორებისა და სხვებთან ურთიერთობის გაუმჯობესებისკენ უბიძგებს

**65.** რას გულისხმობს წინადადება: ,,სიამაყის, სირცხვილისა ან დანაშაულის განცდის კომპლექსური გაგება სოციალური გამოცდილების საფუძველზე კოგნიტური განვითარების კვალდაკვალ ყალიბდება''?

(ა) ასაკის მატებასთან და, შესაბამისად, გამოცდილების დაგროვებასთან ერთად ბავშვები უკეთ გამოხატავენ სიამაყის, სირცხვილისა თუ დანაშაულის გრძნობას
(ბ) კოგნიტური განვითარება და შესაბამისი სოციალური გამოცდილება ხელს უწყობს ბავშვის მიერ მეორეული ემოციების მიზეზების გაცნობიერების უნარის ჩამოყალიბებას
(გ) კოგნიტური განვითარების გარკვეული დონეა საჭირო, რომ ბავშვმა მეორეული ემოციების სოციალურ გამოცდილებასთან დაკავშირება შეძლოს
(დ) უფროსების რეაქცია ბავშვის ამა თუ იმ ქცევაზე მნიშვნელოვანწილად განაპირობებს სიამაყის, სირცხვილისა თუ დანაშაულის გრძნობის გაცნობიერების უნარის ჩამოყალიბებას

**66.** ქვემოთ მოცემულია რამდენიმე უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვის მსჯელობა. რომელი შეესაბამება ემოციური ცნობიერების განვითარების ყველაზე მაღალ საფეხურს?

(ა) **,,**მე ამაყი ვარ, იმიტომ რომ მამამ ფეხბურთის მატჩზე წამიყვანა.''
(ბ) ,,მე ამაყი ვარ, რადგან ბევრს ვეცადე და სამკუთხედის დახაზვა შევძელი.''
(გ) ,,მე მრცხვენია, იმიტომ, რომ საკონტროლო წერაში ცუდი ნიშანი მივიღე.''
(დ) ,,მე დამნაშავე ვარ, რადგან ჭიქის გატეხვის გამო დედამ დამსაჯა.''

**67.** IV აბზაცის მიხედვით, სირცხვილის გრძნობა დანაშაულის გრძნობასთან შედარებით უფრო უარყოფით ზეგავლენას ახდენს ბავშვის თვითშეფასებაზე და, შესაბამისად, მის ადაპტაციურ უნარებზე, რადგან:

(ა) უკავშირდება არა კონკრეტულ ქცევას ამა თუ იმ სიტუაციაში, არამედ ბავშვის მიერ საკუთარი შესაძლებლობებისა და თვისებების უარყოფით შეფასებას
(ბ) ხელს უშლის ბავშვს, გააკონტროლოს საკუთარი იმპულსები და მოიფიქროს სხვა უფრო გონივრული ქცევა
(გ) ბავშვს დესტრუქციული ემოციები უჩნდება იმ ადამიანების მიმართ, ვინც დაკავშირებული იყო სირცხვილის გრძნობის მაპროვოცირებელ სიტუაციასთან
(დ) გულჩათხრობილობასა და დეპრესიას იწვევს, თუმცა, გონივრული ქცევის გამოსწორების გზების ძიებას უწყობს ხელს

**68.** ბავშვი უკეთ გაუმკლავდება სიძნელეებს, თუ მშობლების რეაქცია მის წარუმატებელ ქცევაზე შემდეგია:

(ა) ,,ასე ხომ უკვე სცადე; მოდი, ამჯერად სხვანაირად გავაკეთოთ...''
(ბ) ,,შეხედე, შენი მეგობარი როგორ აკეთებს, შენც ხომ შეგეძლო ასე გაგეკეთებინა... ''
(გ) ,,შენ შეცდომა დაუშვი, თუმცა ეს შენთვის მაინც კარგი შედეგია...''
(დ) ,,შენ არ გამოგივიდა, მოდი, მე გაჩვენებ, როგორ უნდა გააკეთო...''

**69.** ჩინელი ბავშვების სიტყვათა მარაგს სიტყვა ,,სირცხვილი'' გაცილებით უფრო ადრე ემატება, ვიდრე ეს ხდება მათ ჩრდილოამერიკელ თანატოლებში. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელშია ასახული კონკრეტული მიზეზი ამ ფაქტის ასახსნელად?

(ა) ჩინელი მშობლები არ ითვალისწინებენ, რომ გადაჭარბებულმა სირცხვილის გრძნობამ შესაძლოა ბავშვის თვითშეფასებას ზიანი მიაყენოს
(ბ) კოლექტივისტურ ქვეყნებში ... პიროვნულ წარმატებაზე ყურადღების გამახვილება უხერხულობის განცდას აჩენს
(გ) ჩინელი მშობლები უკვე 3 წლიდან ასწავლიან ბავშვებს სირცხვილის გრძნობის გამოყენებით კარგისგან ცუდის გარჩევას
(დ) ჩინელ მშობლებს მიაჩნიათ, რომ ცუდი საქციელის ჩადენის შემთხვევაში ბავშვი სირცხვილს აუცილებელად უნდა გრძნობდეს

**70.** ტექსტის ავტორის ძირითადი მიზანია:

(ა) წარმოაჩინოს მშობელთა როლი ბავშვის ემოციური განვითარებისა და ქცევის ჩამოყალიბების პროცესში
(ბ) ხაზი გაუსვას სოციალური გამოცდილების როლს ბაზისური ემოციებისა და მე-ს ცნობიერებასთან დაკავშირებული ემოციების ჩამოყალიბებაში
(გ) გააანალიზოს სხვადასხვა ასაკის ბავშვთა ემოციების გამოხატვის უნარის განვითარების თავისებურებები კულტურულ კონტექსტში
(დ) განიხილოს ერთ-ერთი ტიპის ემოციების განვითარების თავისებურებები სოციალური გამოცდილებისა და კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით

## ანალიტიკური წერა

**71.** *შეგახსენებთ რამდენიმე საბავშვო ნაწარმოების შინაარსს:*

ჯანი როდარის საბავშვო მოთხრობის გმირი, პატარა ჯელსომინო საოცარ ქვეყანაში მოხვდა, სადაც სასტიკი და გაიძვერა მეკობრე მეფობდა. ამ ქვეყანაში სიტყვა „მეკობრე" პატიოსან ადამიანს ნიშნავდა, პურს მელანს ეძახდნენ, ყველს – საშლელს, საფუნთუშეში საკანცელარიო ნივთები იყიდებოდა, საკანცელარიო მაღაზიაში კი – პური. ყოველ დილით ხალხი ერთმანეთს „დილა მშვიდობისას" კი არა, „ძილი ნებისას" უსურვებდა. ცრუთა ქვეყანაში ძაღლები კნაოდნენ, კატები ყეფდნენ, თაგვები ღრიალებდნენ, ლომები კი წრიპინებდნენ.

მეფის ბრძანებით, გამრავლების ტაბულაში რიცხვებს ადგილი შეუცვალეს. გამრავლების ნაცვლად უნდა გაგეყო, თუ მიმატება გინდოდა, უნდა გამოგეკლო....

დონალდ ბისეტის ერთ მოთხრობაში ყვავი ალისა სიზმარს ნახავს, ყირამალა სიზმარს: კატები ძაღლებზე ნადირობენ, თაგვები – კატებზე, ფორანში მერძევე შებმულა, ცხენი კოფოზე ზის და მერძევეს აჩქარებს, ბავშვები მშობლებს ტუქსავენ, მშობლები ტირიან: „მეტს აღარ ვიზამთ!" ღამით მზე ანათებს, დღისით – მთვარე და ვარსკვლავები. „ესეც თუ ცხოვრებაა! ყველაფერი ყირამალაა!" – ამბობს კატა მური.

*გაიხსენეთ ქართული ხალხური ლექსიც:*

სანთლის გუთანს ავაშენებ,
შიგ შევაბამ უღელს დევსა,
ზღვაში ვხნავ და ზღვაში ვთესავ,
ხმელზე ვინადირებ თევზსა.
    ყინულზე კალოს გავლეწავ
    და მშრალზე გადავყრი ბზესა,
    ჭინჭველას გოდორს ავკიდებ
    და დევებს დავუყრი ბზესა.

*საბავშვო ნაწარმოებებში ხშირად ყველაფერი „ყირამალაა", მწერალი თუ ლექსის მთქმელი რეალურს ცვლის არარეალურით. იმსჯელეთ:*

- *რა მიზნით მიმართავენ საბავშვო ნაწარმოებთა ავტორები ამ ხერხს.*
- *რა პოზიტიური შედეგები შეიძლება მოჰყვეს ბავშვისთვის ამგვარი შინაარსის მქონე ნაწარმოების სწავლებას.*
- *მსჯელობის გასამყარებლად მოიყვანეთ არგუმენტები და მაგალითები.*

*თქვენ მიერ დაწერილი თხზულება უნდა შეიცავდეს, სულ მცირე, 100 სიტყვას.*

# სწორი პასუხები, შეფასების კრიტერიუმები და მაქსიმალური ქულით შეფასებული ნიმუშები

## პროფესიული ცოდნა და მეთოდიკა

### ქართული ენა და ლიტერატურა

| | |
|---|---|
| **1** | **ბ** |
| **2** | **დ** |
| **3** | **ბ** |
| **4** | **გ** |

**5** მაქსიმალური ქულა: 8

| **შეცდომა** | **უნდა იყოს** |
|---|---|
| სასო წარკვეთილმა | სასოწარკვეთილმა |
| მიახწია | მიაღწია |
| მადლობა მოუხადა | მადლობა გადაუხადა |
| დათვარიელება | დათვალიერება |

- თითოეული შეცდომის გასწორება და შესაბამისი დასაბუთება ფასდება 2 ქულით.
- მხოლოდ შეცდომის გასწორება, სათანადო დასაბუთების გარეშე, ფასდება 1 ქულით.
- მოსწავლის მიერ სწორად დაწერილი სიტყვის მცდარი ფორმით შეცვლის შემთხვევაში შეფასებას აკლდება 1 ქულა.



| | |
|---|---|
| **6** | **დ** |
| **7** | **ა** |

**8** მაქსიმალური ქულა: 1

| **ა** | **ბ** | **გ** | **დ** |
|---|---|---|---|
| **2** | **1** | **4** | **3** |

**9** მაქსიმალური ქულა: 1

| **ა** | **ბ** | **გ** | **დ** |
|---|---|---|---|
| **3** | **5** | **1** | **2** |

**10** მაქსიმალური ქულა: 1

| **ა** | **ბ** | **გ** | **დ** | **ე** |
|---|---|---|---|---|
| **3** | **2** | **2** | **1** | **4** |

| | |
|---|---|
| **11** | მაქსიმალური ქულა: 1 |
| | **1 ქულა**: მითითებულია ზმნის სწორი ფორმა - **გააანალიზა;** წარმოდგენილია ზმნის ამ ფორმაში თავმოყრილი სამივე **ა** ბგერის გრამატიკული ანალიზი.<br>**0 ქულა**: არ არის მითითებული ზმნის სწორი ფორმა ან არ არის წარმოდგენილი ზმნის ამ ფორმაში თავმოყრილი **ა** ბგერებიდან რომელიმეს გრამატიკული ანალიზი.<br>1. გააანალიზა — I ა ფარს ზმნისწინის ხმოვანი ნაწილი; II ა ფარს სასვენი ნიშნის ნიშანი; III ა ფუძისეული ხმოვანი სიტყვაში „ანალიზ“. |
| **12** | მაქსიმალური ქულა: 1 |
| | **1 ქულა**: ახსნილია, რომ „რე“ პრეფიქსი მიუთითებს განახლებაზე, შექცევითობაზე, განმეორებად მოქმედებაზე.<br>**0 ქულა**: პასუხი არ არის მოცემული ან არამართებულია. |
| **13** | მაქსიმალური ქულა: 1 |
| | **1 ქულა**: დასახელებულია ადეკვატური ტერმინი (დიალექტიზმი, კუთხური მეტყველება, კილო-კავი) და წარმოდგენილია მსჯელობა ლექსის ენის ამ თავისებურებაზე IV კლასის მოსწავლეებისთვის გასაგები ლექსიკით;<br>**0 ქულა**: დასახელებულია ლექსის ენის თავისებურების გამომხატველი ტერმინი, მაგრამ არ არის ის განმარტებული; პასუხი არ არის მოცემული ან არამართებულია.<br>13. ამ ლექსში გხვდებოდა დიალექტური ფორმები, მაგ., „მიყვანან“, „შეყარა“... სექართველოს სხვადასხვა კუთხეში ზოგიერთი სიტყვას სხვა-სხვანაირ ფორმებსა ... |
| **14** | მაქსიმალური ქულა: 2 |
| | **2 ქულა**: გადმოცემულია ლექსის შინაარსი, განხილულია ლექსის მხატვრული მხარე (ალეგორია, გაპიროვნება...); ლექსის ძირითადი სათქმელი წარმოდგენილია IV კლასის მოსწავლეებისთვის გასაგები ენით;<br>**1 ქულა**: განმარტებულია ლექსის შინაარსი IV კლასის მოსწავლეებისთვის გასაგები ენით;<br>**0 ქულა**: განმარტების გარეშეა მოცემული ლექსის თხრობითი ვერსია, პერიფრაზი; პასუხი არ არის მოცემული ან არამართებულია.<br>14. ლექსი სატრფიალო ხასიათისაა, ალეგორიულად შეფარვით არის გადმოცემული მოქმედების განწყობები. ლრუბლების შეყარა და ნვიმის წამოსვლა („მინასა ჩამოსო“) შეყვარებულების შეხვედრას გულისხმობს. |
| **15** | მაქსიმალური ქულა: 1 |
| | **1 ქულა**: წარმოდგენილია მსჯელობა ნაწარმოების ჟანრის თავისებურებებზე მეოთხეკლასელისათვის გასაგები ლექსიკით;<br>**0 ქულა**: მითითებულია ნაწარმოების ჟანრი, მაგრამ არ არის მსჯელობა მის თავისებურებებზე; პასუხი არ არის მოცემული ან არამართებულია.<br>15. ეს არის მინიატურა, მცირე ფორმის მხატვრული ნაწარმოები. მასში ციკლონისა არის გადმოცემული წუთიერი ყოყმანი. |
| **16** | მაქსიმალური ქულა: 2 |
| | **2 ქულა**: წარმოდგენილია მსჯელობა საკითხზე, თუ რაზე არ ზრუნავს მამა შვილთან ურთიერთობისას, ახსნილია ნაწარმოებში წამოჭრილი ძირითადი პრობლემა და დამოწმებულია მაგალითი ლიტერატურიდან; ან წარმოდგენლია მსჯელობა საკითხზე, თუ რაზე არ ზრუნავს მამა შვილთან ურთიერთობისას, და დამოწმებულია მაგალითი ლიტერატურიდან, თუმცა, არ არის მოცემული მსჯელობა ნაწარმოებში წამოჭრილი ძირითადი პრობლემის შესახებ; |

| | |
|---|---|
| | **1 ქულა:** წარმოდგენილია მსჯელობა საკითხზე, თუ რაზე არ ზრუნავს მამა შვილთან ურთიერთობისას, მაგრამ არ არის გამოკვეთილი ნაწარმოებში წამოჭრილი ძირითადი პრობლემა და არ არის დამოწმებული მაგალითი ლიტერატურიდან; ან წარმოდგენილია გააზრებული მსჯელობა ნაწარმოებში წამოჭრილი ძირითადი პრობლემის შესახებ, თუმცა, არ არის განხილული საკითხი, თუ რაზე არ ზრუნავს მამა შვილთან ურთიერთობისას, და არ არის დამოწმებული მაგალითი ლიტერატურიდან;<br>**0 ქულა:** მითითებულია ნაწარმოების ჟანრი, მაგრამ არ არის მსჯელობა მის თავისებურებებზე; პასუხი არ არის მოცემული ან არამართებულია.<br>• მწერალი აჩვენებს ადამიანის დაუნდობელ ბუნებას. მაგრამ ორ ზრუნავს შვილის ფსიქიკაზე, ვერ აცნობიერებს მის განცდებს, ორ ასწავლის ყოველი ახსოვნებლადმი მზრუნველ დამოკიდებულებას, თუნდაც სიზარბელის. პასუხისგებლად: „შვილს ნუხრის ნაამბობი", ინანიშვილის „მუხა" |
| **17** | მაქსიმალური ქულა: 1 |
| | **1 ქულა:** ამოწერილია რომელიმე შემდეგი ფრაზებიდან:<br>• ყველას და, მათ შორის მეც;<br>• მათ შორის მეც;<br>• მათ შორის;<br>**0 ქულა:** არ არის ამოწერილი არც ერთი სათანადო ფორმა. |

## კითხვისა და წერის სწავლება

| | |
|---|---|
| **18** | დ |
| **19** | გ |
| **20** | გ |
| **21** | ბ |
| **22** | დ |
| **23** | გ |
| **24** | გ |
| **25** | ბ |
| **26** | ბ |
| **27** | ა |

| | |
|---|---|
| **28** | მაქსიმალური ქულა: 2 |
| | **2 ქულა**: აღწერილია დავალებაში მოცემული პრობლემის დაძლევისთვის შესაბამისი აქტივობა, რომელშიც ჩანს, რომ მოსწავლეს შეუძლია საკუთარი შეცდომების დამოუკიდებლად გასწორება;<br>**1 ქულა**: აღწერილია დავალებაში მოცემული პრობლემის დასაძლევად საჭირო ადეკვატური აქტივობა, თუმცა, პასუხში არ ჩანს, რომ მოსწავლეს შეუძლია დამოუკიდებლად აღმოჩინოს და გაასწოროს შეცდომა;<br>**0 ქულა**: მითითებულია წარმოდგენილი პრობლემისთვის შეუსაბამო აქტივობა; პასუხი ძალიან ზოგადია; დავალება არ არის შესრულებული.<br>  |
| **29** | მაქსიმალური ქულა: 1 |
| | **1 ქულა**: წარმოდგენილია შეკითხვა, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს, მოცემულ ტექსტში დაინახოს მიზეზშედეგობრივი მიმართება;<br>**0 ქულა**: მოცემულია შეუსაბამო / ძალზე ზოგადი შეკითხვა; დავალება არ არის შესრულებული.<br>  |
| **30** | მაქსიმალური ქულა: 1 |
| | **1 ქულა**: მოცემულია შეკითხვა, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს ტექსტის სხვადასხვა ნაწილში წარმოდგენილი ინფორმაციის ერთმანეთთან დაკავშირებასა და დასკვნის გამოტანაში;<br>**0 ქულა**: მოცემულია შეუსაბამო / ძალზე ზოგადი შეკითხვა; დავალება არ არის შესრულებული. |



| | |
|---|---|
| **31** | მაქსიმალური ქულა: 1 |
| | **1 ქულა:** მოცემულია შეკითხვა, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს ახალი ცოდნის საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებასა და ტექსტის გააზრებაში;<br>**0 ქულა:** მოცემულია შეუსაბამო / ძალზე ზოგადი შეკითხვა; დავალება არ არის შესრულებული. |



## ბუნებისმეტყველება

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **32** | დ | | | |
| **33** | ა | | | |
| **34** | ა | | | |
| **35** | დ | | | |
| **36** | ბ | | | |
| **37** | დ | | | |
| **38** | ა | | | |
| **39** | გ | | | |
| **40** | გ | | | |
| **41** | დ | | | |
| **42** | ა | ბ | გ | დ |
| | **2** | **3** | **1** | **1** |

| | |
|---|---|
| **43** | მაქსიმალური ქულა: 2 |
| | **2 ქულა:** ახსნილია ცდით მიღებული შედეგის მიზეზი და მითითებულია ის კონკრეტული საკითხი, რომლის სწავლებისას მოსწავლეებს ჩაატარებინებენ ამგვარ ცდას;<br>**1 ქულა:** დასახელებულია ცდით მიღებული შედეგის მიზეზი, მაგრამ არ არის მითითებული საკითხი, რომლის სწავლებისას საჭიროა ამგვარი ცდის ჩატარება;<br>**0 ქულა:** პასუხი არ არის გაცემული ან შეუსაბამოა. |



| | |
|---|---|
| **44** | მაქსიმალური ქულა: 2 |
| | **2 ქულა:** სწორადაა დასახელებული მოცემული მოვლენის გამომწვევი მიზეზი და მართებულადაა აღწერილი აქტივობა, რომელიც დაეხმარება მოსწავლეებს ამ მოვლენის არსის გააზრებაში;<br>**1 ქულა:** მითითებულია მოცემული მოვლენის გამომწვევი მიზეზი, აქტივობის მითითების გარეშე, ან მითითებულია ადეკვატური აქტივობა, თუმცა არ არის დასახელებული მოვლენის გამომწვევი მიზეზი;<br>**0 ქულა:** პასუხი არ არის გაცემული ან არ არის სწორი.<br>  |

## მათემატიკა

| | |
|---|---|
| **45** | დ |
| **46** | ა |
| **47** | ა |
| **48** | დ |
| **49** | დ |
| **50** | გ |
| **51** | გ |
| **52** | გ |
| **53** | გ |
| **54** | გ |
| **55** | გ |
| **56** | ა |
| **57** | დ |
| **58** | გ |
| **59** | დ |
| **60** | ა |
| **61** | გ |

| | |
|---|---|
| **62** | მაქსიმალური ქულა: 3 |
| | **3 ქულა**: დასაბუთებულია, რომ დაყოფის შედეგად მიღებული კვადრატის პერიმეტრის შეფარდება მოცემული მართკუთხედის პერიმეტრთან არ შეიძლება იყოს $\frac{1}{4}$-ის ტოლი;<br>**2 ქულა**: დადგენილია, რომ დაყოფის შედეგად მიღებული კვადრატის პერიმეტრის შეფარდება მოცემული მართკუთხედის პერიმეტრთან შეიძლება იყოს ან $\frac{2}{9}$-ის, ან $\frac{1}{3}$-ის ტოლი;<br>**1 ქულა**: წარმოდგენილია მართკუთხედის 8 ტოლ კვადრატად დაყოფის სულ მცირე ერთი ვარიანტი (მაგალითად, ნახაზის სახით);<br>**0 ქულა**: არ არის შესრულებული ზემოთ მოცემულთაგან არც ერთი. |

62. 1)

ამ შემთხვევაში კვადრატის პერიმეტრია 4a, ხოლო მართკუთხ. დრო — 18a ანუ შეკავშირები $\frac{4a}{18a} = \frac{2}{9}$.

2) 

$P_{კვადრატის} = 4a$

$P_{მართკ.} = 12a$

შეკავშირები: ტოლია $\frac{4a}{12a} = \frac{1}{3}$

სხვანაირად მართკუთხედის დაყოფა 8 ტოლ კვადრატად შეუძლებელია, ანუ ჩვენ შეკავშირები $\frac{1}{4}$-ის ტოლი ვეძებ ოდენობა

**63** მაქსიმალური ქულა: 4

დაშვებულია 6 შეცდომა:

1) I. მოსწავლემ სწორად აირჩია ამოხსნის ეფექტური გზა, მაგრამ დაუშვა შეცდომა გამოკლებისას. უნდა იყოს:

$$\begin{array}{r} -\,60813 \\ \underline{44357} \\ 16456 \end{array}$$

II. დაშვებულია შეცდომა გამრავლებისას. უნდა იყოს:

$$\begin{array}{r} \times\ \ 5304 \\ \underline{203} \\ 15912 \\ +\ \underline{10608\phantom{0}} \\ 1076712 \end{array}$$

III. დაშვებულია შეცდომა გაყოფისას. უნდა იყოს:

$$13743 : 27 = 509$$

$$\begin{array}{l} \underline{135} \\ \quad 243 \\ \quad \underline{243} \\ \qquad 0 \end{array}$$

2) მოსწავლემ დაუშვა 2 არსებითი შეცდომა: კვადრატი არ ჩათვალა მართკუთხედად და მე-4 ფიგურა ჩათვალა მართკუთხედად.

3) მოსწავლემ აირჩია ამოხსნის ეფექტური გზა, მაგრამ არ გაითვალისწინა, რომ სამნიშნა რიცხვი არ შეიძლება იწყებოდეს 0-ით. ამიტომ ასეულების თანრიგში ციფრის დაწერის სულ ორი შესაძლებლობაა. შესაბამისად, ციფრებისაგან 0, 2 და 5 სულ შედგება $2 \cdot 3 \cdot 3 = 18$ სამნიშნა რიცხვი.

- პირველი დავალების I საკითხსა და მესამე დავალებაში შეცდომის აღმოჩენისა და შესწორებისათვის იწერება სამ-სამი „+“, ხოლო დანარჩენი შეცდომების აღმოჩენისა და შესწორებისათვის - ორ-ორი „+“.

- მოსწავლის ყველაზე წარმატებულ ნაბიჯად გამოკლებისა და ვარიანტების დათვლის გზებიდან სულ მცირე ერთ-ერთის მითითებისთვის (სათანადო დასაბუთებით) იწერება კიდევ ორი „+“.
- ყველაზე არსებით შეცდომად კვადრატის მართკუთხედად არჩათვლის და მე-4 ფიგურის მართკუთხედად ჩათვლის შემთხვევაში იწერება კიდევ ორი „+“.
- შეფასება ხდება დაგროვილი „+“-ების საერთო რაოდენობის მიხედვით:

**4 ქულა:** 15-18 „+“
**3 ქულა:** 11-14 „+“;
**2 ქულა:** 7-10 „+“;
**1 ქულა:** 4-6 „+“;
**0 ქულა:** 3 ან ნაკლები „+“.



# აკადემიური უნარები

## წაკითხული ტექსტის გააზრება

| | |
|---|---|
| 64 | ა |
| 65 | ბ |
| 66 | ბ |
| 67 | ა |
| 68 | ა |
| 69 | გ |
| 70 | დ |

## ანალიტიკური წერა

| | |
|---|---|
| 71 | მაქსიმალური ქულა: 13 |
| | **1. შინაარსის რელევანტურობა**<br>ნაშრომი შეესაბამება მოცემულ საკითხს, პასუხობს დასმულ ამოცანებს.<br>**2 ქულა:** ნაშრომი პასუხობს თემას, არ ეხება არარელევანტურ საკითხებს;<br>**1 ქულა:** თემას პასუხობს ნაშრომის მხოლოდ გარკვეული მონაკვეთი; მოცემულია არარელევანტური ინფორმაცია;<br>**0 ქულა:** ნაშრომი არ პასუხობს თემას, შეეხება სრულიად განსხვავებულ საკითხს, წარმოადგენს დავალების პერიფრაზს.<br>***შენიშვნა:*** *თუ ნაშრომი პირველი კრიტერიუმის მიხედვით შეფასდება 0 ქულით, ის აღარ გასწორდება სხვა კრიტერიუმების მიხედვით.*<br><br>**2. დასაბუთება**<br>აპლიკანტის პოზიცია წარმოდგენილია შესაბამისი დასაბუთებით, მსჯელობა გამყარებულია დამაჯერებელი, ადეკვატური არგუმენტებითა და მაგალითებით.<br>**3 ქულა:** მოყვანილია დამაჯერებელი, მრავალფეროვანი, ორიგინალური არგუმენტები, მაგალითები, განხილულია კონტრარგუმენტები;<br>**2 ქულა:** არგუმენტით/მაგალითით გამყარებულია მხოლოდ ზოგიერთი მოსაზრება, ან არგუმენტები მოყვანილია ყველა მოსაზრებისთვის, აპლიკანტი თანმიმდევრულად მსჯელობს საკითხის შესახებ;<br>**1 ქულა:** არის დასაბუთების მცდელობა, თუმცა არგუმენტები ზედაპირული, ერთფეროვანი და არადამაჯერებელია;<br>**0 ქულა**: მოსაზრებები არ არის გამყარებული მაგალითებითა და არგუმენტებით, არ არის წარმოდგენილი ლოგიკური მსჯელობა.<br><br>**3. თხრობის ორგანიზება**<br>ნაშრომი სტრუქტურულად გამართულია, აზრები მწყობრად, თანმიმდევრულად არის გადმოცემული, თხზულების ნაწილები ერთმანეთთან ლოგიკურადაა დაკავშირებული.<br>**2 ქულა:** ტექსტი სტრუქტურულად გამართულია _ ნაწერში წარმოდგენილია საკითხის დასმა, მსჯელობა, დასკვნა; აზრები მწყობრად არის გადმოცემული, მონაკვეთები ლოგიკურად უკავშირდება ერთმანეთს;<br>**1 ქულა:** ნაწერში დასმულია საკითხი, თუმცა, მსჯელობა ზედაპირულია, წარმოდგენილი დასკვნა არამართებულია ან შეუსაბამო; წარმოდგენილია ტექსტის მხოლოდ ზოგიერთი სტრუქტურული ნაწილი; ერთმანეთს ლოგიკურად უკავშირდება ტექსტის მხოლოდ ზოგიერთი მონაკვეთი;<br>**0 ქულა:** ნაწერში წარმოდგენილია პერიფრაზი და მხოლოდ მცირე მონაკვეთი ეთმობა მსჯელობას(რამდენიმე წინადადება, პატარა აბზაცი ა. შ. ); მოსაზრებები, ტექსტის ნაწილები ერთმანეთთან ლოგიკურად არ არის დაკავშირებული; ნაწერში არ არის წარმოდგენილი სტრუქტურული ნაწილები - საკითხის დასმა, მსჯელობა, დასკვნა. |

| | |
|---|---|
| | **4. სტილი, ლექსიკა**<br>აზრები ცხადად, ნათლადაა გამოთქმული, ნაწერი ლექსიკურად მდიდარი და სტილისტურად გამართულია, ლექსიკა შეესაბამება დასმულ საკითხს.<br>**3 ქულა:** არ არის დაშვებული სტილისტური შეცდომები, ტექსტი ლექსიკურად მდიდარია, აზრი მკაფიოდ და გამართულად არის გადმოცემული, გამოყენებულია საკითხის შესაფერისი ლექსიკა და სტილი.<br>**2 ქულა:** დაშვებულია 2-3 უმნიშვნელო სტილისტური შეცდომა, ტექსტი ლექსიკურად გამართულია, აზრი მკაფიოდ არის გამოხატული<br>**1 ქულა:** ნაწერი ლექსიკურად მწირია, დაშვებულია სტილისტური შეცდომები, თუმცა აზრი გასაგებად არის გადმოცემული. გამოყენებული ლექსიკა და სტილი მეტ-ნაკლებად შეეფერება საკითხს.<br>**0 ქულა:** ნაწერი ლექსიკურად ღარიბია; დაშვებულია უხეში სტილისტური შეცდომები; გამოყენებულია არაადეკვატური ლექსიკა და სტილი;<br><br>**5. სინტაქსი, მორფოლოგია, პუნქტუაცია**<br>ნაშრომი სინტაქსურად გამართულია, ნაწერი შესრულებულია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დაცვით.<br>**3 ქულა:** არ არის დაშვებული სინტაქსური, ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური და პუნქტუაციური შეცდომები, დაცულია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები.<br>**2 ქულა:** დაშვებულია უმნიშვნელო სინტაქსური, ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური და პუნქტუაციური შეცდომები, თუმცა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები ძირითადად დაცულია.<br>**1 ქულა:** დაშვებულია სინტაქსური, ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური, პუნქტუაციური შეცდომები, დარღვეულია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები<br>**0 ქულა:** დაშვებულია უხეში სინტაქსური, ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური, პუნქტუაციური შეცდომები<br><br>იმისათვის, რომ ნაშრომი ყველა კრიტერიუმის მიხედვით გასწორდეს, ის უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:<br>• უნდა შეეხებოდეს დავალებაში მოცემულ საკითხს;<br>• არ უნდა წარმოადგენდეს დავალების პირობის პერიფრაზს;<br>• არ უნდა შეიცავდეს ინფორმაციას, რომლის საშუალებით შესაძლებელია აპლიკანტის პიროვნების იდენტიფიცირება - სახელსა და გვარს (რეალურსა თუ გამოგონილს), მეტსახელს, ხელმოწერას და ა.შ.<br>• შესრულებული უნდა იყოს ისეთი ხელწერით, როგორის წაკითხვაც შესაძლებელია.<br>თუ ნაშრომი არ აკმაყოფილებს ამ პირობათაგან რომელიმეს, ის შეფასდება 0 ქულით.<br><br>ნაშრომი უნდა შეიცავდეს, სულ მცირე, 100 სიტყვას. სხვა შემთხვევაში ის გასწორდება მხოლოდ I და II კრიტერიუმების მიხედვით. |

# ტესტი დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთათვის

## ქართული ენა და ლიტერატურა

2013

### ინსტრუქცია

ტესტი ორი ნაწილისგან შედგება – **პროფესიული ცოდნა და მეთოდიკა** და **აკადემიური უნარები**. ის 52 დავალებას შეიცავს. ზოგიერთ დავალებას ახლავს სავარაუდო პასუხები, ზოგიერთის პასუხი კი თქვენ თავად უნდა დაწეროთ.

**პასუხები აუცილებლად გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე, რომელიც თან ახლავს ტესტს (შესაბამისი ინსტრუქცია იხილეთ შემდეგ გვერდზე). ტესტირების შედეგი დადგინდება მხოლოდ და მხოლოდ პასუხების ფურცლის საფუძველზე.**

ყურადღებით წაიკითხეთ თითოეული დავალების ინსტრუქცია, კარგად გაიაზრეთ, რა მოგეთხოვებათ დავალების შესრულებისას, და შემდეგ აირჩიეთ ან დაწერეთ პასუხი.

ზოგიერთი დავალება, ერთი შეხედვით, სპეციფიკურ თეორიულ ცოდნას მოითხოვს, თუმცა, რეალურად ამ დავალებათა შესრულება სავსებით შესაძლებელია პედაგოგიურ გამოცდილებაზე დაყრდნობით.

შავი სამუშაოსათვის შეგიძლიათ გამოიყენოთ ტესტის ფურცლებზე არსებული ცარიელი ადგილები.

**სამუშაოდ გეძლევათ 5 საათი.**

დროის ამოწურვის შესახებ გაცნობებთ მეთვალყურე.

გისურვებთ წარმატებას!

# სხვადასხვა ტიპის დავალებათა ინსტრუქციები

**ტესტში წარმოდგენილი დავალებები სხვადასხვაგვარია ფორმატის თვალსაზრისით. ტესტში შეგხვდებათ:**

- **დავალებები არჩევითი პასუხებით;**
- **დავალებები ღია დაბოლოებით;**
- **შესაბამისობის დადგენა;**
- **თხზულება (ესეი).**

**არჩევითპასუხებიან დავალებებში** პირობასა თუ შეკითხვასთან ერთად სავარაუდო პასუხებიც არის მოცემული. დავალების შესრულება გულისხმობს ოთხი სავარაუდო პასუხიდან ერთი სწორი პასუხის არჩევას.

***პასუხის მონიშვნისას:***

- ***პასუხების ფურცელზე მოძებნეთ დავალების შესაბამისი ნომერი;***
- ***ნომრის ქვეშ იპოვეთ უჯრა, რომელიც თქვენ მიერ არჩეულ პასუხს შეესაბამება;***
- ***დასვით X ნიშანი ამ უჯრაში.***

თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, **მთლიანად გააფერადეთ უჯრა,** რომელშიც დასვით X ნიშანი, ხოლო **შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი** (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში).

თითოეული არჩევითპასუხებიანი დავალება 1 ქულით ფასდება.

**დავალებები ღია დაბოლოებით** მოითხოვს დასმულ შეკითხვაზე პასუხის ჩამოყალიბებას, საკუთარი მსჯელობის გამყარებას სათანადო არგუმენტებით. თითოეული ღიაბოლოიანი დავალება ფასდება სპეციალური სქემის მიხედვით. შესასრულებელი ნაბიჯების გათვალისწინებით, დავალება შეიძლება შეფასდეს 1, 2 ან მეტი ქულით. ამგვარ დავალებებზე პასუხის გასაცემად პასუხების ფურცელზე გამოყოფილია საგანგებო ადგილები.

**შესაბამისობის დადგენის დავალებებში** წარმოდგენილია მონაცემთა ორი სვეტი. ერთ სვეტში მოცემულია ე. წ. პირობა (მოვლენები, ფრაზები და ა. შ.), მეორეში კი – სავარაუდო პასუხები (ცნებები, ტერმინები და ა. შ.). დავალების შესრულება გულისხმობს ერთ სვეტში მოცემული ინფორმაციის მისადაგებას მეორე სვეტში მოცემულ ინფორმაციასთან. შესაბამისობის თითოეული დავალებისთვის პასუხების ფურცელზე მოცემულია ცხრილი. თქვენ უნდა შეავსოთ ცხრილის ცარიელი გრაფები – **პირობის აღმნიშვნელი ასოს ქვეშ ჩაწეროთ მისი პასუხის შესაბამისი რიგითი ნომერი**.

შესაბამისობის დადგენის თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

**თხზულებაში** უნდა წარმოაჩინოთ თქვენი პოზიცია, მოსაზრებები შემოთავაზებული საკითხის შესახებ, კონკრეტული არგუმენტებით დაასაბუთოთ სათქმელი. თხზულების დასაწერად პასუხების ფურცელზე გამოყოფილია საგანგებო ადგილი.

თხზულების მაქსიმალური ქულაა 13.

# პროფესიული ცოდნა და მეთოდიკა

**1.** ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელს მიესადაგება დახასიათება - არასოდეს იკვეცება და იკუმშება, ჩვეულებრივ, არ ეწარმოება მრავლობითი და წოდებითში ფუძის სახითაა წარმოდგენილი:

(ა) აბსტრაქტულ სახელს
(ბ) ადამიანის გვარს
(გ) კრებით სახელს
(დ) ადამიანის საკუთარ სახელს

**2.** იპოვეთ შეცდომა:
(ა) ერთი და იგივე ადამიანი
(ბ) ერთსა და იმავე ადამიანს
(გ) ერთი და იგივე ადამიანის
(დ) ერთმა და იმავე ადამიანმა

**3.** ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი <u>**არ არის**</u> კალკის მაგალითი?
(ა) რამდენიმე ახალგაზრდა პატიმრობაში აიყვანეს.
(ბ) ასეთი პირობები ნამდვილად ხელსაყრელია.
(გ) კომპანიის ახალი პროდუქცია უკვე გაყიდვაშია.
(დ) სახეზეა ამ ყველაფრის შედეგი.

**4.** აირჩიეთ სიტყვის სწორი ფორმა:
(ა) კონფიდენციალური
(ბ) კონფინდენციალური
(გ) კონფენდენციალური
(დ) კონფედენციალური

**5.** რომელ წინადადებაშია დაშვებული შეცდომა?

(ა) ეკონომიკური განვითარება საფრთხეს უქმნის გარემოს.
(ბ) რეფორმების დაგეგმვისას უნდა გავითვალისწინოთ ეკონომიკური ფაქტორები.
(გ) ჩემი მოსწავლე აბარებს გამოცდებს ეკონომიურ ფაკულტეტზე შესასვლელად.
(დ) ჩემი ოჯახი ეკონომიურად ხარჯავს ელექტროენერგიას.

**6.** მასწავლებელი კლასში მუშაობისას იყენებს სხვადასხვა ტიპის ლექსიკონს – უცხო სიტყვათა ლექსიკონს, სინონიმთა ლექსიკონს, ეტიმოლოგიურსა თუ დიალექტიზმების ლექსიკონს და ა. შ.

*რა მიზნით იმუშავებდა მასწავლებელი მოსწავლეებთან* ***ორთოგრაფიულ*** *ლექსიკონზე?*

(ა) მორფოლოგიის სწავლების მიზნით
(ბ) პუნქტუაციის სწავლების მიზნით
(გ) მოსწავლეთა ლექსიკური მარაგის გამდიდრების მიზნით
(დ) მოსწავლეთა წერისა და მეტყველების კულტურის დახვეწის მიზნით

**7.** რომელ წინადადებაში **არ არის დაშვებული** სინტაქსური შეცდომა?
(ა) ვუყურებდი მას, რომელიც წინა მერხზე იჯდა.
(ბ) ეს არის რომანი, სადაც ავტორის პოზიცია არ ჩანს.
(გ) გოგონა ისეთივე ბეჯითი იყო, როგორც მისი უფროსი ძმა.
(დ) გოგონა უყურებდა სახლს, რომელიც ბავშვობას ახსენებდა.

**8.** ქვემოთ მოცემულია მოსწავლის ნაწერი, რომელშიც დაშვებულია რამდენიმე გრამატიკული შეცდომა. ამოიწერეთ შეცდომით დაწერილი სიტყვები, მიუთითეთ სწორი ფორმა და პასუხი დაასაბუთეთ. თითოეული შეცდომის გასწორება და შესაბამისი დასაბუთება ფასდება 2 ქულით.
*გაითვალისწინეთ, რომ მოსწავლის მიერ სწორად დაწერილი თითოეული სიტყვის მცდარი ფორმით შეცვლის შემთხვევაში დაგაკლდებათ 1 ქულა.*



**9.** აირჩიეთ ზმნის სწორი ფორმა:

- გაანალიზა
- გააანალიზა

*დაასაბუთეთ თქვენი არჩევანი. რატომ იყრის თავს ერთად რამდენიმე* ***-ა*** *ამ ზმნაში, ანუ განმარტეთ რა ფუნქცია აქვს თითოეულ ა-ს.*

_____

_____

*(მაქსიმალური ქულა 1)*

**10.** დააკვირდით უცხო სიტყვებს:

- რე-ანიმაცია
- რე-აბილიტაცია
- რე-კონსტრუქცია
- რე-ფორმაცია

*რა მნიშვნელობას სძენს ამ სიტყვებს პრეფიქსი* ***-რე****?*

_____

*(მაქსიმალური ქულა 1)*

**11.** დაადგინეთ შესაბამისობა ფრაზეოლოგიზმებსა და მათს განმარტებებს შორის. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ფრაზეოლოგიზმის აღმნიშვნელ ასოს მიუწერეთ მისი განმარტების შესაბამისი ნომერი (*გაითვალისწინეთ, რომ ერთ-ერთი პასუხი ზედმეტია*).

(ა) თავს ლაფი დაასხა
(ბ) სახტად დატოვა
(გ) ციბრუტივით ტრიალებს
(დ) წყალი აამღვრია
(ე) ქვას გახეთქავს
(ვ) თითით საჩვენებელია

1. მყარია/შეუვალია
2. ბევრს შრომობს
3. შეარცხვინა
4. სამაგალითოა
5. გააკვირვა
6. გაურკვევლობა შეიტანა
7. სამარცხვინოა

| ა | ბ | გ | დ | ე | ვ |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | |

**12.** დაადგინეთ შესაბამისობა სიტყვებსა და მათს მნიშვნელობებს შორის. ქვემოთ მოცემულ ცხრილში სიტყვის აღმნიშვნელ ასოს მიუწერეთ მისი მნიშვნელობის შესაბამისი ნომერი (*გაითვალისწინეთ, რომ ერთ-ერთი პასუხი ზედმეტია*).

(ა) ქონგური
(ბ) ქარაფი
(გ) ქორაფი
(დ) ქურანი

1. მაღალი, ფრიალო კლდე
2. მაგარმერქნიანი მაღალი ხე
3. უზარმაზარი ტალღა
4. ნაგებობის თავზე დაშენებული პატარა სვეტი
5. წაბლისფერი ცხენი

| ა | ბ | გ | დ |
|---|---|---|---|
| | | | |

**13.** დაადგინეთ შესაბამისობა სიტყვებსა და მათს მნიშვნელობებს შორის. ქვემოთ მოცემულ ცხრილში სიტყვის აღმნიშვნელ ასოს მიუწერეთ მისი მნიშვნელობის შესაბამისი ნომერი (*გაითვალისწინეთ, რომ ერთ-ერთი პასუხი ზედმეტია*).

(ა) მყვარი
(ბ) ჰუნე
(გ) არგანი
(დ) ბჭე

1. ცხენი
2. ყვავი
3. ბაყაყი
4. ჯოხი
5. კარი

| ა | ბ | გ | დ |
|---|---|---|---|
| | | | |

**14.** დაადგინეთ შესაბამისობა ნაწარმოებებსა და მათს ავტორებს შორის. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაწარმოების აღმნიშვნელ ასოს მიუწერეთ შესაბამისი ავტორის ნომერი *(გაითვალისწინეთ, რომ შესაძლებელია ავტორის გვარის გამეორება).*

(ა) „ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი“
(ბ) „საიდუმლო კუნძული“
(გ) „კაპიტან გრანტის შვილები“
(დ) „უთავო მხედარი“
(ე) „სამი მუშკეტერი“

1. მაინ რიდი
2. ჟიულ ვერნი
3. მარკ ტვენი
4. ალექსანდრე დიუმა

| ა | ბ | გ | დ | ე |
|---|---|---|---|---|
| | | | | |

**15.** ქვემოთ მოცემულია ორი სვეტი. მარცხენა სვეტში წარმოდგენილია გამოთქმები, მარჯვენაში კი – მათი შესაძლო წარმომავლობა. დაადგინეთ შესაბამისობა გამოთქმებსა და მათს წარმომავლობას შორის. ქვემოთ მოცემულ ცხრილში გამოთქმის აღმნიშვნელ ასოს მიუწერეთ მისი წარმომავლობის შესაბამისი ნომერი.

(ა) პიგმალიონი და გალათეა
(ბ) კართაგენი უნდა დაინგრეს
(გ) ამაოება ამაოებათა
(დ) ცხენში ვცვლი სამეფოს
(ე) უძღები შვილი
(ვ) ცხოვრება თეატრია

1. ლიტერატურული
2. მითოლოგიური
3. ბიბლიური
4. ისტორიული

| ა | ბ | გ | დ | ე | ვ |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | |

**16.** მასწავლებელმა ბავშვებს ისე წაუკითხა ვაჟა-ფშაველას მოთხრობა „როგორ გაჩნდნენ ბუები ქვეყანაზე?“, რომ არ გააცნო მისი სათაური და სთხოვა, თვითონ დაესათაურებინათ იგი. მოსწავლეები თხზავდნენ და განმარტავდნენ სათაურის საკუთარ ვერსიებს. ამის შემდეგ მასწავლებელმა ბავშვებს გააცნო მოთხრობის ავტორისეული სათაური.

*ჩამოთვლილთაგან რისთვის **<u>ვერ გამოიყენებდა</u>** მასწავლებელი ამ დავალებას?*

(ა) იმისთვის, რომ წარმოეჩინა ნაწარმოების მხატვრული ღირსებები.
(ბ) იმისთვის, რომ ბავშვები მიმხვდარიყვნენ ტექსტის მთავარ სათქმელს.
(გ) იმისთვის, რომ ბავშვებისთვის გაეღვიძებინა ავტორთან თანაშემოქმედების სურვილი.
(დ) იმისთვის, რომ ეჩვენებინა ნაწარმოების კითხვითი წინადადებით დასათაურების შესაძლებლობა.

**17.** მე-6 კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა გაკვეთილზე ისაუბრა ლიტერატურული თხრობის ხერხებზე და თავის მოსწავლეებს გააცნო მარკ ტვენის „ტომ სოიერის თავგადასავლის“ დასაწყისის ქართული თარგმანი:

„– ტომ!
პასუხი არ არის.
– ტომ!
პასუხი არ არის.
– რა დაემართა იმ ბიჭს? ტომ!
მოხუცმა ცხვირზე ჩამოიწია სათვალე და სათვალის ზემოდან მოათვალიერა მთელი ოთახი...“

*რა მიზნით შესთავაზებდა მასწავლებელი ბავშვებს ამ ნიმუშს?*

(ა) რათა ბავშვებისთვის გაეცნო მარკ ტვენის შემოქმედება.
(ბ) რათა ეჩვენებინა, რომ მთავარ გმირს ტომი ჰქვია.
(გ) რათა ეჩვენებინა, რომ ნაწარმოების დაწყება შესაძლებელია პერსონაჟთა შესახებ ინფორმაციის წინასწარ გაცნობის გარეშეც.
(დ) რათა ბავშვებისთვის ეჩვენებინა, როგორი უპასუხისმგებლოა ნაწარმოების პერსონაჟი.

**18.** მოსწავლეებმა მოთხრობის შესწავლა დაასრულეს. მასწავლებელმა მათ შესთავაზა ამგვარი საშინაო დავალება: „წარმოიდგინეთ და აღწერეთ მოთხრობის მთავარი პერსონაჟის ბავშვობა, რაც ნაწარმოებში არ არის ნაჩვენები“.

*რა მიზანს **<u>არ შეიძლება</u>** ისახავდეს ეს დავალება?*

(ა) მოსწავლეს განუვითარდეს მხატვრული ნაწარმოების დამოუკიდებლად შექმნის უნარი
(ბ) მოსწავლეს განუვითარდეს ლიტერატურული წარმოსახვის უნარი
(გ) მოსწავლე უკეთესად, უფრო ღრმად ჩაწვდეს ლიტერატურული პერსონაჟის ხასიათს
(დ) მოსწავლეს დაანახოს ლიტერატურულ ნაწარმოებში პერსონაჟის ბავშვობის ასახვის მნიშვნელობა

**19.** მოსწავლეებმა დაასრულეს მე-19 საუკუნის ცხოვრების ამსახველი ერთ-ერთი მოთხრობის შესწავლა. მასწავლებელმა ბავშვებს შესთავაზა ამგვარი საშინაო დავალება: „გაათანამედროვეთ პერსონაჟები, აქციეთ ისინი ჩვენი ეპოქის ადამიანებად“.

*ამ დავალების მიზანია, აჩვენოს მოსწავლეებს, რომ:*
(ა) თითოეულ მათგანს შეიძლება ჰქონდეს მოთხრობის წერის ნიჭი
(ბ) ნაწარმოების გმირების წინაშე მდგარი პრობლემები დღესაც აქტუალურია
(გ) მათ უნდა შეეძლოთ ნებისმიერი მწერლის სტილის იმიტირება
(დ) მე-19 საუკუნის ცხოვრებასა და თანამედროვეობას ერთმანეთთან საერთო არაფერი აქვს

**20.** მას შემდეგ, რაც მოსწავლეებმა შეისწავლეს აკაკი წერეთლის ლექსი „სულიკო“, მასწავლებელმა მათ მოასმენინა ამ პოეტურ ნაწარმოებზე შექმნილი სიმღერა.

*ჩამოთვლილთაგან რომელი მოსაზრებით **<u>ვერ აიხსნება</u>** მასწავლებლის გადაწყვეტილება?*

სიმღერის მოსმენა მოსწავლეს:
(ა) პოეტური ტექსტის დამახსოვრებას გაუადვილებს.
(ბ) აგრძნობინებს აკაკის ლექსის მუსიკალურობას.
(გ) უკეთესად განაცდევინებს აკაკის ლექსის განწყობას.
(დ) დაარწმუნებს პოეტური ნაწარმოების მუსიკალური ინტერპრეტაციის აუცილებლობაში.

**21.** *წაიკითხეთ გალაკტიონის ლექსი „ორნამენტი“:*

ფანჯრის მინებზე
**ქარბუქივით ატყდა ტყეები –**
გლედიჩიები,
ზამბახები, ორხიდეები.
**გადარეული ორნამენტით**
**მოირთო მინა.**
გარეთ ყინვაა, ყვავილებიც გადაიყინა.

*ქვემოთ მოცემულია ამ ლექსის ორი ფრაგმენტის (გამუქებული სტრიქონების) სხვადასხვაგვარი ახსნა. ჩამოთვლილთაგან რომელი ახსნა **<u>არ არის მართებული</u>**?*

(ა) ფრაზა – „ქარბუქივით ატყდა ტყეები“ – შეიძლება გამოვიყენოთ შედარების სასწავლებლად, ხეების მსგავსი გამოსახულებების ქაოსურობა შედარებულია ქარბუქთან, ჩნდება სიცივის და ქარბუქის განცდა
(ბ) „ქარბუქივით ატყდა ტყეები“ – მეტაფორული გამოთქმაა, რადგან ყვავილების თვისებები (მოყვანილობა) და ტყის თვისება (სიხშირე, ატეხილი ტყე) გადატანილია მინაზე ყინვისგან გაჩენილ გამოსახულებებზე
(გ) ფრაზაში „გადარეული ორნამენტით მოირთო მინა“ სიტყვა „გადარეული“ არის ეპითეტი, პოეტური განსაზღვრება; ის უფრო ხატოვნად, შთამბეჭდავად გადმოსცემს მინაზე წარმოქმნილი ყინულის „ორნამენტების“ სიმრავლეს და ქაოსურობას;
(დ) „გადარეული ორნამენტით მოირთო მინა“ – მეტაფორული გამოთქმა არ არის; ყინვა მინას ნამდვილი ორნამენტებით მართლაც ამკობს. „გადარეული“ კი „ორნამენტის“ ეპითეტია, აძლიერებს ემოციას და შთამბეჭდავს ხდის აღწერილ სურათს

**22.** წაიკითხეთ ნაწყვეტი ვაჟა-ფშაველას მოთხრობიდან „ხმელი წიფელი“ და შეასრულეთ დავალებები.

„ყველას და, მათ შორის, მეც მიყვარს მაღალი, მწვანით მორთული მთა, გაზაფხულის სუნი, ახლად ამომავალი ბალახი, ახლად დამდნარი ყინულისთვის რომ უჯობნია... მაგრამ ამჟამად ყველაფერი მავიწყდება და თვალწინ მიდგება მხოლოდ ერთი ხმელი წიფელი...“

*თხრობა პირველ პირში მიმდინარეობს. თხრობის ეს ფორმა გარკვეულ ეფექტს ქმნის. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ პასუხში* ***<u>არ არის ასახული</u>*** *ეს ეფექტი მართებულად?*

(ა) მთხრობელსა და მკითხველს შორის მჭიდრო ემოციურ კავშირს ამყარებს.
(ბ) შთაბეჭდილებას ქმნის, რომ ავტობიოგრაფიული ჟანრის ნაწარმოებს ვკითხულობთ.
(გ) გვარწმუნებს, რომ ავტორს მართლაც ნანახი და განცდილი აქვს ის, რაზეც გვესაუბრება.
(დ) ქმნის ერთგვარი დასწრების ეფექტს, ანუ მკითხველს ასახული მოვლენების თანამონაწილეს ხდის.

*ამოიწერეთ სიტყვები, რომლებიც მოწმობს, რომ ავტორს* ***<u>არ სურს,</u>*** *გამორჩეულ პიროვნებად წარმოჩნდეს:*

_____

*(მაქსიმალური ქულა 1)*

**23.** როდესაც კლასში დაასრულეს მოთხრობის შესწავლა, მასწავლებელმა შესთავაზა მოსწავლეებს ნაწარმოების სხვა, განსხვავებული ფინალის დაწერა. ბავშვებმა წაიკითხეს თავიანთი ნამუშევრები და მასწავლებელთან ერთად გამოავლინეს მათ შორის საუკეთესო.

*რა ნიშნით შეარჩევდით საუკეთესო ნამუშევარს?*

_____

_____

*(მაქსიმალური ქულა 1)*

*წაიკითხეთ გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „გაგონდება თუ არა...“ და შეასრულეთ* ***24****-ე,* ***25****-ე და* ***26****-ე დავალებები:*

გაგონდება თუ არა
კარალეთის დღეები,
მთების ლურჯი კამარა –
უცხო სამოთხეები?
კიდევ შეგრჩა თუ არა
მხიარული თვალები?
თუ დრომ გადაუარა
და ჩაუქრო ალები?
მივდიოდით მხარდამხარ
და დრო გვეუარესა,
აწ არ ვიცი, სადა ხარ
და რომელსა მხარესა.

**24.** ამოიწერეთ სიტყვა, რომელიც დიდ, ფართო სივრცეზე მიგვანიშნებს:

_____

*(მაქსიმალური ქულა 1)*

**25.** ამოიწერეთ ის სიტყვები, რომლებიც მიგვანიშნებს ლირიკული გმირის და მისთვის საყვარელი ადამიანის დაშორების მიზეზზე? (პასუხი დაასაბუთეთ.)

_____

_____

*(მაქსიმალური ქულა 2)*

**26.** ამოიწერეთ ლექსიდან პოეტის მიერ შექმნილი ახალი სიტყვა და გრამატიკული ცნებების გამოყენებით აუხსენით VI კლასის მოსწავლეებს, როგორ არის ის შექმნილი.

_____

_____

*(მაქსიმალური ქულა 2)*

წაიკითხეთ გურამ რჩეულიშვილის ნაწარმოები „ტკივილი? – არა, რაღაც და გათავდა“, და შეასრულეთ ***27***-*ე* *და* ***28***-*ე* დავალებები:

პირველი თოვლი სულ თხელი იყო. იმ ღამეს არ გადაიღო. დილისთვის მთელი ველი დაფარა. ახლა უკვე ფეხი ეფლობოდა. მოშივდა ბაჭიას. ციოდა. თოვლი გაქექა და უკანა ფეხებზე ხტომით დაეშვა ჭალისაკენ. ქარი უბერავდა. ვერაფერი იპოვა.

შიოდა.

ძალიან, ძალიან მოუნდა ბალახი, თუნდაც სულ ცოტა; უფრო მოუნდა ან თივა, ან ყლორტი.

შიოდა.

რა გემრიელი იქნებოდა ბალახი.

ახლა შუა ველზე მიკუნტრუშობდა.

შიოდა.

უცებ იგრძნო რაღაც.

ტკივილი?- არა.

რაღაც და გათავდა.

ვანომ თავის შვილს დაუძახა და მოკლული ბაჭია აბგაში ჩაუდო.

– მამა, ფეხები მომეყინა, – თქვა ბიჭმა.

– ნუ გეშინია, ერთ საათში შინ ვიქნებით, – დაამშვიდა მამამ.

**27.** აუხსენით V კლასის მოსწავლეებს ამ ნაწარმოების ჟანრის თავისებურებები.

(მაქსიმალური ქულა 1)

**28.** დაეხმარეთ V კლასის მოსწავლეებს ამ ნაწარმოების ძირითადი აზრის გაგებაში. შესთავაზეთ მათ პარალელები სხვა ნაწარმოებებიდან.

(მაქსიმალური ქულა 3)

*წაიკითხეთ ნაწყვეტი არჩილ სულაკაურის მოთხრობიდან „ზევით და ქვევით“, და შეასრულეთ **29**-ე და **30**-ე დავალებები.*

„ლია სადარბაზოს კიბეზე არბოდა. (ეს ბავშვობისდროინდელი ამბავია). გამწარებული მივდევდი ლიას, თან ვემუქრებოდი. ჩემს მუქარას აინუნშიც არ აგდებდა. კიბის მოსახვევში შემომციცინებდა, დამეჭყანებოდა და ისევ არბოდა.

– დაგიჭერ და შავ დღეს დაგაყენებ! – ავძახოდი.

ნამდვილად ვცდილობდი დაჭერას, მაგრამ ლია ათიოდე საფეხურით მაღლა გარბოდა და ვერ ვეწეოდი. სულ იმის იმედი მქონდა, მეოთხე სართულზე მოვიმწყვდევდი და ერთს რიგიანად მივბერტყავდი. ლია კი, ავარდებოდა თუ არა მეხუთე სართულზე, ზარის ღილაკს ეცემოდა და დედამისიც მაშინვე გაუღებდა კარს.

გაწბილებული ერთხანს უაზროდ ვიწრიალებდი ლიას კარის წინ. მერე დავყვებოდი კიბეს და მეორე დღისთვის ახალ გეგმებს ვაწყობდი, როგორ მომეხელთებინა. მაგრამ ლია ჩემზე ეშმაკი იყო, ჭკვიანი.

ჩავივლიდი მეხუთე სართულს და ისევ მესმოდა ნაცნობი ხმა:

– ეი, ზღარბო, აკი დაგიჭერო?! – ლიას ცბიერად უციმციმებდა თვალები.

მე ვემუქრებოდი:

– სხვა დროს დაგიჭერ!

– გინდა, შევრიგდეთ?

– არა!

ლია სიცილით კვდებოდა. სულ იმას ვფიქრობდი, ამდენ ბიჭებში მაინცდამაინც მე რატომ ამომირჩია-მეთქი. სხვაზე ნაკლებად არ ვთამაშობდი არც ბურთს, არც ლახტს. პირიქით, ჩემი თავი სხვებზე ყოჩაღი მეგონა. იქნებ მართლა ვგავდი ზღარბს? დაეჭვებული საკუთარ თავს დიდხანს ვათვალიერებდი სარკეში. მაინც რა საძაგელი თმა მქონდა, აჯაგრული, მოუხეშავი. მე რომ სხვა ბიჭებივით ხუჭუჭთმიანი ვყოფილიყავი, მაშინ!.. ოჰ, როგორ მოსწონთ გოგოებს ხუჭუჭთმიანი ბიჭები! რა იქნებოდა, მეც მქონოდა ხვეული თმა, აბრეშუმივით რბილი. მაშინ ალბათ ლია აღარ გამაბრაზებდა.

ლია ვერ წარმოიდგენდა, როგორ განვიცდიდი. კიდევ კარგი, ლია სხვა სკოლაში სწავლობდა და ერთი ჩემი საიდუმლო არ იცოდა. შესვენებაზე, გაკვეთილის დაწყების წინ, თმას წყლით ვისველებდი და ვიტკეპნიდი. უნდა გენახათ, რა ლაღად ვგრძნობდი თავს გაკვეთილზე. მაგრამ გაკვეთილი დასასრულს უახლოვდებოდა და ჩემი ტანჯვაც იწყებოდა. თმა ნელ-ნელა შრებოდა და იჯაგრებოდა. ასე მეგონა, მთელი ქვეყანა ჩემს თავთან მოგროვილიყო და თვალს ადევნებდა, როგორ დგებოდა ყალყზე ჯაგარი.

ერთხელ ბიჭები ეზოში ბურთს ვთამაშობდით. ის იყო, ბურთი ჩამომაწოდეს და თავი უნდა დამერტყა, ლიას ხმა გავიგონე:

– ეი, ზღარბო, თავი არ დაარტყა, ბურთი გასკდება!

როდესაც გონს მოვედი, აქოშინებული ლიას მივდევდი. კიბის დასასრულს კინაღამ დავეწიე. ლია კარს მიაწყდა. სწრაფად აიწია ფეხის წვერებზე და ზარის ღილაკს თითი დააჭირა. აქ უკვე სასწაული მოხდა. ზარმა არ დარეკა. სასოწარკვეთილმა ლიამ მუშტები დაუშინა კარს, მაგრამ მე უკვე მის წინ ვიდექი. თხელი, სიფრიფანა აიტუზა და ხმას აღარ იღებდა. შეშინებული შემომცქეროდა. ისეთი უმწეო ჩანდა, გამიკვირდა, ეს როგორ მაბრაზებდა-მეთქი, მაგრამ ვიდრე ამას გავიფიქრებდი, ლია კალმახივით დამისხლტა ხელიდან და ქვევით დაეშვა, თან მომაძახა:

– ზღარბო!

მოულოდნელობისგან გავშეშდი. მერე დავედევნე, მაგრამ ლია აღარსად ჩანდა. სირბილით ჩავედი ეზოში, ბიჭებს ვკითხე – ლია ხომ არ გამოსულა-მეთქი?! არაო, – მიპასუხეს. ისევ ამოვბრუნდი. მეოთხე სართულზე ასულს ლიას სიცილი მომესმა. ავიხედე. ლიას კიბის მოაჯირზე ნიკაპი დაეყრდნო და ღიმილით დამცქეროდა... მე კი არ დამცქეროდა, ჩემს თმას უღიმოდა.

**29.** მიუთითეთ ორი ძირითადი საკითხი, რომელთაც ეხება ეს ნაწყვეტი, და დაეხმარეთ VI კლასის მოსწავლეებს მათს გააზრებაში.

*(მაქსიმალური ქულა 2)*

**30.** წარმოიდგინეთ, რომ გყავთ სამი ტიპის მოსწავლე:

I – განვითარებული აქვს ლოგიკური აზროვნების უნარი, კარგად აღიქვამს და იგებს სქემებს;
II – განვითარებული აქვს ხატოვანი აზროვნების უნარი, უადვილდება ვიზუალური მასალის ინტერპრეტირება;
III – უადვილდება ადამიანებთან ურთიერთობა, აქვს სხვა ადამიანების განცდების წვდომის უნარი.

***<u>აღწერეთ</u>*** *დავალებები, რომლებსაც შეურჩევდით თითოეული ტიპის მოსწავლეს საშინაო ან საკლასო სამუშაოსთვის მოცემული ნაწყვეტის უკეთ გასააზრებლად.*

I.

II.

III.

*(მაქსიმალური ქულა 3)*

# კითხვისა და წერის სწავლება

**31.** გაეცანით **I** კლასის მოსწავლეებისთვის განკუთვნილ დავალებებს:

**I. ჩასვი გამოტოვებული ასო:**

მ–ე

ქუ–ი

**II. ჩაწერე ცხოველის სახელი:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|

**III. წაიკითხე სიტყვები და შეაერთე ისრებით შესაბამის ნახატთან:**

| ბარი | ბალი |
|---|---|

მასწავლებლის მიზანია, ბავშვებმა ისწავლონ, რომ ასო-ბგერას სიტყვების განმასხვავებელი ფუნქცია აქვს. რომელი დავალება დაეხმარება მასწავლებელს ამ მიზნის მისაღწევად?

(ა) I და II
(ბ) II და III
(გ) მხოლოდ II
(დ) მხოლოდ III

**32.** კითხვის სირთულეების პრევენციისათვის მნიშვნელოვანია სკოლამდელ ასაკში ბავშვის იმ უნარების განვითარებაზე ზრუნვა, რომლებიც კითხვისათვის მზაობას განაპირობებს. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი უნარის განვითარებაა ადეკვატური და მიზანშეწონილი სკოლამდელ ასაკში?

(ა) ბგერების სწორად გამოთქმა, ასოების გამოწერა და სიტყვების უშეცდომოდ ჩაწერა
(ბ) ასო-ბგერითი მიმართებების დასწავლა და ასოებისგან სიტყვების აწყობა
(გ) სიტყვის ბგერითი შემადგენლობის გარჩევა და ლექსიკური მარაგის გამდიდრება
(დ) ასოებისგან სიტყვების და სიტყვებისგან მარტივი წინადადებების აწყობა

**33.** ქვემოთ მოცემულია აქტივობები, რომელთაც მასწავლებლები ხშირად იყენებენ ახალი ტექსტის შესწავლის დროს. რომელი აქტივობის შესრულება გაუჭირდებათ მოსწავლეებს დამოუკიდებლად ან დასჭირდებათ მასწავლებლის დახმარება?

(ა) მასწავლებელი უკითხავს მოსწავლეებს დაუსრულებელ ტექსტს და სთხოვს, გამოთქვან ვარაუდი, თუ როგორ შეიძლება დასრულდეს ტექსტში მოთხრობილი ამბავი.
(ბ) მოსწავლეები კითხულობენ ტექსტის სათაურს, ათვალიერებენ ილუსტრაციებს და გამოთქვამენ ვარაუდს ტექსტში მოთხრობილი ამბის შესახებ.
(გ) მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს, გამოყოფენ მათთვის უცნობ სიტყვებს და ამ სიტყვების გამოყენებით შეადგენენ წინადადებებს.
(დ) მასწავლებელი მიუთითებს თემას წაკითხული ტექსტიდან, მოსწავლეებმა უნდა იპოვონ ტესქტში ის ადგილი, სადაც ეს თემაა განხილული.

**34.** წერა-კითხვის სწავლებისას მასწავლებლები ხშირად იყენებენ „დღიურის წერის" მეთოდს – ბავშვები შესასწავლი თემის შესახებ საკუთარ იდეებსა და აზრებს წერენ დღიურებში, რომლებიც მასწავლებლის მიერ არ მოწმდება.

*ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია მოსწავლეთა შესახებ. რომელი მოსწავლისთვის იქნება აღნიშნული მეთოდი* ***<u>ყველაზე</u>*** *მოსახერხებელი საკუთარი შესაძლებლობების გამოსავლენად?*

(ა) გიორგისთვის – ის მგრძნობიარეა სხვათა განწყობებისა და განცდების მიმართ, შეუძლია სხვათა ქცევის მოტივების გამოცნობა.
(ბ) ანასთვის – ის ჩუმი და ჩაფიქრებული ბავშვია, კარგი ინტუიცია აქვს და საკმაოდ დამოუკიდებელია.
(გ) ანდროსთვის – მას უყვარს ლოგიკური მსჯელობა და ფიქრი, კარგად იგებს და აღიქვამს სქემებს.
(დ) მაიასთვის – ის ადვილად იგებს სიტყვის მნიშვნელობებს და მოსწონს სიტყვებით თამაში.

**35.** ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი გამოადგება მასწავლებელს **<u>ყველაზე ნაკლებად</u>** იმის დასადგენად, რომ მოსწავლემ გაიაზრა წაკითხული ტექსტი?

(ა) მოსწავლე საკუთარი სიტყვებით გადმოსცემს ტექსტის ძირითად აზრს.
(ბ) მოსწავლე განმარტავს ტექსტში მოცემულ ძირითად საკითხებს.
(გ) მოსწავლეს მოჰყავს ტექსტში დასმული პრობლემის შესაბამისი მაგალითები.
(დ) მოსწავლე ტექსტის შინაარსს გადმოსცემს ტექსტის ლექსიკის გამოყენებით.

**36.** მასწავლებელმა II კლასის მოსწავლეთა კითხვის უნარის გასაუმჯობესებლად ერთი სემესტრის განმავლობაში ახალი მეთოდის გამოყენება სცადა. სემესტრის ბოლოს ჩატარებული ტესტირების საფუძველზე დაასკვნა, რომ **ახალმა მეთოდმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მოსწავლეთა კითხვის უნარი.**

გაეცანით ქვემოთ მოცემულ პირობებს:

I. კითხვის უნარის შეფასება ახალი მეთოდით მუშაობის დაწყებამდე და მეთოდის გამოყენების შემდეგ.

II. პარალელურ II კლასში (სადაც ისევ ძველი მეთოდით მუშაობდა მასწავლებელი) კითხვის უნარის შეფასება სემესტრის დასაწყისში და სემესტრის ბოლოს და სამიზნე კლასის შედეგებთან შედარება.

III. მოსწავლეების მშობლების გაფრთხილება, რომ აღნიშნული სემესტრის განმავლობაში გაეკონტროლებინათ შვილების საშინაო დავალებები.

*ამ პირობათაგან რომლის განხორციელება იყო საჭირო, რომ მასწავლებელს აღნიშნული დასკვნის გამოტანის საფუძველი ჰქონოდა?*

(ა) მხოლოდ I
(ბ) მხოლოდ II
(გ) I და II
(დ) I და III

**37.** ტექსტზე მუშაობის ერთ-ერთი მეთოდი – ,,მოზაიკა'' – გულისხმობს მოსწავლეების განაწილებას ჯგუფებში. თითოეულ მონაწილეს მასწავლებელი სამუშაოდ აძლევს ტექსტის გარკვეულ მონაკვეთს, რომლის შინაარსის ,,ექსპერტიც'' ხდება მოსწავლე. შემდეგ სხვადასხვა ჯგუფის წევრები, რომლებიც შეისწავლიან ერთსა და იმავე ფრაგმენტს, ხვდებიან ერთმანეთს ,,ექსპერტთა ჯგუფებში" საკუთარი ფრაგმენტის განსახილველად. ექსპერტულ ჯგუფებში მონაწილეები მსჯელობენ ამ ფრაგმენტის შინაარსის შესახებ. შემდეგ დაბრუნდებიან საწყის ჯგუფებში და გააცნობენ ,,კოლეგებს'' საკუთარი ფრაგმენტის შინაარსს.

*ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი უნარის განვითარებას უწყობს ეს მეთოდი ყველაზე* ***ნაკლებად*** *ხელს?*

(ა) თანატოლების აზრის მოსმენისა და გაზიარების
(ბ) ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ჩამოყალიბების
(გ) მთლიანი ტექსტის ინდივიდუალურად დამუშავების
(დ) ტექსტის გააზრებაში სხვებისთვის დახმარების გაწევის

**38.** ქვემოთ მოცემულია რეკომენდაციები კითხვის სწავლებასთან დაკავშირებით. რომელი რეკომენდაცია შეესაბამება კითხვის სწავლების დაბალანსებულ მიდგომას?

(ა) ძირითადი ყურადღება მიმართული უნდა იყოს კითხვაში პრობლემების მქონე ბავშვების მიერ სიტყვებში ბგერების გარჩევისა და დეკოდირების ჩვევის ათვისებაზე.
(ბ) გრაფემის ფონემად დეკოდირების ჩვევების შემუშავება ბავშვისთვის საინტერესო, შინაარსიან მასალაზე დაყრდნობით უნდა ხდებოდეს.
(გ) მთავარია სიტყვის მნიშვნელობის გაგება, რომლის საფუძველზეც მოხდება სიტყვისა და მასში შემავალი ბგერითი შეთანხმებების ცნობა.
(დ) დამწერლობის ანბანური სისტემის მქონე ენაში კითხვის ათვისება მიზანშეწონილია ასო-ბგერითი შესატყვისობის პირდაპირი სწავლებით.

**39.** მასწავლებლის მიზანია I კლასის მოსწავლეებს განუვითაროს ფონემების გაცნობიერების უნარი. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი დავალება გამოადგება მას ამ მიზნისთვის?

(ა) მასწავლებელი ასახელებს ბგერებს, მოსწავლეებმა უნდა მოძებნონ ამ ბგერების შესატყვისი ასოები პლაკატზე.
(ბ) მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, სიტყვაში ერთი ბგერა შეცვალონ ისე, რომ სხვა სიტყვა გამოვიდეს.
(გ) მასწავლებელი დაფაზე წერს სიტყვას და სთხოვს მოსწავლეებს, ააწყონ ეს სიტყვა მოძრავი ანბანის გამოყენებით.
(დ) მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მასთან ერთად ხმამაღლა და გარკვევით „გაახმოვანონ“ ანბანის ასოები.

**40.** ზოგიერთი მეცნიერის აზრით, პირველი წლის ბოლოს **კითხვის სწავლაში წარმატების წინასწარმეტყველება შესაძლებელია ბგერებისა და მარცვლების სიტყვაში გაერთიანების უნარის მიხედვით**. კითხვის სწავლების რომელი მიდგომის სასარგებლოდ მეტყველებს აღნიშნული ფაქტი?

(ა) აღმავალი მოდელის, რომლის მიხედვითაც ინფორმაციის გარდაქმნა მიმდინარეობს ქვემოდან ზემოთ, ნაწილიდან (ასო-ბგერიდან) მთელისკენ (სიტყვისკენ).
(ბ) აღმავალი მოდელის, რომლის მიხედვითაც კითხვის სწავლება კონტექსტზე დაყრდნობით სიტყვის გამოცნობის სტრატეგიით უნდა განხორციელდეს.
(გ) დაღმავალი მოდელის, რომლის მიხედვითაც სიტყვის და მასში შემავალი ბგერების ცნობა სიტყვის მნიშვნელობის საფუძველზე უნდა მოხდეს.
(დ) დაღმავალი მოდელის, რომლის მიხედვითაც კითხვის სწავლება ასოებსა და მათ ბგერით შესატყვისებს შორის კავშირის დამყარების ჩვევის გამომუშავებაა.

**41.** ანა წერისას ხშირად უშვებს შეცდომებს, აკლებს ან ამატებს ასოებს სიტყვაში. აღწერეთ აქტივობა, რომელიც დაეხმარება ანას ამ პრობლემის დაძლევაში და თან საშუალებას მისცემს, თავად აღმოაჩინოს და გაასწოროს საკუთარი შეცდომები.

(მაქსიმალური ქულა – 2)

*წაიკითხეთ IV კლასის მოსწავლეებისთვის განკუთვნილი ტექსტი, შეასრულეთ* ***42****-ე,* ***43****-ე და* ***44****-ე დავალებები.*

ადამიანს უძველესი დროიდან აინტერესებდა, როგორ ფრენენ ჩიტები. ბერძნული მითის მიხედვით, პირველად ჰაერში დედალოსი და იკაროსი აფრინდნენ. მათ ბუმბულისა და ცვილის ფრთები გაუკეთებიათ, მაგრამ მზესთან ახლოს მისულან და ორივე ძირს დანარცხებულა... გამომგონებლები ფრთებს ხან ველოსიპედს უმაგრებდნენ, ხან ურმებს, თუმცა, მიწას ვერავინ ასცდა. 1850 წელს მეცნიერმა ჯორჯ კეილიმ გამოიგონა მანქანა, რომლითაც ის გორაკიდან ეშვებოდა და შემდეგ ქარის საშუალებით ჰაერში ადიოდა. ჯორჯის მანქანა მხოლოდ ქარიან ამინდში დაფრინავდა. ფელიქს დიუ ტამპლმა ახალი მოდელი შექმნა – მას ძრავა დაუმატა. და აი, ის დაეშვა გორაკიდან, რათა სიჩქარე განევითარებინა და... კიდევაც აფრინდა! თუმცა, მალევე ჩამოვარდა – ძრავა ძალიან მძიმე იყო. ამერიკელი ძმები რაიტები იყვნენ პირველები, რომელთა მცდელობაც წარმატებული აღმოჩნდა. 1903 წელს მათ შექმნეს ძრავიანი თვითმფრინავი მბრუნავი თავებით, რომლებსაც პროპელერები უწოდეს. „პროპელერი ჰაერს შეისრუტავს და უკან გაიწოვს, თვითმფრინავი კი წინ წავა,“ – ფიქრობდნენ ისინი.

**42.** ზემოთ მოცემულ ტექსტთან დაკავშირებით დაუსვით მოსწავლეებს შეკითხვა, რომლის საშუალებით დაადგენთ, შეუძლიათ თუ არა მათ მოვლენათა შორის მიზეზშედეგობრივი მიმართებების დანახვა.

---

(მაქსიმალური ქულა – 1)

**43.** დაუსვით მოსწავლეებს შეკითხვა, რომლის საშუალებით დაადგენთ, შეუძლიათ თუ არა მათ ტექსტის სხვადასხვა ნაწილში მოცემული ინფორმაციის ერთმანეთთან დაკავშირება და მასზე დაყრდნობით დასკვნის გამოტანა.

---

(მაქსიმალური ქულა – 1)

**44.** დაუსვით მოსწავლეებს შეკითხვა, რომელიც ახალი ინფორმაციის საკუთარ ცოდნასთან ინტეგრაციის საშუალებას მისცემს და წაკითხულის გააზრებაში დაეხმარება.

---

(მაქსიმალური ქულა – 1)

# აკადემიური უნარები

## წაკითხული ტექსტის გააზრება

*ყურადღებით წაიკითხეთ და გაიაზრეთ ტექსტი. თითოეული შეკითხვის სავარაუდო პასუხებიდან აირჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც მართებულია მოცემული ტექსტის მიხედვით.*

ბაზისურ ემოციებთან ერთად (სიხარული, ბრაზი, შიში და ა. შ.), ადამიანებისთვის დამახასიათებელია მეორეული, უფრო რთული ემოციები, მაგალითად, სირცხვილი, სიამაყე და დანაშაულის გრძნობა. ასეთ ემოციებს **მე**-ს ცნობიერებასთან დაკავშირებული ემოციები ეწოდება, ვინაიდან თითოეული მათგანი გავლენას ახდენს მე-ს განცდის გამძაფრებაზე. თუ გვრცხვენია ან უხერხულად ვგრძობთ თავს, ვცდილობთ, მოვიქცეთ ისე, რომ სხვებისთვის ჩვენი შეცდომა ან წარუმატებლობა შესამჩნევი არ იყოს. დანაშაულის გრძნობა ვინმესთვის ზიანის მიყენების დროს ჩნდება. ასეთ სიტუაციაში ჩვენ მიერ ჩადენილი არასწორი საქციელის გამოსწორებასა და ურთიერთობის აღდგენას ვცდილობთ. სიამაყე კი, პირიქით, საკუთარი მიღწევებით კმაყოფილებას გულისხმობს, რომლის დროსაც სურვილი გვიჩნდება, სხვებს მოვუყვეთ, როგორ მივაღწიეთ დასახულ მიზანს და რა გეგმების განხორციელებას ვაპირებთ მომავალში.

საკუთარი ემოციების გაცნობიერებისა და გაგების უნარის განვითარება შემეცნებით განვითარებას უკავშირდება. 4-5 წლის ბავშვები სიამაყის ნაცვლად სიხარულს, ბედნიერებასა და აღფრთოვანებას, დანაშაულის გრძნობის ნაცვლად კი – დასჯის შიშს აღწერენ. სკოლის ასაკის ბავშვებს უკეთ შეუძლიათ ახსნან საკუთარი ემოციები. თუ 6-7 წლის ასაკში სიამაყის მიზეზად უფროსების მხრიდან შექებას ასახელებენ, 8 წლის ასაკიდან ბავშვები სიამაყესა და დანაშაულის გრძნობას უკვე საკუთარ წარმატებასა თუ წარუმატებლობას უკავშირებენ. სიამაყის, სირცხვილის ან დანაშაულის განცდის კომპლექსური გაგება სოციალური გამოცდილების საფუძველზე კოგნიტური განვითარების კვალდაკვალ ყალიბდება.

ბავშვებში, რომლებსაც მშობლები ხშირად მათ უარყოფით თვისებაზე ან არასწორ საქციელზე მიუთითებენ, მე-ს ცნობიერებასთან დაკავშირებული ემოციები უფრო მძაფრია – წარუმატებლობის შემთხვევაში გადამეტებული სირცხვილის, წარმატების შემთხვევაში კი გადამეტებული სიამაყის გრძნობა უჩნდებათ. იმ ბავშვებში, რომელთა მშობლები, პირიქით, ძირითად ყურადღებას ალტერნატიულ გონივრულ ქცევაზე ამახვილებენ, სირცხვილისა და სიამაყის გრძნობები ზომიერია. შესაბამისად, ისინი სიძნელეებს გაცილებით უკეთ უმკლავდებიან.

სირცხვილის ძლიერი გრძნობა ადაპტაციასთან დაკავშირებულ პრობლემას – გულჩათხრობილობასა და დეპრესიას, აგრეთვე, სირცხვილის გრძნობის მაპროვოცირებელი სიტუაციისა და ადამიანების მიმართ ბრაზსა და აგრესიას იწვევს. დანაშაულის გრძნობას უფრო კონკრეტული ხასიათი აქვს, რადგან კონკრეტულ ქმედებას თუ უმოქმედობას უკავშირდება და, შესაბამისად, ნაკლებად ახდენს უარყოფით გავლენას თვითშეფასებაზე. დანაშაულის გრძნობა, რომელიც გარკვეულ სიტუაციებში ჩნდება და რომელსაც სირცხვილის გრძნობა არ მოსდევს, პირიქით, ბავშვს საზიანო იმპულსების დაძლევაში ეხმარება და მის მიერ ჩადენილი ცუდი საქციელის გამოსწორებისა და უფრო გონივრული ქცევისაკენ უბიძგებს.

მე-ს ცნობიერებასთან დაკავშირებული ემოციების ჩამოყალიბებისთვის კულტურას დიდი მნიშვნელობა აქვს. დასავლეთის ინდივიდუალისტურ საზოგადოებებში ბავშვს ასწავლიან, იამაყოს პიროვნული მიღწევებით, მაგალითად, თუ ბურთი ყველაზე შორს გადააგდო, გაიმარჯვა თამაშში ან კარგი ნიშნები მიიღო. კოლექტივისტურ ქვეყნებში, როგორიცაა, მაგალითად, ჩინეთი ან იაპონია, მხოლოდ პიროვნულ წარმატებაზე ყურადღების გამახვილება უხერხულობის განცდას აჩენს. ჩინელ მშობლებს მიაჩნიათ, რომ ცუდი საქციელის ჩადენის შემთხვევაში ბავშვი სირცხვილს აუცილებელად უნდა გრძნობდეს. ისინი ბავშვებს უკვე სამი წლიდან ასწავლიან სირცხვილის გრძნობის გამოყენებით კარგისგან ცუდის გარჩევას, მაგრამ იმას არ ითვალისწინებენ, რომ შესაძლოა, გადაჭარბებულმა სირცხვილის გრძნობამ ბავშვის თვითშეფასებას ზიანი მიაყენოს.

**45.** რატომ უწოდებენ მეორეულ ანუ რთულ ემოციებს მე-ს ცნობიერებასთან დაკავშირებულ ემოციებს?

(ა) ეს ემოციები საკუთარი თავის მიმართ დამოკიდებულებაზე ახდენს გავლენას და, შესაბამისად, ქცევის ცვლილებას განაპირობებს
(ბ) ეს ემოციები უარყოფითად აისახება ადამიანის თვითშეფასებაზე, რაც გარშემომყოფთა მიმართ მისი ქცევის ცვლილებას განაპირობებს
(გ) ამ ემოციების გამოხატვის უნარი მომავალში ადამიანის წარმატებასა თუ წარუმატებლობას განაპირობებს
(დ) ეს ემოციები ადამიანს თვითანალიზის საშუალებას აძლევს და საკუთარი არასწორი ქცევის გამოსწორებისა და სხვებთან ურთიერთობის გაუმჯობესებისკენ უბიძგებს

**46.** რას გულისხმობს წინადადება: „სიამაყის, სირცხვილისა ან დანაშაულის განცდის კომპლექსური გაგება სოციალური გამოცდილების საფუძველზე კოგნიტური განვითარების კვალდაკვალ ყალიბდება“?

(ა) ასაკის მატებასთან და, შესაბამისად, გამოცდილების დაგროვებასთან ერთად ბავშვები უკეთ გამოხატავენ სიამაყის, სირცხვილისა თუ დანაშაულის გრძნობას
(ბ) კოგნიტური განვითარება და შესაბამისი სოციალური გამოცდილება ხელს უწყობს ბავშვის მიერ მეორეული ემოციების მიზეზების გაცნობიერების უნარის ჩამოყალიბებას
(გ) კოგნიტური განვითარების გარკვეული დონეა საჭირო, რომ ბავშვმა მეორეული ემოციების სოციალურ გამოცდილებასთან დაკავშირება შეძლოს
(დ) უფროსების რეაქცია ბავშვის ამა თუ იმ ქცევაზე მნიშვნელოვანწილად განაპირობებს სიამაყის, სირცხვილისა თუ დანაშაულის გრძნობის გაცნობიერების უნარის ჩამოყალიბებას

**47.** ქვემოთ მოცემულია რამდენიმე უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვის მსჯელობა. რომელი შეესაბამება ემოციური ცნობიერების განვითარების ყველაზე მაღალ საფეხურს?

(ა) „მე ამაყი ვარ, იმიტომ რომ მამამ ფეხბურთის მატჩზე წამიყვანა.“
(ბ) „მე ამაყი ვარ, რადგან ბევრს ვეცადე და სამკუთხედის დახაზვა შევძელი.“
(გ) „მე მრცხვენია, იმიტომ, რომ საკონტროლო წერაში ცუდი ნიშანი მივიღე.“
(დ) „მე დამნაშავე ვარ, რადგან ჭიქის გატეხვის გამო დედამ დამსაჯა.“

**48.** IV აბზაცის მიხედვით, სირცხვილის გრძნობა დანაშაულის გრძნობასთან შედარებით უფრო უარყოფით ზეგავლენას ახდენს ბავშვის თვითშეფასებაზე და, შესაბამისად, მის ადაპტაციურ უნარებზე, რადგან:

(ა) უკავშირდება არა კონკრეტულ ქცევას ამა თუ იმ სიტუაციაში, არამედ ბავშვის მიერ საკუთარი შესაძლებლობებისა და თვისებების უარყოფით შეფასებას
(ბ) ხელს უშლის ბავშვს, გააკონტროლოს საკუთარი იმპულსები და მოიფიქროს სხვა უფრო გონივრული ქცევა
(გ) ბავშვს დესტრუქციული ემოციები უჩნდება იმ ადამიანების მიმართ, ვინც დაკავშირებული იყო სირცხვილის გრძნობის მაპროვოცირებელ სიტუაციასთან
(დ) გულჩათხრობილობასა და დეპრესიას იწვევს, თუმცა, გონივრული ქცევის გამოსწორების გზების ძიებას უწყობს ხელს

**49.** ბავშვი უკეთ გაუმკლავდება სიძნელეებს, თუ მშობლების რეაქცია მის წარუმატებელ ქცევაზე შემდეგია:

(ა) ,,ასე ხომ უკვე სცადე; მოდი, ამჯერად სხვანაირად გავაკეთოთ...''
(ბ) ,,შეხედე, შენი მეგობარი როგორ აკეთებს, შენც ხომ შეგეძლო ასე გაგეკეთებინა... ''
(გ) ,,შენ შეცდომა დაუშვი, თუმცა ეს შენთვის მაინც კარგი შედეგია...''
(დ) ,,შენ არ გამოგივიდა, მოდი, მე გაჩვენებ, როგორ უნდა გააკეთო...''

**50.** ჩინელი ბავშვების სიტყვათა მარაგს სიტყვა ,,სირცხვილი'' გაცილებით უფრო ადრე ემატება, ვიდრე ეს ხდება მათ ჩრდილოამერიკელ თანატოლებში. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელშია ასახული კონკრეტული მიზეზი ამ ფაქტის ასახსნელად?

(ა) ჩინელი მშობლები არ ითვალისწინებენ, რომ გადაჭარბებულმა სირცხვილის გრძნობამ შესაძლოა ბავშვის თვითშეფასებას ზიანი მიაყენოს
(ბ) კოლექტივისტურ ქვეყნებში ... პიროვნულ წარმატებაზე ყურადღების გამახვილება უხერხულობის განცდას აჩენს
(გ) ჩინელი მშობლები უკვე 3 წლიდან ასწავლიან ბავშვებს სირცხვილის გრძნობის გამოყენებით კარგისგან ცუდის გარჩევას
(დ) ჩინელ მშობლებს მიაჩნიათ, რომ ცუდი საქციელის ჩადენის შემთხვევაში ბავშვი სირცხვილს აუცილებელად უნდა გრძნობდეს

**51.** ტექსტის ავტორის ძირითადი მიზანია:

(ა) წარმოაჩინოს მშობელთა როლი ბავშვის ემოციური განვითარებისა და ქცევის ჩამოყალიბების პროცესში
(ბ) ხაზი გაუსვას სოციალური გამოცდილების როლს ბაზისური ემოციებისა და მე-ს ცნობიერებასთან დაკავშირებული ემოციების ჩამოყალიბებაში
(გ) გააანალიზოს სხვადასხვა ასაკის ბავშვთა ემოციების გამოხატვის უნარის განვითარების თავისებურებები კულტურულ კონტექსტში
(დ) განიხილოს ერთ-ერთი ტიპის ემოციების განვითარების თავისებურებები სოციალური გამოცდილებისა და კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით

## ანალიტიკური წერა

**52.** *შეგახსენებთ რამდენიმე საბავშვო ნაწარმოების შინაარსს:*

ჯანი როდარის საბავშვო მოთხრობის გმირი, პატარა ჯელსომინო საოცარ ქვეყანაში მოხვდა, სადაც სასტიკი და გაიძვერა მეკობრე მეფობდა. ამ ქვეყანაში სიტყვა „მეკობრე“ პატიოსან ადამიანს ნიშნავდა, პურს მელანს ეძახდნენ, ყველს – საშლელს, საფუნთუშეში საკანცელარიო ნივთები იყიდებოდა, საკანცელარიო მაღაზიაში კი – პური. ყოველ დილით ხალხი ერთმანეთს „დილა მშვიდობისას“ კი არა, „ძილი ნებისას“ უსურვებდა. ცრუთა ქვეყანაში ძაღლები კნაოდნენ, კატები ყეფდნენ, თაგვები ღრიალებდნენ, ლომები კი წრიპინებდნენ.

მეფის ბრძანებით, გამრავლების ტაბულაში რიცხვებს ადგილი შეუცვალეს. გამრავლების ნაცვლად უნდა გაგეყო, თუ მიმატება გინდოდა, უნდა გამოგეკლო....

დონალდ ბისეტის ერთ მოთხრობაში ყვავი ალისა სიზმარს ნახავს, ყირამალა სიზმარს: კატები ძაღლებზე ნადირობენ, თაგვები – კატებზე, ფორანში მერძევე შებმულა, ცხენი კოფოზე ზის და მერძევეს აჩქარებს, ბავშვები მშობლებს ტუქსავენ, მშობლები ტირიან: „მეტს აღარ ვიზამთ!“ ღამით მზე ანათებს, დღისით – მთვარე და ვარსკვლავები. „ესეც თუ ცხოვრებაა! ყველაფერი ყირამალაა!“ – ამბობს კატა მური.

*გაიხსენეთ ქართული ხალხური ლექსიც:*

სანთლის გუთანს ავაშენებ,
შიგ შევაბამ უღელს დევსა,
ზღვაში ვხნავ და ზღვაში ვთესავ,
ხმელზე ვინადირებ თევზსა.
    ყინულზე კალოს გავლეწავ
    და მშრალზე გადავყრი ბზესა,
    ჭინჭველას გოდორს ავკიდებ
    და დევებს დავუყრი ბზესა.

*საბავშვო ნაწარმოებებში ხშირად ყველაფერი „ყირამალაა“, მწერალი თუ ლექსის მთქმელი რეალურს ცვლის არარეალურით. იმსჯელეთ:*

- *რა მიზნით მიმართავენ საბავშვო ნაწარმოებთა ავტორები ამ ხერხს.*
- *რა პოზიტიური შედეგები შეიძლება მოჰყვეს ბავშვისთვის ამგვარი შინაარსის მქონე ნაწარმოების სწავლებას.*
- *მსჯელობის გასამყარებლად მოიყვანეთ არგუმენტები და მაგალითები.*

*თქვენ მიერ დაწერილი თხზულება უნდა შეიცავდეს, სულ მცირე, 100 სიტყვას.*

# სწორი პასუხები, შეფასების კრიტერიუმები და მაქსიმალური ქულით შეფასებული ნიმუშები

## პროფესიული ცოდნა და მეთოდიკა

### ქართული ენა და ლიტერატურა

| | |
|---|---|
| **1** | დ |
| **2** | გ |
| **3** | ბ |
| **4** | ა |
| **5** | გ |
| **6** | დ |
| **7** | დ |

**8** მაქსიმალური ქულა: 8

| **შეცდომა** | **უნდა იყოს** |
|---|---|
| სასო წარკვეთილმა | სასოწარკვეთილმა |
| მიახწია | მიაღწია |
| მადლობა მოუხადა | მადლობა გადაუხადა |
| დათვარიელება | დათვალიერება |

- თითოეული შეცდომის გასწორება და შესაბამისი დასაბუთება ფასდება 2 ქულით.
- მხოლოდ შეცდომის გასწორება, სათანადო დასაბუთების გარეშე, ფასდება 1 ქულით.
- მოსწავლის მიერ სწორად დაწერილი სიტყვის მცდარი ფორმით შეცვლის შემთხვევაში შეფასებას აკლდება 1 ქულა.




**9** მაქსიმალური ქულა: 1

**1 ქულა:** მითითებულია ზმნის სწორი ფორმა - **გააანალიზა;** წარმოდგენილია ზმნის ამ ფორმაში თავმოყრილი სამივე **ა** ბგერის გრამატიკული ანალიზი.

**0 ქულა:** არ არის მითითებული ზმნის სწორი ფორმა ან არ არის წარმოდგენილი ზმნის ამ ფორმაში თავმოყრილი **ა** ბგერებიდან რომელიმეს გრამატიკული ანალიზი.




**10** მაქსიმალური ქულა: 1

**1 ქულა:** ახსნილია, რომ „რე“ პრეფიქსი მიუთითებს განახლებაზე, შექცევითობაზე, განმეორებად მოქმედებაზე.

**0 ქულა:** პასუხი არ არის მოცემული ან არამართებულია.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **11** | მაქსიმალური ქულა: 1 | | | | | |
| | ა | ბ | გ | დ | ე | ვ |
| | **3** | **5** | **2** | **6** | **1** | **4** |
| **12** | მაქსიმალური ქულა: 1 | | | | | |
| | ა | ბ | გ | დ | | |
| | **4** | **1** | **2** | **5** | | |
| **13** | მაქსიმალური ქულა: 1 | | | | | |
| | ა | ბ | გ | დ | | |
| | **3** | **1** | **4** | **5** | | |
| **14** | მაქსიმალური ქულა: 1 | | | | | |
| | ა | ბ | გ | დ | ე | |
| | **3** | **2** | **2** | **1** | **4** | |
| **15** | მაქსიმალური ქულა: 1 | | | | | |
| | ა | ბ | გ | დ | ე | ვ |
| | **2** | **4** | **3** | **1** | **3** | **1** |
| **16** | ა | | | | | |
| **17** | გ | | | | | |
| **18** | დ | | | | | |
| **19** | ბ | | | | | |
| **20** | დ | | | | | |
| **21** | დ | | | | | |

| | |
|---|---|
| **22** | მაქსიმალური ქულა: 2 |
| | **2 ქულა:** აღნიშნულია სწორი პასუხი - **ბ** - და ამოწერილია რომელიმე შემდეგი ფრაზებიდან:<br>• ყველას და, მათ შორის მეც;<br>• მათ შორის მეც;<br>• მათ შორის;<br>**1 ქულა:** აღნიშნულია სწორი პასუხი - **ბ** , მაგრამ არ არის ამოწერილი სათანადო ფრაზა, ან ამოწერილია სათანადო ფრაზა, თუმცა, არ არის აღნიშნული სწორი პასუხი;<br>**0 ქულა:** არ არის აღნიშნულა სწორი პასუხი და არ არის ამოწერილი არც ერთი სათანადო ფრაზა. |
| **23** | მაქსიმალური ქულა: 1 |
| | **1 ქულა:** მითითებულია შეფასების შემდეგი კრიტერიუმები: ლოგიკურად უკავშირდება თუ არა მოთხრობის მოსწავლისეული ფინალი ნაწარმოებში დასმულ საკითხს; რამდენად შემოქმედებითად არის გადაწყვეტილი ამოცანა; და სხვა<br>**0 ქულა:** პასუხი არ არის ან მოცემულია შეფასების არაადეკვატური კრიტერიუმი.<br>**23.** [illegible] |
| **24** | მაქსიმალური ქულა: 1 |
| | **1 ქულა:** მოცემულია სწორი პასუხი - ***კამარა;***<br>**0 ქულა:** პასუხი არ არის გაცემული ან შეუსაბამოა. |
| **25** | მაქსიმალური ქულა: 2 |
| | **2 ქულა:** სწორად არის ამოწერილი მითითებული სიტყვები და წარმოდგენილია არგუმენტირებული მსჯელობა ლექსში დასმული საკითხის შესახებ;<br>**1 ქულა:** სწორად არის ამოწერილი მითითებული სიტყვები, მაგრამ არ არის არგუმენტირებული |

| | |
|---|---|
| | მსჯელობა საკითხზე; ან წარმოდგენილია არგუმენტირებული მსჯელობა ლექსში დასმული საკითხის შესახებ, მაგრამ არასწორად არის ამოწერილი ან არ არის ამოწერილი მითითებული სიტყვები;<br>**0 ქულა:** პასუხი არ არის მოცემული ან არამართებულია.<br><br>**25.** [illegible]<br>**26.** [illegible] |
| **26** | მაქსიმალური ქულა: 2 |
| | **2 ქულა:** სწორად არის ამოწერილი მითითებული სიტყვა და მართებულად, მეექვსეკლასელი ბავშვისათვის გასაგებად, გრამატიკული ცნებების გამოყენებით არის ახსნილი სიტყვის შექმნის საკითხი;<br>**1 ქულა:** სწორად არის ამოწერილი მითითებული სიტყვა, მაგრამ არ არის ახსნილი სიტყვის შექმნის საკითხი; ან სწორად არის ამოწერილი მითითებული სიტყვა, მაგრამ საკითხის ახსნა არ შეეფერება მეექვსეკლასელი ბავშვის ენობრივ/ლექსიკურ კომპეტენციას;<br>**0 ქულა:** პასუხი არ არის მოცემული ან არამართებულია.<br><br>**26.** [illegible] |
| **27** | მაქსიმალური ქულა: 1 |
| | **1 ქულა:** მოცემულია მეოთხეკლასელისათვის გასაგები ლექსიკით მსჯელობა ნაწარმოების ჟანრის თავისებურებებზე;<br>**0 ქულა:** დასახელებულია ნაწარმოების ჟანრი, მაგრამ არ არის მსჯელობა მის თავისებურებებზე; პასუხი არ არის მოცემული ან არამართებულია.<br><br>[illegible] |
| **28** | მაქსიმალური ქულა: 3 |
| | **3 ქულა:** წარმოდგენილია მსჯელობა საკითხზე, თუ რაზე არ ზრუნავს მამა შვილთან ურთიერთობისას, განხილულია ნაწარმოებში წამოჭრილი ძირითადი პრობლემა და დამოწმებულია მაგალითი ლიტერატურიდან;<br>**2 ქულა:** წარმოდგენილია მსჯელობა საკითხზე, თუ რაზე არ ზრუნავს მამა შვილთან ურთიერთობისას, განხილულია ნაწარმოებში წამოჭრილი ძირითადი პრობლემა, თუმცა, არ არის დამოწმებული პარალელი სხვა ნაწარმოებიდან;<br>**1 ქულა:** წარმოდგენილია მსჯელობა საკითხზე, თუ რაზე არ ზრუნავს მამა შვილთან ურთიერთობისას, მაგრამ არ არის გამოკვეთილი ნაწარმოებში წამოჭრილი ძირითადი პრობლემა და არ არის დამოწმებული პარალელი სხვა ნაწარმოებიდან; ან წარმოდგენილია გააზრებული მსჯელობა ნაწარმოებში წამოჭრილი ძირითადი პრობლემის შესახებ, თუმცა, არ არის განხილული საკითხი, თუ რაზე არ ზრუნავს მამა შვილთან ურთიერთობისას, და არ არის დამოწმებული პარალელი სხვა ნაწარმოებიდან;<br>**0 ქულა:** პასუხი არ არის მოცემული, ან მოცემულია მხოლოდ პარალელი სხვა ნაწარმოებიდან, ან მხოლოდ არამართებული მსჯელობა საკითხზე. |

| | |
|---|---|
| | • მწერალი აუწყებს ადამიანის დაუნდობლობას ბუნების მიმართ ან ზრუნვას შვილის ფსიქიკაზე, ვერ აღმოფხვრებს მის განცდებს, ან ასწავლის ყოველი ახსოვნებისადმი მზრუნველ დამოკიდებულებას, თუნდაც სიბრალულის პასიღლები: „შვილის ნუგეშის ნაამბობი", ინანიშვილის „მოხა" |
| **29** | მაქსიმალური ქულა: 2 |
| | **2 ქულა:** სწორად არის მითითებული ნაწარმოებში დასმული ორი ძირითადი საკითხი და მოცემულია მართებული, მეექვსეკლასელი ბავშვისათვის გასაგები ენით მსჯელობა პრობლემის არსზე;<br>**1 ქულა:** სწორად არის მითითებული ნაწარმოებში დასმული ორი ძირითადი საკითხი, მაგრამ არ არის მსჯელობა პრობლემის არსზე ან საკითხის ახსნა არ შეეფერება მეექვსეკლასელი ბავშვის ენობრივ/ლექსიკურ კომპეტენციას;<br>**0 ქულა:** პასუხი არ არის მოცემული ან არამართებულია.<br>**29.** I - მოზარდი ურთიერთობის პრობლემები: ამ ასაკში თანადგომების შეფასება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. კოგნიტიურად ცამეტ-ხაფეტს სიმწიფეს ბიჭის მიმართ. ბიჭი ინსტინქტად აფასებს ურთიერთობის ამ დონეს.<br>II - მოზარდის თვითიდენტიფიკაციის პრობლემები: ამ ასაკში მეტადვნეულად გამოყენენ სხვების განხვავებულობას. საუკეთესო ინდივიდუალობის შეცნობის პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანადგომების, სწორია ლიდერობა სკოლის წარმომადგენელია აბრი. |
| **30** | მაქსიმალური ქულა: 3 |
| | **3 ქულა:** თითოეული ტიპის მოსწავლისათვის შერჩეული და აღწერილია ადეკვატური დავალება;<br>**2 ქულა:** მხოლოდ ორი ტიპის მოსწავლისათვისაა შერჩეული და აღწერილი დავალება ადეკვატურად;<br>**1 ქულა:** მხოლოდ ერთი ტიპის მოსწავლისათვისაა შერჩეული და აღწერილი დავალება ადეკვატურად;<br>**0 ქულა:** პასუხი არ არის მოცემული ან არამართებულია.<br>**30.**<br>**I.** მოსწავლემ უნდა შეადგინოს ამ ნაწყვეტის გეგმა. [illegible]<br>**II.** მოსწავლემ უნდა [illegible] ამ ნაწყვეტის [illegible]<br>**III.** მოსწავლემ უნდა [illegible] |

## კითხვისა და წერის სწავლება

| | |
|---|---|
| **31** | დ |
| **32** | გ |
| **33** | გ |
| **34** | ბ |
| **35** | დ |
| **36** | გ |
| **37** | გ |
| **38** | ბ |
| **39** | ბ |
| **40** | ა |

| | |
|---|---|
| **41** | მაქსიმალური ქულა: 2 |
| | **2 ქულა**: აღწერილია დავალებაში მოცემული პრობლემის დაძლევისთვის შესაბამისი აქტივობა, რომელშიც ჩანს, რომ მოსწავლეს შეუძლია საკუთარი შეცდომების დამოუკიდებლად გასწორება;<br>**1 ქულა**: აღწერილია დავალებაში მოცემული პრობლემის დასაძლევად საჭირო ადეკვატური აქტივობა, თუმცა, პასუხში არ ჩანს, რომ მოსწავლეს შეუძლია დამოუკიდებლად აღმოჩინოს და გაასწოროს შეცდომა;<br>**0 ქულა**: მითითებულია წარმოდგენილი პრობლემისთვის შეუსაბამო აქტივობა; პასუხი ძალიან ზოგადია; დავალება არ არის შესრულებული.<br>  |
| **42** | მაქსიმალური ქულა: 1 |
| | **1 ქულა**: წარმოდგენილია შეკითხვა, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს, მოცემულ ტექსტში დაინახოს მიზეზშედეგობრივი მიმართება;<br>**0 ქულა**: მოცემულია შეუსაბამო / ძალზე ზოგადი შეკითხვა; დავალება არ არის შესრულებული.<br>  |
| **43** | მაქსიმალური ქულა: 1 |
| | **1 ქულა**: მოცემულია შეკითხვა, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს ტექსტის სხვადასხვა ნაწილში წარმოდგენილი ინფორმაციის ერთმანეთთან დაკავშირებასა და დასკვნის გამოტანაში;<br>**0 ქულა**: მოცემულია შეუსაბამო / ძალზე ზოგადი შეკითხვა; დავალება არ არის შესრულებული. |

| | |
|---|---|
| |  |
| **44** | მაქსიმალური ქულა: 1 |
| | **1 ქულა:** მოცემულია შეკითხვა, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს ახალი ცოდნის საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებასა და ტექსტის გააზრებაში;<br>**0 ქულა:** მოცემულია შეუსაბამო / ძალზე ზოგადი შეკითხვა; დავალება არ არის შესრულებული.<br>  |

# აკადემიური უნარები

## წაკითხული ტექსტის გააზრება

| | |
|---|---|
| **45** | ა |
| **46** | ბ |
| **47** | ბ |
| **48** | ა |
| **49** | ა |
| **50** | გ |
| **51** | დ |

## ანალიტიკური წერა

| | |
|---|---|
| **52** | მაქსიმალური ქულა: 13 |
| | **1. შინაარსის რელევანტურობა**<br>ნაშრომი შეესაბამება მოცემულ საკითხს, პასუხობს დასმულ ამოცანებს.<br>**2 ქულა:** ნაშრომი პასუხობს თემას, არ ეხება არარელევანტურ საკითხებს;<br>**1 ქულა:** თემას პასუხობს ნაშრომის მხოლოდ გარკვეული მონაკვეთი; მოცემულია არარელევანტური ინფორმაცია;<br>**0 ქულა:** ნაშრომი არ პასუხობს თემას, შეეხება სრულიად განსხვავებულ საკითხს, წარმოადგენს დავალების პერიფრაზს.<br>***შენიშვნა:*** *თუ ნაშრომი პირველი კრიტერიუმის მიხედვით შეფასდება 0 ქულით, ის აღარ გასწორდება სხვა კრიტერიუმების მიხედვით.*<br><br>**2. დასაბუთება**<br>აპლიკანტის პოზიცია წარმოდგენილია შესაბამისი დასაბუთებით, მსჯელობა გამყარებულია დამაჯერებელი, ადეკვატური არგუმენტებითა და მაგალითებით.<br>**3 ქულა:** მოყვანილია დამაჯერებელი, მრავალფეროვანი, ორიგინალური არგუმენტები, მაგალითები, განხილულია კონტრარგუმენტები;<br>**2 ქულა:** არგუმენტით/მაგალითით გამყარებულია მხოლოდ ზოგიერთი მოსაზრება, ან არგუმენტები მოყვანილია ყველა მოსაზრებისთვის, აპლიკანტი თანმიმდევრულად მსჯელობს საკითხის შესახებ;<br>**1 ქულა:** არის დასაბუთების მცდელობა, თუმცა არგუმენტები ზედაპირული, ერთფეროვანი და არადამაჯერებელია;<br>**0 ქულა**: მოსაზრებები არ არის გამყარებული მაგალითებითა და არგუმენტებით, არ არის წარმოდგენილი ლოგიკური მსჯელობა.<br><br>**3. თხრობის ორგანიზება**<br>ნაშრომი სტრუქტურულად გამართულია, აზრები მწყობრად, თანმიმდევრულად არის გადმოცემული, თხზულების ნაწილები ერთმანეთთან ლოგიკურადაა დაკავშირებული.<br>**2 ქულა:** ტექსტი სტრუქტურულად გამართულია _ ნაწერში წარმოდგენილია საკითხის დასმა, მსჯელობა, დასკვნა; აზრები მწყობრად არის გადმოცემული, მონაკვეთები ლოგიკურად უკავშირდება ერთმანეთს;<br>**1 ქულა:** ნაწერში დასმულია საკითხი, თუმცა, მსჯელობა ზედაპირულია, წარმოდგენილი დასკვნა არამართებულია ან შეუსაბამო; წარმოდგენილია ტექსტის მხოლოდ ზოგიერთი სტრუქტურული ნაწილი; ერთმანეთს ლოგიკურად უკავშირდება ტექსტის მხოლოდ ზოგიერთი მონაკვეთი;<br>**0 ქულა:** ნაწერში წარმოდგენილია პერიფრაზი და მხოლოდ მცირე მონაკვეთი ეთმობა მსჯელობას(რამდენიმე წინადადება, პატარა აბზაცი ა. შ. ); მოსაზრებები, ტექსტის ნაწილები ერთმანეთთან ლოგიკურად არ არის დაკავშირებული; ნაწერში არ არის წარმოდგენილი სტრუქტურული ნაწილები _ საკითხის დასმა, მსჯელობა, დასკვნა. |

| | |
|---|---|
| | **4. სტილი, ლექსიკა**<br>აზრები ცხადად, ნათლადაა გამოთქმული, ნაწერი ლექსიკურად მდიდარი და სტილისტურად გამართულია, ლექსიკა შეესაბამება დასმულ საკითხს.<br>**3 ქულა:** არ არის დაშვებული სტილისტური შეცდომები, ტექსტი ლექსიკურად მდიდარია, აზრი მკაფიოდ და გამართულად არის გადმოცემული, გამოყენებულია საკითხის შესაფერისი ლექსიკა და სტილი.<br>**2 ქულა:** დაშვებულია 2-3 უმნიშვნელო სტილისტური შეცდომა, ტექსტი ლექსიკურად გამართულია, აზრი მკაფიოდ არის გამოხატული<br>**1 ქულა:** ნაწერი ლექსიკურად მწირია, დაშვებულია სტილისტური შეცდომები, თუმცა აზრი გასაგებად არის გადმოცემული. გამოყენებული ლექსიკა და სტილი მეტ-ნაკლებად შეეფერება საკითხს.<br>**0 ქულა:** ნაწერი ლექსიკურად ღარიბია; დაშვებულია უხეში სტილისტური შეცდომები; გამოყენებულია არაადეკვატური ლექსიკა და სტილი;<br><br>**5. სინტაქსი, მორფოლოგია, პუნქტუაცია**<br>ნაშრომი სინტაქსურად გამართულია, ნაწერი შესრულებულია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დაცვით.<br>**3 ქულა:** არ არის დაშვებული სინტაქსური, ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური და პუნქტუაციური შეცდომები, დაცულია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები.<br>**2 ქულა:** დაშვებულია უმნიშვნელო სინტაქსური, ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური და პუნქტუაციური შეცდომები, თუმცა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები ძირითადად დაცულია.<br>**1 ქულა:** დაშვებულია სინტაქსური, ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური, პუნქტუაციური შეცდომები, დარღვეულია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები<br>**0 ქულა:** დაშვებულია უხეში სინტაქსური, ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური, პუნქტუაციური შეცდომები<br><br>იმისათვის, რომ ნაშრომი ყველა კრიტერიუმის მიხედვით გასწორდეს, ის უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:<br>• უნდა შეეხებოდეს დავალებაში მოცემულ საკითხს;<br>• არ უნდა წარმოადგენდეს დავალების პირობის პერიფრაზს;<br>• არ უნდა შეიცავდეს ინფორმაციას, რომლის საშუალებით შესაძლებელია აპლიკანტის პიროვნების იდენტიფიცირება - სახელსა და გვარს (რეალურსა თუ გამოგონილს), მეტსახელს, ხელმოწერას და ა.შ.<br>• შესრულებული უნდა იყოს ისეთი ხელწერით, როგორის წაკითხვაც შესაძლებელია.<br>თუ ნაშრომი არ აკმაყოფილებს ამ პირობათაგან რომელიმეს, ის შეფასდება 0 ქულით.<br><br>ნაშრომი უნდა შეიცავდეს, სულ მცირე, 100 სიტყვას. სხვა შემთხვევაში ის გასწორდება მხოლოდ I და II კრიტერიუმების მიხედვით. |

# ტესტი დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთათვის

## ბუნებისმეტყველება

2013

### ინსტრუქცია

ტესტი ორი ნაწილისგან შედგება – **პროფესიული ცოდნა და მეთოდიკა** და **აკადემიური უნარები**. ის 57 დავალებას შეიცავს. ზოგიერთ დავალებას ახლავს სავარაუდო პასუხები, ზოგიერთის პასუხი კი თქვენ თავად უნდა დაწეროთ.

**პასუხები აუცილებლად გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე, რომელიც თან ახლავს ტესტს (შესაბამისი ინსტრუქცია იხილეთ შემდეგ გვერდზე). ტესტირების შედეგი დადგინდება მხოლოდ და მხოლოდ პასუხების ფურცლის საფუძველზე.**

ყურადღებით წაიკითხეთ თითოეული დავალების ინსტრუქცია, კარგად გაიაზრეთ, რა მოგეთხოვებათ დავალების შესრულებისას, და შემდეგ აირჩიეთ ან დაწერეთ პასუხი.

ზოგიერთი დავალება, ერთი შეხედვით, სპეციფიკურ თეორიულ ცოდნას მოითხოვს, თუმცა, რეალურად ამ დავალებათა შესრულება სავსებით შესაძლებელია პედაგოგიურ გამოცდილებაზე დაყრდნობით.

შავი სამუშაოსათვის შეგიძლიათ გამოიყენოთ ტესტის ფურცლებზე არსებული ცარიელი ადგილები.

**სამუშაოდ გეძლევათ 5 საათი.**

დროის ამოწურვის შესახებ გაცნობებთ მეთვალყურე.

გისურვებთ წარმატებას!

# სხვადასხვა ტიპის დავალებათა ინსტრუქციები

**ტესტში წარმოდგენილი დავალებები სხვადასხვაგვარია ფორმატის თვალსაზრისით. ტესტში შეგხვდებათ:**

- **დავალებები არჩევითი პასუხებით;**
- **დავალებები ღია დაბოლოებით;**
- **შესაბამისობის დადგენა;**
- **თხზულება (ესეი).**

**არჩევითპასუხებიან დავალებებში** პირობასა თუ შეკითხვასთან ერთად სავარაუდო პასუხებიც არის მოცემული. დავალების შესრულება გულისხმობს ოთხი სავარაუდო პასუხიდან ერთი სწორი პასუხის არჩევას.

***პასუხის მონიშვნისას:***

- ***პასუხების ფურცელზე მოძებნეთ დავალების შესაბამისი ნომერი;***
- ***ნომრის ქვეშ იპოვეთ უჯრა, რომელიც თქვენ მიერ არჩეულ პასუხს შეესაბამება;***
- ***დასვით X ნიშანი ამ უჯრაში.***

თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, **მთლიანად გააფერადეთ უჯრა,** რომელშიც დასვით X ნიშანი, ხოლო **შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი** (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში).

თითოეული არჩევითპასუხებიანი დავალება 1 ქულით ფასდება.

**დავალებები ღია დაბოლოებით** მოითხოვს დასმულ შეკითხვაზე პასუხის ჩამოყალიბებას, საკუთარი მსჯელობის გამყარებას სათანადო არგუმენტებით. თითოეული ღიაბოლოიანი დავალება ფასდება სპეციალური სქემის მიხედვით. შესასრულებელი ნაბიჯების გათვალისწინებით, დავალება შეიძლება შეფასდეს 1, 2 ან მეტი ქულით. ამგვარ დავალებებზე პასუხის გასაცემად პასუხების ფურცელზე გამოყოფილია საგანგებო ადგილები.

**შესაბამისობის დადგენის დავალებებში** წარმოდგენილია მონაცემთა ორი სვეტი. ერთ სვეტში მოცემულია ე. წ. პირობა (მოვლენები, ფრაზები და ა. შ.), მეორეში კი – სავარაუდო პასუხები (ცნებები, ტერმინები და ა. შ.). დავალების შესრულება გულისხმობს ერთ სვეტში მოცემული ინფორმაციის მისადაგებას მეორე სვეტში მოცემულ ინფორმაციასთან. შესაბამისობის თითოეული დავალებისთვის პასუხების ფურცელზე მოცემულია ცხრილი. თქვენ უნდა შეავსოთ ცხრილის ცარიელი გრაფები – **პირობის აღმნიშვნელი ასოს ქვეშ ჩაწეროთ მისი პასუხის შესაბამისი რიგითი ნომერი**.

შესაბამისობის დადგენის თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

**თხზულებაში** უნდა წარმოაჩინოთ თქვენი პოზიცია, მოსაზრებები შემოთავაზებული საკითხის შესახებ, კონკრეტული არგუმენტებით დაასაბუთოთ სათქმელი. თხზულების დასაწერად პასუხების ფურცელზე გამოყოფილია საგანგებო ადგილი.

თხზულების მაქსიმალური ქულაა 13.

# პროფესიული ცოდნა და მეთოდიკა

**1.** ადამიანის ორგანიზმში ულტრაიისფერი სხივების ზემოქმედების შედეგად წარმოიქმნება ვიტამინი:
(ა) C
(ბ) A
(გ) K
(დ) D

**2.** საჭმლის მონელების პროცესში <u>**არ იშლება:**</u>
(ა) ცილები
(ბ) ვიტამინები
(გ) რთული ნახშირწყლები
(დ) ცხიმები

**3.** აზოტფიქსაციის ბაქტერიები ბინადრობენ:
(ა) ჭაობიან, უჟანგბადო გარემოში
(ბ) სხვა ბაქტერიების ორგანიზმში
(გ) პარკოსანი მცენარეების კოჟრებში
(დ) რქოსანი პირუტყვის საჭმლის მომნელებელ სისტემაში

**4.** ღრმა სუნთქვაში <u>**არ მონაწილეობს**</u>:
(ა) დიაფრაგმა
(ბ) ნეკნთაშუა კუნთები
(გ) მუცლის კუნთები
(დ) ზურგის კუნთები

**5.** ნიადაგის ფორმირებაში მონაწილეობენ:
(ა) მიქსოტროფები
(ბ) ავტოტროფები
(გ) საპროფიტები
(დ) პარაზიტები

**6.** ჰორმონი ადრენალინი გამომუშავდება:
(ა) ჰიპოფიზში
(ბ) ფარისებრ ჯირკვალში
(გ) თირკმელზედა ჯირკვალში
(დ) კუჭქვეშა ჯირკვალში

**7.** ჰაერგამტარ გზებს <u>**არ მიეკუთვნება**</u>:
(ა) ტრაქეა
(ბ) ხორხი
(გ) ფილტვები
(დ) ცხვირის ღრუ

**8.** ჩამოთვლილთაგან რომელ პროცესში მონაწილეობს კუნთები?
I. სხეულის მოძრაობაში; II. სუნთქვაში; III. ნივთიერებათა ცვლაში.
(ა) მხოლოდ I
(ბ) მხოლოდ II
(გ) მხოლოდ I და III
(დ) მხოლოდ I და II

**9**. ვენები ეწოდება სისხლძარღვებს, რომლებშიც:
(ა) მიედინება მხოლოდ არტერიული სისხლი
(ბ) მიედინება მხოლოდ ვენური სისხლი
(გ) სისხლი მიედინება გულიდან სხვა ორგანოებისაკენ
(დ) სისხლი მიედინება ორგანოებიდან გულისაკენ

**10.** ადამიანის ლიმფოციტები:
(ა) ერითროციტების ერთ-ერთი სახეა
(ბ) ლეიკოციტების ერთ-ერთი სახეა
(გ) თრომბოციტების ერთ-ერთი სახეა
(დ) არ მიეკუთვნება სისხლის ფორმიან ელემენტებს

**11.** საჭმლის მონელებაში მონაწილე ფერმენტები არის:
(ა) მხოლოდ ცხიმები
(ბ) მხოლოდ ცილები
(გ) მხოლოდ ნახშირწყლები
(დ) როგორც ნახშირწყლები, ისე ცილები

**12.** რა ეწოდება ტემპერატურის რყევის გამო ქანების ნგრევის პროცესს?
(ა) ფიზიკური გამოფიტვა
(ბ) ქიმიური გამოფიტვა
(გ) ორგანული გამოფიტვა
(დ) ანთროპოგენული გამოფიტვა

**13.** რომელია სეზონური მოვლენა?
(ა) ბრიზი
(ბ) მიქცევა-მოქცევა
(გ) მუსონი
(დ) მიწისძვრა

**14.** რომელ კონტინენტზე <u>**არ არის**</u> მოქმედი ვულკანი?
(ა) ავსტრალიის
(ბ) აფრიკის
(გ) სამხრეთ ამერიკის
(დ) ევრაზიის

**15.** როგორია რუკა, რომელზეც ტერიტორია დეტალურადაა გამოსახული?
(ა) წვრილმასშტაბიანი
(ბ) მსხვილმასშტაბიანი
(გ) მასშტაბგარეშე
(დ) საშუალომასშტაბიანი

**16.** ნებისმიერი ქიმიური ელემენტის ატომის ელექტრული მუხტი:
(ა) დადებითია
(ბ) უარყოფითია
(გ) ნეიტრალურია
(დ) დამოკიდებულია გარემოებებზე

**17.** დიფუზიის მოვლენა ადასტურებს, რომ:
(ა) მოლეკულები ზემოქმედებს ერთმანეთზე
(ბ) მოლეკულები უმცირესი ნაწილაკებისგან შედგება
(გ) ზოგიერთ ნივთიერებაში მოლეკულები უძრავია
(დ) მოლეკულები მუდმივად მოძრაობს და მათ შორის გარკვეული მანძილია

**18.** სურათზე მოცემულია ტოლი მასის მქონე სხვადასხვა მასალისგან დამზადებული სამი ბურთულა. რომელი ბურთულაა დამზადებული ყველაზე დიდი სიმკვრივის მქონე ნივთიერებისგან?




(ა) 1
(ბ) 2
(გ) 3
(დ) ყველა ბურთულა ერთი და იმავე სიმკვრივის მასალისგანაა დამზადებული

**19.** ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი დავალება შეიძლება მისცეთ მოსწავლეს მოცემულ ტოპოგრაფიულ რუკაზე დაყრდნობით?




(ა) სახაზავის გამოყენებით გაზომეთ მანძილი წყაროსა და ხიდს შორის
(ბ) დასახლებული პუნქტიდან რა მიმართულებით მდებარეობს გაჩეხილი ტყე
(გ) აღწერეთ ადგილი, რომელიც მდებარეობს ხეხილის ბაღების ჩრდილოეთით
(დ) ჩამოწერეთ ყველა ის ხემცენარე, რომლებიც აღნიშნული ტერიტორიის ფარგლებში ხარობს

**20.** რომელი სქემა შეესაბამება ატმოსფეროს აირად შემადგენლობას?

(ა)




(ბ)




(გ)




(დ)




**21.** რა არის ფიზიკური სიდიდის გაზომვა?
(ა) სხვა ფიზიკურ სიდიდესთან შედარება
(ბ) ერთეულად მიჩნეულ სიდიდესთან შედარება
(გ) სხვა ფიზიკურ სიდიდესთან მიმართების დადგენა
(დ) ზემოთ ჩამოთვლილთაგან არც ერთი არ არის სწორი

**22.** დაადგინეთ შესაბამისობა ფიზიკურ სიდიდესა და მის გამოსათვლელ ფორმულას შორის. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ფიზიკური სიდიდის აღმნიშვნელ ასოებს მიუწერეთ ფორმულების შესაბამისი ნომრები (*გაითვალისწინეთ, რომ ერთ-ერთი პასუხი ზედმეტია*).

(ა) თანაბარზომიერი მოძრაობის სიჩქარე
(ბ) თანაბარზომიერი მოძრაობის დროს გავლილი მანძილი
(გ) თანაბარზომიერი მოძრაობის დრო

1. $v = s / t$
2. $v = s \cdot t$
3. $s = v \cdot t$
4. $t = s / v$

| ა | ბ | გ |
|---|---|---|
| | | |

**23.** დაადგინეთ შესაბამისობა რელიეფის ჩამოთვლილ ფორმებსა და მათ განმარტებებს შორის. ქვემოთ მოცემულ ცხრილში რელიეფის ფორმის დასახელების აღმნიშვნელ ასოს მიუწერეთ შესაბამისი განმარტების ნომერი.

(ა) დაბლობი
(ბ) მთა
(გ) ზეგანი
(დ) ქვაბული

1. ქედებს შორის ჩადაბლებული და მოსწორებული ზედაპირი
2. ზღვის დონიდან 500 მეტრზე მაღლა მდებარე ვაკე
3. ზღვის დონიდან 200 მეტრამდე სიმაღლის ვაკე
4. დედამიწის ზედაპირის ამოზნექილი ფორმა ძირით, ფერდობით და მწვერვალით

| ა | ბ | გ | დ |
|---|---|---|---|
| | | | |

**24.** დაადგინეთ შესაბამისობა I სვეტისა და II სვეტის შემადგენელ ელემენტებს შორის. ქვემოთ მოცემულ ცხრილში I სვეტის ელემენტების აღმნიშვნელ ასოებს მიუწერეთ II სვეტის ელემენტების შესაბამისი ნომერი *(გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამეორება შესაძლებელია).*

<u>I სვეტი</u>
(ა) ინერცია
(ბ) მოცულობა
(გ) სიჩქარე
(დ) მოლეკულათა მიზიდვა
(ე) ფოლადის ბურთულა

<u>II სვეტი</u>
1. ფიზიკური სიდიდე
2. ფიზიკური მოვლენა
3. ფიზიკური სხეული

| ა | ბ | გ | დ | ე |
|---|---|---|---|---|
| | | | | |

**25.** სოფლის მოსახლეობა შეშის დასამზადებლად ახლომდებარე ტყეში სისტემატურად ჭრის ხეებს. დაასახელეთ გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების ორი შორეული შედეგი, რაც შეიძლება მოჰყვეს ამგვარ ქმედებას. პასუხი დაასაბუთეთ.

(მაქსიმალური ქულა 2)

**26.** რა სახის იმუნიტეტი ყალიბდება ანტიტეტანური შრატის ორგანიზმში შეყვანის დროს:

(მაქსიმალური ქულა 1)

**27.** ფოთოლცვენის პროცესი, მარადმწვანე მცენარეებისგან განსხვავებით, ძირითადად ფოთლოვანი ხეებისა და ბუჩქებისთვის არის დამახასიათებელი. როგორ აუხსნით VI კლასის მოსწავლეებს იმ ძირითად მიზეზებს ***(მინიმუმ, ორს)***, რომლებიც განაპირობებს ფოთოლცვენას.

(მაქსიმალური ქულა 2)

**28.** მოცემულია კვებითი ჯაჭვი:
**ნაძვი – ლაფნიჭამია ხოჭოს მატლები – კოდალა – მიმინო.**

*მათ შორის რომელია მესამე რიგის კონსუმენტი და რომელ ტროფიკულ დონეზე იმყოფება ის?*

(მაქსიმალური ქულა 2)

**29.** რუკის მასშტაბია 1 : 2 500 000, რუკაზე ორ წერტილს შორის მანძილი 3 სმ. რეალურად რა მანძილია ამ ორ წერტილს შორის? აუხსენით მოსწავლეს, როგორ უნდა წარმართოს გამოთვლის პროცესი.

(მაქსიმალური ქულა 2)

*დააკვირდით სურათს და შეასრულეთ **30**-ე, **31**-ე და **32**-ე დავალებები.*




**30.** რომელი თანავარსკვლავედებია დატანილი ნახატზე?

_____

(მაქსიმალური ქულა 1)

**31.** სურათზე მოცემული წერტილებიდან რომელია ჩრდილოეთის პოლარული ვარსკვლავი? (*ჩაწერეთ შესაბამისი ნომერი*)

_____

(მაქსიმალური ქულა 1)

**32.** აუხსენით მოსწავლეებს, როგორ ვიპოვოთ ცის თაღზე ჩრდილოეთის პოლარული ვარსკვლავი.

_____

_____

_____

(მაქსიმალური ქულა 2)

*დააკვირდით ჩრდილოეთ ამერიკის კონტურულ რუკას და შეასრულეთ* ***33****-ე დავალება.*

**33.** ზემოთ მოცემულ კონტურულ რუკაზე ზოგიერთი გეოგრაფიული ობიექტის სახელწოდება არასწორადაა დატანილი. ამოიწერეთ, რომელი სახელწოდებაა არასწორად მოცემული და გვერდით მიუთითეთ სწორი ვარიანტი. თითოეული შეცდომის გასწორება ფასდება 1 ქულით. რუკაზე სწორად აღნიშნული თითოეული ობიექტის სახელწოდების მცდარი ფორმით შეცვლის შემთხვევაში დაგაკლდებათ 1 ქულა.

_____

_____

_____

_____

_____

**34.** გაეცანით ცდის აღწერას: გამჭვირვალე ქილაში ჩავასხათ წყალი და ჩავყაროთ იმდენი შაბიამანი, რომ წყალში გახსნისას მივიღოთ კაშკაშა ლურჯი ფერი. ამ ხსნარში ჩავაგდოთ 1-2 რკინის ლურსმანი და რამდენიმე წუთი დავაკვირდეთ. თანდათანობით ხსნარის ლურჯი ფერი შეიცვლება მწვანედ, ხოლო ლურსმანი დაიფარება მოვარდისფრო-წითელი აპკით.

*აუხსენით მოსწავლეებს, რამ გამოიწვია ცდის აღწერილი შედეგი.*

_____

_____

_____

(მაქსიმალური ქულა 2)

**35.** თქვენ გადაწყვიტეთ V კლასის მოსწავლეთათვის ლაშქრობის მოწყობა ახლომდებარე ტყეში. აღწერეთ აქტივობები, რომლებიც დაეხმარება მოსწავლეებს:

1. მცენარეებზე დაკვირვების ჩვევების ჩამოყალიბებაში;
2. ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლებაში.

1. _____

_____

_____

2. _____

_____

_____

(მაქსიმალური ქულა 2)

# კითხვისა და წერის სწავლება

**36.** გაეცანით **I** კლასის მოსწავლეებისთვის განკუთვნილ დავალებებს:

**I. ჩასვი გამოტოვებული ასო:**

მ–ე

ქუ–ი

**II. ჩაწერე ცხოველის სახელი:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | |

**III. წაიკითხე სიტყვები და შეაერთე ისრებით შესაბამის ნახატთან:**

| |
|---|
| ბარი |

| |
|---|
| ბალი |

მასწავლებლის მიზანია, ბავშვებმა ისწავლონ, რომ ასო-ბგერას სიტყვების განმასხვავებელი ფუნქცია აქვს. რომელი დავალება დაეხმარება მასწავლებელს ამ მიზნის მისაღწევად?

(ა) I და II
(ბ) II და III
(გ) მხოლოდ II
(დ) მხოლოდ III

**37.** კითხვის სირთულეების პრევენციისათვის მნიშვნელოვანია სკოლამდელ ასაკში ბავშვის იმ უნარების განვითარებაზე ზრუნვა, რომლებიც კითხვისათვის მზაობას განაპირობებს. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი უნარის განვითარებაა ადეკვატური და მიზანშეწონილი სკოლამდელ ასაკში?

(ა) ბგერების სწორად გამოთქმა, ასოების გამოწერა და სიტყვების უშეცდომოდ ჩაწერა
(ბ) ასო-ბგერითი მიმართებების დასწავლა და ასოებისგან სიტყვების აწყობა
(გ) სიტყვის ბგერითი შემადგენლობის გარჩევა და ლექსიკური მარაგის გამდიდრება
(დ) ასოებისგან სიტყვების და სიტყვებისგან მარტივი წინადადებების აწყობა

**38.** ქვემოთ მოცემულია აქტივობები, რომელთაც მასწავლებლები ხშირად იყენებენ ახალი ტექსტის შესწავლის დროს. რომელი აქტივობის შესრულება გაუჭირდებათ მოსწავლეებს დამოუკიდებლად ან დასჭირდებათ მასწავლებლის დახმარება?

(ა) მასწავლებელი უკითხავს მოსწავლეებს დაუსრულებელ ტექსტს და სთხოვს, გამოთქვან ვარაუდი, თუ როგორ შეიძლება დასრულდეს ტექსტში მოთხრობილი ამბავი.
(ბ) მოსწავლეები კითხულობენ ტექსტის სათაურს, ათვალიერებენ ილუსტრაციებს და გამოთქვამენ ვარაუდს ტექსტში მოთხრობილი ამბის შესახებ.
(გ) მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს, გამოყოფენ მათთვის უცნობ სიტყვებს და ამ სიტყვების გამოყენებით შეადგენენ წინადადებებს.
(დ) მასწავლებელი მიუთითებს თემას წაკითხული ტექსტიდან, მოსწავლეებმა უნდა იპოვონ ტექსტში ის ადგილი, სადაც ეს თემაა განხილული.

**39.** წერა-კითხვის სწავლებისას მასწავლებლები ხშირად იყენებენ „დღიურის წერის" მეთოდს – ბავშვები შესასწავლი თემის შესახებ საკუთარ იდეებსა და აზრებს წერენ დღიურებში, რომლებიც მასწავლებლის მიერ არ მოწმდება.

*ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია მოსწავლეთა შესახებ. რომელი მოსწავლისთვის იქნება აღნიშნული მეთოდი* ***<u>ყველაზე</u>*** *მოსახერხებელი საკუთარი შესაძლებლობების გამოსავლენად?*

(ა) გიორგისთვის – ის მგრძნობიარეა სხვათა განწყობებისა და განცდების მიმართ, შეუძლია სხვათა ქცევის მოტივების გამოცნობა.
(ბ) ანასთვის – ის ჩუმი და ჩაფიქრებული ბავშვია, კარგი ინტუიცია აქვს და საკმაოდ დამოუკიდებელია.
(გ) ანდროსთვის – მას უყვარს ლოგიკური მსჯელობა და ფიქრი, კარგად იგებს და აღიქვამს სქემებს.
(დ) მაიასთვის – ის ადვილად იგებს სიტყვის მნიშვნელობებს და მოსწონს სიტყვებით თამაში.

**40.** ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი გამოადგება მასწავლებელს **<u>ყველაზე ნაკლებად</u>** იმის დასადგენად, რომ მოსწავლემ გაიაზრა წაკითხული ტექსტი?

(ა) მოსწავლე საკუთარი სიტყვებით გადმოსცემს ტექსტის ძირითად აზრს.
(ბ) მოსწავლე განმარტავს ტექსტში მოცემულ ძირითად საკითხებს.
(გ) მოსწავლეს მოჰყავს ტექსტში დასმული პრობლემის შესაბამისი მაგალითები.
(დ) მოსწავლე ტექსტის შინაარსს გადმოსცემს ტექსტის ლექსიკის გამოყენებით.

**41.** მასწავლებელმა II კლასის მოსწავლეთა კითხვის უნარის გასაუმჯობესებლად ერთი სემესტრის განმავლობაში ახალი მეთოდის გამოყენება სცადა. სემესტრის ბოლოს ჩატარებული ტესტირების საფუძველზე დაასკვნა, რომ **ახალმა მეთოდმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მოსწავლეთა კითხვის უნარი.**

გაეცანით ქვემოთ მოცემულ პირობებს:

I. კითხვის უნარის შეფასება ახალი მეთოდით მუშაობის დაწყებამდე და მეთოდის გამოყენების შემდეგ.

II. პარალელურ II კლასში (სადაც ისევ ძველი მეთოდით მუშაობდა მასწავლებელი) კითხვის უნარის შეფასება სემესტრის დასაწყისში და სემესტრის ბოლოს და სამიზნე კლასის შედეგებთან შედარება.

III. მოსწავლეების მშობლების გაფრთხილება, რომ აღნიშნული სემესტრის განმავლობაში გაეკონტროლებინათ შვილების საშინაო დავალებები.

*ამ პირობათაგან რომლის განხორციელება იყო საჭირო, რომ მასწავლებელს აღნიშნული დასკვნის გამოტანის საფუძველი ჰქონოდა?*

(ა) მხოლოდ I
(ბ) მხოლოდ II
(გ) I და II
(დ) I და III

**42.** ტექსტზე მუშაობის ერთ-ერთი მეთოდი – ,,მოზაიკა'' – გულისხმობს მოსწავლეების განაწილებას ჯგუფებში. თითოეულ მონაწილეს მასწავლებელი სამუშაოდ აძლევს ტექსტის გარკვეულ მონაკვეთს, რომლის შინაარსის ,,ექსპერტიც'' ხდება მოსწავლე. შემდეგ სხვადასხვა ჯგუფის წევრები, რომლებიც შეისწავლიან ერთსა და იმავე ფრაგმენტს, ხვდებიან ერთმანეთს ,,ექსპერტთა ჯგუფებში'' საკუთარი ფრაგმენტის განსახილველად. ექსპერტულ ჯგუფებში მონაწილეები მსჯელობენ ამ ფრაგმენტის შინაარსის შესახებ. შემდეგ დაბრუნდებიან საწყის ჯგუფებში და გააცნობენ ,,კოლეგებს'' საკუთარი ფრაგმენტის შინაარსს.

*ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი უნარის განვითარებას უწყობს ეს მეთოდი ყველაზე* ***ნაკლებად*** *ხელს?*

(ა) თანატოლების აზრის მოსმენისა და გაზიარების
(ბ) ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ჩამოყალიბების
(გ) მთლიანი ტექსტის ინდივიდუალურად დამუშავების
(დ) ტექსტის გააზრებაში სხვებისთვის დახმარების გაწევის

**43.** ქვემოთ მოცემულია რეკომენდაციები კითხვის სწავლებასთან დაკავშირებით. რომელი რეკომენდაცია შეესაბამება კითხვის სწავლების დაბალანსებულ მიდგომას?

(ა) ძირითადი ყურადღება მიმართული უნდა იყოს კითხვაში პრობლემების მქონე ბავშვების მიერ სიტყვებში ბგერების გარჩევისა და დეკოდირების ჩვევის ათვისებაზე.
(ბ) გრაფემის ფონემად დეკოდირების ჩვევების შემუშავება ბავშვისთვის საინტერესო, შინაარსიან მასალაზე დაყრდნობით უნდა ხდებოდეს.
(გ) მთავარია სიტყვის მნიშვნელობის გაგება, რომლის საფუძველზეც მოხდება სიტყვისა და მასში შემავალი ბგერითი შეთანხმებების ცნობა.
(დ) დამწერლობის ანბანური სისტემის მქონე ენაში კითხვის ათვისება მიზანშეწონილია ასო-ბგერითი შესატყვისობის პირდაპირი სწავლებით.

**44.** მასწავლებლის მიზანია I კლასის მოსწავლეებს განუვითაროს ფონემების გაცნობიერების უნარი. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი დავალება გამოადგება მას ამ მიზნისთვის?

(ა) მასწავლებელი ასახელებს ბგერებს, მოსწავლეებმა უნდა მოძებნონ ამ ბგერების შესატყვისი ასოები პლაკატზე.
(ბ) მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, სიტყვაში ერთი ბგერა შეცვალონ ისე, რომ სხვა სიტყვა გამოვიდეს.
(გ) მასწავლებელი დაფაზე წერს სიტყვას და სთხოვს მოსწავლეებს, ააწყონ ეს სიტყვა მოძრავი ანბანის გამოყენებით.
(დ) მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მასთან ერთად ხმამაღლა და გარკვევით „გაახმოვანონ“ ანბანის ასოები.

**45.** ზოგიერთი მეცნიერის აზრით, პირველი წლის **ბოლოს კითხვის სწავლაში წარმატების წინასწარმეტყველება შესაძლებელია ბგერებისა და მარცვლების სიტყვაში გაერთიანების უნარის მიხედვით**. კითხვის სწავლების რომელი მიდგომის სასარგებლოდ მეტყველებს აღნიშნული ფაქტი?

(ა) აღმავალი მოდელის, რომლის მიხედვითაც ინფორმაციის გარდაქმნა მიმდინარეობს ქვემოდან ზემოთ, ნაწილიდან (ასო-ბგერიდან) მთელისკენ (სიტყვისკენ).
(ბ) აღმავალი მოდელის, რომლის მიხედვითაც კითხვის სწავლება კონტექსტზე დაყრდნობით სიტყვის გამოცნობის სტრატეგიით უნდა განხორციელდეს.
(გ) დაღმავალი მოდელის, რომლის მიხედვითაც სიტყვის და მასში შემავალი ბგერების ცნობა სიტყვის მნიშვნელობის საფუძველზე უნდა მოხდეს.
(დ) დაღმავალი მოდელის, რომლის მიხედვითაც კითხვის სწავლება ასოებსა და მათ ბგერით შესატყვისებს შორის კავშირის დამყარების ჩვევის გამომუშავებაა.

**46.** ანა წერისას ხშირად უშვებს შეცდომებს, აკლებს ან ამატებს ასოებს სიტყვაში. აღწერეთ აქტივობა, რომელიც დაეხმარება ანას ამ პრობლემის დაძლევაში და თან საშუალებას მისცემს, თავად აღმოაჩინოს და გაასწოროს საკუთარი შეცდომები.

(მაქსიმალური ქულა – 2)

*წაიკითხეთ IV კლასის მოსწავლეებისთვის განკუთვნილი ტექსტი, შეასრულეთ* ***47****-ე,* ***48****-ე და* ***49****-ე დავალებები.*

ადამიანს უძველესი დროიდან აინტერესებდა, როგორ ფრენენ ჩიტები. ბერძნული მითის მიხედვით, პირველად ჰაერში დედალოსი და იკაროსი აფრინდნენ. მათ ბუმბულისა და ცვილის ფრთები გაუკეთებიათ, მაგრამ მზესთან ახლოს მისულან და ორივე ძირს დანარცხებულა... გამომგონებლები ფრთებს ხან ველოსიპედს უმაგრებდნენ, ხან ურმებს, თუმცა, მიწას ვერავინ ასცდა. 1850 წელს მეცნიერმა ჯორჯ კეილიმ გამოიგონა მანქანა, რომლითაც ის გორაკიდან ეშვებოდა და შემდეგ ქარის საშუალებით ჰაერში ადიოდა. ჯორჯის მანქანა მხოლოდ ქარიან ამინდში დაფრინავდა. ფელიქს დიუ ტამპლმა ახალი მოდელი შექმნა – მას ძრავა დაუმატა. და აი, ის დაეშვა გორაკიდან, რათა სიჩქარე განევითარებინა და... კიდევაც აფრინდა! თუმცა, მალევე ჩამოვარდა – ძრავა ძალიან მძიმე იყო. ამერიკელი ძმები რაიტები იყვნენ პირველები, რომელთა მცდელობაც წარმატებული აღმოჩნდა. 1903 წელს მათ შექმნეს ძრავიანი თვითმფრინავი მბრუნავი თავებით, რომლებსაც პროპელერები უწოდეს. „პროპელერი ჰაერს შეისრუტავს და უკან გაიწოვს, თვითმფრინავი კი წინ წავა," – ფიქრობდნენ ისინი.

**47.** ზემოთ მოცემულ ტექსტთან დაკავშირებით დაუსვით მოსწავლეებს შეკითხვა, რომლის საშუალებით დაადგენთ, შეუძლიათ თუ არა მათ მოვლენათა შორის მიზეზშედეგობრივი მიმართებების დანახვა.

---

(მაქსიმალური ქულა – 1)

**48.** დაუსვით მოსწავლეებს შეკითხვა, რომლის საშუალებით დაადგენთ, შეუძლიათ თუ არა მათ ტექსტის სხვადასხვა ნაწილში მოცემული ინფორმაციის ერთმანეთთან დაკავშირება და მასზე დაყრდნობით დასკვნის გამოტანა.

---

(მაქსიმალური ქულა – 1)

**49.** დაუსვით მოსწავლეებს შეკითხვა, რომელიც ახალი ინფორმაციის საკუთარ ცოდნასთან ინტეგრაციის საშუალებას მისცემს და წაკითხულის გააზრებაში დაეხმარება.

---

(მაქსიმალური ქულა – 1)

# აკადემიური უნარები

## წაკითხული ტექსტის გააზრება

*ყურადღებით წაიკითხეთ და გაიაზრეთ ტექსტი. თითოეული შეკითხვის სავარაუდო პასუხებიდან აირჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც მართებულია მოცემული ტექსტის მიხედვით.*

ბაზისურ ემოციებთან ერთად (სიხარული, ბრაზი, შიში და ა. შ.), ადამიანებისთვის დამახასიათებელია მეორეული, უფრო რთული ემოციები, მაგალითად, სირცხვილი, სიამაყე და დანაშაულის გრძნობა. ასეთ ემოციებს **მე**-ს ცნობიერებასთან დაკავშირებული ემოციები ეწოდება, ვინაიდან თითოეული მათგანი გავლენას ახდენს მე-ს განცდის გამძაფრებაზე. თუ გვრცხვენია ან უხერხულად ვგრძობთ თავს, ვცდილობთ, მოვიქცეთ ისე, რომ სხვებისთვის ჩვენი შეცდომა ან წარუმატებლობა შესამჩნევი არ იყოს. დანაშაულის გრძნობა ვინმესთვის ზიანის მიყენების დროს ჩნდება. ასეთ სიტუაციაში ჩვენ მიერ ჩადენილი არასწორი საქციელის გამოსწორებასა და ურთიერთობის აღდგენას ვცდილობთ. სიამაყე კი, პირიქით, საკუთარი მიღწევებით კმაყოფილებას გულისხმობს, რომლის დროსაც სურვილი გვიჩნდება, სხვებს მოვუყვეთ, როგორ მივაღწიეთ დასახულ მიზანს და რა გეგმების განხორციელებას ვაპირებთ მომავალში.

საკუთარი ემოციების გაცნობიერებისა და გაგების უნარის განვითარება შემეცნებით განვითარებას უკავშირდება. 4-5 წლის ბავშვები სიამაყის ნაცვლად სიხარულს, ბედნიერებასა და აღფრთოვანებას, დანაშაულის გრძნობის ნაცვლად კი – დასჯის შიშს აღწერენ. სკოლის ასაკის ბავშვებს უკეთ შეუძლიათ ახსნან საკუთარი ემოციები. თუ 6-7 წლის ასაკში სიამაყის მიზეზად უფროსების მხრიდან შექებას ასახელებენ, 8 წლის ასაკიდან ბავშვები სიამაყესა და დანაშაულის გრძნობას უკვე საკუთარ წარმატებასა თუ წარუმატებლობას უკავშირებენ. სიამაყის, სირცხვილის ან დანაშაულის განცდის კომპლექსური გაგება სოციალური გამოცდილების საფუძველზე კოგნიტური განვითარების კვალდაკვალ ყალიბდება.

ბავშვებში, რომლებსაც მშობლები ხშირად მათ უარყოფით თვისებაზე ან არასწორ საქციელზე მიუთითებენ, მე-ს ცნობიერებასთან დაკავშირებული ემოციები უფრო მძაფრია – წარუმატებლობის შემთხვევაში გადამეტებული სირცხვილის, წარმატების შემთხვევაში კი გადამეტებული სიამაყის გრძნობა უჩნდებათ. იმ ბავშვებში, რომელთა მშობლები, პირიქით, ძირითად ყურადღებას ალტერნატიულ გონივრულ ქცევაზე ამახვილებენ, სირცხვილისა და სიამაყის გრძნობები ზომიერია. შესაბამისად, ისინი სიძნელეებს გაცილებით უკეთ უმკლავდებიან.

სირცხვილის ძლიერი გრძნობა ადაპტაციასთან დაკავშირებულ პრობლემას – გულჩათხრობილობასა და დეპრესიას, აგრეთვე, სირცხვილის გრძნობის მაპროვოცირებელი სიტუაციისა და ადამიანების მიმართ ბრაზსა და აგრესიას იწვევს. დანაშაულის გრძნობას უფრო კონკრეტული ხასიათი აქვს, რადგან კონკრეტულ ქმედებას თუ უმოქმედობას უკავშირდება და, შესაბამისად, ნაკლებად ახდენს უარყოფით გავლენას თვითშეფასებაზე. დანაშაულის გრძნობა, რომელიც გარკვეულ სიტუაციებში ჩნდება და რომელსაც სირცხვილის გრძნობა არ მოსდევს, პირიქით, ბავშვს საზიანო იმპულსების დაძლევაში ეხმარება და მის მიერ ჩადენილი ცუდი საქციელის გამოსწორებისა და უფრო გონივრული ქცევისაკენ უბიძგებს.

მე-ს ცნობიერებასთან დაკავშირებული ემოციების ჩამოყალიბებისთვის კულტურას დიდი მნიშვნელობა აქვს. დასავლეთის ინდივიდუალისტურ საზოგადოებებში ბავშვს ასწავლიან, იამაყოს პიროვნული მიღწევებით, მაგალითად, თუ ბურთი ყველაზე შორს გადააგდო, გაიმარჯვა თამაშში ან კარგი ნიშნები მიიღო. კოლექტივისტურ ქვეყნებში, როგორიცაა, მაგალითად, ჩინეთი ან იაპონია, მხოლოდ პიროვნულ წარმატებაზე ყურადღების გამახვილება უხერხულობის განცდას აჩენს. ჩინელ მშობლებს მიაჩნიათ, რომ ცუდი საქციელის ჩადენის შემთხვევაში ბავშვი სირცხვილს აუცილებელად უნდა გრძნობდეს. ისინი ბავშვებს უკვე სამი წლიდან ასწავლიან სირცხვილის გრძნობის გამოყენებით კარგისგან ცუდის გარჩევას, მაგრამ იმას არ ითვალისწინებენ, რომ შესაძლოა, გადაჭარბებულმა სირცხვილის გრძნობამ ბავშვის თვითშეფასებას ზიანი მიაყენოს.

**50.** რატომ უწოდებენ მეორეულ ანუ რთულ ემოციებს მე-ს ცნობიერებასთან დაკავშირებულ ემოციებს?

(ა) ეს ემოციები საკუთარი თავის მიმართ დამოკიდებულებაზე ახდენს გავლენას და, შესაბამისად, ქცევის ცვლილებას განაპირობებს
(ბ) ეს ემოციები უარყოფითად აისახება ადამიანის თვითშეფასებაზე, რაც გარშემომყოფთა მიმართ მისი ქცევის ცვლილებას განაპირობებს
(გ) ამ ემოციების გამოხატვის უნარი მომავალში ადამიანის წარმატებასა თუ წარუმატებლობას განაპირობებს
(დ) ეს ემოციები ადამიანს თვითანალიზის საშუალებას აძლევს და საკუთარი არასწორი ქცევის გამოსწორებისა და სხვებთან ურთიერთობის გაუმჯობესებისკენ უბიძგებს

**51.** რას გულისხმობს წინადადება: ,,სიამაყის, სირცხვილისა ან დანაშაულის განცდის კომპლექსური გაგება სოციალური გამოცდილების საფუძველზე კოგნიტური განვითარების კვალდაკვალ ყალიბდება''?

(ა) ასაკის მატებასთან და, შესაბამისად, გამოცდილების დაგროვებასთან ერთად ბავშვები უკეთ გამოხატავენ სიამაყის, სირცხვილისა თუ დანაშაულის გრძნობას
(ბ) კოგნიტური განვითარება და შესაბამისი სოციალური გამოცდილება ხელს უწყობს ბავშვის მიერ მეორეული ემოციების მიზეზების გაცნობიერების უნარის ჩამოყალიბებას
(გ) კოგნიტური განვითარების გარკვეული დონეა საჭირო, რომ ბავშვმა მეორეული ემოციების სოციალურ გამოცდილებასთან დაკავშირება შეძლოს
(დ) უფროსების რეაქცია ბავშვის ამა თუ იმ ქცევაზე მნიშვნელოვანწილად განაპირობებს სიამაყის, სირცხვილისა თუ დანაშაულის გრძნობის გაცნობიერების უნარის ჩამოყალიბებას

**52.** ქვემოთ მოცემულია რამდენიმე უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვის მსჯელობა. რომელი შეესაბამება ემოციური ცნობიერების განვითარების ყველაზე მაღალ საფეხურს?

(ა) **,,**მე ამაყი ვარ, იმიტომ რომ მამამ ფეხბურთის მატჩზე წამიყვანა.''
(ბ) ,,მე ამაყი ვარ, რადგან ბევრს ვეცადე და სამკუთხედის დახაზვა შევძელი.''
(გ) ,,მე მრცხვენია, იმიტომ, რომ საკონტროლო წერაში ცუდი ნიშანი მივიღე.''
(დ) ,,მე დამნაშავე ვარ, რადგან ჭიქის გატეხვის გამო დედამ დამსაჯა.''

**53.** IV აბზაცის მიხედვით, სირცხვილის გრძნობა დანაშაულის გრძნობასთან შედარებით უფრო უარყოფით ზეგავლენას ახდენს ბავშვის თვითშეფასებაზე და, შესაბამისად, მის ადაპტაციურ უნარებზე, რადგან:

(ა) უკავშირდება არა კონკრეტულ ქცევას ამა თუ იმ სიტუაციაში, არამედ ბავშვის მიერ საკუთარი შესაძლებლობებისა და თვისებების უარყოფით შეფასებას
(ბ) ხელს უშლის ბავშვს, გააკონტროლოს საკუთარი იმპულსები და მოიფიქროს სხვა უფრო გონივრული ქცევა
(გ) ბავშვს დესტრუქციული ემოციები უჩნდება იმ ადამიანების მიმართ, ვინც დაკავშირებული იყო სირცხვილის გრძნობის მაპროვოცირებელ სიტუაციასთან
(დ) გულჩათხრობილობასა და დეპრესიას იწვევს, თუმცა, გონივრული ქცევის გამოსწორების გზების ძიებას უწყობს ხელს

**54.** ბავშვი უკეთ გაუმკლავდება სიძნელეებს, თუ მშობლების რეაქცია მის წარუმატებელ ქცევაზე შემდეგია:

(ა) ,,ასე ხომ უკვე სცადე; მოდი, ამჯერად სხვანაირად გავაკეთოთ...''
(ბ) ,,შეხედე, შენი მეგობარი როგორ აკეთებს, შენც ხომ შეგეძლო ასე გაგეკეთებინა... ''
(გ) ,,შენ შეცდომა დაუშვი, თუმცა ეს შენთვის მაინც კარგი შედეგია...''
(დ) ,,შენ არ გამოგივიდა, მოდი, მე გაჩვენებ, როგორ უნდა გააკეთო...''

**55.** ჩინელი ბავშვების სიტყვათა მარაგს სიტყვა ,,სირცხვილი'' გაცილებით უფრო ადრე ემატება, ვიდრე ეს ხდება მათ ჩრდილოამერიკელ თანატოლებში. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელშია ასახული კონკრეტული მიზეზი ამ ფაქტის ასახსნელად?

(ა) ჩინელი მშობლები არ ითვალისწინებენ, რომ გადაჭარბებულმა სირცხვილის გრძნობამ შესაძლოა ბავშვის თვითშეფასებას ზიანი მიაყენოს
(ბ) კოლექტივისტურ ქვეყნებში ... პიროვნულ წარმატებაზე ყურადღების გამახვილება უხერხულობის განცდას აჩენს
(გ) ჩინელი მშობლები უკვე 3 წლიდან ასწავლიან ბავშვებს სირცხვილის გრძნობის გამოყენებით კარგისგან ცუდის გარჩევას
(დ) ჩინელ მშობლებს მიაჩნიათ, რომ ცუდი საქციელის ჩადენის შემთხვევაში ბავშვი სირცხვილს აუცილებელად უნდა გრძნობდეს

**56.** ტექსტის ავტორის ძირითადი მიზანია:

(ა) წარმოაჩინოს მშობელთა როლი ბავშვის ემოციური განვითარებისა და ქცევის ჩამოყალიბების პროცესში
(ბ) ხაზი გაუსვას სოციალური გამოცდილების როლს ბაზისური ემოციებისა და მე-ს ცნობიერებასთან დაკავშირებული ემოციების ჩამოყალიბებაში
(გ) გააანალიზოს სხვადასხვა ასაკის ბავშვთა ემოციების გამოხატვის უნარის განვითარების თავისებურებები კულტურულ კონტექსტში
(დ) განიხილოს ერთ-ერთი ტიპის ემოციების განვითარების თავისებურებები სოციალური გამოცდილებისა და კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით

## ანალიტიკური წერა

**57.** *შეგახსენებთ რამდენიმე საბავშვო ნაწარმოების შინაარსს:*

ჯანი როდარის საბავშვო მოთხრობის გმირი, პატარა ჯელსომინო საოცარ ქვეყანაში მოხვდა, სადაც სასტიკი და გაიძვერა მეკობრე მეფობდა. ამ ქვეყანაში სიტყვა „მეკობრე“ პატიოსან ადამიანს ნიშნავდა, პურს მელანს ეძახდნენ, ყველს – საშლელს, საფუნთუშეში საკანცელარიო ნივთები იყიდებოდა, საკანცელარიო მაღაზიაში კი – პური. ყოველ დილით ხალხი ერთმანეთს „დილა მშვიდობისას“ კი არა, „ძილი ნებისას“ უსურვებდა. ცრუთა ქვეყანაში ძაღლები კნაოდნენ, კატები ყეფდნენ, თაგვები ღრიალებდნენ, ლომები კი წრიპინებდნენ.

მეფის ბრძანებით, გამრავლების ტაბულაში რიცხვებს ადგილი შეუცვალეს. გამრავლების ნაცვლად უნდა გაგეყო, თუ მიმატება გინდოდა, უნდა გამოგეკლო....

დონალდ ბისეტის ერთ მოთხრობაში ყვავი ალისა სიზმარს ნახავს, ყირამალა სიზმარს: კატები ძაღლებზე ნადირობენ, თაგვები – კატებზე, ფორანში მერძევე შებმულა, ცხენი კოფოზე ზის და მერძევეს აჩქარებს, ბავშვები მშობლებს ტუქსავენ, მშობლები ტირიან: „მეტს აღარ ვიზამთ!“ ღამით მზე ანათებს, დღისით – მთვარე და ვარსკვლავები. „ესეც თუ ცხოვრებაა! ყველაფერი ყირამალაა!“ – ამბობს კატა მური.

*გაიხსენეთ ქართული ხალხური ლექსიც:*

სანთლის გუთანს ავაშენებ,
შიგ შევაბამ უღელს დევსა,
ზღვაში ვხნავ და ზღვაში ვთესავ,
ხმელზე ვინადირებ თევზსა.
    ყინულზე კალოს გავლეწავ
    და მშრალზე გადავყრი ბზესა,
    ჭინჭველას გოდორს ავკიდებ
  და დევებს დავუყრი ბზესა.

*საბავშვო ნაწარმოებებში ხშირად ყველაფერი „ყირამალაა“, მწერალი თუ ლექსის მთქმელი რეალურს ცვლის არარეალურით. იმსჯელეთ:*

- *რა მიზნით მიმართავენ საბავშვო ნაწარმოებთა ავტორები ამ ხერხს.*
- *რა პოზიტიური შედეგები შეიძლება მოჰყვეს ბავშვისთვის ამგვარი შინაარსის მქონე ნაწარმოების სწავლებას.*
- *მსჯელობის გასამყარებლად მოიყვანეთ არგუმენტები და მაგალითები.*

*თქვენ მიერ დაწერილი თხზულება უნდა შეიცავდეს, სულ მცირე, 100 სიტყვას.*

# სწორი პასუხები, შეფასების კრიტერიუმები და მაქსიმალური ქულით შეფასებული ნიმუშები

## პროფესიული ცოდნა და მეთოდიკა

### ბუნებისმეტყველება

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **1** | დ | | | | |
| **2** | ბ | | | | |
| **3** | გ | | | | |
| **4** | დ | | | | |
| **5** | გ | | | | |
| **6** | გ | | | | |
| **7** | გ | | | | |
| **8** | დ | | | | |
| **9** | დ | | | | |
| **10** | ბ | | | | |
| **11** | ბ | | | | |
| **12** | ა | | | | |
| **13** | გ | | | | |
| **14** | ა | | | | |
| **15** | ბ | | | | |
| **16** | გ | | | | |
| **17** | დ | | | | |
| **18** | გ | | | | |
| **19** | ბ | | | | |
| **20** | ა | | | | |
| **21** | ბ | | | | |
| **22** | ა | ბ | გ | | |
| | 1 | **3** | **4** | | |
| **23** | ა | ბ | გ | დ | |
| | **3** | **4** | **2** | **1** | |
| **24** | ა | ბ | გ | დ | ე |
| | **2** | **1** | **1** | **2** | **3** |

**25** მაქსიმალური ქულა: 2

**2 ქულა:** დასახელებულია მინიმუმ ორი შედეგი და მოცემულია ორივეს დასაბუთება;
**1 ქულა:** დასახელებულია ორი შედეგი, თუმცა, არ არის მოცემული არც ერთის დასაბუთება, ან დასახელებულია ერთი შედეგი და მოცემულია მისი დასაბუთება;
**0 ქულა:** დასახელებულია მხოლოდ ერთი შედეგი დასაბუთების გარეშე ან საერთოდ არ არის მოცემული რელევანტური პასუხი.



| | |
|---|---|
| **26** | მაქსიმალური ქულა: 1 |
| | **1 ქულა**: მოცემულია სწორი პასუხი -***ხელოვნური პასიური იმუნიტეტი;***<br>**0 ქულა**: პასუხი არ არის მოცემული ან შეუსაბამოა. |
| **27** | მაქსიმალური ქულა: 2 |
| | **2 ქულა:** ახსნილია ფოთოლცვენის ორი ძირითადი მიზეზი მაინც VI კლასელთა ცოდნისა და უნარების შესაბამისად;<br>**1 ქულა:** ახსნილია ფოთოლცვენის ძირითადი მიზეზები, თუმცა, არა VI კლასელთა ცოდნისა და უნარების შესაბამისად, ან მიზეზები ახსნილია არასრულყოფილად, თუმცა, VI კლასელთა განვითარების დონის გათვალისწინებით;<br>**0 ქულა:** ფოთოლცვენის მიზეზების ახსნა არასრულყოფილია და არ ითვალისწინებს VI კლასელთა ცოდნასა და უნარებს, ან საერთოდ არ არის მოცემული რელევანტური პასუხი.<br>  |
| **28** | მაქსიმალური ქულა: 2 |
| | **2 ქულა:** ორივე შეკითხვაზე გაცემულია სწორი პასუხი: **მიმინო, IV ტროფიკული დონე;**<br>**1 ქულა:** მხოლოდ ერთ შეკითხვაზეა გაცემული სწორი პასუხი;<br>**0 ქულა:** არც ერთ შეკითხვაზე არ არის გაცემული სწორი პასუხი. |
| **29** | მაქსიმალური ქულა: 2 |
| | **2 ქულა:** მოცემულია დასმული ამოცანის პასუხი - **75 კმ**; ამასთანავე წარმოდგენილია მოსწავლისათვის მისი ახსნის ხერხი;<br>**1 ქულა:** მოცემულია დასმული ამოცანის გადაჭრა, თუმცა, არ არის წარმოდგენლი მოსწავლისათვის მისი ახსნის ხერხი;<br>**0 ქულა:** დასმული ამოცანა არ არის გადაჭრილი.<br>  |
| **30** | მაქსიმალური ქულა: 1 |
| | **1 ქულა**: შეკითხვაზე გაცემულია სწორი პასუხი - **დიდი (ძუ) და პატარა დათვის თანავარსკვლავედები;**<br>**0 ქულა**: დასმულ შეკითხვაზე სწორი პასუხი არ არის გაცემული. |
| **31** | მაქსიმალური ქულა: 1 |
| | **2 ქულა:** შეკითხვაზე გაცემულია სწორი პასუხი - ნომერი 1;<br>**0 ქულა:** დასმულ შეკითხვაზე სწორი პასუხი არ არის გაცემული. |
| **32** | მაქსიმალური ქულა: 2 |
| | **2 ქულა:** მოცემულია დასმული ამოცანის გადაჭრის ხერხი;<br>**1 ქულა:** დასმული ამოცანის გადაჭრის ხერხი ხარვეზებითაა მოცემული (აკლია რომელიმე არსებითი კომპონენტი; მაგალითად, არ არის მითითებული მანძილი ან მითითებულია მხოლოდ მიმართულება და ა. შ.);<br>**0 ქულა:** დასმული ამოცანა არ არის გადაჭრილი. |

| | |
|---|---|
| | 32. [illegible] |
| **33** | მაქსიმალური ქულა: 4 |

| **შეცდომა** | **უნდა იყოს** |
|---|---|
| კ. ირლანდია | კ. ისლანდია |
| ჩუკოტკის ზღვა | ბოფორტის ზღვა |
| ეთიოპიის მთიანეთი | მექსიკის მთიანეთი |
| ნიასას ტბა | მიჩიგანის ტბა |

- თითოეული შეცდომის გასწორება ფასდება 1 ქულით.
- რუკაზე სწორად აღნიშნული სახელწოდების არასწორით შეცვლის თითოეულ შემთხვევაში შეფასებას აკლდება 1 ქულა.

**34** მაქსიმალური ქულა: 2

**2 ქულა:** მოცემულია დასმული ამოცანის გადაჭრა და მოსწავლისათვის მისი ახსნის ხერხი;
**1 ქულა:** მოცემულია დასმული ამოცანის გადაჭრა, თუმცა, არ არის წარმოდგენილი მოსწავლისათვის მისი ახსნის ხერხი;
**0 ქულა:** დასმული ამოცანა არ არის გადაჭრილი.

34. [illegible]

**35** მაქსიმალური ქულა: 2

**2 ქულა:** აღწერილია ორივე მიზნის შესაბამისი აქტივობები;
**1 ქულა:** აღწერილია მხოლოდ ერთ-ერთი მიზნის შესაბამისი აქტივობები;
**0 ქულა:** პასუხი არ არის ან მითითებულია არაადეკვატური აქტივობები.

35. 1. [illegible]

2. [illegible]

## კითხვისა და წერის სწავლება

| | |
|---|---|
| **36** | დ |
| **37** | გ |
| **38** | გ |
| **39** | ბ |
| **40** | დ |
| **41** | გ |
| **42** | გ |
| **43** | ბ |
| **44** | ბ |
| **45** | ა |

| | |
|---|---|
| **46** | მაქსიმალური ქულა: 2 |
| | **2 ქულა**: აღწერილია დავალებაში მოცემული პრობლემის დაძლევისთვის შესაბამისი აქტივობა, რომელშიც ჩანს, რომ მოსწავლეს შეუძლია საკუთარი შეცდომების დამოუკიდებლად გასწორება;<br>**1 ქულა**: აღწერილია დავალებაში მოცემული პრობლემის დასაძლევად საჭირო ადეკვატური აქტივობა, თუმცა, პასუხში არ ჩანს, რომ მოსწავლეს შეუძლია დამოუკიდებლად აღმოჩინოს და გაასწოროს შეცდომა;<br>**0 ქულა**: მითითებულია წარმოდგენილი პრობლემისთვის შეუსაბამო აქტივობა; პასუხი ძალიან ზოგადია; დავალება არ არის შესრულებული.<br>  |
| **47** | მაქსიმალური ქულა: 1 |
| | **1 ქულა**: წარმოდგენილია შეკითხვა, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს, მოცემულ ტექსტში დაინახოს მიზეზშედეგობრივი მიმართება;<br>**0 ქულა**: მოცემულია შეუსაბამო / ძალზე ზოგადი შეკითხვა; დავალება არ არის შესრულებული.<br>  |
| **48** | მაქსიმალური ქულა: 1 |
| | **1 ქულა**: მოცემულია შეკითხვა, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს ტექსტის სხვადასხვა ნაწილში წარმოდგენილი ინფორმაციის ერთმანეთთან დაკავშირებასა და დასკვნის გამოტანაში;<br>**0 ქულა**: მოცემულია შეუსაბამო / ძალზე ზოგადი შეკითხვა; დავალება არ არის შესრულებული. |

| | |
|---|---|
| |  |
| **49** | მაქსიმალური ქულა: 1 |
| | **1 ქულა:** მოცემულია შეკითხვა, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს ახალი ცოდნის საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებასა და ტექსტის გააზრებაში;<br>**0 ქულა:** მოცემულია შეუსაბამო / ძალზე ზოგადი შეკითხვა; დავალება არ არის შესრულებული.<br>  |

# აკადემიური უნარები

## წაკითხული ტექსტის გააზრება

| | |
|---|---|
| **50** | ა |
| **51** | ბ |
| **52** | ბ |
| **53** | ა |
| **54** | ა |
| **55** | გ |
| **56** | დ |

## ანალიტიკური წერა

| | |
|---|---|
| **57** | მაქსიმალური ქულა: 13 |
| | **1. შინაარსის რელევანტურობა**<br>ნაშრომი შეესაბამება მოცემულ საკითხს, პასუხობს დასმულ ამოცანებს.<br>**2 ქულა:** ნაშრომი პასუხობს თემას, არ ეხება არარელევანტურ საკითხებს;<br>**1 ქულა:** თემას პასუხობს ნაშრომის მხოლოდ გარკვეული მონაკვეთი; მოცემულია არარელევანტური ინფორმაცია;<br>**0 ქულა:** ნაშრომი არ პასუხობს თემას, შეეხება სრულიად განსხვავებულ საკითხს, წარმოადგენს დავალების პერიფრაზს.<br>***შენიშვნა:*** *თუ ნაშრომი პირველი კრიტერიუმის მიხედვით შეფასდება 0 ქულით, ის აღარ გასწორდება სხვა კრიტერიუმების მიხედვით.*<br><br>**2. დასაბუთება**<br>აპლიკანტის პოზიცია წარმოდგენილია შესაბამისი დასაბუთებით, მსჯელობა გამყარებულია დამაჯერებელი, ადეკვატური არგუმენტებითა და მაგალითებით.<br>**3 ქულა:** მოყვანილია დამაჯერებელი, მრავალფეროვანი, ორიგინალური არგუმენტები, მაგალითები, განხილულია კონტრარგუმენტები;<br>**2 ქულა:** არგუმენტით/მაგალითით გამყარებულია მხოლოდ ზოგიერთი მოსაზრება, ან არგუმენტები მოყვანილია ყველა მოსაზრებისთვის, აპლიკანტი თანმიმდევრულად მსჯელობს საკითხის შესახებ;<br>**1 ქულა:** არის დასაბუთების მცდელობა, თუმცა არგუმენტები ზედაპირული, ერთფეროვანი და არადამაჯერებელია;<br>**0 ქულა**: მოსაზრებები არ არის გამყარებული მაგალითებითა და არგუმენტებით, არ არის წარმოდგენილი ლოგიკური მსჯელობა.<br><br>**3. თხრობის ორგანიზება**<br>ნაშრომი სტრუქტურულად გამართულია, აზრები მწყობრად, თანმიმდევრულად არის გადმოცემული, თხზულების ნაწილები ერთმანეთთან ლოგიკურადაა დაკავშირებული.<br>**2 ქულა:** ტექსტი სტრუქტურულად გამართულია _ ნაწერში წარმოდგენილია საკითხის დასმა, მსჯელობა, დასკვნა; აზრები მწყობრად არის გადმოცემული, მონაკვეთები ლოგიკურად უკავშირდება ერთმანეთს;<br>**1 ქულა:** ნაწერში დასმულია საკითხი, თუმცა, მსჯელობა ზედაპირულია, წარმოდგენილი დასკვნა არამართებულია ან შეუსაბამო; წარმოდგენილია ტექსტის მხოლოდ ზოგიერთი სტრუქტურული ნაწილი; ერთმანეთს ლოგიკურად უკავშირდება ტექსტის მხოლოდ ზოგიერთი მონაკვეთი;<br>**0 ქულა:** ნაწერში წარმოდგენილია პერიფრაზი და მხოლოდ მცირე მონაკვეთი ეთმობა მსჯელობას(რამდენიმე წინადადება, პატარა აბზაცი ა. შ. ); მოსაზრებები, ტექსტის ნაწილები ერთმანეთთან ლოგიკურად არ არის დაკავშირებული; ნაწერში არ არის წარმოდგენილი სტრუქტურული ნაწილები _ საკითხის დასმა, მსჯელობა, დასკვნა. |

| | |
|---|---|
| | **4. სტილი, ლექსიკა**<br>აზრები ცხადად, ნათლადაა გამოთქმული, ნაწერი ლექსიკურად მდიდარი და სტილისტურად გამართულია, ლექსიკა შეესაბამება დასმულ საკითხს.<br>**3 ქულა:** არ არის დაშვებული სტილისტური შეცდომები, ტექსტი ლექსიკურად მდიდარია, აზრი მკაფიოდ და გამართულად არის გადმოცემული, გამოყენებულია საკითხის შესაფერისი ლექსიკა და სტილი.<br>**2 ქულა:** დაშვებულია 2-3 უმნიშვნელო სტილისტური შეცდომა, ტექსტი ლექსიკურად გამართულია, აზრი მკაფიოდ არის გამოხატული<br>**1 ქულა:** ნაწერი ლექსიკურად მწირია, დაშვებულია სტილისტური შეცდომები, თუმცა აზრი გასაგებად არის გადმოცემული. გამოყენებული ლექსიკა და სტილი მეტ-ნაკლებად შეეფერება საკითხს.<br>**0 ქულა:** ნაწერი ლექსიკურად ღარიბია; დაშვებულია უხეში სტილისტური შეცდომები; გამოყენებულია არაადეკვატური ლექსიკა და სტილი;<br><br>**5. სინტაქსი, მორფოლოგია, პუნქტუაცია**<br>ნაშრომი სინტაქსურად გამართულია, ნაწერი შესრულებულია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დაცვით.<br>**3 ქულა:** არ არის დაშვებული სინტაქსური, ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური და პუნქტუაციური შეცდომები, დაცულია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები.<br>**2 ქულა:** დაშვებულია უმნიშვნელო სინტაქსური, ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური და პუნქტუაციური შეცდომები, თუმცა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები ძირითადად დაცულია.<br>**1 ქულა:** დაშვებულია სინტაქსური, ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური, პუნქტუაციური შეცდომები, დარღვეულია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები<br>**0 ქულა:** დაშვებულია უხეში სინტაქსური, ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური, პუნქტუაციური შეცდომები<br><br>იმისათვის, რომ ნაშრომი ყველა კრიტერიუმის მიხედვით გასწორდეს, ის უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:<br>• უნდა შეეხებოდეს დავალებაში მოცემულ საკითხს;<br>• არ უნდა წარმოადგენდეს დავალების პირობის პერიფრაზს;<br>• არ უნდა შეიცავდეს ინფორმაციას, რომლის საშუალებით შესაძლებელია აპლიკანტის პიროვნების იდენტიფიცირება - სახელსა და გვარს (რეალურსა თუ გამოგონილს), მეტსახელს, ხელმოწერას და ა.შ.<br>• შესრულებული უნდა იყოს ისეთი ხელწერით, როგორის წაკითხვაც შესაძლებელია.<br>თუ ნაშრომი არ აკმაყოფილებს ამ პირობათაგან რომელიმეს, ის შეფასდება 0 ქულით.<br><br>ნაშრომი უნდა შეიცავდეს, სულ მცირე, 100 სიტყვას. სხვა შემთხვევაში ის გასწორდება მხოლოდ I და II კრიტერიუმების მიხედვით. |

[illegible]

[illegible]

[illegible]

# ტესტი დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთათვის
## მათემატიკა

2013

### ინსტრუქცია

ტესტი ორი ნაწილისგან შედგება – **პროფესიული ცოდნა და მეთოდიკა** და **აკადემიური უნარები**. ის 55 დავალებას შეიცავს. ზოგიერთ დავალებას ახლავს სავარაუდო პასუხები, ზოგიერთის პასუხი კი თქვენ თავად უნდა დაწეროთ.

**პასუხები აუცილებლად გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე, რომელიც თან ახლავს ტესტს (შესაბამისი ინსტრუქცია იხილეთ შემდეგ გვერდზე). ტესტირების შედეგი დადგინდება მხოლოდ და მხოლოდ პასუხების ფურცლის საფუძველზე.**

ყურადღებით წაიკითხეთ თითოეული დავალების ინსტრუქცია, კარგად გაიაზრეთ, რა მოგეთხოვებათ დავალების შესრულებისას, და შემდეგ აირჩიეთ ან დაწერეთ პასუხი.

ზოგიერთი დავალება, ერთი შეხედვით, სპეციფიკურ თეორიულ ცოდნას მოითხოვს, თუმცა, რეალურად ამ დავალებათა შესრულება სავსებით შესაძლებელია პედაგოგიურ გამოცდილებაზე დაყრდნობით.

შავი სამუშაოსათვის შეგიძლიათ გამოიყენოთ ტესტის ფურცლებზე არსებული ცარიელი ადგილები.

**სამუშაოდ გეძლევათ 5 საათი.**

დროის ამოწურვის შესახებ გაცნობებთ მეთვალყურე.

გისურვებთ წარმატებას!

# სხვადასხვა ტიპის დავალებათა ინსტრუქციები

**ტესტში წარმოდგენილი დავალებები სხვადასხვაგვარია ფორმატის თვალსაზრისით. ტესტში შეგხვდებათ:**

- **დავალებები არჩევითი პასუხებით;**
- **დავალებები ღია დაბოლოებით;**
- **შესაბამისობის დადგენა;**
- **თხზულება (ესეი).**

**არჩევითპასუხებიან დავალებებში** პირობასა თუ შეკითხვასთან ერთად სავარაუდო პასუხებიც არის მოცემული. დავალების შესრულება გულისხმობს ოთხი სავარაუდო პასუხიდან ერთი სწორი პასუხის არჩევას.

***პასუხის მონიშვნისას:***

- ***პასუხების ფურცელზე მოძებნეთ დავალების შესაბამისი ნომერი;***
- ***ნომრის ქვეშ იპოვეთ უჯრა, რომელიც თქვენ მიერ არჩეულ პასუხს შეესაბამება;***
- ***დასვით X ნიშანი ამ უჯრაში.***

თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, **მთლიანად გააფერადეთ უჯრა,** რომელშიც დასვით X ნიშანი, ხოლო **შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი** (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში).

თითოეული არჩევითპასუხებიანი დავალება 1 ქულით ფასდება.

**დავალებები ღია დაბოლოებით** მოითხოვს დასმულ შეკითხვაზე პასუხის ჩამოყალიბებას, საკუთარი მსჯელობის გამყარებას სათანადო არგუმენტებით. თითოეული ღიაბოლოიანი დავალება ფასდება სპეციალური სქემის მიხედვით. შესასრულებელი ნაბიჯების გათვალისწინებით, დავალება შეიძლება შეფასდეს 1, 2 ან მეტი ქულით. ამგვარ დავალებებზე პასუხის გასაცემად პასუხების ფურცელზე გამოყოფილია საგანგებო ადგილები.

**შესაბამისობის დადგენის დავალებებში** წარმოდგენილია მონაცემთა ორი სვეტი. ერთ სვეტში მოცემულია ე. წ. პირობა (მოვლენები, ფრაზები და ა. შ.), მეორეში კი – სავარაუდო პასუხები (ცნებები, ტერმინები და ა. შ.). დავალების შესრულება გულისხმობს ერთ სვეტში მოცემული ინფორმაციის მისადაგებას მეორე სვეტში მოცემულ ინფორმაციასთან. შესაბამისობის თითოეული დავალებისთვის პასუხების ფურცელზე მოცემულია ცხრილი. თქვენ უნდა შეავსოთ ცხრილის ცარიელი გრაფები – **პირობის აღმნიშვნელი ასოს ქვეშ ჩაწეროთ მისი პასუხის შესაბამისი რიგითი ნომერი**.

შესაბამისობის დადგენის თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

**თხზულებაში** უნდა წარმოაჩინოთ თქვენი პოზიცია, მოსაზრებები შემოთავაზებული საკითხის შესახებ, კონკრეტული არგუმენტებით დაასაბუთოთ სათქმელი. თხზულების დასაწერად პასუხების ფურცელზე გამოყოფილია საგანგებო ადგილი.

თხზულების მაქსიმალური ქულაა 13.

# პროფესიული ცოდნა და მეთოდიკა

**1.** ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი შედეგი დაგარწმუნებდათ, რომ მოსწავლეს შეუძლია რიგობითი რიცხვითი სახელის **<u>გამოყენება</u>**?

(ა) შეუძლია დაასახელოს მერამდენეა საგანთა მწკრივში მითითებული საგანი.

(ბ) შეუძლია ჩამოთვალოს რიგობითი რიცხვითი სახელები.

(გ) ითვლის „წინ/უკან" მასწავლებლის მიერ მითითებული რიცხვიდან.

(დ) ასახელებს მოცემული რიცხვის წინა და მომდევნო რიცხვებს.

**2.** ღვინის ქარხანაში სულ 150000 ლიტრი ღვინო ჩამოასხეს. აქედან 65000 ლიტრი მშრალი ღვინო იყო, 55000 ლიტრი – ტკბილი, ხოლო დანარჩენი – ნახევრადტკბილი. ჩამოსხმული ღვინის საერთო რაოდენობის რამდენი პროცენტის ტოლია ნახევრადტკბილი ღვინოების რაოდენობა?

(ა) 30%

(ბ) 25%

(გ) 20%

(დ) 15%

**3.** 1 კგ მარწყვი $a$ ლარი ღირს. თინას 25 ლარი ჰქონდა. მან $n$ კგ მარწყვი იყიდა. ამის შემდეგ მას $r$ ლარი დარჩა. ჩამოთვლილთაგან რომელი ტოლობაა მართებული?

(ა) $n = 25a + r$

(ბ) $n = \frac{a}{25} + r$

(გ) $n = \frac{25-r}{a}$

(დ) $n = \frac{a}{25} - r$

**4.** საკოორდინატო სიბრტყეზე მდებარე წერტილები $A(-1;\ 3)$ და $B(5;\ 3)$ ერთმანეთის სიმეტრიულია $a$ წრფის მიმართ. რის ტოლია იმ წერტილის კოორდინატები, რომელიც $C(4;\ -1)$ წერტილის სიმეტრიულია იმავე $a$ წრფის მიმართ?

(ა) $(-2;\ 3)$

(ბ) $(10;\ -1)$

(გ) $(1;\ 3)$

(დ) $(0;\ -1)$

**5.** $a$ და $b$ ნატურალური რიცხვებიდან $a$ ლუწია. ჩამოთვლილთაგან რომელი **<u>არ შეიძლება</u>** იყოს კენტი?

(ა) $b + \frac{a}{2} + 1$

(ბ) $2b - 1 + a$

(გ) $3(2b+1) + a - 1$

(დ) $3b + \frac{2+a}{2}$

**6.** საოპერო გუნდში 40 მომღერალია, რომელთა 75% ქალია. იმ მომღერალთა რაოდენობა, რომელთა ასაკი 40 წელს არ აღემატება, მომღერალთა საერთო რაოდენობის 60%-ის ტოლია. გუნდის მომღერალი ქალებიდან **<u>მინიმუმ</u>** რამდენის ასაკი არ აღემატება 40 წელს?

(ა) 12
(ბ) 14
(გ) 16
(დ) 18

**7.** პირველკლასელები შეკითხვაზე: *სურათზე ერთნაირი ფიგურები ხატია თუ განსხვავებული?* – ხშირად პასუხობენ, რომ სურათზე ორი განსხვავებული ფიგურა ხატია.



ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია ამ შეცდომის გამომწვევი მიზეზი?

I. ამ ასაკში ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული გეომეტრიული ფიგურების იგივეობრივად აღქმის უნარი მათი ზომისა და მდებარეობის მიუხედავად.

II. ბავშვი მიჯაჭვულია თვალსაჩინო მოცემულობას, ერთმანეთისგან მდებარეობით განსხვავებულ ერთნაირ გეომეტრიულ ფიგურებს ვერ აღიქვამს, როგორც იდენტურებს.

III. ბავშვებს ჯერ კიდევ არ აქვთ ჩამოყალიბებული სივრცითი მიმართებების გარჩევის უნარი: ვერ განარჩევენ „მარჯვნივ/მარცხნივ“, „ზემოთ/ქვემოთ“ მიმართებებს.

(ა) I და II
(ბ) II და III
(გ) მხოლოდ I
(დ) მხოლოდ III

**8.** მოცემულია ნამრავლი $2 \cdot 6 \cdot 10 \cdot 21 \cdot 22$. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ რიცხვზე **<u>არ იყოფა</u>** ეს ნამრავლი უნაშთოდ?

(ა) 18
(ბ) 45
(გ) 54
(დ) 99

**9.** კვადრატის ორი წვერო ტოლგვერდა სამკუთხედის გვერდებზე მდებარეობს (იხ. ნახაზი). $\alpha$ =




(ა) 95°
(ბ) 100°
(გ) 105°
(დ) 110°

18-20 წლის სტუდენტებმა უპასუხეს მკვლევრის შეკითხვებს თავდაპირველად იმის შესახებ, **სურთ თუ არა** და, შემდეგ იმის შესახებ, **შეუძლიათ თუ არა**:

- თანატოლთა მხრიდან აღიარების მოპოვება
- წარმატების მიღწევა პროფესიულ საქმიანობაში
- მატერიალური კეთილდღეობის მიღწევა
- წარმატების მიღწევა სპორტში
- ოჯახის შექმნა

პასუხები: „მსურს“, „შემიძლია“ ფასდებოდა 1 ქულით, ხოლო პასუხები „არ მსურს“, „არ შემიძლია“ – 0 ქულით.

სვეტოვან დიაგრამაზე წარმოდგენილია პირველ და მეორე შეფასებათა ქულებს შორის სხვაობათა საშუალო მნიშვნელობები.




მოცემული დიაგრამის მიხედვით უპასუხეთ შემდეგ ორ შეკითხვას:

**10.** ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ცხოვრების რომელ სფეროშია სხვაობა სურვილსა და შესაძლებლობას შორის 0,3-ის ტოლი?

(ა) თანატოლთა მხრიდან აღიარება
(ბ) წარმატება პროფესიულ საქმიანობაში
(გ) მატერიალური კეთილდღეობა
(დ) ოჯახის შექმნა

**11.** ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში სურვილსა და შესაძლებლობას შორის 0,5 ქულაზე მეტი სხვაობა სტუდენტებში შინაგანი დაძაბულობის განცდაზე მიუთითებს. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ცხოვრების რომელ სფეროებთან დაკავშირებით აქვთ სტუდენტებს ეს განცდა?

(ა) მატერიალური კეთილდღეობა და წარმატება პროფესიულ საქმიანობაში
(ბ) თანატოლთა მხრიდან აღიარება და მატერიალური კეთილდღეობა
(გ) წარმატება სპორტში და თანატოლთა მხრიდან აღიარება
(დ) წარმატება პროფესიულ საქმიანობაში და სპორტში

**12.** თუ $x$, $y$ და $z$ ერთმანეთისაგან განსხვავებული, 10-ზე ნაკლები ნატურალური რიცხვებია, მაშინ $\frac{x}{y}-3z$ გამოსახულების უდიდესი მნიშვნელობაა:

(ა) 3
(ბ) 4
(გ) 5
(დ) 6

**13.** მასწავლებელმა მოსწავლეებს აუხსნა, რომ 1 კუბ. დმ მოცულობის საზომი ისეთი ერთეულია, რომელიც ტოლია იმ კუბის მოცულობისა, რომლის წიბოს სიგრძეა 1 დმ. ამის შემდეგ მან ერთ-ერთ მოსწავლეს სთხოვა, გაერკვია, თუ რისი ტოლი იქნება იმ მართკუთხა პარალელეპიპედის მოცულობა, რომლის სიგრძეა 3 დმ, სიგანე – 2 დმ, ხოლო სიმაღლე – 4 დმ. მოსწავლემ უპასუხა, რომ მოცულობა 3 დმ + 2 დმ + 4 დმ = 9 კუბ. დმ-ის ტოლია. ჩამოთვლილთაგან რომელ შემთხვევაში იყო მასწავლებლის რეაქცია ამ პასუხზე ყველაზე ადეკვატური?

(ა) მოსწავლეს უთხრა, რომ მართკუთხა პარალელეპიპედის მოცულობის გამოსათვლელი ფორმულაა $V = abh$ და ამიტომ სწორი პასუხია $3 \cdot 2 \cdot 4 = 24$ კუბ. დმ.

(ბ) მოსწავლეს 1 დმ წიბოს სიგრძის კუბებისგან ააწყობინა 3 დმ სიგრძის, 2 დმ სიგანის და 4 დმ სიმაღლის მქონე მართკუთხა პარალელეპიპედი, დაათვლევინა გამოყენებული კუბების რაოდენობა და ასე გაარკვევინა, რომ ამ მართკუთხა პარალელეპიპედის მოცულობა 24 კუბ. დმ-ის ტოლია.

(გ) მოსწავლეს დაფაზე დაუხაზა მართკუთხა პარალელეპიპედი და უთხრა მას, რომ რაკი მართკუთხა პარალელეპიპედის სიგრძეა 3 დმ, სიგანე – 2 დმ, ხოლო სიმაღლე – 4 დმ, ამიტომ ამ პარალელეპიპედში ჩაეტევა $3 \cdot 2 \cdot 4 = 24$ ცალი 1 დმ სიგრძის წიბოს მქონე კუბი, შესაბამისად, მართკუთხა პარალელეპიპედის მოცულობა 24 კუბ. დმ-ის ტოლია.

(დ) მოსწავლეს დაახაზვინა 3 დმ სიგრძისა და 2 დმ სიგანის მართკუთხედი და გამოათვლევინა მისი ფართობი. შემდეგ მართკუთხა პარალელეპიპედის მოცულობის გამოსათვლელად მიღებული სიდიდე გაამრავლებინა სიმაღლეზე – 6 კვ. დმ · 4 დმ = 24 კუბ. დმ.

**14.** ექიმმა პაციენტს A, B, C და D მედიკამენტები დაუნიშნა. A მედიკამენტი მან მხოლოდ მაშინ უნდა მიიღოს, როდესაც B მედიკამენტის მიღების შემდეგ, სულ მცირე, 3 საათია გასული, D მედიკამენტი კი C-ს მიღებიდან საათნახევრის ან მეტი დროის გასვლის შემდეგ შეიძლება მიიღოს. პაციენტმა C მედიკამენტი დილის 8 საათზე მიიღო, B მედიკამენტი კი – ორი საათის შემდეგ.

*აღნიშნული წესების თანახმად, კიდევ რომელი მედიკამენტის მიღება შეუძლია პაციენტს 11 საათსა და 30 წუთამდე?*

(ა) A მედიკამენტისაც და D მედიკამენტისაც
(ბ) არც A მედიკამენტის და არც D მედიკამენტის
(გ) მხოლოდ A მედიკამენტის
(დ) მხოლოდ D მედიკამენტის

**15.** სამკუთხედის და ხუთკუთხედის ყველა წვერო იმ ბადის კვანძებს ემთხვევა, რომლის თითოეული უჯრედი კვადრატია (იხ. ნახაზი).



სამკუთხედის პერიმეტრია მეტი თუ ხუთკუთხედის?

(ა) სამკუთხედის
(ბ) ხუთკუთხედის
(გ) სამკუთხედისა და ხუთკუთხედის პერიმეტრები ერთმანეთის ტოლია
(დ) ამის დასადგენად მონაცემები არ არის საკმარისი

**16.** ელენე სავარჯიშოდ წასვლას აპირებს, რისთვისაც მან შარვალი, მაისური და საწვიმარი უნდა შეარჩიოს. ელენეს აქვს თეთრი, წითელი და ლურჯი ფერის თითო შარვალი, თეთრი და ყვითელი ფერის თითო მაისური, აგრეთვე ლურჯი, წითელი და ყვითელი ფერის თითო საწვიმარი. ელენე არასოდეს იცვამს ერთი და იმავე ფერის შარვალს და საწვიმარს. შარვლის, მაისურისა და საწვიმრის შეხამების რამდენი შესაძლო ვარიანტი აქვს ელენეს?

(ა) 13
(ბ) 14
(გ) 15
(დ) 16

**17.** დიზაინერმა დეკორაციის შესაქმნელად კუბის, სფეროსა და კონუსის ფორმებიდან ერთ-ერთი მაინც გამოიყენა. ამასთანავე, მოცემულია 3 პირობა:

I. თუ დიზაინერმა გამოიყენა კუბის ფორმა და არ გამოიყენა სფეროს ფორმა, მაშინ მან კონუსის ფორმაც გამოიყენა.

II. მხოლოდ კონუსის ფორმას დიზაინერი არასდროს იყენებს.

III. დიზაინერი არასდროს იყენებს ერთად კუბის და კონუსის ფორმებს.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ფორმა გამოიყენა დიზაინერმა აუცილებლად?

(ა) კუბის
(ბ) სფეროს
(გ) კონუსის
(დ) არც ერთის

**18.** ველოსიპედისტმა დღის პირველ ნახევარში გასავლელი მანძილის ნახევარი გაიარა, ხოლო დღის მეორე ნახევარში – მესამედი. ამის შემდეგ მას გასავლელი დარჩა კიდევ 4 კმ. ჩამოთვლილთაგან რომელი გამოსახულება გვიჩვენებს, თუ რამდენი კილომეტრი ჰქონია სულ გასავლელი ველოსიპედისტს?

(ა) $\frac{1}{2}+\frac{1}{3}+4$

(ბ) $4\cdot\left(1+\frac{1}{2}+\frac{1}{3}\right)$

(გ) $4+1:\left(\frac{1}{2}-\frac{1}{3}\right)$

(დ) $4:\left(1-\frac{1}{2}-\frac{1}{3}\right)$

**19.** ტურისტი, რომელიც ნავით მოგზაურობდა, მდინარის დინების საწინააღმდეგოდ საშუალოდ 10 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობდა. უკან მან იგივე მანძილი 20 კმ/სთ საშუალო სიჩქარით გაიარა და 18 წუთით ნაკლები დრო დახარჯა. სულ რა მანძილი გაუვლია ტურისტს?

(ა) 9 კმ
(ბ) 12 კმ
(გ) 15 კმ
(დ) 18 კმ

**20.** $a$ და $b$ რიცხვების შესაბამის წერტილებს შორის მანძილი რიცხვთა ღერძზე 10 ერთეულის ტოლია. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ტოლობაა **შეუძლებელი**?

(ა) $a-b=5$
(ბ) $a+b=-5$
(გ) $a-b=10$
(დ) $a-b=-10$

**21.** მასწავლებელმა მოსწავლეებს დაურიგა მუყაოსგან გამოჭრილი ფიგურები: ტოლი სამკუთხედები, კვადრატები და წრეები (ორ-ორი ცალი). მოცემულია მასწავლებლის შემდეგი ინსტრუქციები:

I. რა ფიგურაა ეს?
II. ერთნაირი ფიგურები დაალაგეთ ერთად
III. მაჩვენე სამკუთხედი

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ შემთხვევაშია დალაგებული მასწავლებლის ინსტრუქციები მარტივიდან რთულისკენ?

(ა) II, III, I.
(ბ) III, I, II
(გ) I, II, III
(დ) II, I, III

**22.** კუბის ფორმის ყუთი, რომლის სიგრძე, სიგანე და სიმაღლე 15 სმ-ის ტოლია, გაავსეს ერთმანეთზე მჭიდროდ დაწყობილი ერთნაირი ფილებით. სულ ჩაეტია 40 ცალი ფილა. სულ რამდენი ცალი ასეთი ფილა ჩაეტევა მართკუთხა პარალელეპიპედის ფორმის ყუთში, რომლის სიგრძეა 60 სმ, სიგანე – 30 სმ, სიმაღლე – 45 სმ?

(ა) 320
(ბ) 640
(გ) 900
(დ) 960

**23.** ცარიელ ცისტერნას, რომელსაც ნახაზზე მოცემული ფიგურის ფორმა აქვს, ავსებენ წყლით. ცისტერნაში დროის ტოლ შუალედებში ერთი და იმავე რაოდენობის წყალი ჩაედინება.



ქვემოთ მოცემული დიაგრამებიდან რომელზეა წარმოდგენილი, თუ როგორ იცვლებოდა ამ ცისტერნაში წყლის $h$ დონე $t$ დროის მიხედვით?




(ა) (ბ) (გ) (დ)

**24.** აგრარულმა ფირმამ მარცვლეულის მოსავალი სამი ნაკვეთიდან აიღო. პირველი ნაკვეთიდან 25%-ით ნაკლები მარცვლეული აიღეს, ვიდრე მეორიდან.

მოცემულია ორი პირობა:

I. მესამე ნაკვეთიდან 20%-ით ნაკლები მარცვლეული აიღეს, ვიდრე პირველი და მეორე ნაკვეთიდან ერთად.

II. მესამე ნაკვეთიდან 40 ტონით მეტი მარცვლეული აიღეს, ვიდრე მეორიდან.

იმის გასარკვევად, თუ სულ რა რაოდენობის მარცვლეული აიღო ფირმამ:

(ა) I პირობა საკმარისია, II კი – არა
(ბ) II პირობა საკმარისია, I კი – არა
(გ) I და II პირობა ერთად საკმარისია, ცალ-ცალკე არც ერთი არ არის საკმარისი
(დ) საკმარისია ცალ-ცალკე როგორც I, ასევე, II პირობა
(ე) მოცემული პირობები არ არის საკმარისი

**25.** ყოველი მეოთხე წელი ნაკიანია და იგი 366 დღე-ღამისგან შედგება. რომელიღაც წლის 12 იანვარი სამშაბათი იყო.

მოცემულია ორი პირობა:

I. ეს წელი არ იყო ნაკიანი.
II. ამ წლის მომდევნო წელი იყო ნაკიანი.

იმის გასარკვევად, თუ მოცემული წლის რა დღე იყო 26 მაისი:

(ა) I პირობა საკმარისია, II კი – არა
(ბ) II პირობა საკმარისია, I კი – არა
(გ) I და II პირობა ერთად საკმარისია, ცალ-ცალკე არც ერთი არ არის საკმარისი
(დ) საკმარისია ცალ-ცალკე როგორც I, ასევე, II პირობა
(ე) მოცემული პირობები არ არის საკმარისი

**26.** მოსწავლეები გამოჰკითხეს, თუ A, B და C მსახიობებიდან რომელი მოსწონთ ყველაზე მეტად. სულ გამოიკითხა 300 მოსწავლე, რომელთაგან თითოეულმა დაასახელა თითო მსახიობი.

მოცემულია ორი პირობა:

I. A მსახიობი დაასახელა მოსწავლეთა 20%-ზე ნაკლებმა.

II. მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებმაც დაასახელეს B მსახიობი, 10-ით აღემატებოდა იმ მოსწავლეთა რაოდენობას, რომლებმაც დაასახელეს C მსახიობი.

იმის გასარკვევად, მოსწონს თუ არა B მსახიობი გამოკითხულ მოსწავლეთა ნახევარზე მეტს:

(ა) I პირობა საკმარისია, II კი – არა
(ბ) II პირობა საკმარისია, I კი – არა
(გ) I და II პირობა ერთად საკმარისია, ცალ-ცალკე არც ერთი არ არის საკმარისი
(დ) საკმარისია ცალ-ცალკე როგორც I, ასევე, II პირობა
(ე) მოცემული პირობები არ არის საკმარისი

**27.** მოცემულია მართი პრიზმა და მის შესახებ ორი პირობა:

I. ამ პრიზმის წიბოების რაოდენობა 12-ით მეტია წახნაგების რაოდენობაზე.

II. ამ პრიზმის წიბოების რაოდენობა 1,5-ჯერ მეტია წვეროების რაოდენობაზე.

იმისათვის, რომ გავარკვიოთ რამდენი წვერო აქვს ამ პრიზმას:

(ა) I პირობა საკმარისია, II კი – არა
(ბ) II პირობა საკმარისია, I კი – არა
(გ) I და II პირობა ერთად საკმარისია, ცალ-ცალკე არც ერთი არ არის საკმარისი
(დ) საკმარისია ცალ-ცალკე როგორც I, ასევე, II პირობა
(ე) მოცემული პირობები არ არის საკმარისი

**28.** რიცხვი 54 ციფრების თანმიმდევრობის შეცვლით $\frac{6}{5}$-ჯერ მცირდება.

მოძებნეთ ყველა ისეთი ორნიშნა რიცხვი, რომლებიც ციფრთა თანმიმდევრობის შეცვლით $\frac{7}{4}$-ჯერ მცირდება.

პასუხი დაასაბუთეთ.

(მაქსიმალური ქულა – 2)

**29.** ერთ ჭურჭელში 1,4-ჯერ ნაკლები ღვინოა, ვიდრე მეორეში. თუ მეორე ჭურჭლიდან პირველში 5,5 ლიტრ ღვინოს გადმოვასხამთ, მაშინ პირველში 1,5-ჯერ მეტი ღვინო აღმოჩნდება, ვიდრე მეორეში. სულ რამდენი ლიტრი ღვინოა ორივე ჭურჭელში?

პასუხი დაასაბუთეთ.

(მაქსიმალური ქულა – 3)

**30.** მასწავლებელმა მოსწავლეებს მისცა შემდეგი დავალება:

საფონდო ბირჟაზე აქციების ფასი დღის განმავლობაში ორჯერ შეიცვალა: ჯერ გაიზარდა 10%-ით, შემდეგ კი შემცირდა 10%-ით. როგორ შეიცვალა აქციების ფასი მთელი დღის განმავლობაში?

მოსწავლეების ნაწილმა ამ შეკითხვას არასწორად უპასუხა. ისინი ასე მსჯელობდნენ: *რაკი აქციების ფასი ჯერ გაიზარდა 10%-ით, შემდეგ კი შემცირდა 10%-ით, ამიტომ დღის ბოლოს აქციების ღირებულება იგივე იქნებოდა, რაც დღის დასაწყისში.*

მოძებნეთ სწორი პასუხი და ჩაწერეთ შეკითხვები, რომელთა საშუალებითაც ამ მოსწავლეებს სწორ პასუხამდე მიიყვანდით.

(მაქსიმალური ქულა – 3)

**31.** მართკუთხედის პერიმეტრი 40 სანტიმეტრია. რამდენი კვადრატული სანტიმეტრით გაიზრდება მართკუთხედის ფართობი, თუ მის თითოეულ გვერდს გავადიდებთ 1 სანტიმეტრით?

პასუხი დაასაბუთეთ.

(მაქსიმალური ქულა – 3)

**32.** ვანოს და სანდროს ერთნაირი ფინჯნებით ყავა და ცალკე ჭურჭლით რძე მიართვეს. ორივე ფინჯანი ყავით ბოლომდე იყო შევსებული. ვანომ მოსვა ფინჯანი ყავის $\frac{1}{3}$ ნაწილი, სანდრომ – $\frac{1}{5}$ ნაწილი. შემდეგ ორივემ ფინჯნები რძით შეივსეს და კარგად მოურიეს. ცოტა ხნის შემდეგ ვანომ მოსვა ყავისა და რძის ნარევით სავსე ფინჯნის $\frac{3}{5}$ ნაწილი, სანდრომ კი – $\frac{2}{3}$ ნაწილი და მეტი აღარ დაულევიათ.

ვანოს უფრო მეტი ყავა დაულევია, თუ სანდროს?

პასუხი დაასაბუთეთ.

(მაქსიმალური ქულა – 3)

**33.** მოსწავლეებმა შემდეგი სამუშაო შეასრულეს:

**1)** გამოთვალეთ: I. $7\frac{1}{6}-2\frac{5}{12}$; II. $5\frac{3}{8}\cdot 4$; III. $21\frac{1}{3}:5$.

**2)** სპორტულ მაღაზიაში ფეხბურთის ბურთი იმდენივე ღირდა, რამდენიც 3 ცალი ხელბურთისა და 2 ცალი წყალბურთის ბურთი ერთად. 1 ცალი ფეხბურთისა და 2 ცალი ხელბურთის ბურთი ერთად კი იმდენივე ღირდა, რამდენიც – 10 ცალი წყალბურთის ბურთი. რამდენი ცალი ხელბურთის ბურთის ღირებულების ტოლია 4 ცალი ფეხბურთის ბურთის ღირებულება?

**3)** 36 სმ სიგრძისა და 24 სმ სიგანის მართკუთხედი დაჭრეს 4 სმ სიგრძის მქონე კვადრატებად და ერთმანეთის მიყოლებით ერთ ზოლად დააწყვეს.
რა სიგრძის ზოლი მიიღება?

ერთ-ერთი მოსწავლის ნამუშევარი ასეთი იყო:




- მიუთითეთ მოსწავლის მიერ დაშვებული თითოეული შეცდომა და ჩაწერეთ შესწორებული სახით (მოსწავლისთვის გასაგებ ენაზე);
- ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით V-VI კლასებში მოსწავლე ფასდება ათქულიანი სისტემით. რამდენი ქულით შეაფასებდით მოსწავლეს ამ ნამუშევრის მიხედვით? პასუხი დაასაბუთეთ.

(მაქსიმალური ქულა – 4)

## კითხვისა და წერის სწავლება

**34.** გაეცანით **I** კლასის მოსწავლეებისთვის განკუთვნილ დავალებებს:

**I. ჩასვი გამოტოვებული ასო:**

მ–ე

ქუ–ი

**II. ჩაწერე ცხოველის სახელი:**

**III. წაიკითხე სიტყვები და შეაერთე ისრებით შესაბამის ნახატთან:**

ბარი ბალი

მასწავლებლის მიზანია, ბავშვებმა ისწავლონ, რომ ასო-ბგერას სიტყვების განმასხვავებელი ფუნქცია აქვს. რომელი დავალება დაეხმარება მასწავლებელს ამ მიზნის მისაღწევად?

(ა) I და II
(ბ) II და III
(გ) მხოლოდ II
(დ) მხოლოდ III

**35.** კითხვის სირთულეების პრევენციისათვის მნიშვნელოვანია სკოლამდელ ასაკში ბავშვის იმ უნარების განვითარებაზე ზრუნვა, რომლებიც კითხვისათვის მზაობას განაპირობებს. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი უნარის განვითარებაა ადეკვატური და მიზანშეწონილი სკოლამდელ ასაკში?

(ა) ბგერების სწორად გამოთქმა, ასოების გამოწერა და სიტყვების უშეცდომოდ ჩაწერა
(ბ) ასო-ბგერითი მიმართებების დასწავლა და ასოებისგან სიტყვების აწყობა
(გ) სიტყვის ბგერითი შემადგენლობის გარჩევა და ლექსიკური მარაგის გამდიდრება
(დ) ასოებისგან სიტყვების და სიტყვებისგან მარტივი წინადადებების აწყობა

**36.** ქვემოთ მოცემულია აქტივობები, რომელთაც მასწავლებლები ხშირად იყენებენ ახალი ტექსტის შესწავლის დროს. რომელი აქტივობის შესრულება გაუჭირდებათ მოსწავლეებს დამოუკიდებლად ან დასჭირდებათ მასწავლებლის დახმარება?

(ა) მასწავლებელი უკითხავს მოსწავლეებს დაუსრულებელ ტექსტს და სთხოვს, გამოთქვან ვარაუდი, თუ როგორ შეიძლება დასრულდეს ტექსტში მოთხრობილი ამბავი.
(ბ) მოსწავლეები კითხულობენ ტექსტის სათაურს, ათვალიერებენ ილუსტრაციებს და გამოთქვამენ ვარაუდს ტექსტში მოთხრობილი ამბის შესახებ.
(გ) მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს, გამოყოფენ მათთვის უცნობ სიტყვებს და ამ სიტყვების გამოყენებით შეადგენენ წინადადებებს.
(დ) მასწავლებელი მიუთითებს თემას წაკითხული ტექსტიდან, მოსწავლეებმა უნდა იპოვონ ტექსტში ის ადგილი, სადაც ეს თემაა განხილული.

**37.** წერა-კითხვის სწავლებისას მასწავლებლები ხშირად იყენებენ „დღიურის წერის" მეთოდს – ბავშვები შესასწავლი თემის შესახებ საკუთარ იდეებსა და აზრებს წერენ დღიურებში, რომლებიც მასწავლებლის მიერ არ მოწმდება.

*ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია მოსწავლეთა შესახებ. რომელი მოსწავლისთვის იქნება აღნიშნული მეთოდი* ***<u>ყველაზე</u>*** *მოსახერხებელი საკუთარი შესაძლებლობების გამოსავლენად?*

(ა) გიორგისთვის – ის მგრძნობიარეა სხვათა განწყობებისა და განცდების მიმართ, შეუძლია სხვათა ქცევის მოტივების გამოცნობა.
(ბ) ანასთვის – ის ჩუმი და ჩაფიქრებული ბავშვია, კარგი ინტუიცია აქვს და საკმაოდ დამოუკიდებელია.
(გ) ანდროსთვის – მას უყვარს ლოგიკური მსჯელობა და ფიქრი, კარგად იგებს და აღიქვამს სქემებს.
(დ) მაიასთვის – ის ადვილად იგებს სიტყვის მნიშვნელობებს და მოსწონს სიტყვებით თამაში.

**38.** ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი გამოადგება მასწავლებელს **<u>ყველაზე ნაკლებად</u>** იმის დასადგენად, რომ მოსწავლემ გაიაზრა წაკითხული ტექსტი?

(ა) მოსწავლე საკუთარი სიტყვებით გადმოსცემს ტექსტის ძირითად აზრს.
(ბ) მოსწავლე განმარტავს ტექსტში მოცემულ ძირითად საკითხებს.
(გ) მოსწავლეს მოჰყავს ტექსტში დასმული პრობლემის შესაბამისი მაგალითები.
(დ) მოსწავლე ტექსტის შინაარსს გადმოსცემს ტექსტის ლექსიკის გამოყენებით.

**39.** მასწავლებელმა II კლასის მოსწავლეთა კითხვის უნარის გასაუმჯობესებლად ერთი სემესტრის განმავლობაში ახალი მეთოდის გამოყენება სცადა. სემესტრის ბოლოს ჩატარებული ტესტირების საფუძველზე დაასკვნა, რომ **ახალმა მეთოდმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მოსწავლეთა კითხვის უნარი.**

გაეცანით ქვემოთ მოცემულ პირობებს:

I. კითხვის უნარის შეფასება ახალი მეთოდით მუშაობის დაწყებამდე და მეთოდის გამოყენების შემდეგ.

II. პარალელურ II კლასში (სადაც ისევ ძველი მეთოდით მუშაობდა მასწავლებელი) კითხვის უნარის შეფასება სემესტრის დასაწყისში და სემესტრის ბოლოს და სამიზნე კლასის შედეგებთან შედარება.

III. მოსწავლეების მშობლების გაფრთხილება, რომ აღნიშნული სემესტრის განმავლობაში გაეკონტროლებინათ შვილების საშინაო დავალებები.

*ამ პირობათაგან რომლის განხორციელება იყო საჭირო, რომ მასწავლებელს აღნიშნული დასკვნის გამოტანის საფუძველი ჰქონოდა?*

(ა) მხოლოდ I
(ბ) მხოლოდ II
(გ) I და II
(დ) I და III

**40.** ტექსტზე მუშაობის ერთ-ერთი მეთოდი – ,,მოზაიკა'' – გულისხმობს მოსწავლეების განაწილებას ჯგუფებში. თითოეულ მონაწილეს მასწავლებელი სამუშაოდ აძლევს ტექსტის გარკვეულ მონაკვეთს, რომლის შინაარსის ,,ექსპერტიც'' ხდება მოსწავლე. შემდეგ სხვადასხვა ჯგუფის წევრები, რომლებიც შეისწავლიან ერთსა და იმავე ფრაგმენტს, ხვდებიან ერთმანეთს ,,ექსპერტთა ჯგუფებში'' საკუთარი ფრაგმენტის განსახილველად. ექსპერტულ ჯგუფებში მონაწილეები მსჯელობენ ამ ფრაგმენტის შინაარსის შესახებ. შემდეგ დაბრუნდებიან საწყის ჯგუფებში და გააცნობენ ,,კოლეგებს'' საკუთარი ფრაგმენტის შინაარსს.

*ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი უნარის განვითარებას უწყობს ეს მეთოდი ყველაზე* ***ნაკლებად*** *ხელს?*

(ა) თანატოლების აზრის მოსმენისა და გაზიარების
(ბ) ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ჩამოყალიბების
(გ) მთლიანი ტექსტის ინდივიდუალურად დამუშავების
(დ) ტექსტის გააზრებაში სხვებისთვის დახმარების გაწევის

**41.** ქვემოთ მოცემულია რეკომენდაციები კითხვის სწავლებასთან დაკავშირებით. რომელი რეკომენდაცია შეესაბამება კითხვის სწავლების დაბალანსებულ მიდგომას?

(ა) ძირითადი ყურადღება მიმართული უნდა იყოს კითხვაში პრობლემების მქონე ბავშვების მიერ სიტყვებში ბგერების გარჩევისა და დეკოდირების ჩვევის ათვისებაზე.
(ბ) გრაფემის ფონემად დეკოდირების ჩვევების შემუშავება ბავშვისთვის საინტერესო, შინაარსიან მასალაზე დაყრდნობით უნდა ხდებოდეს.
(გ) მთავარია სიტყვის მნიშვნელობის გაგება, რომლის საფუძველზეც მოხდება სიტყვისა და მასში შემავალი ბგერითი შეთანხმებების ცნობა.
(დ) დამწერლობის ანბანური სისტემის მქონე ენაში კითხვის ათვისება მიზანშეწონილია ასო-ბგერითი შესატყვისობის პირდაპირი სწავლებით.

**42.** მასწავლებლის მიზანია I კლასის მოსწავლეებს განუვითაროს ფონემების გაცნობიერების უნარი. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი დავალება გამოადგება მას ამ მიზნისთვის?

(ა) მასწავლებელი ასახელებს ბგერებს, მოსწავლეებმა უნდა მოძებნონ ამ ბგერების შესატყვისი ასოები პლაკატზე.
(ბ) მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, სიტყვაში ერთი ბგერა შეცვალონ ისე, რომ სხვა სიტყვა გამოვიდეს.
(გ) მასწავლებელი დაფაზე წერს სიტყვას და სთხოვს მოსწავლეებს, ააწყონ ეს სიტყვა მოძრავი ანბანის გამოყენებით.
(დ) მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მასთან ერთად ხმამაღლა და გარკვევით „გაახმოვანონ“ ანბანის ასოები.

**43.** ზოგიერთი მეცნიერის აზრით, პირველი წლის **ბოლოს კითხვის სწავლაში წარმატების წინასწარმეტყველება შესაძლებელია ბგერებისა და მარცვლების სიტყვაში გაერთიანების უნარის მიხედვით**. კითხვის სწავლების რომელი მიდგომის სასარგებლოდ მეტყველებს აღნიშნული ფაქტი?

(ა) აღმავალი მოდელის, რომლის მიხედვითაც ინფორმაციის გარდაქმნა მიმდინარეობს ქვემოდან ზემოთ, ნაწილიდან (ასო-ბგერიდან) მთელისკენ (სიტყვისკენ).
(ბ) აღმავალი მოდელის, რომლის მიხედვითაც კითხვის სწავლება კონტექსტზე დაყრდნობით სიტყვის გამოცნობის სტრატეგიით უნდა განხორციელდეს.
(გ) დაღმავალი მოდელის, რომლის მიხედვითაც სიტყვის და მასში შემავალი ბგერების ცნობა სიტყვის მნიშვნელობის საფუძველზე უნდა მოხდეს.
(დ) დაღმავალი მოდელის, რომლის მიხედვითაც კითხვის სწავლება ასოებსა და მათ ბგერით შესატყვისებს შორის კავშირის დამყარების ჩვევის გამომუშავებაა.

**44.** ანა წერისას ხშირად უშვებს შეცდომებს, აკლებს ან ამატებს ასოებს სიტყვაში. აღწერეთ აქტივობა, რომელიც დაეხმარება ანას ამ პრობლემის დაძლევაში და თან საშუალებას მისცემს, თავად აღმოაჩინოს და გაასწოროს საკუთარი შეცდომები.

(მაქსიმალური ქულა – 2)

*წაიკითხეთ IV კლასის მოსწავლეებისთვის განკუთვნილი ტექსტი, შეასრულეთ* ***45****-ე,* ***46****-ე და* ***47****-ე დავალებები.*

ადამიანს უძველესი დროიდან აინტერესებდა, როგორ ფრენენ ჩიტები. ბერძნული მითის მიხედვით, პირველად ჰაერში დედალოსი და იკაროსი აფრინდნენ. მათ ბუმბულისა და ცვილის ფრთები გაუკეთებიათ, მაგრამ მზესთან ახლოს მისულან და ორივე ძირს დანარცხებულა... გამომგონებლები ფრთებს ხან ველოსიპედს უმაგრებდნენ, ხან ურმებს, თუმცა, მიწას ვერავინ ასცდა. 1850 წელს მეცნიერმა ჯორჯ კეილიმ გამოიგონა მანქანა, რომლითაც ის გორაკიდან ეშვებოდა და შემდეგ ქარის საშუალებით ჰაერში ადიოდა. ჯორჯის მანქანა მხოლოდ ქარიან ამინდში დაფრინავდა. ფელიქს დიუ ტამპლმა ახალი მოდელი შექმნა – მას ძრავა დაუმატა. და აი, ის დაეშვა გორაკიდან, რათა სიჩქარე განევითარებინა და... კიდევაც აფრინდა! თუმცა, მალევე ჩამოვარდა – ძრავა ძალიან მძიმე იყო. ამერიკელი ძმები რაიტები იყვნენ პირველები, რომელთა მცდელობაც წარმატებული აღმოჩნდა. 1903 წელს მათ შექმნეს ძრავიანი თვითმფრინავი მბრუნავი თავებით, რომლებსაც პროპელერები უწოდეს. „პროპელერი ჰაერს შეისრუტავს და უკან გაიწოვს, თვითმფრინავი კი წინ წავა," – ფიქრობდნენ ისინი.

**45.** ზემოთ მოცემულ ტექსტთან დაკავშირებით დაუსვით მოსწავლეებს შეკითხვა, რომლის საშუალებით დაადგენთ, შეუძლიათ თუ არა მათ მოვლენათა შორის მიზეზშედეგობრივი მიმართებების დანახვა.

---

(მაქსიმალური ქულა – 1)

**46.** დაუსვით მოსწავლეებს შეკითხვა, რომლის საშუალებით დაადგენთ, შეუძლიათ თუ არა მათ ტექსტის სხვადასხვა ნაწილში მოცემული ინფორმაციის ერთმანეთთან დაკავშირება და მასზე დაყრდნობით დასკვნის გამოტანა.

---

(მაქსიმალური ქულა – 1)

**47.** დაუსვით მოსწავლეებს შეკითხვა, რომელიც ახალი ინფორმაციის საკუთარ ცოდნასთან ინტეგრაციის საშუალებას მისცემს და წაკითხულის გააზრებაში დაეხმარება.

---

(მაქსიმალური ქულა – 1)

# აკადემიური უნარები

## წაკითხული ტექსტის გააზრება

*ყურადღებით წაიკითხეთ და გაიაზრეთ ტექსტი. თითოეული შეკითხვის სავარაუდო პასუხებიდან აირჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც მართებულია მოცემული ტექსტის მიხედვით.*

ბაზისურ ემოციებთან ერთად (სიხარული, ბრაზი, შიში და ა. შ.), ადამიანებისთვის დამახასიათებელია მეორეული, უფრო რთული ემოციები, მაგალითად, სირცხვილი, სიამაყე და დანაშაულის გრძნობა. ასეთ ემოციებს **მე**-ს ცნობიერებასთან დაკავშირებული ემოციები ეწოდება, ვინაიდან თითოეული მათგანი გავლენას ახდენს მე-ს განცდის გამძაფრებაზე. თუ გვრცხვენია ან უხერხულად ვგრძობთ თავს, ვცდილობთ, მოვიქცეთ ისე, რომ სხვებისთვის ჩვენი შეცდომა ან წარუმატებლობა შესამჩნევი არ იყოს. დანაშაულის გრძნობა ვინმესთვის ზიანის მიყენების დროს ჩნდება. ასეთ სიტუაციაში ჩვენ მიერ ჩადენილი არასწორი საქციელის გამოსწორებასა და ურთიერთობის აღდგენას ვცდილობთ. სიამაყე კი, პირიქით, საკუთარი მიღწევებით კმაყოფილებას გულისხმობს, რომლის დროსაც სურვილი გვიჩნდება, სხვებს მოვუყვეთ, როგორ მივაღწიეთ დასახულ მიზანს და რა გეგმების განხორციელებას ვაპირებთ მომავალში.

საკუთარი ემოციების გაცნობიერებისა და გაგების უნარის განვითარება შემეცნებით განვითარებას უკავშირდება. 4-5 წლის ბავშვები სიამაყის ნაცვლად სიხარულს, ბედნიერებასა და აღფრთოვანებას, დანაშაულის გრძნობის ნაცვლად კი – დასჯის შიშს აღწერენ. სკოლის ასაკის ბავშვებს უკეთ შეუძლიათ ახსნან საკუთარი ემოციები. თუ 6-7 წლის ასაკში სიამაყის მიზეზად უფროსების მხრიდან შექებას ასახელებენ, 8 წლის ასაკიდან ბავშვები სიამაყესა და დანაშაულის გრძნობას უკვე საკუთარ წარმატებასა თუ წარუმატებლობას უკავშირებენ. სიამაყის, სირცხვილის ან დანაშაულის განცდის კომპლექსური გაგება სოციალური გამოცდილების საფუძველზე კოგნიტური განვითარების კვალდაკვალ ყალიბდება.

ბავშვებში, რომლებსაც მშობლები ხშირად მათ უარყოფით თვისებაზე ან არასწორ საქციელზე მიუთითებენ, მე-ს ცნობიერებასთან დაკავშირებული ემოციები უფრო მძაფრია – წარუმატებლობის შემთხვევაში გადამეტებული სირცხვილის, წარმატების შემთხვევაში კი გადამეტებული სიამაყის გრძნობა უჩნდებათ. იმ ბავშვებში, რომელთა მშობლები, პირიქით, ძირითად ყურადღებას ალტერნატიულ გონივრულ ქცევაზე ამახვილებენ, სირცხვილისა და სიამაყის გრძნობები ზომიერია. შესაბამისად, ისინი სიძნელეებს გაცილებით უკეთ უმკლავდებიან.

სირცხვილის ძლიერი გრძნობა ადაპტაციასთან დაკავშირებულ პრობლემას – გულჩათხრობილობასა და დეპრესიას, აგრეთვე, სირცხვილის გრძნობის მაპროვოცირებელი სიტუაციისა და ადამიანების მიმართ ბრაზსა და აგრესიას იწვევს. დანაშაულის გრძნობას უფრო კონკრეტული ხასიათი აქვს, რადგან კონკრეტულ ქმედებას თუ უმოქმედობას უკავშირდება და, შესაბამისად, ნაკლებად ახდენს უარყოფით გავლენას თვითშეფასებაზე. დანაშაულის გრძნობა, რომელიც გარკვეულ სიტუაციებში ჩნდება და რომელსაც სირცხვილის გრძნობა არ მოსდევს, პირიქით, ბავშვს საზიანო იმპულსების დაძლევაში ეხმარება და მის მიერ ჩადენილი ცუდი საქციელის გამოსწორებისა და უფრო გონივრული ქცევისაკენ უბიძგებს.

მე-ს ცნობიერებასთან დაკავშირებული ემოციების ჩამოყალიბებისთვის კულტურას დიდი მნიშვნელობა აქვს. დასავლეთის ინდივიდუალისტურ საზოგადოებებში ბავშვს ასწავლიან, იამაყოს პიროვნული მიღწევებით, მაგალითად, თუ ბურთი ყველაზე შორს გადააგდო, გაიმარჯვა თამაშში ან კარგი ნიშნები მიიღო. კოლექტივისტურ ქვეყნებში, როგორიცაა, მაგალითად, ჩინეთი ან იაპონია, მხოლოდ პიროვნულ წარმატებაზე ყურადღების გამახვილება უხერხულობის განცდას აჩენს. ჩინელ მშობლებს მიაჩნიათ, რომ ცუდი საქციელის ჩადენის შემთხვევაში ბავშვი სირცხვილს აუცილებელად უნდა გრძნობდეს. ისინი ბავშვებს უკვე სამი წლიდან ასწავლიან სირცხვილის გრძნობის გამოყენებით კარგისგან ცუდის გარჩევას, მაგრამ იმას არ ითვალისწინებენ, რომ შესაძლოა, გადაჭარბებულმა სირცხვილის გრძნობამ ბავშვის თვითშეფასებას ზიანი მიაყენოს.

**48.** რატომ უწოდებენ მეორეულ ანუ რთულ ემოციებს მე-ს ცნობიერებასთან დაკავშირებულ ემოციებს?

(ა) ეს ემოციები საკუთარი თავის მიმართ დამოკიდებულებაზე ახდენს გავლენას და, შესაბამისად, ქცევის ცვლილებას განაპირობებს
(ბ) ეს ემოციები უარყოფითად აისახება ადამიანის თვითშეფასებაზე, რაც გარშემომყოფთა მიმართ მისი ქცევის ცვლილებას განაპირობებს
(გ) ამ ემოციების გამოხატვის უნარი მომავალში ადამიანის წარმატებასა თუ წარუმატებლობას განაპირობებს
(დ) ეს ემოციები ადამიანს თვითანალიზის საშუალებას აძლევს და საკუთარი არასწორი ქცევის გამოსწორებისა და სხვებთან ურთიერთობის გაუმჯობესებისკენ უბიძგებს

**49.** რას გულისხმობს წინადადება: ,,სიამაყის, სირცხვილისა ან დანაშაულის განცდის კომპლექსური გაგება სოციალური გამოცდილების საფუძველზე კოგნიტური განვითარების კვალდაკვალ ყალიბდება''?

(ა) ასაკის მატებასთან და, შესაბამისად, გამოცდილების დაგროვებასთან ერთად ბავშვები უკეთ გამოხატავენ სიამაყის, სირცხვილისა თუ დანაშაულის გრძნობას
(ბ) კოგნიტური განვითარება და შესაბამისი სოციალური გამოცდილება ხელს უწყობს ბავშვის მიერ მეორეული ემოციების მიზეზების გაცნობიერების უნარის ჩამოყალიბებას
(გ) კოგნიტური განვითარების გარკვეული დონეა საჭირო, რომ ბავშვმა მეორეული ემოციების სოციალურ გამოცდილებასთან დაკავშირება შეძლოს
(დ) უფროსების რეაქცია ბავშვის ამა თუ იმ ქცევაზე მნიშვნელოვანწილად განაპირობებს სიამაყის, სირცხვილისა თუ დანაშაულის გრძნობის გაცნობიერების უნარის ჩამოყალიბებას

**50.** ქვემოთ მოცემულია რამდენიმე უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვის მსჯელობა. რომელი შეესაბამება ემოციური ცნობიერების განვითარების ყველაზე მაღალ საფეხურს?

(ა) **,,**მე ამაყი ვარ, იმიტომ რომ მამამ ფეხბურთის მატჩზე წამიყვანა.''
(ბ) ,,მე ამაყი ვარ, რადგან ბევრს ვეცადე და სამკუთხედის დახაზვა შევძელი.''
(გ) ,,მე მრცხვენია, იმიტომ, რომ საკონტროლო წერაში ცუდი ნიშანი მივიღე.''
(დ) ,,მე დამნაშავე ვარ, რადგან ჭიქის გატეხვის გამო დედამ დამსაჯა.''

**51.** IV აბზაცის მიხედვით, სირცხვილის გრძნობა დანაშაულის გრძნობასთან შედარებით უფრო უარყოფით ზეგავლენას ახდენს ბავშვის თვითშეფასებაზე და, შესაბამისად, მის ადაპტაციურ უნარებზე, რადგან:

(ა) უკავშირდება არა კონკრეტულ ქცევას ამა თუ იმ სიტუაციაში, არამედ ბავშვის მიერ საკუთარი შესაძლებლობებისა და თვისებების უარყოფით შეფასებას
(ბ) ხელს უშლის ბავშვს, გააკონტროლოს საკუთარი იმპულსები და მოიფიქროს სხვა უფრო გონივრული ქცევა
(გ) ბავშვს დესტრუქციული ემოციები უჩნდება იმ ადამიანების მიმართ, ვინც დაკავშირებული იყო სირცხვილის გრძნობის მაპროვოცირებელ სიტუაციასთან
(დ) გულჩათხრობილობასა და დეპრესიას იწვევს, თუმცა, გონივრული ქცევის გამოსწორების გზების ძიებას უწყობს ხელს

**52.** ბავშვი უკეთ გაუმკლავდება სიძნელეებს, თუ მშობლების რეაქცია მის წარუმატებელ ქცევაზე შემდეგია:

(ა) ,,ასე ხომ უკვე სცადე; მოდი, ამჯერად სხვანაირად გავაკეთოთ...''
(ბ) ,,შეხედე, შენი მეგობარი როგორ აკეთებს, შენც ხომ შეგეძლო ასე გაგეკეთებინა... ''
(გ) ,,შენ შეცდომა დაუშვი, თუმცა ეს შენთვის მაინც კარგი შედეგია...''
(დ) ,,შენ არ გამოგივიდა, მოდი, მე გაჩვენებ, როგორ უნდა გააკეთო...''

**53.** ჩინელი ბავშვების სიტყვათა მარაგს სიტყვა ,,სირცხვილი'' გაცილებით უფრო ადრე ემატება, ვიდრე ეს ხდება მათ ჩრდილოამერიკელ თანატოლებში. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელშია ასახული კონკრეტული მიზეზი ამ ფაქტის ასახსნელად?

(ა) ჩინელი მშობლები არ ითვალისწინებენ, რომ გადაჭარბებულმა სირცხვილის გრძნობამ შესაძლოა ბავშვის თვითშეფასებას ზიანი მიაყენოს
(ბ) კოლექტივისტურ ქვეყნებში ... პიროვნულ წარმატებაზე ყურადღების გამახვილება უხერხულობის განცდას აჩენს
(გ) ჩინელი მშობლები უკვე 3 წლიდან ასწავლიან ბავშვებს სირცხვილის გრძნობის გამოყენებით კარგისგან ცუდის გარჩევას
(დ) ჩინელ მშობლებს მიაჩნიათ, რომ ცუდი საქციელის ჩადენის შემთხვევაში ბავშვი სირცხვილს აუცილებელად უნდა გრძნობდეს

**54.** ტექსტის ავტორის ძირითადი მიზანია:

(ა) წარმოაჩინოს მშობელთა როლი ბავშვის ემოციური განვითარებისა და ქცევის ჩამოყალიბების პროცესში
(ბ) ხაზი გაუსვას სოციალური გამოცდილების როლს ბაზისური ემოციებისა და მე-ს ცნობიერებასთან დაკავშირებული ემოციების ჩამოყალიბებაში
(გ) გააანალიზოს სხვადასხვა ასაკის ბავშვთა ემოციების გამოხატვის უნარის განვითარების თავისებურებები კულტურულ კონტექსტში
(დ) განიხილოს ერთ-ერთი ტიპის ემოციების განვითარების თავისებურებები სოციალური გამოცდილებისა და კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით

## ანალიტიკური წერა

**55.** *შეგახსენებთ რამდენიმე საბავშვო ნაწარმოების შინაარსს:*

ჯანი როდარის საბავშვო მოთხრობის გმირი, პატარა ჯელსომინო საოცარ ქვეყანაში მოხვდა, სადაც სასტიკი და გაიძვერა მეკობრე მეფობდა. ამ ქვეყანაში სიტყვა „მეკობრე“ პატიოსან ადამიანს ნიშნავდა, პურს მელანს ეძახდნენ, ყველს – საშლელს, საფუნთუშეში საკანცელარიო ნივთები იყიდებოდა, საკანცელარიო მაღაზიაში კი – პური. ყოველ დილით ხალხი ერთმანეთს „დილა მშვიდობისას“ კი არა, „ძილი ნებისას“ უსურვებდა. ცრუთა ქვეყანაში ძაღლები კნაოდნენ, კატები ყეფდნენ, თაგვები ღრიალებდნენ, ლომები კი წრიპინებდნენ.

მეფის ბრძანებით, გამრავლების ტაბულაში რიცხვებს ადგილი შეუცვალეს. გამრავლების ნაცვლად უნდა გაგეყო, თუ მიმატება გინდოდა, უნდა გამოგეკლო....

დონალდ ბისეტის ერთ მოთხრობაში ყვავი ალისა სიზმარს ნახავს, ყირამალა სიზმარს: კატები ძაღლებზე ნადირობენ, თაგვები – კატებზე, ფორანში მერძევე შებმულა, ცხენი კოფოზე ზის და მერძევეს აჩქარებს, ბავშვები მშობლებს ტუქსავენ, მშობლები ტირიან: „მეტს აღარ ვიზამთ!“ ღამით მზე ანათებს, დღისით – მთვარე და ვარსკვლავები. „ესეც თუ ცხოვრებაა! ყველაფერი ყირამალაა!“ – ამბობს კატა მური.

*გაიხსენეთ ქართული ხალხური ლექსიც:*

სანთლის გუთანს ავაშენებ,
შიგ შევაბამ უღელს დევსა,
ზღვაში ვხნავ და ზღვაში ვთესავ,
ხმელზე ვინადირებ თევზსა.
ყინულზე კალოს გავლეწავ
და მშრალზე გადავყრი ბზესა,
ჭინჭველას გოდორს ავკიდებ
და დევებს დავუყრი ბზესა.

*საბავშვო ნაწარმოებებში ხშირად ყველაფერი „ყირამალაა“, მწერალი თუ ლექსის მთქმელი რეალურს ცვლის არარეალურით. იმსჯელეთ:*

- *რა მიზნით მიმართავენ საბავშვო ნაწარმოებთა ავტორები ამ ხერხს.*
- *რა პოზიტიური შედეგები შეიძლება მოჰყვეს ბავშვისთვის ამგვარი შინაარსის მქონე ნაწარმოების სწავლებას.*
- *მსჯელობის გასამყარებლად მოიყვანეთ არგუმენტები და მაგალითები.*

*თქვენ მიერ დაწერილი თხზულება უნდა შეიცავდეს, სულ მცირე, 100 სიტყვას.*

# სწორი პასუხები, შეფასების კრიტერიუმები და მაქსიმალური ქულით შეფასებული ნიმუშები

## პროფესიული ცოდნა და მეთოდიკა

### მათემატიკა

| | |
|---|---|
| **1** | ა |
| **2** | გ |
| **3** | გ |
| **4** | დ |
| **5** | გ |
| **6** | ბ |
| **7** | ა |
| **8** | გ |
| **9** | ბ |
| **10** | დ |
| **11** | ბ |
| **12** | ა |
| **13** | ბ |
| **14** | დ |
| **15** | გ |
| **16** | ბ |
| **17** | ბ |
| **18** | დ |
| **19** | ბ |
| **20** | ა |
| **21** | ა |
| **22** | დ |
| **23** | დ |
| **24** | გ |
| **25** | დ |
| **26** | ე |
| **27** | ა |
| **28** | მაქსიმალური ქულა: 2 |
| | **ამოხსნის ნიმუში:** საძებნი ორნიშნა რიცხვები უნდა იყოს 7-ის ჯერადები. ასეთებია: 14, 21, 28, 35, 42, 49, 56, 63, 70, 77, 84, 91 და 98. მათგან ამოცანის პირობას აკმაყოფილებს მხოლოდ 21, 42, 63 და 84.<br>**შეფასების სქემა:**<br>**2 ქულა:** დასაბუთებულია, რომ საძებნი რიცხვებია მხოლოდ 21, 42, 63 და 84.<br>**1 ქულა:** ამოწერილია ერთი მაინც საძებნი ორნიშნა რიცხვი და შემოწმებულია, რომ ის აკმაყოფილებს ამოცანის პირობას.<br>**0 ქულა:** არ არის შესრულებული ზემოთ მოცემულთაგან არც ერთი. |

| | |
|---|---|
| **29** | მაქსიმალური ქულა: 3 |
| | **ამოხსნის ნიმუში:** ვთქვათ, I ჭურჭელში $x$ ლ ღვინოა, II-ში - 1,4 $x$ ლ. განტოლება:<br>$x+5{,}5=1{,}5(1{,}4x-5{,}5) \Rightarrow x+5{,}5=2{,}1x-8{,}25 \Rightarrow 1{,}1x=13{,}75 \Rightarrow x=12{,}5$.<br>I ჭურჭელში ყოფილა 12,5 ლ ღვინო, II-ში - 17,5 ლ, ხოლო ორივეში ერთად - 30 ლ.<br>**შეფასების სქემა:**<br>**3 ქულა:** გამოყენებულია ამოხსნის ადეკვატური გზა და სწორი პასუხია გაცემული ამოცანაში დასმულ შეკითხვაზე.<br>**2 ქულა:** ამოწერილია ერთი მაინც საძებნი ორნიშნა რიცხვი და შემოწმებულია, რომ ის აკმაყოფილებს ამოცანის პირობას.<br>**1 ქულა:** ამოცანის ამოხსნა დაწყებულია ადეკვატური გზით, გადადგმულია საჭირო ნაბიჯი, მაგრამ სათანადოდ აღარ არის გაგრძელებული.<br>**0 ქულა:** არ არის შესრულებული ზემოთ მოცემულთაგან არც ერთი. |
| **30** | მაქსიმალური ქულა: 3 |
| | **ამოხსნის ნიმუში:** პირველი ცვლილების შემდეგ აქციების ფასი გახდებოდა თავდაპირველი ფასის 10%-ით, ანუ მეათედით მეტი, რაც თავდაპირველი ფასის $100\% + \frac{100\%}{10} = 110\%$ -ია, მეორე ცვლილების შემდეგ კი - $110\% - \frac{110\%}{10} = 99\%$. რაც იმას ნიშნავს, რომ მთელი დღის განმავლობაში აქციების ფასი თავდაპირველთან შედარებით 1%-ით შემცირებულა.<br>**მასწავლებლის აქტივობის ნიმუში:**<br>- ვთქვათ, თავდაპირველად თითოეული აქციის ფასი იყო 100 ლარი. რამდენი ლარი ეღირება თითოეული აქცია 10%-ით გაძვირების შემდეგ?<br>- $100+\frac{10}{100}\cdot 100=110$ ლარი.<br>- რის ტოლია 110 ლარის 10%?<br>- $\frac{10}{100}\cdot 110=11$ ლარის.<br>- რამდენი ლარი ეღირება თითოეული აქცია 10%-ით გაიაფების შემდეგ?<br>- $110-11=99$ ლარი.<br>- როგორ შეცვლილა აქციების ფასი მთელი დღის განმავლობაში?<br>- შემცირებულა 1 ლარით.<br>შემდეგ ამგვარ მსჯელობას ჩაატარებინებს მოსწავლეს ზოგად შემთხვევაში (როცა, მაგალითად, აქციის ფასი ა ლარის ტოლია).<br>**შეფასების სქემა:**<br>**3 ქულა:** მოცემულია შეკითხვებით მოსწავლის სწორ პასუხამდე მიყვანის ადეკვატური გზა;<br>**2 ქულა:** მოცემულია შეკითხვებით მოსწავლის სწორ პასუხამდე მიყვანის გზა, რომელიც ეფუძნება აქციების ფასის კერძო შემთხვევას;<br>**1 ქულა:** დასაბუთებულია, რომ აქციების ფასი მთელი დღის განმავლობაში შემცირდებოდა;<br>**0 ქულა:** არ არის შესრულებული ზემოთ მოცემულთაგან არც ერთი. |
| **31** | მაქსიმალური ქულა: 3 |
| | **ამოხსნის ნიმუში:**<br>მართკუთხედის სიგრძე $x$ სმ, სიგანე - $(20-x)$სმ, ფართობი - $x\cdot(20-x)$ კვ.სმ. გვერდების სიგრძის გაზრდის შემდეგ: მართკუთხედის სიგრძე $(x+1)$ სმ, სიგანე - $(21-x)$ სმ, ფართობი - $(x+1)(21-x)$კვ.სმ. მართკუთხედის ფართობი გაიზრდება $(x+1)(21-x)-x(20-x)=21$ კვ.სმ-ით.<br>**შეფასების სქემა:**<br>**3 ქულა:** გამოყენებულია ამოხსნის ადეკვატური გზა და სწორი პასუხია გაცემული ამოცანაში დასმულ შეკითხვაზე;<br>**2 ქულა:** გამოყენებულია ამოხსნის ადეკვატური გზა, მაგრამ სწორი პასუხი არ არის გაცემული ამოცანაში დასმულ შეკითხვაზე;<br>**1 ქულა:** ამოცანის ამოხსნა დაწყებულია ადეკვატური გზით, გადადგმულია საჭირო |

| | |
|---|---|
| | ნაბიჯი, მაგრამ სათანადოდ აღარ არის გაგრძელებული;<br>**0 ქულა:** არ არის შესრულებული ზემოთ მოცემულთაგან არც ერთი. |
| **32** | მაქსიმალური ქულა: 3 |
| | **ამოხსნის ნიმუში:**<br>ვანომ პირველად დალია ფინჯანი ყავის $\frac{1}{3}$ ნაწილი, მეორედ - დარჩენილი $\frac{2}{3}$ ნაწილის $\frac{3}{5}$ ნაწილი, ანუ $\frac{2}{3}\cdot\frac{3}{5}=\frac{2}{5}$ ნაწილი. სულ ვანოს დაულევია ფინჯანი ყავის $\frac{1}{3}+\frac{2}{5}=\frac{11}{15}$ ნაწილი.<br>სანდრომ პირველად დალია ფინჯანი ყავის $\frac{1}{5}$ ნაწილი, მეორედ - დარჩენილი $\frac{4}{5}$ ნაწილის $\frac{2}{3}$ ნაწილი, ანუ $\frac{4}{5}\cdot\frac{2}{3}=\frac{8}{15}$ ნაწილი. სულ ვანოს დაულევია ფინჯანი ყავის $\frac{1}{5}+\frac{8}{15}=\frac{11}{15}$ ნაწილი. ამიტომ ორივეს ტოლი რაოდენობის ყავა დაულევიათ.<br>**შეფასების სქემა:**<br>**3 ქულა:** გამოყენებულია ამოხსნის ადეკვატური გზა და სწორი პასუხია გაცემული ამოცანაში დასმულ შეკითხვაზე;<br>**2 ქულა:** გამოყენებულია ამოხსნის ადეკვატური გზა, მაგრამ სწორი პასუხი არ არის გაცემული ამოცანაში დასმულ შეკითხვაზე;<br>**1 ქულა:** ამოცანის ამოხსნა დაწყებულია ადეკვატური გზით, გადადგმულია საჭირო ნაბიჯი, მაგრამ სათანადოდ აღარ არის გაგრძელებული;<br>**0 ქულა:** არ არის შესრულებული ზემოთ მოცემულთაგან არც ერთი. |
| **33** | მაქსიმალური ქულა: 4 |
| | სულ დაშვებულია 4 შეცდომა:<br>1) I. დაშვებულია 1 შეცდომა: $6\frac{13}{12}$-ის ნაცვლად უნდა იყოს $6\frac{14}{12}$. შესაბამისად, სწორი პასუხი იქნებოდა<br>$$6\frac{14}{12}-2\frac{5}{12}=4\frac{9}{12}=4\frac{3}{4}$$<br>II. შეცდომა არაა დაშვებული, თუმცა უმჯობესი იქნებოდა დაეწერა $20\frac{3}{2}=21\frac{1}{2}$.<br>III. შეცდომა დაშვებულია მთელი რიცხვების გაყოფისას: 20:5=4-ს და არა 5-ს.<br>შესაბამისად, სწორი პასუხია $4\frac{4}{15}$.<br>2) ამოხსნის გზა სწორია. დაშვებულია მხოლოდ 1 შეცდომა. 3 ხელბ. = 6 წყალბ. ტოლობის ნაცვლად უნდა იყოს ტოლობა 5 ხელბ. = 8 წყალბ. შესაბამისად, სწორი პასუხია:<br>4 ფეხბ. = 12 ხელბ. + 8 წყალბ. = 12 ხელბ. + 5 ხელბ. = 17 ხელბ.<br>3) ამოხსნის გზა სწორია. დაშვებულია მხოლოდ 1 შეცდომა გამრავლებისას. უნდა იყოს: $9\cdot 24=216$. შესაბამისად, სწორი პასუხია 2 მ 16 სმ.<br>ნამუშევრის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ მოსწავლემ კარგად იცის, თუ როგორ უნდა შეასრულოს მოქმედებები წილადებზე, თუმცა ორი, შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვანი შეცდომა წილადებთან დაკავშირებით მაინც დაუშვა.<br>მე-2 ამოცანის ამოხსნისას მოსწავლე ალგებრული მოდელირების კარგ უნარს ავლენს, თუმცა ერთ შეცდომას უშვებს, რის გამოც სწორ პასუხს ვერ იღებს.<br>მე-3 ამოცანის ამოსახსნისას მოსწავლემ ეფექტური გზა გამოიყენა, მაგრამ, გამრავლებისას შეცდომა დაუშვა. მთლიანობაში შეიძლება დავასკვნათ, რომ მოსწავლის მიღწევის დონე საშუალოზე მაღალია, რაც იმის თქმის საშუალებას გვაძლევს, რომ მისი შეფასება უნდა იყოს 8-ის ან 9-ის ტოლი.<br>**შეფასების სქემა:**<br>ამ დავალებით მოწმდება მასწავლებლის უნარი, აღმოაჩინოს მოსწავლის ნამუშევარში შეცდომები, შეასწოროს ისინი და ნამუშევრის მიხედვით ადეკვატურად შეაფასოს მოსწავლე.<br>• თითოეული შეცდომის აღმოჩენისა და ადეკვატურად შესწორებისათვის იწერება სამ-სამი „+“, სულ 4•3 = 12 პლიუსი.<br>• აღმოჩენილი შეცდომების გათვალისწინებით მოსწავლის ნამუშევრის |

| | |
|---|---|
| | ადეკვატურად შეფასებისთვის (სათანადო დასაბუთებით) იწერება კიდევ ოთხი „+“.<br>• დაგროვილი „+“-ების მაქსიმალური რაოდენობაა 12+4 = 16.<br>• შეფასება ხდება დაგროვილი „+“-ების საერთო რაოდენობის მიხედვით.<br>**4 ქულა:** 14-16 „+“<br>**3 ქულა:** 11-13 „+“;<br>**2 ქულა:** 8-10 „+“;<br>**1 ქულა:** 5-7 „+“;<br>**0 ქულა:** 4 ან ნაკლები „+“.<br><br>***შენიშვნა:*** *თუ აპლიკანტმა ამოიცნო მხოლოდ 1 შეცდომა, მაშინ მის მიერ მოსწავლის ნამუშევრის შეფასება მხედველობაში არ მიიღება!* |

## კითხვისა და წერის სწავლება

| | |
|---|---|
| **34** | დ |
| **35** | გ |
| **36** | გ |
| **37** | გ |
| **38** | დ |
| **39** | გ |
| **40** | გ |
| **41** | გ |
| **42** | გ |
| **43** | ა |

| | |
|---|---|
| **44** | მაქსიმალური ქულა: 2 |
| | **2 ქულა**: აღწერილია დავალებაში მოცემული პრობლემის დაძლევისთვის შესაბამისი აქტივობა, რომელშიც ჩანს, რომ მოსწავლეს შეუძლია საკუთარი შეცდომების დამოუკიდებლად გასწორება;<br>**1 ქულა**: აღწერილია დავალებაში მოცემული პრობლემის დასაძლევად საჭირო ადეკვატური აქტივობა, თუმცა, პასუხში არ ჩანს, რომ მოსწავლეს შეუძლია დამოუკიდებლად აღმოჩინოს და გაასწოროს შეცდომა;<br>**0 ქულა**: მითითებულია წარმოდგენილი პრობლემისთვის შეუსაბამო აქტივობა; პასუხი ძალიან ზოგადია; დავალება არ არის შესრულებული.<br>  |
| **45** | მაქსიმალური ქულა: 1 |
| | **1 ქულა**: წარმოდგენილია შეკითხვა, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს, მოცემულ ტექსტში დაინახოს მიზეზშედეგობრივი მიმართება;<br>**0 ქულა**: მოცემულია შეუსაბამო / ძალზე ზოგადი შეკითხვა; დავალება არ არის შესრულებული. |

<table>
<tr><td></td><td>

</td></tr>
<tr><td rowspan="2">46</td><td>მაქსიმალური ქულა: 1</td></tr>
<tr><td>
1 ქულა: მოცემულია შეკითხვა, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს ტექსტის სხვადასხვა ნაწილში წარმოდგენილი ინფორმაციის ერთმანეთთან დაკავშირებასა და დასკვნის გამოტანაში;<br>
0 ქულა: მოცემულია შეუსაბამო / ძალზე ზოგადი შეკითხვა; დავალება არ არის შესრულებული.<br>

</td></tr>
<tr><td rowspan="2">47</td><td>მაქსიმალური ქულა: 1</td></tr>
<tr><td>
1 ქულა: მოცემულია შეკითხვა, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს ახალი ცოდნის საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებასა და ტექსტის გააზრებაში;<br>
0 ქულა: მოცემულია შეუსაბამო / ძალზე ზოგადი შეკითხვა; დავალება არ არის შესრულებული.<br>

</td></tr>
</table>

## აკადემიური უნარები

### წაკითხული ტექსტის გააზრება

| | |
|---|---|
| **48** | ა |
| **49** | ბ |
| **50** | ბ |
| **51** | ა |
| **52** | ა |
| **53** | გ |
| **54** | დ |

### ანალიტიკური წერა

| | |
|---|---|
| **55** | მაქსიმალური ქულა: 13 |
| | **1. შინაარსის რელევანტურობა**<br>ნაშრომი შეესაბამება მოცემულ საკითხს, პასუხობს დასმულ ამოცანებს.<br>**2 ქულა:** ნაშრომი პასუხობს თემას, არ ეხება არარელევანტურ საკითხებს;<br>**1 ქულა:** თემას პასუხობს ნაშრომის მხოლოდ გარკვეული მონაკვეთი; მოცემულია არარელევანტური ინფორმაცია;<br>**0 ქულა:** ნაშრომი არ პასუხობს თემას, შეეხება სრულიად განსხვავებულ საკითხს, წარმოადგენს დავალების პერიფრაზს.<br>***შენიშვნა:*** *თუ ნაშრომი პირველი კრიტერიუმის მიხედვით შეფასდება 0 ქულით, ის აღარ გასწორდება სხვა კრიტერიუმების მიხედვით.*<br><br>**2. დასაბუთება**<br>აპლიკანტის პოზიცია წარმოდგენილია შესაბამისი დასაბუთებით, მსჯელობა გამყარებულია დამაჯერებელი, ადეკვატური არგუმენტებითა და მაგალითებით.<br>**3 ქულა:** მოყვანილია დამაჯერებელი, მრავალფეროვანი, ორიგინალური არგუმენტები, მაგალითები, განხილულია კონტრარგუმენტები;<br>**2 ქულა:** არგუმენტით/მაგალითით გამყარებულია მხოლოდ ზოგიერთი მოსაზრება, ან არგუმენტები მოყვანილია ყველა მოსაზრებისთვის, აპლიკანტი თანმიმდევრულად მსჯელობს საკითხის შესახებ;<br>**1 ქულა:** არის დასაბუთების მცდელობა, თუმცა არგუმენტები ზედაპირული, ერთფეროვანი და არადამაჯერებელია;<br>**0 ქულა**: მოსაზრებები არ არის გამყარებული მაგალითებითა და არგუმენტებით, არ არის წარმოდგენილი ლოგიკური მსჯელობა.<br><br>**3. თხრობის ორგანიზება**<br>ნაშრომი სტრუქტურულად გამართულია, აზრები მწყობრად, თანმიმდევრულად არის გადმოცემული, თხზულების ნაწილები ერთმანეთთან ლოგიკურადაა დაკავშირებული.<br>**2 ქულა:** ტექსტი სტრუქტურულად გამართულია _ ნაწერში წარმოდგენილია საკითხის დასმა, მსჯელობა, დასკვნა; აზრები მწყობრად არის გადმოცემული, მონაკვეთები ლოგიკურად უკავშირდება ერთმანეთს;<br>**1 ქულა:** ნაწერში დასმულია საკითხი, თუმცა, მსჯელობა ზედაპირულია, წარმოდგენილი დასკვნა არამართებულია ან შეუსაბამო; წარმოდგენილია ტექსტის მხოლოდ ზოგიერთი სტრუქტურული ნაწილი; ერთმანეთს ლოგიკურად უკავშირდება ტექსტის მხოლოდ ზოგიერთი მონაკვეთი;<br>**0 ქულა:** ნაწერში წარმოდგენილია პერიფრაზი და მხოლოდ მცირე მონაკვეთი ეთმობა მსჯელობას(რამდენიმე წინადადება, პატარა აბზაცი ა. შ. ); მოსაზრებები, ტექსტის ნაწილები ერთმანეთთან ლოგიკურად არ არის დაკავშირებული; ნაწერში არ არის წარმოდგენილი სტრუქტურული ნაწილები _ საკითხის დასმა, მსჯელობა, დასკვნა. |

| | |
|---|---|
| | **4. სტილი, ლექსიკა**<br>აზრები ცხადად, ნათლადაა გამოთქმული, ნაწერი ლექსიკურად მდიდარი და სტილისტურად გამართულია, ლექსიკა შეესაბამება დასმულ საკითხს.<br>**3 ქულა:** არ არის დაშვებული სტილისტური შეცდომები, ტექსტი ლექსიკურად მდიდარია, აზრი მკაფიოდ და გამართულად არის გადმოცემული, გამოყენებულია საკითხის შესაფერისი ლექსიკა და სტილი.<br>**2 ქულა:** დაშვებულია 2-3 უმნიშვნელო სტილისტური შეცდომა, ტექსტი ლექსიკურად გამართულია, აზრი მკაფიოდ არის გამოხატული<br>**1 ქულა:** ნაწერი ლექსიკურად მწირია, დაშვებულია სტილისტური შეცდომები, თუმცა აზრი გასაგებად არის გადმოცემული. გამოყენებული ლექსიკა და სტილი მეტ-ნაკლებად შეეფერება საკითხს.<br>**0 ქულა:** ნაწერი ლექსიკურად ღარიბია; დაშვებულია უხეში სტილისტური შეცდომები; გამოყენებულია არაადეკვატური ლექსიკა და სტილი;<br><br>**5. სინტაქსი, მორფოლოგია, პუნქტუაცია**<br>ნაშრომი სინტაქსურად გამართულია, ნაწერი შესრულებულია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დაცვით.<br>**3 ქულა:** არ არის დაშვებული სინტაქსური, ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური და პუნქტუაციური შეცდომები, დაცულია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები.<br>**2 ქულა:** დაშვებულია უმნიშვნელო სინტაქსური, ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური და პუნქტუაციური შეცდომები, თუმცა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები ძირითადად დაცულია.<br>**1 ქულა:** დაშვებულია სინტაქსური, ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური, პუნქტუაციური შეცდომები, დარღვეულია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები<br>**0 ქულა:** დაშვებულია უხეში სინტაქსური, ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური, პუნქტუაციური შეცდომები<br><br>იმისათვის, რომ ნაშრომი ყველა კრიტერიუმის მიხედვით გასწორდეს, ის უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:<br>• უნდა შეეხებოდეს დავალებაში მოცემულ საკითხს;<br>• არ უნდა წარმოადგენდეს დავალების პირობის პერიფრაზს;<br>• არ უნდა შეიცავდეს ინფორმაციას, რომლის საშუალებით შესაძლებელია აპლიკანტის პიროვნების იდენტიფიცირება - სახელსა და გვარს (რეალურსა თუ გამოგონილს), მეტსახელს, ხელმოწერას და ა.შ.<br>• შესრულებული უნდა იყოს ისეთი ხელწერით, როგორის წაკითხვაც შესაძლებელია.<br>თუ ნაშრომი არ აკმაყოფილებს ამ პირობათაგან რომელიმეს, ის შეფასდება 0 ქულით.<br><br>ნაშრომი უნდა შეიცავდეს, სულ მცირე, 100 სიტყვას. სხვა შემთხვევაში ის გასწორდება მხოლოდ I და II კრიტერიუმების მიხედვით. |